

ჯონ როულინგი

ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი

თავი პირველი

ყველაზე ცუდი დაბადების დღე

საუზმობისას პრივიტ დრაივის ოთხ ნომერში ისევ ერთი ამბავი ატყდა. ბატონი ვერნონ დერსლი დილაუთენია გაეღვიძებინა ბუს კვილს და ახლა გაჯავრებული უყვიროდა ცოლის დისშვილს, ჰარის:

— ამ კვირაში ეს უკვე მესამედ ხდება! მიხედვე შენს ბუს, თორემ აქედან მივაბრძანებ!

შეშინებული ჰარი ბუს გამოექომაგა:

— თავის ნებაზე ფრენასაა მიჩვეული, გალიაში ძალიან მოიწყინა. ნეტავ ღამლამობით მაინც შეიძლებოდეს გარეთ გაშვება.

— ერთი მითხარი, ვის ასულელებ?! — გადაირია ძია ვერნონი და სქელ უღვაშზე ჩამოკონწიალებული ერბოკვერცხის ნამცეცი აუცახცახდა, — კარგად ვიცი, რაც მოხდება, თუ მაგ ბუს გარეთ გავეშვებთ! — და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა თავის ცოლს, პეტუნას.

ჰარიმ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს დერსლების ვაჟმა, დადლიმ, ერთი მაგრად დააბოყინა და გამოაცხადა:

— კიდე მინდა ბეკონი!

— ტაფაზეა, სიხარულო, — შესცინა დეიდა პეტუნიამ კარგად ჩასუქებულ შვილს, — სანამ აქა ხარ, საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებთ, თორემ სკოლაში, ვინ იცის, რას გაჭმევენ!

— კარგი ერთი, პეტუნია! სმელტინგსში მეც ვსწავლობდი, მაგრამ არავინ მაშიმშილებდა, — დაამშვიდა ქმარმა, — დადლისაც არ ეტყობა, მაინცდამაინც, უჭმელობა. არა, შვილო?

დადლი გასივებულ უკანალს სამზარეულოს სკამზე ველარ ატევედა. მამას გაუცინა და ჰარის მიუბრუნდა:

— ტაფა მომე, ბიჭო!

— ჯადოსნური სიტყვები დაგავიწყდა, — გაღიზიანდა ჰარი.

„ჯადოსნურის“ გაგონებაზე დერსლებს თავისი დაემართათ —

სუნთქვაშეკრულმა დადლიმ სკამიდან ისეთი ბრავგანი მოაღინა, მთელი სამზარეულო შეზანზარდა; დეიდა პეტუნიაშ შეჰვივლა და პირზე ხელები იტაცა, ძია ვერნონს კი სიბრაზისგან საფეთქლებზე ძარღვები დაებერა, წამოხტა და, ის იყო, უნდა ეღრიალა, რომ ჰარამ დაასწრო: — „თუ შეიძლება“ უნდა დაგეყოლებინა და მეტი არაფერი. ეს ვიგულისხმე... — მე რა გითხარი?! — დასჭყება გამშაგებისგან პირზე დუჟომოდგარმა ძიამ, — ჩვენს სახლში ჯადოსნური სიტყვები არ ასხენო-მეთქი! — მაგრამ მე ხომ... — დადლის ეშუქრები? როგორ ბედავ?! — გაცოფებულმა ძია ვერნონმა მაგიდას მუჭი დაჰკრა. — მე მხოლოდ... — ხომ გავაფრთხილე, ამ სახლში შენს არანორმალურ საქციელს ვერ მოვითმენ-მეთქი! ჰარამ ჯერ გამძვინვარებულ ძიას გადახედა, მერე — გაფითრებულ დეიდას, რომელიც დადლის წამოდგომაში ეხმარებოდა, და ძლივს ამოილულელუა: — მეტს აღარ ვიზამ... მარტორქასავით აქაშინებული ძია ვერნონი მძიმედ დაეშვა სკამზე, თან ჰარისთვის ბასრი მზერა არ მოუცილებია. რაც ჰარი საზაფხულო არდადეგებზე შინ დაბრუნდა, ძია ვერნონი ისე ექცეოდა, თითქოს, ბავშვი კი არა, ჭურვია და სადაცაა, აფეთქდებო. ჩვეულებრივი ბავშვებისაგან ის მართლაც ძალიან განსხვავდებოდა. ჰარი პოტერი ჯადოქარი იყო, ჰოგვორტისის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის პირველკურსელი. სწავლა რომ დამთავრდა, არდადეგებზე შინ დაბრუნდა, რაც დერსლებს დიდ უბედურებად მიაჩნდათ, მაგრამ ჰარი მათზე უფრო უბედურად გრძნობდა თავს. ჩამოსვლის დღიდანვე ჰოგვორტისი ენატრებოდა, ზოგჯერ ეს გრძნობა განუწყვეტელ მუცლის ტკივილს აგონებდა. ენატრებოდა უთვალავი საიდუმლო დერეფანი, მოჩვენებებით სავსე ციხე-კოშკი და ყველა გაკვეთილი (სნეიპის შხამ-წამლების გაკვეთილის გარდა), ენატრებოდა ბუს მოტანილი წერილები, დიდ დარბაზში გამართული ბანკეტები, თავის ჩარდახიან სანოლში ძილი, მეტყვევ ჰაგრიდის ქიხში სტუმრობა, განსაკუთრებით კი — ქვიდიჩი, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ჯადოქრების სამყაროში (ქვიდიჩის სათამაშოდ ექვსი სვეტი, ოთხი მფრინავი ბურთი და ცოცხზე ამხედრებული თოთხმეტი მოთამაშეა საჭირო). ძია ვერნონმა ჰარის ჩამოსვლისთანავე საკუჭნაოში ჩაკეტა შელოცვის წიგნები, ჯადოსნური ჯიხი, მანტიები, ქვაბი და, რაც მთავარია, უკანასკნელი მოდელის მფრინავი ცოცხი „ნიმბუს-2000“. დერსლებს რა ენაღვლებოდათ, თუკი ჰარი მთელ ზაფხულს ერთხელაც არ ივარჯიშებდა და ქვიდიჩის გუნდიდან გარიცხავდნენ? ან რაში ედარდებოდათ, საშინაო დავალებას თუ ვერ შეასრულებდა? დერსლები, ჯადოქრების ენაზე რომ ვთქვათ, წამდვილი მაგლები იყვნენ, ანუ ჯადოქარი წინაპრები არ ჰყოლიათ, და ამიტომაც ოჯახში ჯადოქრის ყოლა საშინელ სირცხვილად მიაჩნდათ. ძია ვერნონმა ჰარის ბუ, ჰედვიგიც კი გალიაში ჩაამწყვდია, რომ ჰარის სხვა ჯადოქრებისთვის წერილები ვეღარ გაეგზავნა.

ჰარი დერსლებისაგან გარეგნობითაც ძალიან განსხვავდებოდა. ძია ვერნონი სქელი, შავულვამა კაცი იყო, კისერი თითქმის არ ჰქონდა; გამძალტყავებულ დეიდა პეტუნიას სახე ცხენივით ჩამოგრძელებოდა; ქერა დადლი მეტისმეტად მსუქანი და ლაჟღაჟა ბრძანდებოდა. ჰარი კი ერთი ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი იყო, ღია მწვანე თვალები და მუდამ აჩჩილი კუპრით შავი თმა ჰქონდა, მრგვალმინებიანი სათვალე ეკეთა და შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი აწნდა.

ეს ნაიარევი ჰარის საიდუმლოებით მოცულ წარსულზე მეტყველებდა, თერთმეტი წლის წინანდელ ამბებზე, როცა ჯერ კიდევ სრულიად ჩვილი ჰარი დერსლების კართან დატოვეს.

ერთი წლისა იყო, როცა როგორღაც გადაურჩა ყველა დროის უდიდესი ბოროტი ჯადოქრის, ვოლდემორის რისხვას. ვოლდემორის სახელს ჯადოქრების უმრავლესობა შიშით ვერც კი ასხენებდა. ჰარის მშობლები სწორედ მან დახოცა, მაგრამ თავად ბავშვს ვერაფერი დააკლო, მხოლოდ ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი დაუტოვა შუბლზე. ყველაზე უცნაური და საკვირველი რამ კი ამის შემდეგ მოხდა — ვოლდემორს ძალა დაეკარგა.

ბიჭუნა კი თავისი დეიდისა და მისი ქმრის სახლში გაიზარდა. ათ წელიწადს ცხოვრობდა დერსლებთან და ამ ხნის განმავლობაში ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, თავისდა უნებურად როგორ ახერხებდა საკვირველი ოინების მოწყობას. დერსლების მოგონილი ამბისაც სჯეროდა: შენ და შენი მშობლები ავტოკატასტროფაში მოჰყვევით ისინი დაიღუპნენ, შენ კი ეგ ნაიარევი დაგრჩაო.

მაგრამ ბუსტად ერთი წლის წინ ჰარიმ ჰოგვორტისიდან წერილი მიიღო და საიდუმლოსაც თვარდა აეხადა. ჰარი ჯადოქრების სკოლაში ჩარიცხეს, სადაც თავისი ნაიარევის წყალობით, ყველა სცნობდა...

და აი, პირველი სასწავლო წელი დამთავრდა და ჰარი საზაფხულო არდადეგების გასატარებლად დერსლების ოჯახში დაბრუნდა, სადაც ისე ექცეოდნენ, როგორც ქეციან ძაღლს.

* * *

დერსლებს არც კი გახსენებიათ, რომ დღეს ჰარის 12 წელი შეუსრულდა. რა თქმა უნდა, ბევრს არც არაფერს ელოდა, მისთვის ხომ ტორტიც არასოდეს გამოუცხვიათ, მაგრამ ამჯერად დერსლებს ჰარის დაბადების დღე საერთოდ გადაავიწყდათ.

უცებ ძია ვერნონმა ხმამაღლა ჩაახველა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— როგორც მოგეხსენებათ, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა!

ჰარიმ ყურებს არ დაუჯერა, ნუთუ...

— დღეს ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი გარიგება უნდა დავდო, — დააზუსტა ძია ვერნონმა.

ჰარიმ თავი ჩაღუნა: „როგორ ვერ მივხვდი, ისევ იმ სულელურ წვეულებაზე ლაპარაკობს! ორი კვირაა, სულ პირზე აკერია!“. ძია ვერნონს იმედი ჰქონდა, რომ მდიდარი მშენებლისაგან უზარმაზარ შეკვეთას მიიღებდა, ამიტომ ის კაცი,

მეუღლესთან ერთად, ვახშმად მოიპატიჟა (ძია ვერნონი ბურღების დამამზადებელი ფირმის დირექტორი იყო).

— მგონი, ურიგო არ იქნება, განრიგს კიდევ ერთხელ თუ გადავხედავთ, — განაგრძო ვერნონმა, — რვა საათისთვის ყველანი ჩვენ-ჩვენს ადგილას უნდა ვიყოთ! პეტუნია, შენ...

— სასტუმრო ოთახში დაგხვდებით და სტუმრებს ღირსეულად შემოვიპატიჟებ, — დეიდა პეტუნია, ეტყობა, განრიგი უკვე ზეპირად იცოდა.

— კარგია! კარგი! შენ, დადლი?

— მე კარს გავუღებ და ვეტყვი: ძვირფასო სტუმრებო, ნება მიბოძეთ, მოსასხამების გახდაში მოგეხმაროთ! — და დადლი სულელურად დაიმანჭა. — წარმომიდგენია, როგორ მოენონებათ ჩვენი ბიჭი, — წამოიძახა ალტაცებულმა დეიდა პეტუნია.

— გადასარევი! ყოჩაღ, დადლი, — შეაქო ვერნონმა, მერე ჰარის მიუბრუნდა: — შენ რა უნდა ქნა?

— ჩემს სანოლ ოთახში ვიჭდები და არ ვიხმაურებ, ვითომ აქ არა ვარ, — წაილულულა ჰარიმ.

— ძალიანაც კარგი! — ბოროტად ჩაიციხა ძია ვერნონმა, — მე სტუმრებს ოთახში შემოვუძღვები, პეტუნიას გავაცნობ და სასმელს შევთავაზებ. ცხრის თხუთმეტ წუთზე...

— მე გამოვაცხადებ: „გთხოვთ სუფრასთან!“ — დაასრულა პეტუნია.

— დადლი, შენ რა უნდა თქვა ამ დროს?

— ნება მიბოძეთ, სასადილო ოთახში გავიძღვებ, ქალბატონო მეისონ, — და დადლიმ დონდლო ხელი უჩინარ ქალბატონს გაუწოდა.

— ნამდვილი ჯენტლმენი გვეზრდება! — აღფრთოვანდა დეიდა პეტუნია.

— შენ? — ძია ვერნონმა ბოლმიანი თვალებით გადახედა ჰარის.

— ჩემს სანოლ ოთახში ვიჭდები და არ ვიხმაურებ, ვითომ აქ არა ვარ, — უნდილად გაიმეორა ჰარიმ.

— ძალიანაც კარგი! ჰო, მართლა, არ დაგვავიწყდეს, ვახშამზე ერთი-ორი დახვეწილი ქათინური უნდა ვუთხრათ სტუმრებს. პეტუნია, ხომ არაფერი მოგთფიქრებია?

— ბატონო მეისონ, ვერნონმა თქვენზე მითხრა, გოლფს გადასარევად თამაშობსო... ქალბატონო მეისონ, უმორჩილესად გთხოვთ, მითხრათ, სად შეიძინეთ ეს კაბა?

— ბრწყინვალეა! დადლი, შენ?

— სკოლაში დასაწერი გვექონდა თემა „ჩემი იდეალი“, ჰოდა, ბატონო მესონ, მე თქვენზე დავწერე.

ამჯერად დადლის მეტისმეტი მოუვიდა: სიხარულისგან ატირე ბულმა დეიდა პეტუნიაშვილი გულში ჩაიკრა, ჰარი კი მაგიდის ქვეშ ჩაძვრა, რომ არ შეეჩინათ, როგორ იგულებოდა სიცილით.

— შენ, ბიჭო?

ჰარი მაგიდის ქვემოთ გამოყო თავი:

— ჩემს სწოლ ოთახში ვიჯდები და არ ვიხმურებ, ვითომ აქ არა არ!

— ძალიანაც კარგი! მადლობა ღმერთს, მესონებმა შენზე არაფერი იციან და არცაა საჭირო! ვახშამს როცა მოვრჩებით, შენ, პეტუნია, ქალბატონ მესონს სასტუმრო ოთახში გაიყვან, მე კიდევ ბატონ მესონს ბურღებზე ლაპარაკით ტვინს გავუბურღავ. ჰოდა, თავი ქედში მაქვს! ათსაათიან საინფორმაციო გამოშვებამდე ხელმოწერილი და ბეჭედდასმული კონტრაქტი მექნება! ხვალ ამ დროისთვის კი საყიდლებზე წავალთ, რომ მალიორკის აგარაკი მოვანყო.

— ჰარის ეს ამბავი სულაც არ გახარებია, ამათ პრივიტ დრაივის სახლშიც არ ვეხატები გულზე და მალიორკაზე ჩემს თავს რაღა შეაყვარებთო.

— მოვილაპარაკეთ! კარგი, ახლა ქალაქში წავალ, ჩემთვის და დადლისთვის პიტაკებს ვიყიდი. შენ კი, იყოლე, დეიდაშენს სახლის დალაგებაში ხელი არ შეუშალო! — შეუბღვირა ვერნონმა ცოლის დისშვილს.

მშვენიერი მზიანი დღე იდგა. ჰარი უკანა კარით სახლიდან გავიდა, გაზონი გადაიარა, ბაღში გრძელ სკამზე ჩამოჯდა და თავისთვის წაიძღრა: „გილოცავ დაბადების დღეს... გილოცავ დაბადების დღეს!“. წარმოვიდგენიათ?! არც მისალოცი ბარათი მიუღია, არც საჩუქარი, თანაც, საკუთარ დაბადების დღეზე ისე უნდა მოქცეულიყო, თითქოს საერთოდ არ არსებობდა! ჰარიმ ნაღვლიანად გახედა ღობეს, ასე მარტო არასოდეს უგრძნია თავი. მერე ჰოგვორტის მოაგონდა და ქვიდიჩის თამაშზე მეტად, თავისი საუკეთესო მეგობრები, რონ უისლი და ჰერმიონ გრეინჯერი მოენატრა. თუმცა, ეტყობა, იმათ დიდად არ ენატრებოდათ. მთელ ზაფხულს მისთვის ერთი წერილიც კი არ გამოუგზავნიათ... არადა, რონი დაჰპირდა, ჩემთან დაგპატიჟებ, თუ გინდა, ჩამოდი და დარჩიო. რამდენჯერ გაიფიქრა, გალიას, მოვაჯადოებ, ჰედვიგს გამოვუშვებ და რონთან და ჰერმიონთან წერილს ვევატანო, მაგრამ ვერ გაბედა: არასრულწლოვან ჯადოქრებს სკოლის გარეთ ჯადოქრობის გამოყენება ეკრძალებოდათ. ჰარის, რა თქმა უნდა, ეს ამბავი დერსლებისთვის არ გაუხეხლია. ერთადერთი მიზეზი, რატომაც დერსლებმა ჯადოსნურ ჯოხსა და ცოცხთან ერთად, ჰარიც არ ჩამწყვდიეს საკუჭნაოში, სწორედ ეს იყო: ეშინოდათ, ვაითუ, ნიხვის ხოჭოებად გადაგვაქცისო. პირველი კვირები ჰარი მშვენივრად ერთობოდა — რაღაც სისულელეს თავისთვის გაუგებრად ბუტბუტებდა, ამის გავონებაზე ზონზროხა დადლი გამწარებული გარბოდა ოთახიდან. მაგრამ რონისა და ჰერმიონის

უყურადღებობის გამო ჰარიმ ჯადოქრების სამყაროსაგან ისე მოწყვეტილად იგრძნო თავი, დადლის წვალემა უკვე აღარ ეხალისებოდა. მისთვის ცხადი გახდა, რომ საუკეთესო მეგობრებსაც კი აღარ ახსოვდათ მისი დაბადების დღე! რას არ მისცემდა ახლა, ოღონდ ჰოგვორტსიდან ერთი წერილი მაინც მიეღო! სულ ერთია, ვინ გამოუგზავნიდა. უფრო მეტიც, თავისი მოსისხლე მტრის, დრაკო მალფოის დანახვაც კი გაახარებდა, დარწმუნდებოდა მაინც, რომ ეს ყველაფერი სიმზრად არ უნახავს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ერთ წელიწადს ჰოგვორტსში სულ სამხიარულოდ არ ჰქონდა საქმე. სხვა რომ არაფერი, ბოლო სემესტრის მიწურულს ბოროტსა და შემზარავ ჯადოქარს, ლორდ ვოლდემორს შეხვდა პირისპირ. რა თქმა უნდა, ვოლდემორი ადრინდელივით ძლევეამოსილი აღარ იყო, მაგრამ ძალაუფლების დაბრუნება კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. ჰარი უკვე მეორედ დაუსხლტა კლანჭებიდან და, რომ იტყვიან, ბენგზე გადარჩა. ამდენი ხნის შემდეგაც კი ძილში ცივ ოფლს ასხამდა და ეღვიძებოდა. ახსენდებოდა ვოლდემორის მკვდრისფერი სახე, შეშლილი, გაფართოებული თვალები და ფიქრობდა, „ვინ იცის, ახლა სად არისო“.

უცებ ჰარი ფიქრებიდან გამოერკვა და წელში გასწორდა. ბალის ღობეს აქამდე თუ მხოლოდ თვითონ უცქეროდა, ახლა ღობემაც დაუნყო ცქერა! ფოთლებში ორი გადმოკარკლული მწვანე თვალი დალანდა.

ეზოს მეორე მხრიდან დამცინავი ხმა გაისმა. ჰარი მოულოდნელობისგან შეხტა.

— კარგად ვიცი, დღეს რა დღეა! — მისკენ სიმღერ-სიმღერით მობატბატებდა დადლი.

გადმოკარკლული თვალები უცებ სადღაც გაუჩინარდა.

— რა თქვი? — ჰარის ღობისთვის თვალი არ მოუცილებია.

— კარგად ვიცი, დღეს რა დღეა! — გაუმეორა დადლიმ და ჰარის თავზე დაადგა.

— ყოჩაღ! როგორც იქნა, კვირის დღეები გისწავლია.

— დღეს ხომ შენი დაბადების დღეა! — ჩაიქირქილა დადლიმ, — როგორ მოხდა, მისალოცი ბარათები რომ არ მოგდის? მაგ შენს საგიჟეში მეგობრები არა გყავს?

— შენთვის აჯობებს, დედაშენმა არ გაიგოს, ჩემს სკოლაზე რომ ლაპარაკობ, — ცივად მოუჭრა ჰარიმ.

დადლიმ სქელ საჯდომზე ჩამოჩაჩული შარვალი აინია და დაეჭვებით ჰკითხა:

— მაგ ღობეს რას მიშტერებიხარ?

— ვფიქრობ, ცეცხლის წასაკიდებლად რომელი შელოცვა გამოვიყენო, — წყნარად მიუგო ჰარიმ.

დადლის ელდა ეცა:

— ა-ა-არა! მამაჩემმა ხომ გაგაფრთხილა, აქ ჯ-ჯადოქრობის უფლებას არ მოგცემო! იყოლე, აქედან გაგაპანდურებს... მერე ვნახოთ, სად წახვალ... ერთი მეგობარიც კი არა გყავს...

— ჯიგერი პოკერი! — განრისხებული ხმით შეჰყვირა ჰარიმ, — ფოკუს-მოკუს, სქევიგლი-ვიგლი...

— დედიკოლო! — ამოიღწავლა დადლიმ და გიჟივით გავარდა სახლისაკენ, — დედიკოლო! ჩვენ-რომ-ვიცით, იმას აკეთებებს!

ეს სიამოვნება ჰარის ძალიან ძვირი დაუჯდა. დეიდა პეტუნია კი მიხვდა, რომ ჰარის არაფერი ჩაუდენია, რადგან არც დადლისა და არც ლობეს არაფერი მოსვლიათ, მაგრამ განრისხებულმა მაინც ესროლა გასაპნული ტაფა, რომელიც ჰარიმ იოლად აიცილინა. მერე უამრავი საქმე დაავალა და დაემუქრა: სანამ ყველაფერს არ მოათავებ, საჭმელს ვერ ეღირსებო.

დადლი მთელ დღეს უსაქმურად დაყიალებდა და ნაყინს მიირთმევდა. ჰარიმ კი ფანჯრები განმინდა, მანქანა გარეცხა, გაზონი გაკრიჭა, ყვავილების კვლები გამარგლა, გასხლა და მორწყა ვარდები და ლობეც გადაღება. ახლა უკვე ნანობდა, დადლის თავი როგორ გაუყადრეო, მაგრამ დეიდაშვილმა ისეთი რალაც შეახსენა, რაც მოსვენებას არ აძლევდა... იქნებ, ჰოგვორტსში მართლა არც ერთი მეგობარი არა ჰყავს?

„ნეტავ, სახელგანთქმული ჰარი პოტერი ახლა დაანახათ“, ფიქრობდა გამწარებული ჰარი. ზურგი საშინლად სტკიოდა, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ ყვავილების კვალს მაინც აყრიდა ნაკელს.

რვის ნახევარზე არაქათგამოცლილ ჰარის, როგორც იქნა, დეიდა პეტუნია მ დაუძხა:

— შემოდი! ოღონდ გაზეთზე დადგი ფეხი, იატაკი არ დამისვარო!

ჰარი სიხარულით შევარდა განკრიალებულ სამზარეულოში. მაცივარზე საღამოს წვეულებისთვის გამომცხვარი, შაქრის იებით მორთული კრემიანი პუდინგი იდო. ღუმელში დაბრანული ღორის ხორცი შიშინებდა.

— დროზე მორჩი ჭამას! სადაცაა, მისონები მოვლენ, — დაუსისინა ჭყეტელა ვარდისფერ კაბაში გამოწყობილმა დეიდა პეტუნია და მაგიდაზე ორი ნაჭერი პური და ყველის ნატეხი დაუდო. ჰარიმ ხელები დაიბანა და დამშეული ეცა ღარიბულ საჭმელს. ჭამას მორჩა თუ არა, დეიდამ თეთში სასწრაფოდ ააცალა და შეუღრინა:

— ახლავე ზევით აბრძანდი!

ჰარიმ სასტუმრო ოთახს ჩაუარა და ჰალსტუხებსა და პიჯაკებში გამონკვილ ძია ვერნონსა და დადლის მოჰკრა თვალი. ის იყო, ზედა სართულზე ავიდა, რომ ზარის ხმაც გაისმა. ძია ვერნონმა კიბესთან მიიბრინა და კბილებში გამოსყრა:

— გაფრთხილებ, შენი ხმა არ გავიგო!

ჰარი ფეხბურთით მიიპარა თავის ოთახთან, უხმაუროდ შევიდა, კარი მიხურა და სანოლზე წამოწოლა დააპირა...

მაგრამ... სანოლზე უკვე ვილაყ იჯდა.

თავი მეორე

ღობის გაფრთხილება

ჰარიმ კინალამ წამოიყვირა. სანოლზე პატარა არსება იჯდა, ღამურასავით დიდი ყურები და ჩოგბურთის ბურთისოდენა გადმოკარკლული მწვანე თვალები ჰქონდა. ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ დილით ღობიდან სწორედ ეს არსება უთვალთვალებდა.

ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ. უეცრად შემოსასვლელიდან დადღის ხმა გაიგონეს:

— ძვირფასო სტუმრებო, ნება მიბოძეთ, მოსასხამების გახდაში მოგეხმაროთ!

არსება ლოგინიდან ჩამოხტა და ჰარის ისე დაბლა დაუკრა თავი, რომ თხელი, წაგრძელებული ცხვირი ხალიჩას დაჰკრა. ჰარიმ შეამჩნია, რომ სტუმარს ძველი, ხელფების გამოსაყოფად ოთხ ადგილას გახვრეტილი ბალიშისპირის მაგვარი რალაც ეცვა.

— გა-გამარჯობა, — დაიბნა ჰარი.

— ჰარი პოტერ! — არსებამ ისე დაიჭყვივლა, პირველ სართულზე ნამდვილად გაიგონებდნენ, — რამდენი ხანია, ღობის თქვენი გაცნობა უნდა, სერ... დიდი პატივია...

— გმადლობთ, — დაბნეული ჰარი კედელს აეკრა, მერე უკან-უკან წავიდა და ჰედვიგის გალიასთან ხის სკამზე მოწყვეტით დაჯდა. უნდოდა, ეკითხა, „რა“ ხართ, მაგრამ ძალიან უზრდელურად რომ არ გამოსვლოდა, ასე ჰკითხა:

— ვინ ბრძანდებით?

— ღობი, სერ! უბრალოდ, ღობი! ღობი — შინაური ელფი!

— მართლა? — ჰარიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა, — უზრდელი არ გვეგონოთ, მაგრამ ახლა ჩემს ოთახში შინაური ელფების სტუმრობის დრო ნამდვილად არ არის.

სასტუმრო ოთახიდან დეიდა პეტუნიას ყალბი, ხმამაღალი კისკისი გაისმა. ელფმა თავი ჩალუნა.

— არ გეგონოთ, თითქოს თქვენი გაცნობა არ მიხარია, — მაშინვე გამოასწორა ჰარიმ, — მაგრამ... ჩემთან მაინც რამ მოგიყვანათ?

— ო, დიხს, სერ! — უცბად დასერიოზულდა ელფი, — დობი იმის სათქმელად მოვიდა, სერ, რომ... როგორ გითხრათ, სერ... დობიმ არ იცის, საიდან დაიწყოს...

— დაბრძანდით, — ჰარიმ თავაზიანად ანიშნა საწოლზე.

საუბედუროდ, ელფი უცებ ხმამაღლა ატირდა:

— დაბრძანდითო! არასოდეს... არასოდეს... არასოდეს...

ჰარიმ შეამჩნია, რომ პირველ სართულზე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— უკაცრავად, თქვენი შეურაცხყოფა არც მიტიქრია! — მოუბოდიშა ელფს.

— დობის შეურაცხყოფა! — ელფი უარესად აბღავლდა, — დობისთვის ჯადოქარს არასოდეს უთქვამს, „დაბრძანდითო,“ ჯადოქრები დობის თანასწორივით არასოდეს მოჰქცევიან...

ჰარი თავაზიანად ცდილობდა დობის გაჩუმებას, ასლუკუნებული სტუმარი ძლიერ დასვა საწოლზე. საწყალი არსება დიდ, მახინჯ თოჯინას ჰგავდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და აღფრთოვანებული, ჯერ ისევ ცრემლიანი თვალები ბიჭს მიაჰყრო.

— ეტყობა, წესიერ ჯადოქრებს არ შეხვედრიხართ, — გაამხნევა ჰარიმ.

დობიმ თავი გააქნია. მოულოდნელად წამოხტა, თავი გამეტებით დასცხო ფანჯარას და აღრიალდა:

— დობი ცუდი! დობი საძაგელი!

— ო, არა! რას შვრები? — ჰარიმ ელფს ხელი ჩაავლო და ისევ საწოლისკენ წაათრია. ხმაურზე ჰედვიგს გამოეღვიძა, გამყივანი ხმით აკივლდა და ფრთების ფართობით მიაწყდა გალიის გისოსებს.

— დობიმ თავი უნდა დაისაჯოს, სერ, — ამოვიგინა დაეღმებულმა ელფმა, — დობის კინალამ საყვედური წამოსცდა თავის ოჯახზე, სერ...

— რაო? შენ ოჯახიცა გყავს?

— დობი ჯადოქრის ოჯახს ემსახურება, სერ... დობი შინაური ელფია, ვალდებულია, სამუდამოდ ერთ ოჯახსა და ერთ სახლს ემსახუროს...

— მათ იციან, აქ რომ ხარ? — დაინტერესდა ჰარი.

დობის გააჟრჟოლა.

— არა, სერ, არა! დობი სასტიკად უნდა დაისაჯოს, აქ მოსვლა რომ გაბედა, სერ. დობიმ ლუმლის საკეტები ყურები უნდა მოიჭეჭყოს. ოჰ, იმათ რომ იცოდნენ, სერ...

— ყურებს თუ მოიჭეჭყავ, ვერ შეამჩნევენ?

— არა მგონია, სერ. დობი ყოველთვის თვითონ ისჯის თავს, სერ. ოჯახი ამის უფლებას აძლევს, სერ. ზოგჯერ თვითონვე შეახსენებენ ხოლმე, სასჯელი არ დაგავინწყდესო...

— კი მაგრამ, იმ ოჯახს თავს რატომ არ დაანებებ? რატომ არ გაიქცევი?

— შინაური ელფი პატრონმა უნდა გაათავისუფლოს, სერ... ოჯახი დობის არ გაათავისუფლებს... დობი სიკვდილამდე იმ ოჯახს უნდა ემსახუროს, სერ...

ჰარი გამრა.

— მე ჩემი თავი მეცოდებოდა, ამ სახლში ოთხ კვირას რა გამაჩერებს-მეთქი! შენს ოჯახთან შედარებით, დერსლები ნამდვილი ანგელოზები ყოფილან! ვერავინ დაგეხმარება? ვერც მე?

ეს თქვა თუ არა, მაშინვე ინანა. დობი, მადლიერების ნიშნად, ისევ ხმამაღლა აზღუუქუნდა.

— გთხოვ, — ჩურჩულებდა სიმნრის ოფელში გახვითქული ჰარი, — გთხოვ, დანყნარდი! მტრისას, დერსლებმა თუ გაიგეს, რომ აქა ხარ...

— ჰარი პოტერმა თქვა, რით შემიძლია, დობის დავეხმარო... დობის ბევრი სმენია თქვენი სიდიადის შესახებ, მაგრამ დობიმ არ იცოდა, ასეთი კეთილი თუ იყავით...

ჰარი შესამჩნევად განითლდა.

— ეგ სულ მონაჩმახია! დიადი სულაც არა ვარ! ის კი არა, პოგვორტსში წლის საუკეთესო მოსწავლეც არ ვყოფილვარ, სამაგიეროდ, ჰერმიონია... — ჰარიმ სიტყვა ვედარ დაასრულა, ჰერმიონის ხსენებაზე გული მოეწურა.

— ჰარი პოტერი თავმდაბალი და წესიერია, — მოწინებით წარმოთქვა დობიმ და ბურთისოდენა თვალები აუელვარდა, — ჰარი პოტერი არ ამბობს, როგორ დაამარცხა ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის.

— ვოლდემორი? — დაუბუსტა ჰარიმ.

დობიმ ხელები ყურებზე იტაცა და ამოიღწავლა:

— არა, სერ! სახელს ნუ ახსენებთ! სახელს ნუ ახსენებთ!

— უკაცრავად! ისე, მეც ბევრს ვიცნობ ისეთს, ვისაც მისი სახელის ხსენება არ უყვარს. მაგალითად, ჩემი მეგობარი რონი...

ჰარის ისევ გაუწყდა სიტყვა, რონის ხსენებაზეც გული მოეწურა. დობის თვალები პროფექტორებისოდენა გაუხდა, ჰარისკენ გადაიხარა და ჩახრინული ხმით უჩურჩულა:

— დობიმ გაიგო, რომ ჰარი პოტერი რამდენიმე კვირის წინ მეორედ შეხვდა ბნელეთის ბატონს... ამბობენ, ჰარი პოტერი ისევ ხელიდან დაუსხლტაო... ჰარიმ თავი დაუქნია. დობი სიხარულისგან ატირდა.

— აჰ, სერ, — ელფს სუნთქვა შეეკრა, მერე, ზედ რომ ეცვა, იმ ბალიშისპირის კუთხით სახე შეიმშრალა. — ჰარი პოტერი მამაცი და გამბედავია! უკვე რამდენ საფრთხეს გაუმკლავდა! მაგრამ დობი ჰარი პოტერის დასაცავად მოვიდა, უნდა გააფრთხილოს... თუნდაც, ეს ღუმლის საკეტში ყურების მოჭეჭყვად დაუჯდეს... ჰარი პოტერი ჰოგვორტსში არ უნდა დაბრუნდეს!

ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ პირველი სართულიდან ამომავალი დანა-ჩანგლის წკარუნი და ძია ვერნონის მოგუდული ხმა არღვევდა.

— რაა? — გაოცდა ჰარი, — რას ამბობ?! აუცილებლად უნდა დავბრუნდე, სწავლა პირველ სექტემბერს იწყება! ამის იმედით ყველაფერს ვუძლებ! შენ არ იცი, აქ ცხოვრება რა საშინელებაა! აქ ჩემი ადგილი არ არის! მე თქვენს სამყაროს ვეკუთვნი, ჰოგვორტსში უნდა ვიყო!

— არა, არა, არა! — აჭყვივლდა დობი, თან ყურების ტყლაშუნით თავს აქნევდა, — ჰარი პოტერი იქ უნდა დარჩეს, სადაც უსაფრთხოდ იქნება! თავი არ უნდა დაიღუპოს, მეტისმეტად დიადი და კეთილია! თუ ჰარი პოტერი ჰოგვორტსში დაბრუნდება, სიკვდილი არ ასცდება!

— რატომ? — გაუკვირდა ჰარის.

— შეთქმულება! ჰარი პოტერ, წელს ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში საშინელი შეთქმულება ეწყობა, — აჩურჩულდა აკანკალებული ელფი, — დობიმ რამდენიმე თვეა, ეს ამბავი იცის, სერ! ჰარი პოტერმა თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოს. ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა, სერ!

— რომელ შეთქმულებაზე ლაპარაკობ, ვინ აწყობს შეთქმულებას? — სხაპასუპით მიაყარა ჰარიმ.

დობიმ უცნაურად ამოიკვნესა და გამეტებით დასცხო თავი კედელს.

— კარგი, კარგი, — ჰარიმ მკლავში სტაცა ხელი, — მესმის, რომ თქმის უფლება არა გაქვს, ის მაინც მითხარი, მე რატომ მაფრთხილებ? — უცებ ჰარის თავში საშინელმა აზრმა გაუელვა, — მოიცა, მოიცა! ამ საქმეში ვოლ... უკაცრავად, ჩვენ-რომ-ვიცით, ის ხომ არაა გარეული? თუ გინდა, უბრალოდ, თავი დამიქნიე, — სწრაფადვე დაამატა ჰარიმ, რადგან ელფმა ისევ კედლისკენ გაიწია.

დობიმ გაუბედავად გააქნია თავი.

— არა, სერ... ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის კი არა... — დობის თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, თითქოს რაღაცას ანიშნებო, მაგრამ ჰარი ვერაფერს მიუხედა.

— ძმა ხომ არა ჰყავს?

დობიმ თავი გააქნია და თვალები უარესად გადმოეკარკლა.

— წარმოდგენა არა მაქვს, ვის შეუძლია ჰოვგორტსში საშინელი ამბების დატრიალება. ყოველ შემთხვევაში, სანამ დამბლდორი იქაა... არ მითხრა, არ ვიცი, დამბლდორი ვინააო!

დობიმ მოწინებით დაუკრა თავი.

— ალბუს დამბლდორი ჰოვგორტის ყველა დროის უდიადესი დირექტორია. დობიმ ეს იცის, სერ. დობიმ ისიც იცის, სერ, რომ დამბლდორმა დაამარცხა ძლევაშოსილი ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის... მაგრამ, სერ, — დობის ხმა ჩაუნცდა და ჩურჩულით განავრძო: — არსებობენ ისეთი ძალები, რომელთაც ვერც დამბლდორი... და ვერცერთი წესიერი ჯადოქარი...

და უცებ, სანამ ჰარი აზრზე მოვიდოდა, დობი სანოლიდან ჩამოხტა, სანერი მაგიდიდან ლამპა ჩამოიღო და ყურისწამლები კვილით დაიშინა თავში.

პირველ სართულზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ჰარის გული გადაუქანდა, წამიც და, დერეფნიდან ძია ვერნონის ხმა მოესმა: „დადლის, ეტყობა, ტელევიზორი ისევ ჩართული დარჩა. ეგ მაიმუნი, ეგა!“.

— ჩქარა, დაიმალე! — დაუცაცხანა ჰარიმ დობის, ტანსაცმლის კარადაში შეჭყუნა და კარი მიუხურა. ის იყო, თვითონ სანოლზე შეხტა, რომ კარის სახელურიც გადატრიალდა.

— რა ჯანდაბას აკეთებ? — კბილებში გამოსცრა ძია ვერნონმა და თვალები დაუბრიალა, — იაპონელ გოლფის მოთამაშეზე ანეკდოტი ხომ გამიფუჭე!... კიდევ ერთი გაფაჩუნება და, იცოდე, გაჩენის დღეს განყევლინებ! — და მძიმე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

აკანკალებულმა ჰარიმ დობი ტანსაცმლის კარადიდან გამოიყვანა.

— ხომ ხედავ, რა ძნელია აქ ცხოვრება?! ხვდები, რატომ მინდა ჰოვგორტსში დაბრუნება? ის ერთადერთი ადგილია, სადაც მეგობრები მყავს... ან, შეიძლება, მეჩვენება, რომ მყავს.

— მეგობრები ჰარი პოტერს წერილებსაც კი არ სწერენ, — ფრთხილად შეაპარა დობიმ.

— მე ვფიქრობ, უბრალოდ, არ სცა... მოიცა! შენ საიდან იცი მწერენ თუ არა? — მოიღუბა ჰარი.

ღობი შეცბა.

— შენ რა, წერილებს მპარავდი?

— ღობიმ თქვენი წერილები თან წამოიღო, სერ, — ჩაიბუტბუტა ელფმა, ცოტა უკან დაიხია, ჰარი არ მომწვდესო, და ტანზე ჩამოცმული ბალიშისპირის შიგნიდან კონვერტების სქელი შეკვრა გამოაძვინა. ჰარიმ თვალი მოჰკრა ჰერმიონის ხელით გამოყვანილ ლამამ ასოებს, რონის აცაბაცა ნაწერსაც და ჰოგვორტის მეტყვევის, ჰაგრიდის ბატიფეხურსაც...

ღობიმ ჰარის ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— ჰარი პოტერი არ უნდა გაბრაზდეს... ღობის იმედი ჰქონდა... თუ ჰარი პოტერი დაიჯერებდა, რომ მეგობრებმა დაივიწყეს... იქნებ, სკოლაში დაბრუნება გადაეფიქრებინა, სერ...

ჰარი აღარ უსმენდა, წერილების წასართმევად გაინია, მაგრამ ღობი გვერდზე გახტა.

— ჰარი პოტერი ამ წერილებს მიიღებს, სერ, თუ ღობის პირობას მისცემს, რომ ჰოგვორტსში არ დაბრუნდება. სერ, საფრთხეს უნდა მოერიდოთ! გთხოვთ, არ დაბრუნდეთ, სერ!

— არა-მეთქი! — გაბრაზდა ჰარი, — ახლავე მომეცი ჩემი წერილები!

— ეეჰ, ჰარი პოტერი ღობის არჩევანს აღარ უტოვებს, — დაღონდა ელფი და, სანამ ჰარი აზრზე მოვიდოდა, სანოლი ოთახის კარს ეცა, გამოაღო და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე. ჰარი მაშინვე გამოედგინა, თან ცდილობდა, არ ეხმაურა. ბოლო ექვს საფეხურს გადაახტა და კატასავით დახტა ხალიჩაზე. ღობი არ ჩანდა. სასადილო ოთახიდან ძია ვერნონის ხმა ისმოდა:

— ბატონო მისონ, პეტუნიას ერთი სული აქვს, როდის მოისმენს ამერიკელი სანტეჟნიკოსების ამბავს, იქნებ, გვიამბოთ.

ჰარი სამზარეულოში შევარდა და კინალამ გული გაუსკდა.

დეიდა პეტუნიას შედევი — პუდინგი, უზარმაზარი კრემიანი მთა — ჰაერში ლივლივებდა. კუთხეში, კარადის თავზე, ღობი მოკუნტულიყო.

— არა, — დაიგმინა ჰარიმ, — გთხოვ... მომკლავენ...

— არ შემიძლია! — ნაღვლიანად გადმოხედა ელფმა, — ღობის სხვა გზა არა აქვს, სერ! ჰარი პოტერისთვის კარგი უნდა...

პუდინგი გამაყრებელი ხმაურით დაენარცხა იატაკს. ლანგარი დაიმსხვრა, ფანჯრები და კედლები კი ერთიანად მოისვარა კრემით. დობი ტკაცუნით გაუჩინარდა.

სასადილო ოთახში კვილი ატყდა. ძია ვერნონი სამზარეულოში შემოვარდა და შპისაგან გახევებული, თავით ფეხამდე დეიდა პეტუნის პუდინგში ამოთხვრილი ჰარი შერჩა ხელთ.

როგორც ჩანს, ძია ვერნონმა უცებ მოიფიქრა, როგორ მიეჩქმალა ეს უსიამოვნება და მისონებს მოუბოდიშა:

— ჩემი ცოლის დისშვილია... ცოტა ჭირვეული ბავშვია... უცხო ხალხი აღიზიანებს, ამიტომ მეორე სართულზე ჩავკეტეთ... — მერე გაოგნებული მისონები ლამის ძალით დააბრუნა სასადილო ოთახში, ჰარის კი დაეშუქრა, კაცი არ ვიყო, თუ ტყავი არ გაგაძროო და იატაკის ჯაგრისი მიუგდო. დაბნეულმა დეიდა პეტუნამ საყინულიდან ძლივს გამოიღო ნაყინი. აცახცახებული ჰარი კი იატაკის ხეგვას შეუდგა.

ამ უსიამოვნების მიუხედავად, ძია ვერნონი მაინც შეძლებდა კონტრაქტის გაფორმებას, ამჯერად ბუს რომ არ გაეფუჭებინა საქმე.

დეიდა პეტუნია სტუმრებს სადილზე დასაყოლებელი პიტნის კანფეტებით უმასპინძლდებოდა, როცა ფანჯრიდან ფრთების ტყლაშუნით უზარმაზარი ბუ შემოფრინდა და ქალბატონ მისონს ზედ თავზე დააგდო წერილი. ქალბატონმა მისონმა ერთი დაიკვილა, ეს რა დამთხვევებში მოგხვდით, და გარეთ გავარდა. ბატონი მისონი მხოლოდ იმითმე შეყოვნდა, რომ დერსლეებისთვის აეხსნა, ჩემს ცოლს სიკვდილივით ემინია ყველანაირი ფრინველისა და თუ თქვენ, საერთოდ, ასე ხუმრობთ, კარგად ყოფილა თქვენი საქმეო.

თვალეზაელვარებული ძია ვერნონი ჰარისთან შევარდა. თავგარდაცემული ჰარი იატაკის ჯაგრისს ჩააფრინდა.

— წაიკითხე! — ბოროტად დაიღმუვლა ძიამ და ბუს მოტანილი წერილი ცხვირწინ აუფრიალა, — ვის ვეუბნები, წაიკითხე-მეთქი!

ჰარამ წერილი გამოართვა. დაბადების დღეს, რა თქმა უნდა, არავინ ულოცავდა.

„ძვირფასო ბატონო პოტერ,

ჩვენი დაბვერვის ცნობით, თქვენს საცხოვრებელ ადგილას საღამოს ათის თორმეტ წუთზე გამოიყენეს ჰაერში ლივილივის შელოცვა.

როგორც მოგვხსენებთ, არასრულწლოვან ჯადოქრებს აკრძალული აქვთ სკოლის გარეთ შელოცვების გამოყენება. თუ შელოცვებს შემდგომაც გამოიყენებთ, სკოლიდან გაირიცხებთ (1575 წლის დადგენილება მცირეწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის შესახებ, პარაგრაფი „გ“).

ასევე გვსურს, შეგახსენოთ, თომ უორლოკის ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის წესდების მე-18 თავის მიხედვით, ნებისმიერი ჯადოქრული ქმედება, რომელსაც არაჯადოქრული საზოგადოების წევრები (მაგლები) შეამჩნევენ, განიხილება, როგორც მძიმე დანაშაული.

ბედნიერ არდადეგებს გისურვებთ! პატივისცემით, მაფალდა ჰოპკინკი

მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტი მაგიის სამინისტრო“

ჰარიმ წერილი ჩაიკითხა და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

— ჩვენთვის არ გითქვამს, სკოლის გარეთ ჯადოქრობის გამოყენების უფლება რომ არ გქონდა, — ძია ვერნონს თვალეში ბოროტმა ნაპერწკალმა გაუელვა და კბილებდაკრეჭილი ბულდოგით გაინია ბიჭისკენ, — უბრალოდ დაგავინწყდა, არა?! ალბათ, თავიდან ამოვიფრინდა! ჰოდა, უნდა გავახარო: დღეიდან ოთახში გამოგამწყვდევ! იმ სკოლაში ვეღარასოდეს დაბრუნდები, ვეღარასოდეს! და თუ იჯადოქრებ, იქიდან თვითონვე გამოგრიცხავენ! — ვერნონმა შეშლილივით გადაიხარხარა და ჰარი მეორე სართულზე აათრია, ძია ვერნონმა მუქარა შეასრულა. ჰარის ფანჯარაზე მეორე დილასვე გისოსები დააყენებინა და საკუთარი ხელით გაუკეთა კარს პატარა ღრიჭო, საიდანაც ჰარის დღეში სამჯერ ცოტ-ცოტა საჭმელს ანვდიდნენ. მთელ დღეს ოთახში ჰყავდათ გამომწყვდეული, მხოლოდ დილა-საღამოს უშვებდნენ სააბაზანოში.

* * *

დერსლებს გული სამი დღის შემდეგაც არ მოლბობიათ. ჰარიმ უკვე აღარ იცოდა, რა ექნა, მოწყენილი იწვა საწოლზე, გისოსებიდან ჩამავალ მზეს უყურებდა და ფიქრობდა.

თუკი ჯადოქრობის გამოყენებით ოთახიდან გააღწევდა, ჰოვგორტსიდან გარიცხავდნენ და სამუდამოდ დერსლებთან მოუწევდა ცხოვრება. ამაზე უარესი კი რაღა უნდა ყოფილიყო? მით უმეტეს, რომ მაგიის არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტის წერილის წყალობით თავისი ერთადერთი იარაღიც დაკარგა: დერსლებს უკვე მშვიდად ეძინათ და აღარ ეშინოდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჰარი ღამურებად გადააქცევდა. დობიმ მოსალოდნელი ხიფათისგან კი დაიცვა, მაგრამ, თუკი ასე გაგრძელდებოდა, შიმშილით ამოხდებოდა სული.

უცებ რაღაც აჭრიალდა, დეიდა პეტუნია მ ღრიჭოდან დაკონსერვებული წვნიანით სავსე ჯამი შემოდგა. ჰარის შიმშილისგან კუჭი ეწვოდა, სასწრაფოდ წამოხტა და საჭმელს ეცა. წვნიანი ყინულივით ცივი იყო, მაგრამ ნახევარი ჯამი მანც

სულმოუთქმელად შეხვრიპა, მერე ჰედვიგის გალიასთან მივიდა და დარჩენილი ბოსტნეული ცარიელ ჯამში ჩაუყარა. ბუმ ფრთები აათვართხუნა და ბიჭს აღშფოთებულმა შეხედა.

— ნისკარტს ტყუილად იბზუებ, სხვა საჭმელი მაინც არა გვაქვს, — ჰარიმ წვნიანის ცარიელი ჯამი იატაკზე, ღრიჭოსთან დადგა და ისევ სანოლზე წამოწვა. რატომღაც, ახლა უფრო მეტად შიოდა. რა უნდა ექნა, იწვა და ფიქრობდა:

„დავუშვათ, ოთხი კვირა არ მოკვავდი, მაგრამ ჰოგვორტსში თუ არ წავედი, რა მეშველება? ნეტავ, ვინმეს თუ გამოაგზავნიან ამბის გასაგებად? როგორ აიძულებენ ღერსლებს, რომ გამიშვან?“.

ამასობაში შებინდდა. ჰარის მუცელი უწრიალებდა, თავში ერთი და იგივე უპასუხოდ დარჩენილი კითხვები უტრიალებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაეძინა.

ჩაეძინა და დაესიზმრა, თითქოს, ზოოპარკში ჰყავდათ გამომწყვდეული. გალიას ეწერა: „არასრულწლოვანი ჯალოქარი“. დამშეული და დასუსტებული ჰარი თავის სანოლზე ეგდო, ხალხი კი განკვიფრებული ათვალიერებდა. უცებ დობის მოჰკრა თვალი და აყვირდა, მიშველეო, მაგრამ დობიმ შორიდან დაუძახა:

— ჰარი პოტერი მანდ უსაფრთხოდ იქნება, სერ! — და გაუჩინარდა. მერე ღერსლებიც გამოჩნდნენ, ახარხარებული დადლი გისოსებს დაეძგერა.

— გეყოფათ, — ბუტბუტებდა ჰარი, გრუხუნი პირდაპირ მტკივან თავში ურტყამდა, — თავი დამანებეთ... მეძინება...

ამ განამანიაში გამოეღვიძა. გისოსებიდან მთვარის შუქი იღვრებოდა და ვიღაც ჭორფლიანი, ყლალთმიანი და გრძელცხვირა ბიჭი იყურებოდა.

ჰარის ფანჯარას რონ უისლი მოსდგომოდა.

თავი მესამე

ბუნავი

— რონ, — სუნთქვა შეეკრა ჰარის, ფანჯარასთან მიიჭრა და ფართოდ გამოალო, — რონ, როგორ მოახერხე... ჰა?

ჰარის გაოცებისგან ლამის ენა ჩაუვარდა, როცა დაინახა, რომ რონი ძველი, ფირუზისფერი მანქანის ფანჯრიდან გადმოყულებულიყო, მანქანა კი ჰაერში იყო გაჩერებული! წინა სკამებზე რონის უფროსი ძმები, ტყუპები, ფრედი და ჯორჯი ისხდნენ და ჰარის უცინოდნენ:

— როგორა ხარ, ჰარი?

— რა ხდება? წერილებზე რატომ არ მპასუხობდი? თორმეტჯერ მაინც გთხოვე, ჩემთან ჩამოდი და დარჩი-მეთქი! მერე მამაჩემმა მითხრა, თურმე მაგის სამინისტროდან მაგლების თვალწინ ჯადოქრობისთვის ოფიციალური გაფრთხილება მივიღია, — სხაპასუხით მიაყარა რონმა.

— მე არ მიქნია, — თავის მართლებას მოჰყვა ჰარი, — კი მაგრამ, მამაშენმა საიდან გაიგო?

— სამინისტროში მუშაობს. ხომ იცოდი, რომ სკოლის გარეთ შელოცვების გამოყენება არ შეიძლება...

— ჩემი შენ ვითხარო... — ჰარიმ ჰაერში მოლივლივე მანქანას გადახედა.

— ო, ეს არ ითვლება, მამაჩემის მანქანაა და, უბრალოდ, ვითხოვეთ, ჩვენ ხომ არ მოგვიჯადოებია. მაინც, როგორ მოგაფიქრდა მაგლების სახლში ჯადოქრობა?

— ხომ ვითხარი, მე არ მიქნია-მეთქი! მაგრამ ახლა ამის მოყოლის თავი არა მაქვს. ერთი რაღაც უნდა გთხოვო, იქნებ ჰოგვორტსში უთხრა, რომ დერსლებმა ოთახში გამოამაზწყვიდეს და გარეთ აღარ მიშვებენ. მე თვითონ ვეღარაფერს გავაწყობ, სამინისტროში იტყვიან, სამ დღეში კანონი უკვე მეორეჯერ დაარღვიაო, ასე რომ...

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, — შეანყვეტინა რონმა, — აქ შენს წასაყვანად მოვედით.

— კი მაგრამ, შელოცვა რომ არ შეიძლება?!

— არც მჭირდება, — რონმა ძმებზე ანიშნა, — ხომ არ გავიწყდება, ვისთან ერთად ვარ მოსული?

— გისოსებს გამოაბი, — თოკი გადმოუგდო ფრედმა.

— დერსლებს თუ გავეღვიძათ, მომკლავენ! — ჩაილაპარაკა ჰარიმ და გისოსს თოკი გამოაბა. ამასობაში ფრედმა მანქანა დაქოქა.

— დანყნარდი და ცოტა უკან მიინი, — დაუძახა ფრედმა.

ჰარი ჰედვიგის გალიას ამოეფარა. ბუ თითქოს მიხვდა, რომ მნიშვნელოვანი რაღაც ხდებოდა და გაუნძრევლად, უჩუმრად იჯდა. მანქანა ახმაურდა, მაღლა აიჭრა და გისოსები მოვლიჯა. ჰარიმ თანჯრიდან დაინახა, როგორ ირწეოდა ჰაერში თოკზე ჩამოკონწიალებული გისოსი, რომელიც აქოშინებულმა რონმა ძლივს აათრია მანქანაში. ჰარი გაფაციცებული აყურადებდა, მაგრამ დერსლების ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

როგორც კი რონმა გისოსი უკანა სკამზე მოათავსა, ფრედმა მანქანა უკუსვლით მიაყენა ჰარის თანჯარას.

— ჩაჯექი, — გადმოსძახა რონმა.

— კი მაგრამ, ჩემი ჯადოსნური ნივთები... ჯოხი, ცოცხი...

— სადა გაქვს?

— კიბის ქვეშ, საკუჭნაოშია ჩაკეტილი. ამ ოთახიდან ვერ გავალ...

— არა უშავს, — დაამშვიდა ჯორჯმა, — აბა ერთი, იქით გაინი!

ფრედი და ჯორჯი ფანჯრიდან ფრთხილად გადმოძვრნენ. „ნახე, რა ყოჩაღები ყოფილან“, — გაიფიქრა ჰარიმ, როცა ჯორჯმა სრულიად ჩვეულებრივი თმის სამაგროთ დაუნყო საკეტს წვალემა.

— ბევრი ჯადოქარი ფიქრობს, რომ ასეთი მაგლური ხრიკების ცოდნა არაფერში არ სჭირდებათ, — ჩაიქირქილა ფრედმა, — მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭირო რამეა. მართალია, ცოტა მეტი დრო მესხარჯება, მაგრამ...

რალაცამ გაიტკაცუნა და კარი ფართოდ გაიღო.

— ჩემოდანს ჩვენ ამოვიტანთ, შენ კი, რაც გჭირდება, რონს მიიწოდე, — გადაუჩურჩულა ჯორჯმა.

— ფრთხილად იარეთ, ბოლო საფეხური ჭრიალებს, — ჩურჩულით დაადევნა ჰარიმ კიბისკენ მიმავალ ტყუპებს. მერე ოთახში დატრიალდა, თავისი ნივთები მოაგროვა და რონს მიიწოდა. ბოლოს ქვემოთ ჩავიდა, რომ ფრედსა და ჯორჯს ჩემოდნის ამოტანაში მიხმარებოდა.

ამ დროს ძია ვერნონმა ჩაახველა.

როგორც იქნა, ჩემოდანი მეორე სართულზე აიტანეს და ოთახში შეათრის. ფრედი მანქანაში გადაძვრა და რონთან ერთად იქიდან დაეჭიდა ჩემოდანს, ოთახიდან კი ჰარი და ჯორჯი აწვებოდნენ.

ისევ გაისმა ძია ვერნონის ხველება.

— კიდევ ცოტაც მოაწეით, — დაიჩურჩულა აქომინებულმა ფრედმა.

ჰარი და ჯორჯი მთელი ძალით მიიწვინნენ და, როგორც იქნა, ჩემოდანი მანქანის უკანა სკამზე გადაათრის.

— აბა, წავედით! — ჩუმად ბრძანა ჯორჯმა.

ის იყო, ჰარი ფანჯრის რაფაზე აძვრა, რომ უკნიდან ბუს კვილი შემოესმა და ძია ვერნონმაც დაიქუხა:

— ოოო, ეს ოხერი ბუ!

— ვაიმე, ჰედვიგი სულ დამავინწყდა, — ჰარი ისევ ოთახში ჩახტა, ამ დროს დერეფანში შუქი აინთო. ჰარი სასწრაფოდ დასწვდა ჰედვიგის გალიას და ფანჯრიდან რონს გადააწოდა. რაფაზე აძვრა თუ არა, ოთახის კარი გაიღო და კედელს მიეხეთქა.

ძია ვერნონი გამტერებული შედგა ზღურბლზე, მერე მშიერი ხარავით დაიბღავლა, ერთ წამში ფანჯარასთან გაჩნდა და ჰარის ფეხში სტაცა ხელი.

რონი, ფრედი და ჯორჯი ჰარის მკლავებში სწვდნენ და მთელი ძალით გასწიეს.

— პეტუნია! — აღრიალდა ძია ვერნონი, — ჰარი იპარება! ჰარი იპარება!

უისლებმა ძია ვერნონს ძლივს გამოჰკლიჯეს ჰარი, მანქანაში ჩასვეს და კარი მოიხურეს.

— მიდი, ფრედ, მინეცი! — დაიყვირა რონმა და მანქანაც მთელი სისწრაფით გაიჭრა მთვარისკენ.

ჰარი ვერ იჯერებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი იყო. თავი ფანჯარაში გაყო და უკან მიიხედა. გრილი ქარი თმას უწნავდა, პრივიტ დრაივის სახურავები ერთი ციცქნა მოჩანდა. ფანჯრიდან გაოგნებული ძია ვერნონი, დეიდა პეტუნია და დადლი გადმოყუდებულიყვნენ.

— მომავალ ზაფხულამდე! — დაუძახა ჰარიმ.

უისლები ახარხარდნენ, ჰარიც იცინოდა. მერე კი რონს სთხოვა:

— ჰედვიგი გამოუშვი, რამდენი ხანია, ფრთა არ გაუშლია!

ჯორჯმა რონს თმის სამაგრი გადააწოდა და ცოტა ხანში გახარებული ბუ მოჩვენებასავით აედევნა მანქანას.

— აბა, მომიყვი, რა მოხდა, — ველარ მოითმინა რონმა.

ჰარიმ უამბო, როგორ ესტუმრა დობი, როგორ გააფრთხილა, შეთქმულება იგეგმებაო, და რა დამართა კრემიან პუდინგს. გაოგნებული მეგობრები ერთხანს ხმას ვერ იღებდნენ.

— ძალიან საეჭვოა! — თქვა ბოლოს ფრედმა.

— ნამდვილად, — დაეთანხმა ჯორჯი, — ესე იგი, არც კი უთქვამს, ვინ აპირებს შეთქმულების მონწყობას?

— მე მგონი, ამის თქმა არ შეეძლო, — მიუგო ჰარიმ, — ხომ გითხარი, როგორც კი რაღაცა წამოსცდებოდა, კედელს ურტყამდა თავს.

ფრედმა და ჯორჯმა ერთმანეთს გადახედეს.

— როგორ გგონიათ, მომატყუა? — იკითხა ჰარიმ.

— როგორ გითხრა, — დაიწყო ფრედმა, — შინაურ ელფებს საკმაოდ დიდი ძალა აქვთ, მაგრამ თავიანთი ბატონის ნებართვის გარეშე ვერ იყენებენ. ალბათ, ბებერი

დობი განზრახ გამოვიგზავნეს, რომ ჰოგვორტსში არ დაბრუნდე. ეტყობა, ვიდაცას არ უნდა შენი ჰოგვორტსში დაბრუნება! ვინმე ხომ არ გადაიმტერე?

— როგორ არა! — ერთხმად შესძახეს ჰარიმ და რონმა.

— დრაკო მალფოის ვეზიზღები, — აუხსნა ფრედს ჰარიმ.

— დრაკო მალფოის? ლუციუს მალფოის შვილს? — ჩაეკითხა ჯორჯი, — ალბათ, ეგ იქნება, არც ისე გავრცელებული სახელია. რატომ მკითხე?

— მამაჩემისგან გამიგონია, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მარჯვენა ხელი იყო, — და როცა ჩვენ-რომ-ვიცით, ის გადაიკარგა, — მოუბრუნდა ფრედი, — ლუციუს მალფოიმ თავის მართლება დაიწყა, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდიო. ეგ ნაკავი, ევა! მამაჩემი ამბობს, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის უახლოესი მეგობარი იყო.

ჰარის ადრეც სმენოდა მალფოის ოჯახზე მოარული ჭორები, ამიტომ ფრედის ნათქვამი დიდად არ გაჰკვირვებია. დრაკოსთან შედარებით, დადლი დერსლი კეთილ, გულისხმიერ და მგრძობიარე ბავშვად მოგეჩვენებოდათ.

— ნეტავ, მალფოებს შინაური ელფი თუ ჰყავთ, — დაინტერესდა ჰარი.

— საერთოდ, შინაური ელფები მხოლოდ მდიდარ, ტრადიციულ ოჯახებში ჰყავთ ხოლმე, — აუხსნა ფრედმა.

— დედაჩემი სულ ოცნებობს შინაურ ელფზე, თეთრეულს მაინც დამიუთოებდაო, — დაუმატა ჯორჯმა, — ჩვენ მხოლოდ ერთი ტილიანი ბებერი სხვენის ჭინკა და ბალის გნომები გვყავს. შინაური ელფები მხოლოდ ძველებურ სასახლეებში ან ცხენისმავრეებში ცხოვრობენ, ჩვენთან შინაურ ელფს რა უნდა...

ჰარი ჩაფიქრდა: „დრაკო მალფოის ყოველთვის ყველაფერი საუკეთესო აქვს, ესე იგი, მისი ოჯახი ყელამდე ოქროშია ჩაფლული, წარმომიდგენია, როგორი გაბღენძილი დააბიჯებს თავის უზარმაზარ სასახლეში, სულ ადვილი შესაძლებელია, ჩემთან მსახური გამოგზავნა, ოღონდ ჰოგვორტსში არ დავბრუნდე! მალფოი ამას ნამდვილად იკადრებდა. რა სულელი ვარ, დობის რომ დავუჯერე!“.

— მაინც ძალიან კარგი ვქენით, რომ წამოგიყვანეთ, — შესცინა რონმა, — წერილებზე რომ არ მშასუხობდი, ძალიან ვინერვიულე. თავიდან მეგონა, ეროლის ბრალია-მეთქი...

— ეროლი ვინლა?

— ჩვენი ბებერი ბუ. ადრეც ხშირად დაუკარგავს წერილები. მერე ჰერმისის თხოვება მინდოდა...

— ვისი?

— ეგ პერსის ბუა, მშობლებმა უყიდეს შარშან, როცა პრეფექტი გახდა, — აუხსნა ფრედმა.

— მაგრამ პერსიმ არ მათხოვა, — დაამატა რონმა, — მითხრა, მე თვითონ მჭირდებაო.

— პერსი ამ ზაფხულს რაღაც უცნაურად იქცევა, — მოიღუმა ჯორჯი, — მართლა უამრავ წერილს აგზავნის და მთელი დღეები თავის ოთახშია გამოკეტილი... — მერე ფრედს კომპასზე ანიშნა, — ძალიან გადაუხვიე დასავლეთისკენ!

ფრედმა საჭე მოატრიალა.

— მამათქვენმა იცის, მანქანა რომ წამოიყვანეთ? — ჰკითხა ჰარიმ, თუმცა პასუხი წინასწარვე იცოდა.

— არა! ამ საღამოს სამსახურში იქნება. იმედია, ისე დავბრუნდებით, დედა ვერაფერს გავიგებს, — უპასუხა რონმა, — მამათქვენი მაგიის სამინისტროში რას აკეთებს?

— ყველაზე მოსაწყენი სამუშაო აქვს, მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტში მუშაობს, — აუხსნა რონმა.

— რაო?

— მაგლების დამზადებულ, მაგრამ შემდეგ მოჯადოებულ ნივთებზე მუშაობენ, რომ მერე მოჯადოებული საგნები ისევ მაგლების სახლში ან მალაზიაში არ აღმოჩნდეს... აი, თუნდაც, ეს ამბავი: შარშან ერთი ბებერი ჯადოქარი მოკვდა და მისი ჩაის სერვიზი ანტიკვარიატის მალაზიაში გაიყიდა. ერთმა მაგლმა ქალმა იყიდა, შინ წაიღო და ჩაიზე თავისი მეგობრები დაჰატიჟა. ნამდვილი კოშმარი იყო! მამა მთელი კვირები თავაულებლად მუშაობდა!

— რა მოხდა?

— ჩაიდან გადართია, იქაურობა მდულარე წყლით განუნა, ერთ ერთი სტუმარი საავადმყოფოში გააქანეს, შაქრის ასაღები ცხვირზე ჰქონდა მოჭერილი. საწყალი მამა კინალამ შეიშალა! თავის ბებერ კოლეგასთან, პერკინსთან ერთად რა არ იღონა, რომ ეს საქმე დავინწყების შელოცვებით როგორმე ჩაეთვარცხათ...

— მაგრამ თუკი მამათქვენი... მაშინ ეს მანქანა... — წამოიწყო გაკვირვებულმა ჰარიმ.

— მამაჩემი მაგლურ ნივთებზე გიჟდება! — გაეცინა ფრედს, — ფარდული სავსე გვაქვს. ჯერ ნაწილებად დაშლის, შეულოცავს და მერე ისევ ააწყობს! ჩვენს სახლში რეიდი რომ მოეწყო, საკუთარი თავის დაჰატიმრება მოუწევდა. დედაჩემი ხომ სულ გააგიჟა!

— აი, მთავარი გზა, — ჯორჯმა ქვემოთ ჩაიხედა, — ათ წუთში შინ ვიქნებით... ძალიანაც კარგი, უკვე თენდება!

აღმოსავლეთით ცა ოდნავ შევარდისფრდა.

ფრედმა მანქანა დაბლა დაუშვა. ჰარიმ ჭრელი მინდვრები და ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ხეები დაინახა.

— მოვსულვართ და ეგაა! — გამოაცხადა ჯორჯმა. მანქანა სულ უფრო დაბლა მიფრინავდა. ხეებს შორის უკვე მზის წითელი სხივები აელვარდა.

— ვსდებით! — დაიყვირა ფრედმა და მანქანა მსუბუქი ბიძკით დაჯდა მიწაზე. პატარა ეზოში, ნახევრად დანგრეული ფარეხის გვერდით დაფრინდნენ. ჰარიმ პირველად დაინახა რონის სახლი.

გარედან სახლი ისეთი შესახედავი იყო, თითქოს ქვის დიდ საღორეს აქა-იქ რამდენიმე ოთახი დაუმატეს და მრავალსართულიან სახლად აქციესო. ცალ მხარეს ისე იყო გადახრილი, იფიქრებდით, წაქცევისგან რაღაც ჯადო იცავსო („და, ალბათ, ასეც არის“ — დაასკვნა ჰარიმ). მაღლა, წითელ სახურავზე, ოთხი თუ ხუთი საკვამური მოჩანდა. შესასვლელთან ახლოს, პატარა ბოძზე, დაღრეცილი აბრა გამოეკრათ, ზედ ეწერა: „ბუნავი“. კართან უნესრიგოდ ეყარა რეზინის ჩექმები და დაჟანგული ქვაბი. კარგად ნასუქი ყავისფერი ქათმები ეზოში იქექებოდნენ.

— დიდი ვერაფერი სახლია, — მოიბოდიშასავით რონმა.

— გადასარეგია! — არ დაეთანხმა ალტაცებული ჰარი და პრივიტ დრაივი გაახსენდა.

მეგობრები მანქანიდან გადმოვიდნენ.

— ახლა ჩემად უნდა ავიპაროთ მეორე სართულზე და დაველოდოთ, როდის დაგვიძახებს დედა სასაუბმოდ, — მოიფიქრა ფრედმა, — რონ, მერე შენ ქვემოთ ჩამოდი და დედას უთხარი: „დე, ნახე, ღამით ვინ გვესტუმრა!“. დედას ჰარის დანახვა ძალიან გაუხარდება და ვერც ვერავინ გაიგებს, რომ მანქანა გავიყვანეთ.

— კი ბატონო, — დაეთანხმა რონი, — წამო, ჰარი, ჩემს საძინებელ.

უცებ რონი ერთიანად გამწვანდა და გაშტერებული მიაჩერდა სახლს. დანარჩენებიც იქით მიბრუნდნენ.

გაბრაზებული ქალბატონი უისლი ეზოში წინ და უკან დადიოდა და ქათმებს აწიოკებდა. უცნაურია, მაგრამ ეს ფუმფულა, სანდომიანი ქალი ამ წუთას კბილებალესილ ვეფხვს ჰგავდა.

— ვაიმე! — დაიგმინა ფრედმა.

— აუ, დავიღუპეთ! — აღმოხდა ჯორჯს.

ამასობაში დონჩუშემოყრილი მისის უისლი სულ ახლოს მივიდა და დამნაშავეებს მკაცრად მიაჩერდა. ყვავილებიანი წინსაფარი ეკეთა, ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი მოუჩანდა.

— აბა, გისმენთ!

— დილა მშვიდობისა, დე! — იხტიბარი არ გაიტეხა ჯორჯმა.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩამავდეთ! — დაუცაცხანა დედამ.

— გვაპატიე, დე, მაგრამ ჩვენ უნდა...

სამივე შვილი დედაზე მაღალი იყო, მაგრამ გაანჩხლებული ქალის დანახვაზე სამივენი საცოდავად მოიკუნტნენ.

— ლოგინები ცარიელი დამხვდა! არავითარი წერილი! მანქანა გაქრა... რა არ ვიფიქრე! ავარია რომ მოგსვლოდათ?! კინალამ გავეყუდი! ამაზე არც კი ვიფიქრიათ! არა, ასეთი რამ ჩემს თავს პირველად ხდება... მოიცათ, მამათქვენი დაბრუნდეს! ასეთი თავხედობა არც ბილს, არც ჩარლის და არც პერსის არ გაუბედავთ...

— პრეფექტ პერსის, — ჩაურთო ფრედმა.

— პერსის შენი წონა წიგნები აქვს წაკითხული! — დაუყვირა ქალბატონმა უისლიმ და მკერდში თითი ატაკა, — რომ მომკვდარიყავით?! ვინმეს რომ დაენახეთ?! მამათქვენს სამსახურს აკარგვინებდით, არა?!

ქალბატონი უისლი იმდენ ხანს უყვიროდა შვილებს, სანამ ხმა არ ჩაეხლიჩა. მერე შემკრთალ ჰარის მიუბრუნდა:

— ჰარი, საყვარელო, ძალიან მიხარია შენი ნახვა! წამოდი, ვისაუბმოთ!

ქალბატონი უისლი შინ შევიდა. ჰარიმ ჯერ შიშით გადახედა ბიჭებს და რონმა თავი რომ დაუქნია, მერე და გაჰყვა.

ძალიან პატარა და ვიწრო სამზარეულოს შუაში ხისგან გამოჩორკნილი მაგიდა და სკამები იდგა. ჰარი გაუბედავად ჩამოჯდა და იქაურობა მოათვალიერა. ჯადოქრების სახლში პირველად იყო. კედელზე ერთისრიანი საათი ეკიდა. ციფრების ნაცვლად ეწერა: „ჩაის დროა“, „ქათმებისთვის საკენკის დაყრის დროა“, „დაგავიანდა“. თაროზე სამ რიგად ეწყო უცნაურსათაურიანი წიგნები: „ყველის ამოსაცვანი შელოცვები“, „შელოცვები ცხოვისთვის“ და „ნამდვილი სასწაული — სუფრა ერთ ნუთში!“. ჰარიმ ყურებს არ დაუჯერა, როცა ნიჟარის გვერდით დაკიდებულ რადიოში გაისმა: „გადაცემა „ჯადოსნური საათი“, პოპულარულ მომღერალ სელესტინა უორბეკთან ერთად“. ქალბატონი უისლი სამზარეულოში ტრიალებდა და ცოტა დაბნეული საუბმეს ამზადებდა. სოსისებს ტაფაზე ყრიდა, თან შვილებს გააუბედავად გადახედავდა ხოლმე, შიგადაშიგ კი თავისთვის ბუტბუტებდა:

— მაინც რაზე ფიქრობდით?... ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

მერე ჰარის თეფშზე რვა თუ ცხრა სოსისი გადმოუღო და უთხრა:

— საყვარელო, შენ რა შუაში ხარ! მე და არტური ძალიან ვდარდობდით შენზე. წუხელ ვამბობდით, ჰარასკევამდე რონის წერილს თუ არ უპასუხა, ჩვენ თვითონ წავიდეთ და წამოვიყვანოთო. მაგრამ თქვენ ნახევარ ქვეყანას გადაუფრინეთ... ეს უკვე მეთისმეთია! ვინმეს რომ დაენახეთ!... — და კიდევ სამი კვერცხის ერბოკვერცხი დაუმატა.

მერე ქალბატონმა უისლიმ ჯადოსნური ჯოხი ნიჟარას დაუკაკუნა და ისიც თითქმის უხმაუროდ, ჩემი წკარუნით შეუდგა იქ დახვავებული ჭურჭლის რეცხვას.

— ღრუბლიანი ამინდი იყო, დე, — წამოიწყო ფრედმა.

— ჭამის დროს ლაპარაკი უზრდელობაა, — დაუტატანა დედამ.

— კინაღამ შიმშილით მოკლეს, დე, — ჩაერია ჯორჯი.

— ეგ შენც გეხება, — შეანწყვეტინა დედამ, მაგრამ, როცა ჰარისთვის პურზე კარაქის წასმას შეუდგა, გული ოდნავ მოუღბა.

უცებ სამზარეულოში უღალთმიანი, გრძელპერანგიანი პატარა არსება შემოვარდა, ერთი შეჰკვივლა და უკანვე გაიქცა.

— ეს ჭინია, ჩემი დაიკო, — აუხსნა რონმა ჰარის, — მთელი ზაფხული შენზე ლაპარაკობს.

— ჰოო, ალბათ, შენი ავტოგრაფიც ენდომება, ჰარი, — გაიკრიჭა ფრედი, მაგრამ ქალბატონ უისლის მხერა დაიჭირა და თავი ჩალუნა.

სანამ თეფშები კარგად არ მოასუფთავეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია.

ჭამას მალე მორჩნენ.

— უჰ, როგორ დავიღალე, — დაამთქნარა ფრედმა და, როგორც იქნა, დანა-ჩანგალი თეფშზე დაანყო, — წავალ, ცოტას წავეძინებ.

— არსადაც არ წახვალ, — გაუბრაზდა ქალბატონი უისლი, — საკუთარ თავს დააბრალებ, ღამე რომ არ გიძინია. ახლავე ბაღში მიბრძანდები და გნომებს ჭკუას ასწავლი. დევნომირება საჭირო, თორემ სულ გათავხედდნენ!

— კარგი რა, დეე...

— თქვენც მიეხმარებით, — რონსა და ფრედს თვალეები დაუბრიალა ქალბატონმა უისლიმ, მერე ჰარის მიუბრუნდა: — საყვარელო, შენ წადი და დაიძინე. შენ ხომ არ გითხოვია ამათვის, მაგ წყეული მან. ქანით მომაკითხეთო.

— რონს მივეხმარები, რა! — სულაც არ ეძინებოდა ჰარის, — დეგ. ნომირება არასოდეს მინახავს!

— რა თავაზიანი ხარ, საყვარელო! მაგრამ ძალიან მოსაწყენი სამუშაოა. ერთი ვნახოთ, ლოკჰარტის წიგნში რა წერია, — ქალბატონმა უისლიმ ბუხრის თაროდან სქელი წიგნი გადმოათრია.

— დე, ისედაც ვიცი!

ჰარიმ წიგნის ყდას დახედა. ზედ ულამაზესი ოქროს ასოებით ეწერა: „გილდეროი ლოკჰარტის სახელმძღვანელო: შინაური პარაზიტები“, და სათნო სახის ქერა, ხვეულთმიანი, ცისფერთვალება ჯადოქრის სურათი იყო მოთავსებული. ჯადოქრების სამყაროს სხვა სურათებივით, ეს სურათიც მოძრაობდა. ჰარიმ დაასკვნა, ეს ალბათ თავად გილდეროი ლოკჰარტი იქნებაო. კაცი ემზაკურად უკრავდა თვალს ყველას. ქალბატონ უისლის სახე გაებადრა.

— ოჰ, რა კაცია! შინაურ პარაზიტებში გადასარეველ ერკვევა. ძალიან კარგი წიგნია...

— დედას ეს კაცი მოსწონს, — ნაიჩურჩულა ფრედმა, მაგრამ ძალიან ხმამაღლა გამოუვიდა.

— ნუ სულელობ, ფრედ! — განითლდა ქალბატონი უისლი, — კი ბატონო, თუ ლოკჰარტზე მეტი იცით, მიბრძანდით და საქმეს შეუდექით! იცოდეთ, შეგამოწმებთ. ვაი, თქვენი ტყავის ბრალი, ერთი გნომი მაინც თუ დამხვდა ბაღში!

უისლები მოქნარება-ბუზღუნით გალასლასდნენ ბაღისკენ და ჰარიც თან გაიყოლეს. ჰარისთვის რომ გეკითხათ, ნამდვილი ბაღი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. დერსლებს ალბათ არ მოეწონებოდათ — აქაურობა სარეველებს გაევსო, ბალახიც არ გაეკრიჭათ. სამაგიეროდ, კედლების გასწვრივ უამრავი დაგრებილ-დაბრეცილი ხე იზრდებოდა, ყვავილებიც ისეთი უცნაური დაერგოთ, ჰარის არასოდეს რომ არ ენახა. რაც მთავარია, მოზრდილი მწვანე გუბე ბაყაყებით იყო სავსე.

— იცი, ბაღის გნომები მაგლებსაც ჰყავთ, — უთხრა ჰარიმ რონს, როცა გამონი გადაიარეს.

— ჰო, მინახავს ის პატარა, მსუქანა თოვლის კაცის მსგავსი ქანდაკებები, მაგლები ბაღებში რომ დგამენ და გნომებს ეძახიან, რონი დაიხარა და თავი იორდასალამის ბუჩქში შერგო. ატყდა ერთი აყალმაყალი, ბუჩქი შეირხა, რონი ამყად წამოიმართა და გამოაცხადა: — აი, ნამდვილი გნომი!

— მომშორდი! მომშორდი! — ატყვივლდა გნომი.

ეს არსება თოვლის კაცს სულაც არ ჰგავდა. ერთი ციციქნა იყო, უცნაური ტყავი ჰქონდა, მელიოტი, დიდი გირჩისოდენა თავი კი კარტოფილს მიუგავდა. რონს გნომი ცოტა მოშორებით ეჭირა, რადგან გაცეცხლებული არსება გამწარებით იქნევედა ფეხებს და — „მომშორდიო“, — გაჰკიოდა. რონმა კოჭებში ჩაავლო ხელი და ფეხებით დაჰკიდა.

— აი, რა უნდა გააკეთო, — აუხსნა ჰარის, გნომი მაღლა ასწია და ლასოსავით დაატრიალა. ჰარი გაოგნებული მისჩერებოდა, რონმა სასწრაფოდ აუხსნა: — ნუ გეშინია, ამას არაფერი დაუშავდება, უბრალოდ, ძალიან მაგრად უნდა დაესხას თავბრუ, რომ თავის სოროს ვეღარ მიაგნოს.

ბოლოს რონმა ხელი გაუშვა, გნომი ოც ფუტზე გადაფრინდა და ღობის გადაღმა, მინდორზე მოადინა ზღართან.

— დიდი ვერაფერი, — ჩაიქირქილა ფრედმა, — დაგენაძლევებით, ჩემსას, აი, იმ კუნძამდე გადავავლებ.

ჰარი მალე მიხვდა, რომ გნომები არ უნდა შესცოდებოდა. მერე პირველსავე დაჭერილ გნომს ღობის იქით გადავდება დაუპირა, მაგრამ გნომი მიხვდა, რომ ჰარი გამოუცდელი იყო და სამართებელივით მჭრელი კბილები თითში ჩაასო. ჰარის შავი დღე დაადგა, სანამ აბეზარ გნომს მოიშორებდა...

— ყოჩაღ, ჰარი! ორმოცდაათ ფუტზე მაინც მოისროლე!.. — მოუნონეს უისლებმა.

მალე იქაურობა მფრინავი გნომებით გაივსო.

— ხომ ხედავ, რა უტვინოები არიან, — ჩაეცინა ჯორჯს და ხუთეჭვს გნომს ერთად დაავლო ხელი, — როგორც კი გაიგებენ, რომ დეგნომირება იწყება, ყველა გამოდის საყურებლად. გეგონება, ფეხზე დგომა სულ ახლახან უსწავლიათო!

სულ მალე მხრებანურული გნომები თავ-პირის მტვრევით გაცვივდნენ ბალიდან.

— აი, ნახავ, თუ არ დაბრუნდებიან! — რონი თვალს არ აშორებდა გნომებს, რომლებიც მინდვრის ბოლოს ღობეში მიძვრებოდნენ, აქაურობა ძალიან მოსწონთ. მამა ძალიან კარგად ექცევა, ამბობს, სასაცხოოები არიანო...

ამ დროს წინა კარი გაჭახუნდა.

— მამა დაბრუნდა! — ფერი დაეკარგა ჯორჯს.

ბავშვებმა ბალი გადაირბინეს და შინ შეცვივდნენ.

ბატონი უისლი სამზარეულოს სკამზე იჯდა, თვალეები ნახევრად მოეხუჭა და ცხვირზე სათვალე ჩამოსცურებოდა. გამხდარი, თითქმის მელოტი კაცი იყო, თავზე შერჩენილი თმა მასაც უღალი ჰქონდა, მგზავრობისაგან მთლად გაცვეთილი და დამტვერილი გრძელი მწვანე მანტია ეცვა.

— რა ღამე იყო! — ჩაიბუტბუტა ბატონმა უისლიმ და როცა ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ, ჩაიდანს დასწვდა, — ცხრა რეიდი მოვანყვე! წარმოგიდგენიათ?! თანაც, ზურგი შევაქციე თუ არა, ბებერმა მანდანგუს ფლექტჩერმა შემილოცა... — უფროსმა უისლიმ ხმამაღლა ამოიოხრა.

— რაიმე თუ იპოვე, მამი? — დაინტერესდა ფრედი.

— არაფერი განსაკუთრებული, რამდენიმე ფორმაცვალებადი გასაღები და ერთი მკბენარა ჩაიდანი, — დაამთქნარა ბატონმა უისლიმ, — რაღაც საშინელებებსაც გადავანყდი, მაგრამ ეგ ჩემი დეპარტამენტის საქმე არ არის. უცნაური ქრცვინების გამო მორტლეიკი დასაკითხად წაიყვანეს. მაღლობა ღმერთს, ეს საქმე ექსპერიმენტული შელოცვების კომიტეტს ეხება...

— ვის რაში სჭირდება ფორმაცვალებადი გასაღები? — ჰკითხა ჯორჯმა.

— უბრალოდ, მაგლებს აწვალევენ, — ამოიოხრა ბატონმა უისლიმ, — მიჰყიდიან ისეთ გასაღებს, რომელიც თანდათან ჰატარავდება და ბოლოს ქრება... ისინიც წაიღებენ გასაღებს შინ და როცა დასჭირდებათ, ვეღარ პოულობენ... ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, რომ გასაღებები ჰატარავდება. უბრალოდ, დაიჩემებენ, გვეკარგებაო. ძალიანაც კარგი, თავს მოიკლავენ, ოღონდ ჯადოქრობის არარსებობა დაამტკიცონ, მათ ცხვირწინ სასწაულიც რომ მოხდეს, მაინც არ დაიჯერებენ... ჩვენმა ბიჭებმა ისეთი მოჭაღოებული საგნები ამოიღეს, ვერც კი წარმოიდგენ...

— მანქანები ხომ არა? — ოთახში ქალბატონი უისლი შემოვიდა, ხელში ხმალივით ეჭირა ცეცხლის საჩხრეკი.

ბატონი უისლი გამოთხიზლდა და ცოლს დამნაშავე სახით მიაჩერდა.

— მა-მანქანებიო? რა თქვი, მოლი, ძვირფასო?

— დიახ, მანქანები, არტურ, — თვალეები დაუბრიალა ქალბატონმა უისლიმ, — წარმოიდგინე, ერთი ჯადოქარი ძველ, დაჟანგულ მანქანას ყიდულობს და ცოლს ეუბნება, უბრალოდ, ნაწილებად დავშლი და ვნახავ, როგორ მუშაობსო. სინამდვილეში კი, მანქანას აჯადოებს და ფრენას ასწავლის!

ბატონმა უისლიმ თვალეები დახარა.

— როგორ გითხრა, ძვირფასო, მე მგონი, იმ ჯადოქარს კანონი არ დაურღვევია, ანუ, იმას ვგულისხმობ, რომ... როგორ გითხრა... რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ცოლისთვის სიმართლე ეთქვა. კანონში არის ერთი თავის დასაძვრენი ხვრელი... ჯადოქარი მანქანით ფრენას არ აპირებდა, ამიტომ თავისთავად ის ფაქტი, რომ მანქანას ფრენა შეეძლო, არ შეიძლება...

— არტურ უისლი! ეგ თავის დასაძვრენი ხვრელი კანონში თვითონ არ შექმენი?! — გაცხარდა მოლი, — შენ თვითონ შექმენი, რომ შენს ფარდულში მაგლებს ხარახურასთან ჩხირკედელაობა თავისუფლად შეგძლებოდა! და, ცნობისათვის, ჰარი ამ დილით სწორედ იმ მანქანით ჩამოვიდა, რომლით ფრენა შენ არც კი გთვითქრია!

— ჰარი? რომელი ჰარი? — გაოცდა ბატონი უისლი, ირგვლივ მიმოიხედა, ჰარი შეამჩნია და წამოხტა, — ღმერთო ჩემო, ჰარი პოტერი? სასიამოვნოა შენი გაცნობა. რონმა შენზე ბევრი რამ გვიამბო...

— შენი შვილები წუხელ მანქანით გაფრინდნენ ჰარის მოსაყვანად! — ცეცხლს აფრქვევდა ქალბატონი უისლი. — ამაზე რაღას იტყვი?

— მართლა? — დაინტერესდა ბატონი უისლი, — ყველაფერმა კარგად ჩაიარა? — ცოლის განრისხებული თვალების დანახვაზე არტურს ენა დაეხა: — მე-მე... მინდოდა, მეთქვა... ძალიან ცუდად მოქცეულხართ, ბიჭებო! მართლა ძალიან ცუდად მოქცეულხართ!

— მოდი, ესენი მარტო დავტოვოთ, — გადაუჩურჩულა რონმა ჰარის, როცა დაბოლმელი ქალბატონი უისლი გომბემოსავით გაიბერა, წამო, ჩემს ოთახს გაჩვენებ!

ბიჭები ჩუმად გამოიპარნენ სამზარეულოდან და ზედა სართულზე ასასვლელად ოკრობოკრო კიბეს აუყვნენ. მესამე სართულზე კარი ფართოდ გაეღოთ. სანამ კარს ცხვირწინ მოუჭახუნებდნენ, ჰარიმ მოელვარე თაფლისფერი თვალების დანახვა მოასწრო.

— ეს ჯინია, — აუხსნა რონმა, — ძალიან უცნაურია, ასე რომ მორცხვობს, საერთოდ, კარს არ კეტავს ხოლმე...

კიდევ ორი სართულით მალლა ავიდნენ და, ბოლოს და ბოლოს, საღებავაქერცილილ კარს მიაღვნენ, რომელზეც პატარა აბრა გაეკრათ: „რონალდის ოთახი“.

ჰარი ოთახში შევიდა, დაქანებულ ჭერს კინაღამ თავი აარტყა და თვალები ააფახურა. იქაურობა აბრიალებულ ღუმელს ჰგავდა: თითქმის ყველაფერი, ლოგინის გადასაფარებლის, კედლებისა და ჭერის ჩათვლით, ჭყეტელა ნარინჯისფერი იყო. სინამდვილეში რონს უსახური შპალერი ერთი და იმავე ჯადოქრების პლაკატებით დაეფარა. ჯადოქრებს კამკამა ნარინჯისფერი მანტიები ეცვათ, ცოცხები ეკავათ და ენერგიულად იქნევდნენ ხელებს.

— შენი საყვარელი ქვიდიჩის გუნდია? — ჰკითხა ჰარიმ.

— „ჩადლი ქენონზი“, ლიგაში მეცხრე ადგილზე არიან, — ამყად წარმოთქვა რონმა და საბანზე ანიშნა, ზედ უზარმაზარი ასოები — „ჩ“ და „ქ“ — და ორი ზარბაზნის ყუმბარა ამოქარგათ.

რონის შელოცვების სახელმძღვანელოები უნესრიგოდ ეყარა კუთხეში, კომიქსების დიდი გროვის გვერდით. კომიქსები, როგორც ჩანს, ერთი სერიიდან იყო: „მარტინ მიგზის, ვიჟი მაგლის თავგადასავალი“. რონის ჯადოსნური ჯოხი ფანჯრის რაფაზე, ბაყაყის ქვირითით სავსე აკვარიუმზე იდო. იქვე მზის სხივებში მონებვივრე ვირთხა სკაბერზი იჯდა.

ჰარიმ იატაკზე დაყრილ თვითამრევ კარტს გადააბიჯა და პატარა ფანჯრიდან გაიხედა. უისლების ბაღში გნომების მთელი ჯარი მოიპარებოდა. აღელვებული რონი მთელი ეს დრო ჰარის თვალს არ ამორებდა, თითქოს მისგან შეფასებას ელისო. ჰარი რონს მიუბრუნდა.

— ცოტა პატარაა, — დაასწრო რონმა, — შენ რომ მაგლები სახლში გქონდა, იმ ოთახს არა ჰგავს. თანაც, სხვენის ჭინკა ზუსტად ჩემ ზემოთ ცხოვრობს, გაუთავებლად აბრახუნებს მიღებზე და ღმუის...

— ასეთი მშვენიერი სახლი ცხოვრებაში არ მინახავს! — გაუღიმა ჰარიმ.

რონი ყურებიანად განითლდა.

თავი მეოთხე

„ფლორიმ ენდ ბლოტსმი“

„ბუნავში“ ცხოვრება პრივიტ დრაივის სახლში ცხოვრებისაგან ძალიან განსხვავდებოდა. დერსლებს ყველაფერში წესრიგი უყვარდათ, უისლების სახლი კი უცნაურობებითა და მოულოდნელობებით იყო სავსე. ჰარის ელდა ეცა, როცა ბუხრის თავზე დაკიდებულმა სარკემ პირველად დაუყვირა: „პერანგი შარვალში ჩაიტანე, შე ფეთხუმო!“. როგორც კი სახლში სიჩუმე ჩამოვარდებოდა, სხვენის ჭინკა ღმუოდა და მიღებზე აბრახუნებდა. ფრედისა და ჯორჯის ოთახებში პატარ-პატარა აფეთქებები ხომ სრულიად ჩვეულებრივ რამედ ითვლებოდა. მაგრამ ჰარისთვის ამ სახლში ყველაზე უჩვეულო მოლაპარაკე სარკე და აუტანელი ჭინკა კი არ იყო, არამედ იმის შგერძნება, რომ ის აქ ყველას უყვარდა.

ქალბატონი უისლი ჰარის სულ თავს დასტრიალებდა, წინდების სისუფთავეს უმონებდა და ყოველ ჭამაზე ოთხჯერ მაინც გადაუღებდა ნაირ-ნაირ საჭმელს. სადილობისას ბატონი უისლი გვერდით მოისვამდა ხოლომე და მაგლების ცხოვრებაზე უამრავ რამეს ეკითხებოდა. აინტერესებდა, როგორ მუშაობს დენის ჩამრთველი და ფოსტა. ერთხელაც, როცა ჰარიმ აუხსნა, რა იყო ტელეფონი, ბატონმა უისლიმ აღფრთოვანება ვერ დამალა:

— გასაოცარია! პირდაპირ დაუჯერებელია, რამდენი რამ გამოუგონიათ მაგლებს, ოღონდ ჯადოქრობა არ გამოიყენონ!

ერთი კვირის შემდეგ ჰოვგორტისიდან წერილები მოვიდა. იმ დღით ჰარი და რონი სასაუზმოდ რომ ჩავიდნენ, ბატონი და ქალბატონი უისლები, ჭინისთან ერთად, უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ. ჰარის დანახვაზე ჭინიმ შემთხვევით ხელი გაჰკრა ფაფით სავსე თეფშს და იატაკზე ჩამოავდო. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა ჰარი ოთახში შემოდებოდა. მერე თეფშის ასაღებად მაგიდის ქვეშ შეძვრა და როცა ისევ სკამზე დაჯდა, სახე ჩამავალ მგესავით გასწითლებოდა. ჰარის ვითომ არაფერი შეუძნევია, მაგიდას მიუჯდა და ქალბატონ უისლის მონოლოგული გახუხული პურის ჭამას შეუდგა.

— სკოლიდან წერილები მოგივიდათ, — გამოაცხადა ბატონმა უისლიმ და ბიჭებს ყვითელი პერგამენტის ორი, ზუსტად ერთნაირი კონვერტი გადასცა. მისამართი მწვანე მელნით ეწერა, — ჰარი, დამბლდორმა უკვე იცის, რომ აქ ხარ... მოკლედ, ვერაფერს გამოაპარებ! წერილები თქვენც მოგივიდათ, — უთხრა მამამ ოთახში შემოლასლასებულ ნახევრად მიძინარე ფრედსა და ჯორჯს.

რამდენიმე წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა თავის წერილს კითხულობდა. ჰარის წერილში ეწერა, რომ პირველ სექტემბერს კინგს ქროსის სადგურიდან ჩვეულებრივად უნდა გაჰყოლოდა ჰოგვორტსის ექსპრესს. იქვე იყო იმ სახელმძღვანელოების სია, რაც ამ წელს დასჭირდებოდა.

მირანდა გოშოკის „შელოცვების ქრესტომათია“, ნაწილი II გილდეროი ლოკჰარტის „ხეტიალი ალებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „ჭიაკოკონა ჭინკვებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „ალიაქოთი აღქაჭებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „ორომტრიალი ტროლებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „პირისპირ ვამპირებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „გაქცევა მაქციებთან“ გილდეროი ლოკჰარტის „დავა დევებთან“

ფრედმა თავისი წერილი ჩაიკითხა და ჰარისას ჩახედა.

— შენც სულ ლოკჰარტის წიგნები უნდა იყიდო, არა? ეტყობა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი ლოკჰარტზე გიჟდება. დარწმუნებული ვარ, ქალი იქნება! — ფრედმა დედის მშერა დაიჭირა და, ვითომ აქ არაფერიყო, სასწრაფოდ პურზე ჯემის გადასმა დაიწყო.

— იაფი ნამდვილად არ იქნება, ლოკჰარტის წიგნები ძალიან ძვირია, — ჯორჯმა მშობლებს გადახედა.

— რაღაცას მოვახერხებთ, — ქალბატონ უისლის აღელვება დაეტყო, — ჯინისთვის ყველაფერს მორაღი საქონლის მაღაზიაში ვიყიდით.

— წელს ჰოგვორტსში მიდიხარ? — ჰკითხა ჰარიმ ჯინის.

გოგონამ თავი დაუქნია, უღალი თმის ძირებამდე განითლდა და იდაყვი საკარაქეში ჩაჰკრა. საბედნიეროდ, ჰარის გარდა, ეს არავის შეუმჩნევია, რადგან სწორედ ამ დროს ოთახში რონის უფროსი ძმა, პერსი შემოვიდა. უკვე ჩაეცვა, ნაქსოვ სვითერზე კი ქინძისთავით ჰოგვორტსის პრეფექტის სამკერდე ნიშანი დაემარებინა.

— დილა მშვიდობისა, — ხალისიანად მიესალმა ყველას, — მშვენიერი ამინდია! — მერე ერთადერთ ცარიელ სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ იმნამსვე წამოხტა. ხელში ნაცრისფერბუბულიანი მტვრის საწმენდი ეჭირა. ჰარისაც მტვრის საწმენდი ეგონა, მაგრამ მერე შეამჩნია, რომ ეს უცნაური ნივთი სუნთქავდა.

— ეროლ! — შესძახა გახარებულმა რონმა და კოჭლ ბუს ფრთებიდან წერილი გამოაძრო, — როგორც იქნა, ჰერმიონის პასუხი მომიტანა! რამდენი ხანია, მივწერე, რომ შენს გადასარჩენად დერსლებთან მივდიოდით, — რონმა ბუ უკანა კართან

დასვა, იქნებ ფეხზე დადგესო, მაგრამ სანყალი ეროლი ფრთების ფართხუნით დაეხერტყა ძირს. რონმა თეფშების საშრობზე დააწვინა და ჩაიბუტბუტა: „ვაი, შე სანყალო“, — მერე ჰერმიონის წერილი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა:

„ძვირფასო რონ და ჰარი (თუ უკვე მანდ ხარ).

იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჰარიც კარგადაა, თან მის გადასარჩენად უკანონო არაფერი ჩაგიდენიათ, ამით ხომ ჰარისაც უსიამოვნება შეხვდება. ჰარის ამბავი ძალიან მანუხებს, გთხოვ, სასწრაფოდ შემატყობინე, მაგრამ უმჯობესია, წერილი სხვა ბუს გამოატანო, თორემ შენი ბუ ალბათ ფეხებს. გაფშვკს. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, საშინაო დავალებებს ვასრულებ.

— რა უბედურებაა, — ჩაურთო რონმა, — ჩვენ ხომ არდადეგები გვაქვს!

„ჩემთვის წიგნების საყიდლად მომავალ ოთხშაბათს ლონდონში მივდივართ. მრუდე ქუჩაზე შეგხვდეთ ერთმანეთს, კარგი? როგორც კი მოახერხებთ, შემატყობინეთ, რას აპირებთ. სიყვარულით, ჰერმიონი“.

— მშვენიერია! ჩვენც ოთხშაბათს წავიდეთ საყიდლებზე, — ქალბატონი უისლი სუფრის ალაგებას შეუდგა, — დღეს რას შვრებით?

ჰარი, რონი, ფრედი და ჯორჯი პატარა გორაკის წვერზე, უისლების საკუთარ მოედანზე ასვლას გეგმავდნენ. აქ შეეძლოთ, ქვიდიჩში ევარჯიშათ. მოედანი ხეებით იყო გარშემორტყმული, ასე რომ, თუ ძალიან მაღლა არ აფრინდებოდნენ, სოფლიდან არაფერი გამოჩნდებოდა. ქვიდიჩის ნამდვილ ბურთებს ვერ გამოიყენებდნენ, რადგან შეიძლებოდა, ბურთი გაჰქცეოდათ და სოფლამდე ჩაფრენილიყო, ამიტომ ვაშლების სროლასა და დაჭერაში ივარჯიშებდნენ. ჰარის „ნიმბუს-2000“-ზე რიგრიგობით დასხდებოდნენ, ამაზე უკეთეს ცოცხს ვერც ინატრებდი, აბა, რონის „მოციმციმე ვარსკვლავს“ ხშირად პეკლებიც კი უსწრებდნენ.

ხუთ წუთში უკვე აღმართს მიუყვებოდნენ, თავ-თავიანთი ცოცხი მხარზე გაედოთ. პერსისაც ჰკითხეს, ხომ არ შემოგვიერთდებო, მაგრამ პერსიმ იუარა, არ მცალიაო, ჰარი მას მხოლოდ სამზარეულოში ხვდებოდა, დანარჩენ დროს პერსი თავის ოთახში ატარებდა.

— ნეტა გამაგებინა, რას აკეთებს, — მოიღუშა ფრედი, — რალაც უცნაურად იქცევა. მისი გამოცდის პასუხი შენს ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე მოვიდა. თორმეტი ბუა მიიღო და, წარმოიღვინე, არც კი გახარებია!

— ბეჯითობის უმაღლესი აღიარება, — სასწრაფოდ აუხსნა ჯორჯმა გაკვირვებულ ჰარის, — ბილსაც თორმეტი ჰქონდა. ცოტაღა გვიკლია და ოჯახში კიდევ ერთი ჰედბოი გვეყოლება. ამ სირცხვილს ველარ გადავიტან!

ბილი უისლების ყველაზე უფროს ძმას ერქვა. მას და მომდევნო ძმას, ჩარლის, ჰოგვორტსი უკვე დაემთავრებინათ. ჰარის ისინი არასოდეს ენახა, მაგრამ იცოდა, რომ

ჩარლი რუმინეთში დრაკონების შესასწავლად იყო წასული, ბილი კი ეგვიპტეში, ჯადოქრების ბანკ გრინგოტის წარმომადგენლობაში მუშაობდა.

— არ ვიცი, ჩვენი მშობლები როგორ მოახერხებენ წელს სასკოლო ნივთების ყიდვას, — წუხდა ჯორჯი, — ლოკჰარტის წიგნების ხუთი კომპლექტი! თანაც ჯინის მანტიები, ჯადოსნური ჯოხი და კიდევ რამდენი რაღაც სჭირდება...

ჰარის არაფერი უთქვამს, თავს ცოტა უხერხულად გრძნობდა. ლონდონში, გრინგოტის ბანკის აკლდამაში, მისი მშობლების დანატოვარი ცოტაოდენი ქონება ინახებოდა. რა თქმა უნდა, ეს ქონება ფულად მხოლოდ ჯადოქრების სამყაროში ითვლებოდა: გალენებით, სიკვლებითა და კნატებით მაგლების მალაზიებში ვერაფერს იყიდდი. თავისი საბანკო ანგარიში დერსლებთან არასოდეს უხსენებია. დერსლებს ყველაფრისა ეშინოდათ, რაც მაგიასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ოქროს დიდ გროვაზე უარს მაინც არ იტყოდნენ.

* * *

მომდევნო ოთხშაბათს ქალბატონმა უისლიმ ყველანი დილაადრიან გააღვიძა. ნაუცხადევიად გადასანსლეს ლორიანი სენდვიჩები და საგარეოდ გამოენწყვნენ. ქალბატონმა უისლიმ ბუხრის თაროდან ჩამოღებულ ყვავილების ქოთანში ჩაიხედა.

— უკვე გვითავდება, არტურ, — ამოიოხრა ქალმა, — დღეს უნდა ვიყიდოთ... აბა, წინ სტუმრები გავუშვათ! ჰარი, საყვარელო, გთხოვთ! — ქალმა ქოთანი გაუწოდა.

— რ-რა უნდა ვქნა? — დაიბნა ჰარი. ყველანი გაოცებულები მიაჩერდნენ.

— ფლუ ფხვნილით არასოდეს უმგზავრია, — მიუხვდა რონი, მაჰატიე, ჰარი, სულ დამავიწყდა.

— არასოდეს? — გაუკვირდა ბატონ უისლის, — კი მაგრამ, სასკოლო ნივთების საყიდლად შარშან მრუდე ქუჩაზე როგორ მიხვედი?

— მეტროთი...

— მართლა? — დაინტერესდა ბატონი უისლი, — იქ რა, სპეციალური გასასვლელებიც არის? თუ შეგიძლია, უფრო დანვრილებით...

— გეყოფა, არტურ, — შეანწყვეტინა ქალბატონმა უისლიმ, — ფლუ ფხვნილით მაინც უფრო სწრაფად მივალთ... მაგრამ, ღმერთო ჩემო, თუ ასე არასოდეს ვიმგზავრია...

— როგორმე მოახერხებს, დე, — დაამშვიდა ფრედმა, — ჰარი, ჯერ ჩვენ შემოგვხედე! — ქოთნიდან ცოტა მბზინავი ფხვნილი ამოიღო, ცეცხლთან მივიდა და შიგ ჩაყარა.

ცეცხლი აბობოქრდა, ზურმუხტისფერად აელვარდა და ბიჭის სიმაღლეს ასცდა. ფრედი შიგ შევიდა, „მრუდე ქუჩა!“ — იყვირა და გაუჩინარდა.

— გარკვევით უნდა წარმოთქვა, საყვარელო, — აუხსნა ქალბატონმა უისლიმ. ამასობაში ჯორჯმა ფხვნილი ამოიღო, — ფრთხილად იყავი, სხვა ბუხარში არ ამოყო თავი!

— სხვა რაში? — აღელდა ჰარი. ცეცხლი ისევ აბობოქრდა და ჯორჯიც გაუჩინარდა.

— ხომ იცი, ჯადოსნური ცეცხლი ბევრნაირია, მაგრამ ქუჩის სახელს თუ გარკვევით წარმოთქვამ... —

— ყველაფერი კარგად იქნება, მოლი, ნუ ღელავ, — შეაწყვეტინა ბატონმა უისლიმ და თავისთვისაც ამოიღო ფხვნილი...

— მაგრამ, ძვირფასო, ბიჭი თუ დაიკარგა, დეიდამისსა დე ბიძამისს როგორ შევხედოთ თვალებში? „ნუ გეშინიათ, დიდად არ იღარდებენ, — დაამშვიდა ჰარიმ, პირიქით, დადლის გაუხარდება კიდევ, სადმე საკვამურში თუ დაევიკარგები.“

— ჰოო, კარგი, კარგი... მაშინ არტურის შემდეგ შენ წადი, — უთხრა ქალბატონმა უისლიმ, — კარგად მომისმინე, ცეცხლში რომ შეაბიჯებ, უნდა თქვა, სად მიდიხარ...

— იდაყვებს ნუ გაშლი, — ურჩია რონმა.

— თვალეები დახუჭე, ჯვარტლი...

— ნუ იწრიალებ, — ისევ ჩაერია რონი, — თორემ სხვა ბუხარში აღმოჩნდები.

— არ შეგეშინდეს და დროზე ადრე არ გამოხვიდე, დაელოდე, სანამ ფრედსა და ჯორჯს არ დაინახავ...

ჰარის ეს რჩევა-დარიგებები თავში უტრიალებდა, ცოტა ფლუ ფხვნილი აიღო და ცეცხლს მიუახლოვდა. ღრმად შეისუნთქა, ფხვნილი ცეცხლში ჩაყარა და წინ გადადგა ნაბიჯი. ცეცხლი თბილ ნიავს უფრო ჰგავდა. ჰარიმ პირი გააღო თუ არა, შიგ გახურებული ნაცარი შეეყარა და ხველა აუტყდა.

— მ-მრუ-დე ქუჩა! — როგორც იქნა, დაიძახა და იგრძნო, როგორ შეისრუტა უზარმაზარმა ხვრელმა. ელვის სისწრაფით ბრუნავდა, გამაყრუებელი ღრიალი ესმოდა... ცდილობდა, თვალეები არ დაეხუჭა, მაგრამ მწვანე ცეცხლის დანახვაზე გული ერეოდა. უცებ იდაყვში რაღაც მაგარი მოხვდა და ორივე მკლავი სასწრაფოდ მოლუნა. გაუთავებლად ბრუნავდა და ტრიალებდა... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიდაცის ცივი ხელები სახეში ულანუნებდა... გამურული სათვალისგან უამრავ ბუხარსა

და ოთახს ხედავდა ბუნდოვნად, ეს ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა... დილით ნაჭამი ლორიანი სენდვიჩები გულზე მოანვა... თვალები ისევ დახუჭა იმ იმედით, რომ ყველაფერი მალე დამთავრდებოდა ... ცოტა ხანში სახით დაენარცხა ქვის ცივ იატაკს და სათვალე დაემსხვრა.

თავით ფეხამდე გამჭვარტლული ჰარი ფრთხილად წამოდგა, ისევ თავბრუ ეხმობდა, ყველაფერი სტკიოდა. დამსხვრეული სათვალე თვალებთან მიიტანა. სრულიად მარტო იყო და წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ამოყო თავი. ბოლოს მისხვა, რომ ჯადოქრის ცუდად განათებულ მაღაზიაში, ქვის ბუხარში იდგა, მაგრამ აქ ისეთი რაღაცეები იყიდებოდა, რასაც ჰოვგორტსის სკოლის სივებში ვერ ნახავდით.

შუშის კარადაში, ბალიშზე დასვენებული გამხმარი ხელი, სისხლით მოსვრილი კარტი და შუშის თვალი წყო. კედლებიდან ავის მომასწავებლად იცქირებოდნენ ბოროტსახიანი ნიღბები, დახლზე ადამიანის ძვლები ელავა, ჭერში კი უანგმოღებული ბასრი ინსტრუმენტები ეკიდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ბნელი, ვიწრო ქუჩა, რომელსაც ჰარი დამტვერილი ვიტრინიდან ხედავდა, ნამდვილად არ ჰგავდა მრუდე ქუჩას.

„რაც მალე გავალ აქედან, მით უკეთესი“, — გაიფიქრა და სწრაფად, უჩუმრად გაემართა კარისკენ. ცხვირი საშინლად სტკიოდა. ნახევარი გზაც არ გაეწეო, რომ ვიტრინის მიღმა ორი ადამიანი დაინახა. ერთ-ერთი მათგანის ნახვა ახლა, ასეთ მდგომარეობაში, როცა ერთიანად გაჭვარტლულიყო, სათვალე გატეხოდა და თანაც წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იმყოფებოდა, ნამდვილად არ გახარებია. მაღაზიას დრაკო მალფოი მოსდგომოდა.

ჰარიმ სწრაფად მიმოიხედა. მარცხნივ დიდი შავი კამოლი დაინახა, შიგ შეხტა და კარი ისე მიხურა, რომ სათვალეთვალოდ პატარა ღრიჭო დარჩენილიყო. იმავე წამს ზარმა გაიწკარუნა და მაღაზიაში მალფოი შემოვიდა.

თანხლები კაცი უთუოდ მამამისი იყო. ისეთივე ფერმკრთალი, წაგრძელებული სახე და ცივი, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა.

ბატონი მალფოი დახლთან მივიდა, უხალისოდ გადახედა გამოფენილ ნივთებს, ზარი დარეკა და შვილს მიუბრუნდა:

— დრაკო, ხელი არაფერს ახლო!

— მეგონა, საჩუქარს მიყიდი, — დრაკოს უკვე ჩაებლუჯა შუშის თვალი.

— მე გითხარი, ცოცხს გიყიდი-მეთქი, — მამამ მაგრად დააკაკუნა დახლზე.

— ცოცხის ყიდვას რა აზრი აქვს, კლუბის გუნდში თუ არ ვიქნები! — ღვარძლიანად ჩაიბუტბუტა დრაკომ, — შარმან ჰარი ჰოტერს „ნიმბუს-2000“ აჩუქეს! დამბლდორისგან სპეციალური ნებართვა მიიღო და გრიფინდორის გუნდში თამაშობდა. ამ დროს დიდი ვერაფერი მოთამაშეა, უბრალოდ... იმ თავისი სულელური ნაიარევის გამოა ცნობილი... — მალფოი თავის ქალებით გამოტენილი თაროს დასათვალიერებლად

დაიხარა, — ყველას ჰგონია, რომ ძალიან მაგარი ვინმეა! მაგარი ბიჭი პოტერი — თავისი ნაიარვეითა და ცოცხით...

— რამდენჯერ უნდა მითხრა ერთი და იგივე?! — გული მოუვიდა ბატონ მალფოის, — ძალიან წინდაუხედავად იქცევი! ყველას ისე უნდა მოაჩვენო თავი, თითქოს ჰარი პოტერი მოგნონს! ჯადოქრების უმრავლესობისათვის ის ნამდვილი გმირია, რომელმაც ბნელეთის ბატონი დაამარცხა... აჰ, ბატონო ბორჯინ!

დახლს უკან წელში მოხრილი კაცი გამოჩნდა, რომელიც სახეზე ჩამოყრილ გაზინტლულ თმას ისწორებდა.

— ბატონო მალფოი, როგორ მიხარია თქვენი ნახვა, — ბატონ ბორჯეს ალბათ უმცროსი მალფოია, სასიამოვნოა! რით შემოძლია, გემსახუროთ? ახლავე გაჩვენებთ, სულ ახალი საქონელია, ფასიც ხელმისაწვდომია...

— დღეს საყიდლებზე არ მოვსულვარ, ბატონო ბორჯინ, რაღაც მაქვს გასაყიდი, — შეაწყვეტინა ბატონმა მალფოიმ.

— გასაყიდი? — ღიმილი გაუქრა ბატონ ბორჯინს.

— რა თქმა უნდა, გაიგებდით, რომ სამინისტრომ რეიდებს ძალიან მოუხშირა, — ბატონმა მალფოიმ გულისჯიბიდან პერგამენტის შეკვრა ამოიღო, გახსნა და ბატონ ბორჯინს გადასცა წასაკითხად, — სახლში, ასე ვთქვათ, რამდენიმე ნივთი მაქვს... სამინისტროდან თუ მომადგებიან, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები...

ბატონმა ბორჯინმა ცხვირზე პენსნე მოირგო და სიას ჩახედა.

— კი მაგრამ, სერ, სამინისტრო ხომ თქვენს შეწუხებას ვერ გაბედავს?!

ბატონ მალფოის ტუჩები მოეღრცა.

— ჯერ არ შევუწუხებივარ. მალფოების გვარი ჯერ კიდევ სარგებლობს პატივისცემით, მაგრამ სამინისტროში ახლა უფრო მეტი არამკითხე მუშაობს! ჭორები მომივიდა, მაგლთა დაცვის რაღაც ახალი კანონი უნდა მიიღონ... სულ იმ შერევილის, არტურ უისლის ხრიკებია, ის სულელი მაგლებზე გიჟდება...

ჰარი სიბრაზისგან აკანკალდა.

— და როგორც ხვდებით, თუ ამ სანამლავეს აღმომიჩენენ, ცხადი გახდება...

— მშვენივრად მესმის თქვენი, სერ, — მიუხედა ბატონი ბორჯინი, — აბა, ვნახოთ...

— შეიძლება, ვნახო? — შეაწყვეტინა დრაკომ და გამხმარ ხელზე ანიშნა.

— ო, ეგ სხივმოსილი ხელია! — ბატონმა ბორჯინმა ბატონ მალფოისგან დრაკოზე გადაინაცვლა, — სანთელს თუ ჩაუღებთ, ისეთ სინათლეს გამოასხივებს, რომელსაც მხოლოდ მფლობელი ხედავს! ქურდების და მძარცველების საუკეთესო მეგობარია! თქვენს ვაჟს მშვენიერი გემოვნება აქვს, სერ!

— იმედი მაქვს, ჩემი ვაჟი ცხოვრებაში გაცილებით მეტს მიაღწევს! — ცივად მოუჭრა ბატონმა მალფოიმ.

— თქვენი შეურაცხყოფა არც მიფიქრია, სერ... — სასწრაფოდ გამოასწორა ბატონმა ბორჯინმა.

— თუმცა, უკეთეს ნიშნებს თუ არ დაიმსახურებს, — კიდევ უფრო ცივად განაგრძო ბატონმა მალფოიმ, — ეს ალბათ მისთვის შესაფერისი ერთადერთი საქმიანობა იქნება.

— ჩემი ბრალი არ არის! — დაიწყო თავის მართლება დრაკომ, — მასწავლებლებს თავიანთი საყვარელი მოსწავლეები ჰყავთ, აი, თუნდაც ჰერმიონ გრეინჯერი...

— უნდა გრცხვენოდეს, რომ მაგლების ოჯახში აღზრდილმა გოგომ ყველა გამოცდაზე გაჯობა! — მიწასთან გაასწორა შვილი ბატონმა მალფოიმ.

„აი, ეგრე!“ — თავისთვის ჩაიციხა კმაყოფილმა ჰარიმ, შერცხვენილ დრაკოს კი ბოლმა ახრჩობდა.

— ყველგან ასე ხდება, — გამოიქომაგა ბატონი ბორჯინი დრაკოს, — ჯალოქრის სისხლს უკვე არაფრად აგდებენ!

— ეგ მე არ მეხება, — ნესტოები დაეხერა ბატონ მალფოის.

— არა, სერ, რა თქმა უნდა, არც მე, — ბატონმა ბორჯინმა მდაბლად დაუკრა თავი.

— თუ ასეა, იქნებ ჩემს სიას დავუბრუნდეთ, — მოკლედ მოუჭრა ბატონმა მალფოიმ, — ცოტა არ იყოს, მეჩქარება, ბორჯინ! სხვაგანაც მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს.

მერე ვაჭრობას შეუდგნენ. ჰარი დაძაბული ადევნებდა თვალს დრაკოს, რომელიც გასაყიდი ნივთების თვალიერებით ნელ-ნელა უახლოვდებოდა მის სამაღაფს. ერთგან შეჩერდა, დაკვირვებით შეათვალიერა ჩამოსახრჩობი თოკის უზარმაზარი გორგალი, მერე კმაყოფილი ღიმილით მიუახლოვდა უძვირფასეს ყელსაბამს, რომელზედაც პატარა ბარათი დაემაგრებინათ. ბარათზე ეწერა: „ფრთხილად, არ შეეხოთ! დაწყველილია! ცხრამეტი მაგლი მეპატრონე უკვე გამოასალმა სიცოცხლეს!“.

დრაკო მოტრიალდა და კამოდი დაინახა... წავიდა კიდევაც მისკენ და მალე ალბათ სახელურსაც მისწვდებოდა, მაგრამ ამ დროს ბატონი მალფოის ხმა გაისმა:

— მოვრიგდით! დრაკო, წავედით!

დრაკო უკან გაბრუნდა, ჰარიმ კი სახელოთი მოიწმინდა გაოფლილი შუბლი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ზორჯინ! ხვალ საქონლის წასაღებად ჩემს სასახლეში გელოდებით.

როგორც კი კარი გაიხურეს, ბატონ ბორჯინს გამომეტყველება შეეცვალა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო მალფოი! ამბობენ, მაგ სასახლეში ამაზე ბევრად მეტი რამე აქვს გადამალულიო! — ბატონი ბორჯინი ბუზღუნით გაუჩინარდა უკანა ოთახში. ჰარიმ ცოტა ხანს დაი-ცადა, ისევ არ შემობრუნდესო, მერე ჩუმად გამოძვრა კამოდიდან და მალაზიიდან გავარდა.

დამსხვრეულ სათვალეს ცხვირზე ხელით იმაგრებდა. იქაურობა კარგად მოათვალიერა... ერთ ბინძურ, შავი მაგიისათვის საჭირო ნივთებით სავსე მალაზიებით გადაჭედილ ქუჩაზე იდგა. ეტყობა, „ბორჯინ ენდ ბერკსი“, მალაზია, საიდანაც სულ ახლახან გამოვიდა, ყველაზე დიდი იყო. მის მოპირდაპირედ, სხვა მალაზიის ვიტრინაში, საშინელი დანაოჭებული თავეები გამოეთენათ. იმავე ქუჩაზე, ცოტა ქვემოთ, უზარმაზარი შავი ობობებით სავსე გალია იდგა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ერთ-ერთი ბნელი მალაზიიდან ორი ძონძებში ჩაცმული ჯადოქარი უთვალთვალებდა და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ჰარი დაფრთხა, სათვალე შეისწორა და მოკურცხლა.

შხამიანი სანთლების მალაზიასთან ხის აბრა გამოეკრათ, ზედ ეწერა: „მრუმე ქუჩა“. ეს წარწერა ჰარის არაფერს ეუბნებოდა, რადგან ადრე ამ ქუჩის შესახებ არასოდეს სმენოდა. ეტყობა, ბუხარში ჭვარტლით პირგამოტენილმა ქუჩის დასახელება არასწორად წარმოვთქვია, დაასკვნა და შეეცადა, მშვიდად მოეთქერებინა, როგორ მოქცეულიყო.

— რაო, საყვარელო, გზა ხომ არ დაგებნა? — ჩასჩურჩულა ყურში ვილაყამ. ჰარი მოულოდნელობისაგან შეხტა.

ცხვირწინ ბებერი ალქაჯი ედგა, ხელში ადამიანის ფრჩხილებით სავსე ლანგარი ეჭირა. საშინელი სანახავი იყო. ალქაჯმა ბოროტად გაუღიმა და ხავსმოდებული კბილები გამოუჩნდა. ჰარიმ უკან დაიხია.

— არა, ყველაფერი რიგზეა! მე, უბრალოდ...

— ჰეი, ჰარი! მანდ რას აკეთებ?!

ჰარის გული შეუქანდა. ალქაჯი შეცბა, ფრჩხილები ლანგრიდან გადმოუცვივდა და საშინელ წყველა-კრულვას მოჰყვა. მათკენ ჰოგვორტისის მეტყევე, გაბურძენილი გოლიათი ჰავრიდი მორბოდა ხოჭოსავით შავი თვალების ბრიალით.

— ჰავრიდო! — შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, — დავიკარგე... ფლუ ფხვნილი...

ჰავრიდმა ჰარის ქეჩოში ჩავლო ხელი და განზე გასწია. ამასობაში ჯადოქარს ხელიდან ლანგარი გაუვარდა და კვილი მორთო, ჰავრიდი და ჰარი მიხვეულ-მოხვეულ ქუჩას გაუყვნენ და, როგორც იქნა, მზით განათებულ ადგილს მიაღწიეს. ჰარიმ ნაცნობი ქათქათა მარმარილოს შენობა, გრინგოტისის ბანკი დაინახა. ჰავრიდს პირდაპირ მრუდე ქუჩაზე გაეყვანა.

— რა უყურადღებო ხარ! — დაუბუხუნა ჰავრიდმა და ჰარის ტანსაცმლიდან ისე ძლიერად ჩამოფერთხა ჭვარტლი, რომ ბიჭი კინაღამ აფთიაქის წინ გამოდგმულ, დრაკონის ნეხვით სავსე კასრში ჩაეყუდა, — რას დაეხეტები მრუმე ქუჩაზე! ვერ

წარმოიდგენ, რა სახიფათო ადგილია! ჰარი, არ მინდა, რომ ვინმემ მაგ ქუჩაზე დაგინახოს... — ჰაგრედი ისევ აპირებდა ჭვარტლის ჩამოფერთხვას, მაგრამ ჰარი გვერდზე გახტა.

— ვიცი, ვიცი, ხომ გითხარი, გზა ამერია-მეთქი! შენ რაღა გინდოდა იმ ქუჩაზე?

— მე ხორციჭამია ლოქორების საწინააღმდეგო შხამს ვეძებდი, აუხსნა ჰაგრედი, — ჩვენი ბალის კომპოსტოები სულ გადაჭამეს. შენ რა, აქ მარტო მოხვედი?

— უისლებთან ვცხოვრობ, მაგრამ ახლა სადღაც დამეკარგნენ, უნდა ვიპოვო!

— წერილებზე რატომ არ მკვსახობდი? — ჰკითხა ჰაგრედი. ჰარი თითქმის სირბილით მისდევდა ფართო ნახიჯებით მიმავალ ჰოგვორტის მეტყვევს და თან დობისა და დერსლების შესახებ უყვებოდა, — ნაძირალა მაგლები! — აღშფოთდა ჰაგრედი, — მე რომ მცოდნოდა...

— ჰარი! ჰარი! აქა ვარ!

ჰარიმ მალლა აიხედა. ჰერმიონ გრეინჯერი მათ შესახედრად სირბილითა და ხშირი ნაბლისფერი თმის ფრიალით დაეშვა გრინგოტის ქათქათა კიბეზე.

— სათვალე სად გატეხე? გამარჯობა, ჰაგრედი... როგორ მიხარია შენი ნახვა... ჰარი, გრინგოტსში ხომ არ მოდიხარ?

— ჰო, როგორც კი უისლებს ვიპოვი, — მიუგო ჰარი.

— ეგ ძალიან მალე მოხდება, — გაიკრიჭა ჰაგრედი.

ჰარი და ჰერმიონმა მიიხედეს: რონი, ფრედი, ჯორჯი, პერსი და ბატონი უისლი ხალხით გადაჭედნილ ქუჩაზე მორბოდნენ.

— ჰარი, ჩვენ გვეგონა, მარტო ერთი ბუხრით გასცდი გამოსასვლელს... მოლი გიჟს ჰგავს... სადაცაა, მოვა, — ბატონი უისლი აქომინებული ინმენდდა გაოფლილ შუბლს.

— სად გამოხვედი? — ჰკითხა რონი.

— მრუმე ქუჩაზე, — მოიღუმა ჰაგრედი.

— რა მაგარია! — აღმოხდათ ფრედსა და ჯორჯს.

— ჩვენ მაგ ქუჩაზე არ გვიშვებენ, — შეშურდა რონი.

— ძალიანაც კარგს შერებიან, — დაიგრგვინა ჰაგრედი.

ამ დროს ქალბატონი უისლიც გამოჩნდა. დაფეთებული მორბოდა, ერთ ხელში ჩანთა ეჭირა და გამწარებული იქნევდა, მეორე ხელით კი ჭინის მოაპროწიალებდა.

— ჰარი, საყვარელო... ღმერთო, რა არ ვიფიქრე, — ქალი სულს ძლივს ითქვამდა, მერე ჩანთიდან ტანსაცმლის ჯაგრისი ამოიღო და ჰარის წმენდას შეუდგა, ჰაგრიდმა რაც დააკლო, ქალბატონმა უის ლიმ დაუმატა. ბატონმა უისლიმ ჰარის სათვალე აიღო, ოდნავ შეახო ჯადოსნური ჯოხი და მთლად ახალივით გამოთვლებული დაუბრუნა, — აბა, დროებით, — წასვლა დააპირა ჰაგრიდმა, მაგრამ ქალბატონი უისლი ხელში ჩაჰფერნოდა:

— წარმოგიდგენიათ? მრუშე ქუჩა! ჰაგრიდ, თქვენ რომ არ გეპოვათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა!

— ჰოგვორტსში შევხვდებით! — ყველას დაემშვიდობა ჰაგრიდი და გოლიათ-მსთათო ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

— აბა, თუ მიხვდებით, „ბორჯინ ენდ ბერკსში“ ვის შევხვდი? ჰკითხა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, როცა გრინგოტის კიბეზე აღიოდნენ, — მალფოისა და მამამისს!

— ლუციუს მალფოიმ რაიმე იყიდა? — ბატონი უისლი უკან მოჰყვებოდათ.

— არა, პირიქით, რაღაცას ყიდდა.

— ესე იგი, ნერვიულობს, — ნიშნის მოგებით ჩაიცინა ბატონმა უისლიმ, — ო, რა სიამოვნებით დავიჭერდი ფაქტზე ლუციუს მალფოის...

— ფრთხილად იყავი, არტურ, — მკაცრად შეანწყვეტინა ქალბატონმა უისლიმ, — დიდი შარიანი ოჯახია! შედმეტი არ მოგივიდეს!

ამასობაში კართან მდგარმა გობლინმა მათ თავი დაუკრა და ბანკში შეუძღვა.

— შენ ფიქრობ, რომ ლუციუს მალფოის ვერ მოვერევი? — აიმრიზა ბატონი უისლი, მაგრამ უცებ ჰერმიონის მშობლები შეამჩნია. აღელვებულები მარმარილოს ჰოლში სალაროსთან იდგნენ და ელოდნენ, ჰერმიონი როდის წარუდგენდა მათ დანარჩენებს.

— თქვენ ხომ მაგლები ხართ! — აღფრთოვანება ვერ დამალა ბატონმა უისლიმ, — სასმელზე უნდა დავპატიყოთ! ეს რა გიჭირავთ ხელში? აჰ, მაგლების ფულს ახურდავებთ? მოლი, შეხედე! — აღტაცებულმა უისლიმ ცოლს ათფუნტიან კუპიურაზე ანიშნა.

— ისევ აქ შევხვდეთ, — უთხრა რონმა ჰერმიონს, როცა გრინგოტსელი გობლინი ჰარის და უისლებს მიწისქვეშა აკლდამებისკენ გაუძღვა.

აკლდამებში პატარა ვაგონეტებით ჩადიოდნენ, რომელთაც გობლინები მართავდნენ. ვაგონეტები ბანკის მიწისქვეშა გვირაბებში, ვიწრო რელსებზე მისრიალებდნენ. ჰარის ძალიან მოეწონა უისლების აკლდამამდე ელვის სისწრაფით ქროლა, მაგრამ, როცა აკლდამა გახსნეს, ძალიან შეწუხდა. მთელ აკლდამაში მხოლოდ ვერცხლის სიკვლების პატარა გროვა და ერთი ოქროს გალენი დარჩენილიყო. ქალბატონმა უისლიმ ყველა კუთხე-კუნჭული გულდასმით

მოათვალიერა, მერე მთელი ფული ჩანთაში ჩაიყარა. ჰარიმ კიდევ უფრო უხერხულად მაშინ იგრძნო თავი, როცა თავის აკლდამას მიაღწენ. შეეცადა, ისე დამდგარიყო, რომ უისლებს მის საცავში არ შეეხებიათ და აჩქარებით გაივსო ტყავის ჩანთა მონეტებით.

მარმარილოს კიბეებზე ერთმანეთს დაშორდნენ. პერსიმ თავისთვის ჩაიბურტყუნა, ახალი ბატის ფრთა მჭირდებოდა. ფრედმა და ჯორჯმა თავიანთი ჰოგვორტსელი მეგობარი ლი ჯორდანი დაინახეს. ქალბატონი უისლი და ჯინი მეორადი მანტიების მაღაზიაში წავიდნენ. ბატონმა უისლიმ კი დაიჟინა, გრეინჯერები „გახვეტილ კარდალაში“ სასმელზე უნდა დავპატიჟო.

— ერთ საათში „ფლორიმ ენდ ბლოტსში“ შევხვდეთ ერთმანეთს და სასკოლო სახელმძღვანელოები ვიყიდოთ, — დაგეგმა ქალბატონმა უისლიმ და ჯინისთან ერთად გზას გაუყვა. მერე უცებ მობრუნდა და ტყუპებს მიაძახა:

— მრუმე ქუჩაზე გასვლა არ გაბედოთ!

ჰარი, რონი და ჰერმიონი მიხვეულ-მოხვეულ მოკირწყლულ ქუჩაზე მისეირნობდნენ. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები საამურად ჩხრიალებდნენ ჩანთაში, თითქოს, ითხოვდნენ, დროზე დაგვხარჯეთო. ჰარიმ მარწყვიანი და მიწისთხილიანი სამი დიდი ნაყინი იყიდა. მეგობრები ნეტარებით მიირთმევდნენ ნაყინს და თან გასაოცარ ვიტრინებს ათვალიერებდნენ. რონმა ანთებული თვალეები ძლივს მოსწვია ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილ ჩადლი ქენონზის მანტიებს. მაღაზიას ერქვა „ყველაფერი საუკეთესო ქვიდიჩისათვის“. ჰერმიონმა გვერდით მაღაზიაში ძალით შეათრია ბიჭები მეღნისა და პერგამენტის საყიდლად. „გემბოლ ენდ ჯეიპსის ჯადოქრული ოინების მაღაზიაში“ ფრედს, ჯორჯსა და ლი ჯორდანს შეხვდნენ. ბიჭები „დოქტორ ფლიბუსტიერის ზღაპრულ წყალგამძლე, უცეცხლო შუშუნებს“ ყიდულობდნენ. დამტვრეული ჯადოსნური ჯახებით, მორყეული თითბრის სასწორებითა და შხამ-წამლებით დალაქავებული მოსასხამებით სავსე ერთ პატარა მაღაზიაში კი პერსის წააწყდნენ, მთელი ყურადღებით კითხულობდა ერთობ მოსაბეზრებელ წიგნს: „პრეფექტები, რომელთაც ძალაუფლება მოიპოვეს“.

— „ჰოგვორტსის პრეფექტთა შემდგომი კარიერა“, — რონმა ხმამაღლა წაიკითხა წიგნის უკანა ყდაზე, — ღმერთო, რა საინტერესოა...

— მომშორდი, — შეუბღვირა პერსიმ.

— რომ იცოდეთ, როგორი ამბიციურია! რა გეგმებს აწყობს... მაგის მინისტრობა უნდა, — ჩუმად წასჩურჩულა რონმა ჰარისა და ჰერმიონს, როცა პერსის გაეცალდნენ.

ერთ საათში „ფლორიმ ენდ ბლოტსისკენ“ გაემართნენ. თუმცა, მარტო ისინი როდი მიდიოდნენ მაღაზიისკენ. მიუახლოვდნენ თუ არა, მათდა გასაკვირად, კარებთან უამრავი ხალხი დაინახეს, ყველა შიგნით შესვლას ცდილობდა. მთელი ეს აურზაური გამოიწვია ზედა სართულზე გაკრულმა უშველებელმა აფიშამ, რომელზეც ეწერა:

გილდერიო ლოკჰარტი გასცემს ავტოგრაფებს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნზე „მე — ჯადოქარი“. დღეს 12:30-დან 16:30-მდე

— ლოკჰარტს შევხვდებით! — სიხარულისგან შეჰყვირა ჰერმიონმა, — თითქმის ყველა ჩვენი სახელმძღვანელო მისი დანერვილია!

ბრბო ძირითადად ქალბატონ უისლის ასაკის ჯადოქარი ქალებისაგან შედგებოდა. კარებში ერთი შენუხებული ჯადოქარი იდგა და წამდაუნუმ იმეორებდა:

— გთხოვთ, ქალბატონებო, დამშვიდდით... ერთმანეთს ნუ აწვევით... ფროხილად, აქ წიგნებია...

ჰარი, რონი და ჰერმიონი როგორღაც გაძვრნენ წინ. გრძელი, მიხვეულ-მოხვეული რიგის თავში გილდერიო ლოკჰარტი ავტოგრაფებს არიგებდა. ბავშვებმა ლოკჰარტის წიგნები „ჭიაკოკონა ჭინკებთან“ დაითითოვეს და იქითკენ გაემართნენ, სადაც დანარჩენი უისლები და გრეინჯერები იდგნენ.

— აჰ, მოხვედით?! ძალიან კარგი, — ქალბატონ უისლის აღელვებისგან ლაპარაკი უჭირდა, თან გაუთავებლად ისწორებდა ვარსკნილობას, — სულ მალე მას შევხვდებით...

მართლაც, როგორც იქნა, გილდერიო ლოკჰარტი დაინახეს. საკუთარი სურათებით გარმემორტყმულ მაგიდასთან იჯდა, სურათები ხალხს ეშმაკურად უკრავდნენ თვალს და მომხიბლავად უღიმოდნენ. წამდვილ ლოკჰარტს კი კესანესფერი მანტია ეცვა და ძალიან უხდებოდა. ჯადოქრის წვეტიანი ქედი კი სასაცილოდ აჯდა ხვეულ თმაზე.

ერთი დაბალი, ნერვიული კაცი აქეთ-იქით დახტოდა და დიდი შავი აპარატით სურათებს იღებდა. ყოველ გაელვებაზე აპარატიდან მენამული კვამლის ბოლქვები იფრქვეოდა.

— ეი, შენ, გზიდან ჩამომეცალე, — შეუღრინა კაცმა რონს და სურათის გადასაღებად უკან დაიხია, — „დილის მისანში“ ვმუშაობ.

— დიდი ამბავი, — ჩაიბურტყუნა რონმა და ფოტოგრაფის დანაბიჯებ ფეხზე ხელი მოისვა.

გილდერიო ლოკჰარტმა გაიგონა ეს საუბარი, გამოიხედა, ჯერ რონი დაინახა, მერე — ჰარი. უცბად წამოხტა და მთელი ხმით დაიყვირა:

— ნუთუ შენ ხარ, ჰარი პოტერ?!

აღფრთოვანებული ბრბო ორად გაიყო. ლოკჰარტმა ჰარის ხელი ჩააგლო და წინ გამოსწია. ხალხმა ტაში დასცხო. ჰარი საშინლად გაწითლდა. ლოკჰარტი მთელი მონდომებით ართმევდა ხელს, ამასობაში ფოტოგრაფი გიჟივით დარბოდა წინ და უკან და აპარატს აჩხაკუნებდა. ისეთი კვამლი დააყენა, რომ უისლები აღარც კი ჩანდნენ.

— აბა, გაიღიმე, ჰარი; — უთხრა ლოკჰარტმა და თავისი თვალისმომჭრელი კბილები გამოაჩინა, — მე და შენ ერთად უეჭველად პირველ გვერდზე გამოგვჭიმავენ!

ბოლოს, როგორც იქნა, ხელი გაუშვა. ჰარიმ ნატკენი თითების სრესით ისევ უისლებსკენ მოინდომა გაძრომა, მაგრამ ლოკჰარტმა მხარზე ხელი გადახვია და გვერდით ამოიყენა.

— ქალბატონებო და ბატონებო, — გამოაცხადა ლოკჰარტმა და ყურადღების მისაქცევად ხელი დაიქნია, — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ! თქვენის ნებართვით, ერთი განცხადება მინდა გავაკეთო! როცა ახალგაზრდა ჰარი პოტერი „ფლორიმ ენდ ბლოტსში“ შემოვიდა, მხოლოდ ჩემი ავტობიოგრაფიის ყიღვა უნდოდა. მაქვს ბედნიერება, ჰარის ეს წიგნი სრულიად უსასყიდლოდ გადავცე, — ხალხმა ტაში დასცხო, ლოკჰარტმა ჰარი ისე შეანჯღრია, რომ ბიჭს სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა, — მან, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ სინამდვილეში ჩემს ავტობიოგრაფიაზე გაცილებით მეტს მიიღებდა. დიას, ქალბატონებო და ბატონებო, მაქვს პატივი, გამოვაცხადო, რომ სექტემბრიდან ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში ბნელი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებლის პოსტს დაეკავებ და ჰარისა და მის ამხანაგებს პირადად ვასწავლი.

ბრბომ მექუხარე ტაში დასცხო. ჰარის კი გილდეროი ლოკჰარტის თხზულებათა სრული კრებული გადასცეს. წიგნებით დამძიმებული ბიჭი ძლივს გავიდა მოშორებულ კუთხეში, სადაც ჯინი იდგა თავისი ახალი ქვაბით.

— ეს წიგნები შენი იყოს, — უთხრა ჰარიმ და ქვაბში ჩაუწყო, ჩემთვის მერე ვიყიდი...

— კმაყოფილი ხარ, არა, პოტერ? — ჰარიმ ეს ხმა იმწუთსვე იცნო. დრაკო მალფოის, როგორც ყოველთვის, სახეზე ახლაც ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

— სახელგანთქმული ჰარი პოტერი, — განაგრძო მალფოიმ, წიგნის მალაზიაშიც კი ვერ შესულა ისე, რომ გაზეთის პირველ გვერდზე არ გამოჭიმონ!

— თავი დანახე! რა მისი ბრალაა, — თვალეები დაუბრიალა ჯინიმ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჰარის თანდასწრებით ხმა ამოიღო, — რაო, პოტერ, შეყვარებულის იშოვე? — ჩაიქირქილა მალფოიმ, ჯინი წამოჭარხლდა. ამასობაში ლოკჰარტის წიგნებით დატვირთული რონი და ჰერმიონი მოვიდნენ.

— ო, შენც აქ ბრძანდები? — ისე შეხედა რონმა მალფოის, თითქოს ბიჭი კი არა, ფეხსაცმლის ქუსლზე მიკრული ნეხვი იყო, — წარმომიდგენია, როგორ გაგიკვირდა ჰარის დანახვა!

— შენი მალაზიაში ნახვა უფრო გამიკვირდა, უისლი, — არ ჩამორჩა მალფოი, — ალბათ, შენი მშობლები მთელ თავს იშიმშილებენ, რომ წიგნების ფული გადაგიხადონ.

რონი თავის დასავით განითლდა, წიგნები ქვაბში ჩაყარა და მალფოისკენ გაინია, მაგრამ ჰარიმ და ჰერმიონმა ქერთუკში ჩაავლეს ხელი.

— რონ! — შესძახა ბატონმა უისლიმ და ფრედთან და ჯორჯთან ერთად მათკენ წამოვიდა, — რას შვრები? მაღაზიაში არ შეიძლება, გარეთ გავიდეთ!

— ამას ვის ვხედავ! არტურ უისლი! — ბატონი მალფოი შვილს გვერდით ამოუდგა. სახეზე მასაც ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

— ლუციუს, — ბატონმა უისლიმ ცივად დაუკრა თავი.

— როგორც ვიცი, სამინისტროში ძალიან დაკავებული ხართ... ეს ისაო, ეს რეიდებიო... იმედია, ზედმეტი მუშაობისთვის კარგად გიხდიან, — ბატონმა მალფოიმ ქვაბიდან ჭინისთვის ნაყიდი, ყდაშემოხეული ნახმარი „ტრანსფიგურაციის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ ამოიღო, რომელიც ლოკჰარტის პრიალაყდიან წიგნებს შორის საცოდავად იდო, — როგორც ჩანს, ბევრს არაფერს გიხდიან! ღმერთო ჩემო, ნამდვილი ჯადოქრის სახელს არცხვენთ და ამისთვის ნორმალურ ხელფასსაც კი არ გაძლევენ?

ბატონი უისლი შვილებზე მეტად განითლდა.

— ჯადოქრის სახელის შერცხვენა თქვენკენ მოიკითხეთ, ბატონო მალფოი!

— ვითომ? — ბატონმა მალფოიმ ცივი თვალები ბატონ და ქალბატონ გრეინჯერებს მიანათა, — ერთი შეხედეთ, ვისთან მეგობრობთ, უისლი... არ მეგონა, თქვენი ოჯახი ასე თუ დაეცემოდა...

ჭინის ქვაბი დაბზრიალდა, ბატონი უისლი ბატონ მალფოის დაეტაკა და წიგნების თაროს მიანარცხა. თაროებიდან შელოცვის სქელი წიგნები ჩამოცვივდა. ფრედი და ჯორჯი აყვირდნენ:

— მიდი, მამა, დაარტყი!

ქალბატონმა უისლიმ კვილი მორთო:

— არა, არტურ! არა!

ხალხი უკან მიანყდა, თაროები სულ ამოაყირავეს.

— ბატონებო, გთხოვთ... გთხოვთ, — აყვირდა გამყიდველი, მაგრამ ვერაფერს გახდა და მთელი ხმით დაიღრიალა: — გეყოფათ, ხალხო! გეყოფათ-მეთქი!

ამასობაში ჰავრიდმა, როგორც იქნა, წიგნების გროვას თავი დააღწია და მოჩხუბრები გააშველა. ბატონ უისლის ტუჩი გასკდომოდა, ბატონ მალფოის კი „ბაყაყის ქვირითების ენციკლოპედია“ მოხვედროდა თვალში. ჭინის ძველი წიგნი ისევ ხელში ეჭირა. ბოლოს დაბოღმილმა მიაჩეჩა გოგონას:

— აიღე, გოგო! მამაშენი ამაზე უკეთეს ვერაფერს გიყიდის... — ბატონმა მალფოიმ ჰავრიდისგან თავი გაითავისუფლა, დრაკოს რაღაც ანიშნა და მაღაზიიდან გაიძურნა.

— ყურადღება არ უნდა მიგვექცია, არტურ, — უთხრა ჰაგრიდმა და კინალამ ჰაერში აიტაცა, როცა მანტიას უსწორებდა, — დიდი გაფუჭებული ვინმეა, მაგათი ამბავი ყველამ იცის, მთელი ოჯახი ასეთია. მალფოები ყურადღების ღირსებიც არ არიან! ჯიმი აქვთ ასეთი და რას იზამ. წამო, გავიდეთ აქედან...

გამყიდველს უნდოდა, მათთვის ზარალის ანაზღაურება მოეთხოვა, მაგრამ ჰაგრიდს წელამდეც ვერ სწვდებოდა და, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. ჰაგრიდმა ყველანი გარეთ გამოიყვანა. დამფრთხალი გრეინჯერები ჯერ კიდევ კანკალებდნენ, ქალბატონი უისლი კი ცოფებს ყრიდა:

— რა მაგალითს აძლევ შვილებს! სახალხოდ მოგვჭერი თავი... გილდეროი ლოკჰარტი რას იფიქრებდა...

— ძალიან ნასიამოვნები დარჩა, — შეაწყვეტინა ფრედმა, — ვერ გაიგეთ, რა თქვა, ჩვენ რომ გამოვდიოდით? „დილის მისნის“ უურნალისტს უთხრა, კარგი იქნება, სტატიაში ჩხუბსაც თუ ახსენებ, მკითხველი უფრო დაინტერესდებაო.

ბოლოს და ბოლოს, ყველანი მორჩილად გაუყვინნ გზას „გახვრეტილი კარდალისაკენ“. ჰარი და უისლები ფლუ ფებნილის გამოყენებით ისევ „ბუნაგში“ უნდა დაბრუნებულიყვნენ. გრეინჯერები ლუდხანიდან გასვლამდე ყველას გამოემშვიდობნენ. ბატონმა უისლიმ მანც ჰკითხა, ამისხენით, ავტობუსის გაჩერება რას ნიშნავსო, მაგრამ ცოლის განაწყენებული მზერა დაიჭირა და სასწრაფოდ გაჩუმდა.

სანამ ფლუ ფებნილს ცეცხლში ჩაყრიდა, ჰარიმ სათვალე მოიხსნა და ჯიბეში ჩაიღო. არა, ასეთი მგზავრობა გულზე დიდად არ ეხატებოდა.

თავი მეხუთე

მტარვალი ტირიფი

ჰარის გასახარად, ზაფხულის არდადეგები მალე დამთავრდა. „ბუნაგში“ გატარებული ერთი თვე მის ცხოვრებაში უბედნიერესი იყო, მაგრამ მანც ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა ჰოგვორტსში. ზოგჯერ კი, როცა ახსენდებოდა, როგორ ექცეოდნენ დერსლები, ნამდვილად შურდა რონისა, რომელსაც ასეთი ოჯახი ჰყავდა.

გამგზავრების წინაღუდეს ქალბატონმა უისლიმ ზღაპრული სადილი მოამზადა. ჰარის უსაყვარლესი კერძებიდან სუფრას არც ერთი არ აკლდა, თვით მადის აღმძვრელი პუდინგიც კი. ფრედმა და ჯორჯმა სადამო ფლიბუსტიერის შუშხუნებით დააგვირგვინეს, ოთახი ჯერსა და კედლებზე მოხტუნავე წითელი და ლურჯი

ვარსკვლავებით აივსო. ეს სანახაობა ნახევარ საათს მინც გაგრძელდა. ბოლოს ცხელი შოკოლადი მიირთვეს და ძილის დროც დადგა.

მეორე დღით გამგზავრებას ვერა და ვერ დააყენეს საშველი. მართალია, ყველანი დილაუთენია, მამლის ყვილაამდე წამოცვივდნენ საწოლებიდან, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე საქმეს თავი მინც ვერ მოაბეს. ქალბატონ უისლის კინაღამ გუნება გაუფუჭდა ახალი წინდებისა და ბატის ფრთების ძებნაში; ბავშვები თან შებრანულ პურს მიირთმევდნენ, თან ნახევრად ჩაქმულები კიბეზე არბოდნენ და ჩამორბოდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ; ბატონმა უისლიმ კი კინაღამ კისერი მოიტეხა, როცა ჯინის ჩემოდანი მანქანისკენ მიჰქონდა და ქათამი გაებლანდა ფეხებში. ჰარიმ გაიფიქრა: „მინც ვერ ვხედები, რვა ადამიანი, ექვსი დიდი ჩემოდანი, ორი ბუ და ერთი ვირთხა ამ პატარა „ფორდ ანგლიაში“ როგორ ჩაეტევაო!“ სულ დაავიწყდა, რომ ბატონ უისლის წყალობით, ეს მანქანა სულაც არ იყო ჩვეულებრივი.

— მოლისთან არაფერი წამოგცდეს, — გადაუჩურჩულა ბატონმა უისლიმ და აჩვენა, რა თავისუფლად იტევდა ჯადოქრობის წყალობით გაფართოებული საბარგული ექვს ჩემოდანს.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველანი მანქანაში ჩასხდნენ, ქალბატონმა უისლიმ უკანა სავარძლებს გადახედა, სადაც ჰარი, რონი, ფრედი, ჯორჯი და პერსი მშვენივრად მოკალათებულნიყვნენ.

— მაგლებმა მართლა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენ გვგონია, დაასკვნა გრძელ წინა სავარძელზე ჯინისთან ერთად ჩამომჯდარმა ქალმა — გარედან მართლა არ ეტყობოდა, რომ ასეთი ტევადი იყო!

ბატონმა უისლიმ ძრავა ჩართო და მანქანა ნელა გაგორდა ეზოდან. ჰარი მოტრიალდა, რათა სახლისთვის ბოლოჯერ შეეველო თვალი. გაფიქრებას ვერ მოასწრო, ვინ იცის, ამ სახლს კიდევ როდის ვნახავო, რომ უკან დაბრუნდნენ: ჯორჯს ფლიბუსტიერის შუშუნების ყუთი შინ დარჩენოდა. ხუთ წუთში მანქანა ისევ დაამუხრუჭეს, ახლა ფრედი გაიქცა ცოცხის მოსატანად. გბატკეცილს თითქმის უკვე მიაღწენ, როცა ჯინიმ შეჰკვივლა, ჩემი დღიური დამჩაო. ბოლოს, როგორც იქნა, ჯინიც დაბრუნდა. უკვე ძალიან აგვიანდებოდათ და ყველანი ღელავდნენ.

ბატონმა უისლიმ ჯერ საათს დახედა, მერე მეუღლეს მიუბრუნდა.

— მოლი, ძვირფასო...

— არავითარ შემთხვევაში, არტურ!

— ვერავინ ვერ დაგვინახავს. აი, ავერ, უჩინმაჩინის ღილაკს დავაჭერ ხელს, ჰაერში ავიჭრებით, მერე კი ღრუბლებს ზემოთ ვიფრენთ. ათ წუთში მივალთ და თან ვერც ერთი სულიერი ვერ...

— არა-მეთქი, არტურ! დღისით-მზისით არ შეიძლება!

კინგს ქროსის სადგურს რომ მიადგნენ, უკვე თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. ბატონმა უისლიმ ქუჩა გადაირბინა, ჩემოდნებისთვის ურიკები მოაგორა და ყველანი ერთად გაიქცნენ სადგურისკენ.

ჰარი ჰოგვორტისს ექსპრესით პირველად არ მგზავრობდა და იცოდა, რომ ჯერ მაგლებისთვის უჩინარ პლატფორმა ნომერ ცხრა მთელსა და სამ მეოთხედზე უნდა გასულიყვნენ. იქ გასასვლელად კი მეცხრე და მეთექვსმეტე პლატფორმების გამყოფ კედელში უნდა გაეღოთ, ოღონდ ისე, რომ მაგლებს მათი გაქრობა არ შეემჩნიათ.

— პერსი, პირველი შენ ნახვალ, — ქალბატონი უისლი ძალიან ღელავდა და დიდ საათს თვალს არ ამორებდა. კედელში გასვლა სულ რაღაც ხუთ წუთში უნდა მოესწროთ.

პერსი სწრაფად გაიჭრა წინ და გაუჩინარდა. მერე ბატონი უისლი წავიდა, მას ფრელი და ჯორჯი მიჰყვნენ.

— მე ჯინის წავიყვან, თქვენ კი უკან გამომყევით, — უთხრა ქალბატონმა უისლიმ ჰარის და რონს, ჯინის ხელი ჩაჰკიდა და თვალის დახამხამებში გაუჩინარდა.

— ერთად წავიდეთ! მხოლოდ ერთი წუთი დაგვრჩა, — შესთავაზა რონმა ჰარის, ჰარიმ ჰედვიგის გალია შეამოწმა და ურიკა ბარიერისკენ გააგორა, თამამად მიიწვედა წინ, ფლუ ფებნილით მგზავრობას ნამდვილად ეს ერჩია. ბიჭები ურიკის სახელურებს მაგრად ჩაეჭიდნენ და ფეხს აუჩქარეს, ბოლოს უკვე სირბილზე გადავიდნენ, სულ რამდენიმე ნახიჯილა დარჩენოდათ ბარიერამდე და...

ბრახ!

ურიკები კედელს დაეჯახა და უკანვე გამოგორდა. რონის ჩემოდანი ხმაურით ჩამოვარდა, ჰარი ნაიქცა, გალია ტრიალ-ტრიალით გაგორდა პრიალა იატაკზე, ბუმ კვილი მორთო. ხალხი მათ გაოგნებული მიაჩერდა, საიდანღაც დაცვაც გამოჩნდა.

— რა ჯანდაბას აკეთებთ?! — დაუყვირეს ბიჭებს.

— ურიკა ხელიდან გამიცურდა, — ჰარის სუნთქვა შეეკრა და ძლივს წამოდგა.

რონი ჰედვიგისკენ გაიქცა. ბუ მთელი ხმით კიოდა, ხალხი უკმაყოფილოდ ჩურჩულებდა, ცხოველებს რა დღეში აგდებენო.

— რატომ ვერ გავაღწიეთ? — წასჩურჩულა ჰარიმ რონს.

— არ ვიცი... — დამფრთხალმა რონმა მიმოიხედა, ცნობისმოყვარე ხალხი ისევ იქ იდგა.

— მატარებელზე დავაგვიანებთ, — წასჩურჩულა რონმა, — არ მესმის, გასასვლელი რატომ ჩაიკეტა...

ჰარიმ უზარმაზარ საათს ახედა, ნერვიულობისგან მუცელი აუნრიალდა. ათი წამი... ცხრა წამი... მერე ფრთხილად მიაგორა ურიკა ბარიერთან და მთელი ძალით მიაწვა, მაგრამ ლითონს არაფერი მოსვლია.

სამი წამი... ორი წამი... ერთი წამი...

— მორჩა, მატარებელი გავიდა, — ამოიოხრა რონმა, — მშობლებმაც რომ ვერ გამოაღნიონ, რა გვეშველება? მაგლების ფული ხომ არა გაქვს?

ჰარის მწარედ გაეცინა.

— ექვსი წელია, დერსლებს ჩემთვის ჯიბის ფული არ მოუციათ.

რონმა ყური ბარიერს მიაღო.

— არაფერი არ ისმის! ახლა რა ვქნათ? ჩემი მშობლები, ვინ იცის, როლის დაბრუნდებიან.

ბიჭებმა იქაურობა მოათვალიერეს. ხალხი ისევ იქ იდგა და მათ უყურებდა, უფრო ჰედვიგს მისჩერებოდნენ. ბუ გაუჩერებლად კიოდა.

— მგონი, აჯობებს, მანქანასთან დავდგეთ, — იაზრა ჰარიმ, ყურადღებას ვიქცე...

— ჰარი! — რონს თვალეები გაუბრწყინდა, — მანქანა!

— რა მანქანა?

— ჰოვგორტსში მანქანით გავფრინდეთ!

— კი მაგრამ...

— გავიჭედეთ! სხვა გზა არა გვაქვს, სკოლაში უნდა მივიდეთ! ჰოდა, აუცილებლობის შემთხვევაში არასრულწლოვან ჯადოქრებსაც აქვთ ჯადოქრობის გამოყენების უფლება. რაღაც შეზღუდვების, მეცხრამეტე თუ, აღარ მახსოვს, რომელი მუხლის მიხედვით...

ჰარის შიშმა გაუარა და აღფრთოვანებულმა ჰკითხა:

— ფრენა შეგიძლია?

— აბა, რა! — რონმა ურიკა გასასვლელისკენ გაავგორა, — აბა, წავედით! თუ ვიჩქარებთ, ჰოვგორტსის ექსპრესს დავენვეით!

ბიჭებმა ცნობისმოყვარე მაგლების ბრბო გაარღვიეს, სადგურიდან გამოვიდნენ და გვერდით ქუჩას მიაშურეს, სადაც ძველი „ფორდ ანგლია“ იდგა.

რონმა რამდენჯერმე დაჰკრა თავისი ჯადოსნური ჯოხი და საბარგული გაიღო, მერე ჩემოდნები შიგ ჩაალავეს, ჰედვიგი უკანა სავარძელზე დააბრძანეს, თვითონ კი წინა სავარძლებზე დასხდნენ.

— გაიხედე, ვინმე ხომ არ გვითვალთვალავს, — უთხრა რონმა და ჯოხის ერთი დაკვრით ძრავა აამუშავა. ჰარიმ ფანჯრიდან თავი გადაყო, მთავარ ქუჩაზე უამრავი მანქანა დაქროდა, მაგრამ მათი ქუჩა სარიელი იყო.

— ყველაფერი კარგადაა! — მოახსენა რონს.

რონმა პატარა ვერცხლის ღილაკს დააჭირა თითი. ჯერ მანქანა გაქრა, მერე კი თვითონაც გაუჩინარდნენ. ჰარი გრძნობდა, როგორ თუხთუხებდა მანქანა, როგორ ედო მუხლებზე ხელი და ცხვირზე სათვალე ეკეთა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. უჩინაჩინის ღილაკის წყალობით, მხოლოდ თვალეები მოუჩანდა, ისინიც ჩაბნელებულ ქუჩაზე ჰაერში მოტივტივე ბურთებს მიუგავდა.

— წავედით, — მარჯვნიდან მოესმა რონის ხმა.

მინას მოსწყდნენ, უბადრუკ შენობებს ასყდნენ და სულ რამდენიმე წამში ნისლიანი, ათასფრად მოელვარე ლონდონი დაინახეს.

მერე რაღაცამ გაიტკაცუნა — მანქანა, ჰარი და რონი ისევ ხილულები გახდნენ.

— ვაიმე! — შეიცხადა რონმა და უჩინაჩინის ღილაკს მთელი ძალით დააჭირა თითი, — გაფუჭდა...

ახლა ორივენი დაანვნენ ღილაკს, მანქანა გაუჩინარდა, მაგრამ მალევე გამოჩნდა.

— გამაგრდი! — დაუყვირა რონმა, აქსელერატორს მთელი ძალით მიაჭირა ფეხი და მანქანაც დაბლა ჩამოწოლილ ბამბასავით ღრუბლებში შევარდა. ვერაფერს ხედავდნენ, იქაურობა ნისლს დაე. ფარა.

— ახლა რა ვქნათ? — დაიბნა ჰარი, მანქანას ყველა მხრიდან გაუმჭვირვალე ღრუბლები შემორტყმოდა.

— მატარებელი უნდა მოვძებნოთ და ჩვენც იმავე მიმართულებით ვიაროთ, — აუხსნა რონმა.

— მაშინ ისევ დაბლა უნდა ჩავფრინდეო!

ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდნენ და აწრიალებულები იყურებოდნენ ქვემოთ.

— ვხედავ! — დაიძახა გახარებულმა, — აი, აგერ მიდის, ზუსტად ჩვენ ქვემოთ!

ჰოვეორტისის ექსპრესი წითელი გველივით მიიკლაკნებოდა მიწაზე.

— ჩრდილოეთით მიდის, — დაასკვნა რონმა და კომპასს დახედა, — ყოველ ნახევარ საათში მატარებელი უნდა შევამოწმოთ, აბა, მაგრად მოეჭიდე! — ერთი წუთიც და ორივენი მზის თვალისმომჭრელ სხივებში გაეხევივნენ.

აქ სრულიად სხვა სამყარო იყო. მანქანა უხმაუროდ მიაპობდა ფუმფულა ღრუბლებს. უსასრულოდ ლურჯ, კამკამა ცაზე დამაბრმავებლად ელავდა კამკამა მზე.

— ახლა ისღა დაგვრჩენია, თვითმფრინავებს მოვერიდოთ! — თქვა რონმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. კარგა ხანს გაუჩერებლად ხარხარებდნენ.

თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს ზღაპრულ სიზმარს ხედავდნენ. ჰარისთვის რომ გეკითხათ, ასე კარგად არასოდეს უმგზავრია, მზით გამთბარი მანქანა ღრუბლებში მიქროდა. შიდა საბარგული კანფეტებით იყო გატენილი. თან ისიც წარმოიდგინეს, რა შურის თვალით დაუნყებდნენ ცქერას ფრედი და ჯორჯი, როცა მანქანა მსუბუქად დაეშვებოდა ჰოვგორტის ციხე-კოშკის წინ.

ბიჭები ხშირ-ხშირად ჩახედავდნენ ხოლმე მატარებელს, სწორად მიფრინავთ თუ არაო. ღრუბლებს ქვემოთ ყოველი ჩაფრენისას თვალწინ სრულიად სხვადასხვა ხედები ეშლებოდათ. ლონდონი მალე მოიტოვეს უკან და ამზანებულ ველებსაც გადაუფრინეს: ცოტა ხანში კარგა მოზრდილი მონითალო ჭაობი გამოჩნდა, მერე — სოფლები, პანანინა ეკლესიები და უზარმაზარი ქალაქი, სადაც მანქანები ჭრელაჭრულა ჭიანჭველებით ირეოდნენ.

რამდენიმე საათი ისე გავიდა, არაფერი მომხდარა. ჰარიმ ისიც კი გაიფიქრა, ასე მოგზაურობა ცოტა მოსახებრებელი ყოფილაო. კანფეტებმა ბიჭებს პირი გაუშრო, დასალევი კი არაფერი ჰქონდათ. ჯემპრები გაიხადეს, მაგრამ ჰარის მაისური მაინც ენებებოდა სავარძლის საზურგეს და გაოფლილ ცხვირზე წამდაუნუმ სათვალე უცურდებოდა. უკვე ვეღარ ამჩნევდა საოცარი ფორმის ღრუბლებს და ჰოვგორტის მატარებელი ენატრებოდა. მოაგონდა ჩაცვიებული გოგრის წვენი, ბუნჩულა ჯადოქარი გორგოლაჭებიანი ურივით რომ ჩამოატარებდა ხოლმე. ფიქრობდა, ფიქრობდა და ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ვერ შეაღწიეს პლატფორმაზე.

— მალე მივალთ, არა? სად არის მატარებელი? — დაიკრუსუნა რონმა.

კიდევ რამდენიმე საათი გავიდა. მზე ნელ-ნელა ჩაიძირა ღრუბლებში და იქაურობა ვარდისფრად შეღება.

ექსპრესი ზუსტად მათ ქვემოთ, მარადი თოვლით დაფარულ მთებს შორის მიიკვლევდა გზას. ღრუბლების საფარქვეშ ჩამობნელდა.

რონმა აქსელერატორს ფეხი დააჭირა და მანქანა ისევ ზევით აიჭრა, მაგრამ ამ დროს ძრავა უცნაურად აღმუვლდა.

ჰარიმ და რონმა შემფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

— ალბათ, გადაიღალა, — დაასკვნა რონმა, — ამ სიმორეზე არასოდეს უფრენია...

ცა სულ გაშავდა. ბიჭებს თავი ისე ეჭირათ, ვითომ არ ესმოდათ, რომ ძრავა სულ უფრო ხმამაღლა ღმუოდა. სიბნელეში ვარსკვლავები აკიაფდნენ. ჰარიმ ჯემპრი გადაიკვა, ცდილობდა, არ შეემჩნია, როგორ უსუსურად მოძრაობდნენ საქარე მინის სანმენდები, თითქოს აღშფოთებას ასე გამოხატავდნენ.

— ცოტალა დავგრჩა, — რონი უფრო მანქანის გასაგონად ლაპარაკობდა, — ცოტალა დავგრჩა!

ღრუბლების კიდევ ერთი ფენა მოიტოვეს უკან და დაბლა დაემუნენ, მაგრამ უკვე ისე ბნელოდა, რომ ნაცნობი ადგილების გარჩევა ძალიან უჭირდათ.

— დავინახე! — ისე შეჰყვირა ჰარიმ, რონი და ჰედვიგი მოულოდნელობისგან შეხტნენ, — აბა, წინ გაიხედე!

ტბისპირა კლდის თავზე, ჩაბნელებულ ჰორიზონტზე, ჰოვგორტის ციხე-კოშკის ქონგურებიანი სილუეტი გამოჩნდა.

მანქანა უცნაურად ათუხთუხდა და სიჩქარეს უკლო.

— მიდი, რა, — შეეხვეწა რონი მანქანას და საჭეს დაეჯაჭურა, თითქმის მივედით...

ძრავა ახროტინდა, კაპოტიდან ორთქლი გამოვარდა, ჰარიმ შეამჩნია, რომ მთელი ძალით ჩაჰფრენოდა სავარძლის კიდეებს, მანქანამ ავის მომასწავებლად დაიგრუხუნა. ჰარიმ ფანჯრიდან გადაიხედა, წყლის ჩაშავებულ, მოსარკულ ზედაპირს მხოლოდ ერთი მილი ამორებდათ. მანქანამ ისევ დაიგრუხუნა.

— მიდი, რა... — ისევ შეევედრა რონი.

ტბას გასცდნენ, მათ თვალწინ ციხე-კოშკი წამოიჭიმა... რონმა ფეხი ჰედალს დააჭირა.

რალაცამ გაიწკარუნა, რალაცა ამიშინდა და ძრავა ჩაქრა.

— ვაიმე! — აღმოხდა ნირნამხდარ რონს.

მანქანა მთელი სისწრაფით დაეშვა ძირს. ცოტაც და, ციხე-კოშკს შეასკდებოდა.

— არააა! — დაიღრიალა რონმა და საჭე მოატრიალა. კედელს სულ ოდნავ ასცდნენ, მანქანამ ჰაერში რკალი მოხაზა, ჩაბნელებულ სათბურს, ბოსტანს გადაუფრინა და მინდვრებისკენ გაქანდა, თან სულ უფრო დაბლა ეშვებოდა.

რონმა საჭეს ხელი გაუშვა და უკანა ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოაძვრინა. :

— შეჩერდი! შეჩერდი! — რონი გამეტებით ურტყამდა ჯოხს საჭესა და საქარე მინას, მაგრამ მაინც ელვის სისწრაფით მიქროდნენ, ცოტაც და, მინას დაენარცხებოდნენ...

— ხეს მოერიდე! — დაულრიალა ჰარიმ და საჭისკენ გაიწია, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ძახ!

მანქანა საშინელი ხმაურით შეასკდა ხეს და მონყვეტით დაენარცხა მინას. დაჭეჭყილი კაპოტიდან ბოლქვებად ამოდიოდა ორთქლი. დამფრთხალმა ჰედვიგმა

კვილი მორთო, ჰარის თავი საქარე მინისთვის მიერთცა და შუბლზე გოლფის ბურთისოდენა კოპი აჯდა. მარჯვნიდან რონის ჩუმი, საცოდავი კვნესა გაისმა.

— როგორა ხარ? — სასწრაფოდ ჰკითხა ჰარიმ.

— ჩემს ჯოხს შეხედე... — ხმა აუკანკალდა რონს.

ჯადოსნური ჯოხი თითქმის ორად იყო გატეხილი, წვერი საცოდავად ეკიდა. ჰარიმ დააპირა ეთქვა, ნუ გეშინია, სკოლაში ჯოხს გაგიმთელეებნო, მაგრამ ამ დროს მანქანას გამძვინვარებული ხარით დაეტაკა რაღაცა. ჰარი რონის მხარეს გადავარდა და იმავე წამს ის რაღაცა სახურავსაც დაეხეთქა.

— რა ჯანდაბა ხდე...

რონმა საქარე მინიდან გაიხედა და სუნთქვა შეეკრა. ჰარიმაც მიიხედა და სწორედ ამ დროს ხემ ჰითონის სისქის ტოტი მანქანას კიდევ ერთხელ დასცხო.

ხე თითქმის შუაზე გადალუნულიყო და თავის დაბრეცილ ტოტებს მთელი ძალით ურტყამდა მანქანას.

— ვაიმევე! — დაიგმინა რონმა, როცა გამძვინვარებულმა ხემ მარჯვენა კარს შეუტია; საქარე მინა უკვე ველარ უძლებდა დარტყმებს, სახურავი კი ბეისბოლის ჯოხისოდენა ტოტმა თითქმის სულ ჩალუნა.

— გავიქცეთ! — დაიყვირა რონმა და მთელი ძალით მიანვა კარს, მაგრამ ხემ ისე ძლიერად დასცხო მანქანას, რომ რონი ჰარის კალთაში აღმოჩნდა.

— დავიღუპეთ! — ამოიღწავლა რონმა. სახურავი მთლად ჩამოიბრცა. უცებ მანქანა შეინძრა და ისევ ამუშავდა.

— უკანა სიჩქარეში ჩაავდე! — შესძახა ჰარიმ. მანქანა უკუსვლით გავარდა. ხე მაინც ვერ ისვენებდა, ფესვები ააჭრიალა, თითქოს მინიდან ამოხტომას ლამობსო, გამწვანებული იქნევა ტოტებს, მაგრამ მანქანას უკვე ველარ სწვდებოდა.

— მორჩა, — რონი ძლივს სუნთქავდა, — ყოჩაღ, მანქანავ!

მაგრამ მანქანას, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა ავესო. ორჯერ ხმამაღლა გაჩხუუნდა და ორივე კარი ფართოდ გაიღო. ჰარიმ იგრძნო, რომ მისი სავარძელი გვერდით გადაცურდა და უცებ, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე გაიშლართა ტალახში. ამასობაში საბარგულიც გაიღო და ხმაურით გადმოცვივდა ჩემოდნები. ჰედვიგის გალია ფანჯრიდან გამოვარდა, საკეტი დაილენა. ბუ ხმამაღლა, გაბრაზებით აკვივდა და უკანმოუხედავად გაფრინდა ციხე-კოშკისკენ. მერე სულ მთლად დაჭეჭილი, დაკანწული და ორთქლში გახვეული მანქანა სიბნელებში შეგორდა, თან გაბორბლებით უელავდა უკანა ფარები.

— დაბრუნდი! — უყვიროდა რონი და ჯადოსნურ ჯოხს გამწვანებული იქნევა, — მამაჩემი მომკლავს!

არაქათგამოცლილმა მანქანამ ერთი ამოიქმინა და თვალს მიეფარა.

— წარმოგიდგენია?! — საცოდავად ამოიკნავლა რონმა და სკაბერზი ხელში აიყვანა, — რალა მაინცდამაინც ისეთ ხეს დავეჯახეთ, დარტყმაზე რომ დარტყმით გპასუხობს!

რონმა ხეს გახედა. ის ისევ ავის მომასწავებლად იქნევედა ტოტებს.

— წამო, სკოლაში შევიდეთ, — ძლივს ამოიღო ხმა ჰარიმ.

ერთი სიტყვით, სკოლაში ჩამოსვლა სულაც არ გამოუვიდათ ისეთი საზეიმო, როგორც წარმოედგინათ. გათოშილებმა და გადაღლილებმა მძიმე ჩემოდნები ძლივს მიათრიეს ციხე-კოშკის მუხის დიდ კართან.

— მე მგონი, ბანკეტი უკვე დაიწყო, — რონმა ჩემოდანი კიბესთან დადგა და ფეხაკრეფით მიიპარა განათებულ ფანჯარასთან, — ჰარი, მოდი, შეიხედე! განაწილების ცერემონია დაწყებულა!

ჰარიმ და რონმა დიდ დარბაზში შეიჭყიტეს.

ოთხ მაგიდას მოსწავლეები შემოსხდომოდნენ. ჰაერში მოლივლივე უამრავი სანთლის შუქზე ოქროს თევზები და ფიალები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. სულ ზემოთ კი, მოჭადრობულ ჭერში, მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩანდა.

ჰოგვორტსელთა წაწვეტებულ ქედებს შორის მალე გრძელ რიგად ჩამსკრივებული დაბნეული პირველკურსელები გამოჩნდნენ. უისლებისთვის დამახასიათებელი უღალი თმის წყალობით ჯინი ადვილად შეამჩნიეს. ამასობაში სათვალთანმა ჯადოქარმა, პროფესორმა მაკგონაგელმა პირველკურსელებს წინ სკამი დაუდგა და ზედ ჰოგვორტსის ცნობილი გამანაწილებელი ქუდი შემოღო.

ეს ძველი, დაკემსილი, დამტვერილი ქუდი ახალ სტუდენტებს ჰოგვორტსის ოთხ კლუბში ანაწილებდა: გრიფინდორში, ჰაფლეპაფში, რეივენქლოში და სლიზერინში. ჰარის ძალიან კარგად ახსოვდა, როგორ ეხურა ეს ქუდი ერთი წლის წინ, როგორ იჯდა გამეშვებული და ელოდა, სად გაანაწილებდნენ. ისიც გაახსენდა, რომ ერთხანს შეშინდა კიდევ, რადგან ქუდი სლიზერინში უპირებდა გამწესებას, სადაც ყველაზე მეტი ბოროტი ჯადოქარი აღიზარდა, მაგრამ საბოლოოდ გრიფინდორში მოხვდა ჰერმიონთან, რონთან და რონის ძმებთან ერთად.

განაწილების ცერემონია დაიწყო. პირველად ერთი ძალიან პატარა, თავისფერთმიანი ბიჭი გამოიძახეს და ქუდი დაახურეს. ჰარიმ დირექტორისკენ, პროფესორ დამბლდორისკენ გაიხედა. პროფესორი მასწავლებლების მაგიდასთან იჯდა, ცერემონიას თვალს ადევნებდა. გრძელი, შევერცხლილი წვერი და ნახევარმთვარისებური სათვალე სანთლის შუქზე უელავდა. იქვე ახლოს კამკამა ცისფერ მანტიაში გამონწყობილი გილდეროი ლოკჰარტი დაბრძანებულიყო. მაგიდის ბოლოში კი გაბურძენილი გოლიათი ჰაგრიდი იჯდა და ფიალას ფიალაზე ცლიდა.

“ — მოიცა... — გადაუჩურჩულა ჰარიმ რონს, — მასწავლებლების მაგიდასთან ერთი სკამი ცარიელია! სნეიპი სად არის? პროფესორი სევერუს სნეიპი მასწავლებლებს შორის ყველაზე ნაკლებად უყვარდა. წარმოიდგინეთ, არც სნეიპისთვის იყო ჰარი უსაყვარლესი მოსწავლე. შხამ-წამლების ოსტატი, ბოროტი, დამცინავი სნეიპი არავის არ უყვარდა თავისი კლუბის, სლიზგერინის მოსწავლეების გარდა.

— ალბათ, ავადაა, — ივარაუდა რონმა.

— იქნებ, საერთოდ წავიდა სკოლიდან! — იმედი გაუჩნდა ჰარის, — წელსაც ხომ ვერ გახდა ბოროტი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებელი!

— ან, სულაც, აქედან მიაბრძანეს, — აღფრთოვანდა რონი, — ხომ იცი, ყველას ეზიზღება...

— ან იქნებ, თქვენს ახსნა-განმარტებებს ელოდება! სკოლის მატარებლით რატომ არ ჩამობრძანდით, ყმანვილებო? — შემოესმათ უკნიდან ვილაცის ხმა.

ჰარი მიტრიალდა. სევერუს სნეიპს ცივი ნიავი შავ მანტიას უფრიალებდა. სნეიპი გამხდარი კაცი იყო, მოყვითალო კანი და მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა, გაზინტლული თმა მხრებამდე სწვდებოდა. სახეზე ისეთი ბოროტი ღიმილი დასთამამებდა, ჰარი და რონი მიხვდნენ, რომ მათი საქმე ცუდად იყო.

— გამომყევით, — უბრძანა სნეიპმა.

ბიჭები უხმოდ გაჰყვნენ პროფესორს, ერთმანეთისთვის შეხედვასაც კი ვერ ბედავდნენ. ბოლოს ჩირაღდნებით გაბრღვიანებულ უზარმაზარ ჰოლოში შევიდნენ. დიდი დარბაზიდან უგემრიელესი კერძების სურნელი გამოდიოდა, მაგრამ სნეიპმა ისინი, განათებული და თბილი დარბაზის ნაცვლად, ვინრო ქვის კიბით სარდაფებისკენ წაიყვანა.

— მიბრძანდით! — სნეიპმა კარი გამოაღო და ცივი დერეფნისკენ მიუთითა.

აკანკალებული ბიჭები სნეიპის კაბინეტში შევიდნენ. პირქუშ კედლებზე დამაგრებული თაროები უზარმაზარი მინის ქილებით იყო სავსე. ქილებში ისეთი საზიზღარი რაღაცეები ტივტივებდა, რომ ჰარის არც უნდოდა, მათი სახელები სცოდნოდა. ბუხარში ცეცხლი არ ენთო. სნეიპმა კარი მიხურა და ბიჭებს თვალი თვალში გაუყარა.

— რაო, სახელგანთქმულ ჰარი პოტერსა და მის მარჯვენა ხელს, უისლის, უკვე მატარებელი აღარ აკმაყოფილებთ?! მაინცდამაინც ხმაურით უნდა ჩამობრძანებულიყავით, ვაჟბატონებო?!

— არა, სერ, უბრალოდ, კინგს ქროსის სადგურზე ბარიერი ვერ...

— ხმა ჩაიწყვიტეთ, — მკაცრად ბრძანა სნეიპმა, — მანქანას რა უქენით?

რონი სახტად დარჩა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა ჰარის მოეჩვენა, ამ კაცს აზრების წაკითხვა შეუძლიაო. მაგრამ უცებ ყველაფერს მიხვდა: სნეიჰმა „საღამოს მისნის“ იმდღევანდელი ნომერი გაშალა.

— დაგინახეს! — სიამოვნებით ამცნო სნეიჰმა და სათაურზე მიუთითა: „მფრინავი „ფორდ ანგლია“ მაგლებს საგონებელში ავდებს“, — მერე ხმამაღლა დაიწყო კითხვა: — „ორი ლონდონელი მაგლი ირწმუნება, რომ ფოსტასთან „ფორდ ანგლიას“ მარკის ძველი მფრინავი ავტომობილი შეამჩნიეს... შუადღისას ნორფოლკში ქალბატონი ჰეტი ბეილისი სარეცხს ფენდა, როცა... პილზის მცხოვრებმა ბატონმა ანგუს ფლიტმა პოლიციას განუცხადა...“ ექვსმა თუ შვიდმა მაგლმა დაგინახათ! როგორც ვიცი, მამაშენი მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების განყოფილებაში მუშაობს, არა? — სნეიჰმა რონს გადახედა, სახეზე ახლა უფრო საძველი ღიმილი დასთამაშებდა, წარმოგიდგენიათ?!... საკუთარმა შვილმა რა დღეში ჩაავდო... ჰარის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს იმ გიჟმა ხემ ტოტები მთელი ძალით დასცხო მუცელში. ვინ იცის, რა მოხდება, თუ გაიგეს, რომ მანქანა ბატონმა უისლიმ მოაჭადოვა... ამაზე არ უფიქრია...

— ჰარკი დავათვალიერე! როგორც ჩანს, ჩვენთვის ფრიალ მნიშვნელოვანი მტარვალაი ტირითი ძალიან დაგიზიანებიათ, — განაგრძო პროფესორმა სნეიჰმა.

— მაგ ხემ ჩვენ უფრო მეტად დაგვაზიანა... — შეეპასუხა რონი.

— ხმა-მეთქი! — შეუღრინა ბატონმა სნეიჰმა, — სამწუხაროა, რომ ჩემი კლუბის წევრები არა ხართ და ამიტომ მე ვერ გავრიცხავთ. ახლავე წავალ და იმას მოვიყვან, ვისაც ეს საქმე ეხება. აქედან ფეხი არ მოიკვალოთ!

ჰარი და რონი გაფითრებულები მიაჩერდნენ ერთმანეთს. ჰარის უკვე აღარ შიოდა, ახლა რატომღაც გული ერეოდა. ცდილობდა, არ შეეხედა სნეიჰის მაგიდის უკან, თაროზე შემოდგმული მწვანე სითხით სავსე ქილისთვის, რომელშიც უზარმაზარი, ნებოვანი რაღაცა დასურავდა.

თუ სნეიჰი გრიფინდორის კლუბის ხელმძღვანელის, პროფესორ მაკგონაგელის მოსაყვანად წავიდა, კარგი არაფერი ელოდათ. მაკგონაგელი სნეიჰზე უფრო სამართლიანი, მაგრამ, ამავე დროს, უფრო მკაცრიც იყო.

სნეიჰი ათ წუთში დაბრუნდა და, რასაკვირველია, თან პროფესორი მაკგონაგელი მოიყვანა. ჰარის არაერთხელ უნახავს გაბრაზებული მაკგონაგელი, მაგრამ ასეთი განრისხებული — არასოდეს. ქალს ავად მოეკუმა ტუჩები, შემოსვლისთანავე აიქნია თავისი ჯადოსნური ჯოხი. ჰარი და რონი საცოდავად მოიკუნტნენ, მაგრამ პროფესორმა ჯოხი ბუხრისკენ გაიშვირა და ცეცხლი გააჩაღა.

— დასხედით, — ბრძანა პროფესორმა. ბიჭები ბუხართან ახლოს სკამებზე ჩამოსხდნენ.

— გისმენთ, — ქალს სათვალე შიშის მომგვრელად უელავდა.

— ჩვენ არჩევანი არ გვექონდა, პროფესორო, მატარებლამდე ვერ მივედი. — რონი იმის მოყოლას შეუდგა, როგორ ვერ შეაღწიეს პლატფორმის ბარიერში...

— წერილი რატომ არ გამოგვიგზავნეთ? მე როგორც ვიცი, ბუ გყავს, — მკაცრად უთხრა პროფესორმა ჰარის.

ჰარი გაოცებული მიაჩერდა, ასეთი მარტივი რამ როგორ ვერ მოვიფიქრეო.

— მე... იცით, მე არ მიფიქრია...

— ეს ხომ თავისთავად ცხადია!

კარზე ვილაყამ დააკაკუნა, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულმა სწიშმა კარი გააღო და ხელთ სკოლის დირექტორი, პროფესორი დამბლდორი შერჩა.

ჰარი გაქვავდა.

დამბლდორმა ბიჭებს ისე მკაცრად შეხედა, რომ ჰარიმ ინატრა, ნეტავ, ისევ იმ მტარვალის ტირიფის ხელში ვიყოთო.

სამარისებური სიჩუმე კარგა ხანს არავის დაურღვევია. ბოლოს დამბლდორმა იკითხა:

— თუ შეიძლება, აგვიხსენით, ასე რატომ მოიქციეთ.

პროფესორ დამბლდორს ხმაზე ეტყობოდა, რომ გულგატეხილი იყო. ჰარი თვალს ვერ უსწორებდა, თავჩალუნულმა უამბო ყველაფერი. მხოლოდ ის არ უთქვამს, რომ მოჯადოებული მანქანა ბატონ უისლის ეკუთვნოდა. ისე გამოიყვანა, თითქოს მან და რონმა მფრინავი მანქანა სადგომზე შემთხვევით იპოვეს. ჰარიმ იცოდა, დირექტორი მაინც მიხვდებოდა, რომ მოატყუა, მაგრამ დამბლდორს მანქანის შესახებ არაფერი უკითხავს. ჰარი მოყოლას მორჩა, დამბლდორი კი ისევ ღუმდა და დაკვირვებით ათვალიერებდა ბიჭებს.

— წავალთ, ჩვენს ნივთებს ავიღებთ, — უიმედოდ ამოიკნავლა რონმა. :

— რა თქვი, უისლი? — შეუღრინა პროფესორმა მაკონაგელმა.

— სკოლიდან გავგრიცხავთ, არა? — რონმა დამბლდორს გადახედა.

— დღეს არ გავგრიცხავთ, მისტერ უისლი, — წყნარად თქვა დამბლდორმა, — მაგრამ ძალიან მინდა, ორივეს გესმოდეთ, რა სერიოზული დანაშაული ჩაიდინეთ. თქვენს ოჯახებს ამ საღამოსვე წერილებს გავუგზავნი. ასევე მინდა, გაგაფრთხილოთ, მსგავს საქციელს თუ კიდევ გაიმეორებთ, სხვა გზა არ მექნება, სკოლიდან გავგრიცხავთ.

სწიშის გუნება მოეშხამა, ხმის ჩასანმენდად ჩაახველა და დამბლდორს შეეკამათა:

— კი მაგრამ, პროფესორო, ამ ყმანვილებმა არასრულწლოვანთა ჯადოქრობის შეზღუდვის შესახებ არსებული კანონი დაარღვიეს, უძველესი და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხე დააზიანეს... ამგვარი ქმედებები, რა თქმა უნდა...

— ამ ბიჭების დასჯა პროფესორ მაკგონაგელის საქმეა, სევერუს, შეაწყვეტინა დამბლდორმა, — ისინი მის კლუბში არიან და პასუხსაც თავად ავებს, — მერე მაკგონაგელს მიუბრუნდა: — ბანკეტზე უნდა დავბრუნდე, მინერვა! რალაც უნდა გამოვაყვანო. სევერუს, შენც გამომყევი... მინდა კრემიანი ტორტი გავსინჯო.

თავისი კაბინეტიდან გასვლისას სწიპმა რონსა და ჰარის შხამიანი მზერა ესროლა და პროფესორ მაკგონაგელთან მარტო დატოვა. ქალი ჯერ კიდევ მრისხანედ აბრიალებდა თავლებს.

— უისლი, ჯობია, საავადმყოფო ფლიგელში წახვიდე, სისხლი მოგდის.

— არა უშავს, — რონმა სახელოთი სასწრაფოდ მოინმინდა თვალს ზემოთ პატარა ნაკანრი, — ჩემი დის განაწილებას მინდა დავესწრო, პროფესორო...

— განაწილების ცერემონია უკვე დამთავრდა, შენი დაც გრიფინდორში მოხვდა.

— რა კარგია! — გაუხარდა რონს.

— და რახან გრიფინდორზე ჩამოვარდა სიტყვა... — მკაცრად წამოიწყო მაკგონაგელმა, მაგრამ ჰარიმ შეაწყვეტინა.

— პროფესორო, როცა ჩვენ მანქანა მოვიპარეთ, სწავლა ჯერ დაწყებული არ იყო, ასე რომ, გრიფინდორი ქულებს არ დაკარგავს, არა?

— გრიფინდორი ქულებს არ დაკარგავს, მაგრამ თქვენ ორივენი დამატებით გაკვეთილებზე დარჩებით! — ბრძანა პროფესორმა და ჰარის გამგმირავი მზერა ესროლა, მაგრამ ჰარის მოეჩვენა, გაელიმაო. ყოველ შემთხვევაში, ახლა ტუჩები ისე მკაცრად აღარ ჰქონდა მოკუმული.

სასჯელი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე ჰარის ეგონა. რაც შეეხება დამბლდორის წერილს დერსლებისადმი, ეს სულაც არ იყო სათვალავში ჩასადები. ჰარიმ ძალიან კარგად იცოდა, დერსლებს გულიც კი დასწყდებოდათ, მტარვალმა ტირიფმა ლავაშივით რომ არ გააბრტყელა.

პროფესორმა მაკგონაგელმა ხელახლა აიქნია ჯობი და სწიპის მაგიდისკენ გაიშვირა. რალაცამ გაიტკაცუნა და მაგიდაზე სენდვიჩებით სავსე თეფში, ორი ვერცხლის ფილა და ჩაცივებული გოგრის წვენი გაჩნდა.

— აქ ისადილებთ, მერე პირდაპირ საძინებელში წახვალთ. მე ბანკეტზე უნდა დავბრუნდე.

როცა პროფესორმა კარი გაიხურა, რონმა გაოცებისგან ხმადაბლა, გაბმით დაუტკინა:

— მეგონა, ვერ გადავრჩებოდით, — და სენდვიჩს სტაცა ხელი.

— მეც, — ჰარიმაც აიღო ერთი სენდვიჩი.

— წარმოგიდგენია, როგორ გავვიღიმა ბედმა?! — რონს პირი ქათმის ხორცითა და ლორით ჰქონდა გამოტენილი, — ფრედმა და ჯორჯმა ხუთ-ექვსსჯერ მაინც იფრინეს მანქანით და არც ერთ მაგლს არ დაუნახავს! — რონმა კიდევ ერთი უზარმაზარი ლუკმა მოკბიჩა, — მაინც რატომ ვერ გავალწიეთ ბარიერში?

ჰარის გააჟრჟოლა.

— ახლა ფრთხილად უნდა ვიყოთ, — ჰარიმ გემრიელად მოსვა გოგრის წვენი, — ნეტავ, ბანკეტზე შევეშვით...

— ალბათ, არ უნდა, რომ ყველას თვალწინ დავინწყოთ ტრაბახი, დაასკვნა რონმა, — ხომ შეიძლება, ხალხს ჭკუაში დაუჯდეს მფრინავი მანქანით მგზავრობა.

იმდენი სენდვიჩი შეჭამეს, ძლივსლა სუნთქავდნენ, დაცარიელებული თევში კი თავისით ივსებოდა. ჭამას რომ მორჩნენ, კაბინეტიდან გავიდნენ და გრიფინდორის ოთახისკენ წავიდნენ. სრული სიჩუმე იდგა. როგორც ჩანს, ბანკეტი უკვე დამთავრებულიყო.

მოხუბბუტე პორტრეტებსა და მოჭრიალე აბჯრებს ჩაუარეს, ქვის ვიწრო კიბეზე ავიდნენ და, ბოლოს და ბოლოს, იმ დერეფანს მიაღწენენ, სადაც ვარდისფერ კაბაში გამონყობილი ფუმუფუმა ქალბატონის პორტრეტის უკან გრიფინდორის საიდუმლო შესასვლელი იყო.

— პაროლი? — ჰკითხა ქალმა მოახლოებულ ბიჭებს.

— ისაა... — დაიბნა ჰარი.

წლევანდელი პაროლი ჯერ არ იცოდნენ, რადგან გრიფინდორის პრეფექტის ნახვა ვერ მოასწრეს. მათდა საბედნიეროდ, ნაბიჯების ხმა შემოესმათ და აქოშინებული ჰერმიონი დაინახეს.

— ძლივს გიპოვეთ! სად დაიკარგეთ? სულელური და სასაცილო ჭორი გითხრათ? თქვენზე თქვეს, მფრინავი მანქანის დამტვრევისათვის სკოლიდან გარიცხესო.

— როგორც ხედავ, არ გავურიცხივართ, — დამშვიდა ჰარიმ.

— არ მითხრათ, აქ მანქანით მოვფრინდითო! — ჰერმიონის ხმამ პროფესორ მაკგონაგელივით მკაცრად გაიჟღერა.

— მოვეშვათ ამ თემამე ლაპარაკს, — ველარ მოითმინა რონმა, ახალი პაროლი გვითხარი!

— „ბიბილო“, მაგრამ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! — გაცხარდა ჰერმიონი.

ამ დროს ფუშქუშა ქალბატონის პორტრეტი გადაინია და ტაშის გრიალმა ჰერმიონს სიტყვა შეანწყვეტინა. როგორც ჩანს, გრიფინდორის კლუბში არავის ეძინა, ყველანი საერთო ოთახში შეკრებილიყვნენ და რონსა და ჰარის ელოდნენ. გრიფინდორელები მათ პორტრეტის ხერხელში გაძრომაში მიხმარნენ, ჰერმიონი კი არავის გახსენებია და თავისით გადაფორთხდა.

— ბრწყინვალეა! — აღტაცებას ვერ მალავდა ლი ჯორდანი, — პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ! ჩამოსვლაც ამას ჰქვია! მფრინავი მანქანით პირდაპირ მტარვალ ტირიფს არ დაეჯახეთ?! ამაზე წლობით ილაპარაკებენ!

— ყოჩაღ! — ეუბნებოდა ჰარის ერთი მეხუთეკურსელი, რომელსაც მანამდე არასოდეს დალაპარაკებია. ვიდაც ზურგზე უტყაპუნებდა ხელს, თითქოს ეს-ესაა, მართონი მოვგოს. ფრედმა და ჯორჯმა ბავშვების ჯგუფი ძლივს გაარღვიეს.

— ჩვენ რატომ არ დაგვიძახებთ? უკან დავბრუნდებოდით!

რონი ყურებიანად განითლებულიყო და უხერხულად იღიმებოდა. თუმცა ჰარიმ მანაც შეამჩნია ერთი ადამიანი, ვისაც ეს ამბავი არ ახარებდა: აღფრთოვანებული პირველკურსელების უკან ჰერსი იდგა და საყვედურის სათქმელად წინ გამოსვლას ცდილობდა.

ჰარიმ რონს იდაყვი გაჰკრა და პერსიზე ანიშნა. რონი იმწამსვე მიუხვდა.

— მაღლა უნდა ავიდეთ, ცოტა დავიდალეთ, — და ორივენი ოთახის მეორე ბოლოსკენ გაემართნენ, საიდანაც ხვეული კიბე საძინებლებში აღიოდა.

— ძილი ნებისა, — გასძახა ჰარიმ მოლუშულ ჰერმიონს.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, კიბე აირბინეს და თავიანთ ძველ საძინებელ ოთახს მიაღვინენ. კარზე ეწერა: „მეორეკურსელები“. კარგად ნაცნობ მრგვალ ოთახში შევიდნენ, სადაც ვინრო, მაღალი ფანჯრები და წითელი ხავერდით განწყობილი ჩარდახიანი ხუთი სანოლი იდგა. ჩემოდნები უკვე ამოეტანათ და სანოლებთან დაელაგებინათ.

რონმა ღიმილით აღიარა დანაშაული.

— ვიცი, არ უნდა შემეფერებინა, მაგრამ...

საძინებლის კარი ფართოდ გაიღო და ოთახში მეორეკურსელი გრიფინდორელები: სიმუს ფინიგანი, დინ ტომასი და ნევილ ლონგბოტომი შემოვიდნენ.

— არ მჯერა!

— რა მაგარია!

— მართლა საოცარია! — ყვიროდნენ ბიჭები.

ჰარიმ თავი ველარ შეიკავა და გაიღიმა.

თავი მეექვსე

გილდეროი ლოკპარტი

მეორე დღეს ჰარის სასაცილოდ სულაც არ ჰქონდა საქმე. უსიამოვნებები დიდ დარბაზში საუბრობისას დაიწყო. ოთხივე კლუბის გრძელ მაგიდებზე უამრავი საჭმელი ელაგა: ფაფა, შებოლილი თევზი, გახუხული პური, კვერცხები და ლორი. მოჯადოებული ჭერი რუხი ღრუბლებით იყო დაფარული. ჰარი და რონი გრიფინდორის მაგიდასთან დასხდნენ, ჰერმიონის გვერდით. გოგონას „პრისპირ გამპირებთან“ ჰქონდა გადაშლილი. ბიჭებს ცივად მიესალმა და ჰარი მიხვდა, რომ ჯერ კიდევ გაბრაზებული იყო. სამაგიეროდ, ნევილ ლონგბოტომი მიესალმა მხიარულად. პუტკუნა ნევილი სულ შარში ეხვეოდა და ყოველთვის ყველაფერი ავიწყლებოდა.

— სადაცაა ფოსტას მივიღებთ, რალაც-რალაცები შინ დამრჩა, იმედია, ბებიამ გამომიგზავნის.

ის-ის იყო, ჰარი ფაფის ჭამას შეუდგა, რომ დარბაზი ახმაურდა და იქაურობა ბუებით აივსო. ჰარში ასამდე ბუ ტრიალებდა და ლაპარაკში გართულ მოსწავლეებს წერილებსა და ფუთებს უყრიდა. ერთი მოზრდილი ფუთა ნევილს მოხვდა თავში. იმავე წამს რალაც უშველებელი და ნაცრისფერი ჩავარდა ჰერმიონის ჯამში და ყველანი რძით განუნა.

— ეროლ! — შესძახა რონმა და ამოგანგლული ბუ ჯამიდან ამოიყვანა. ეროლი უკონოდ დაეცა მაგიდაზე და თევზები მალლა აიშვირა, ნისკარტით სველი წითელი კონვერტი ეჭირა.

— ვაიმე! — ამოიგმინა რონმა.

— ნუ გეშინია, არ მომკვდარა, — დაამშვიდა ჰერმიონმა და ბუს ფროთხილად შეახო თითი.

— მაგაზე არ ვამბობ... აი, შეხედე! — რონმა წითელ კონვერტზე ანიშნა. ჰარისთვის ეს სრულიად ჩვეულებრივი კონვერტი იყო, მაგრამ რონი და ნევილი ისე უყურებდნენ, თითქოს, სადაცაა, აფეთქდებო.

— რა ხდება? — დაიბნა ჰარი.

— ჩემთვის ღრიალა გამოუგზავნიათ, — მიუგო ნირნამხდარმა რონმა.

— რონ, ჯობია, გახსნა, — გადაუჭურჩულა ნევილმა, — თუ არ გახსნი, უარესი იქნება! ერთხელ მეც გამომიგზავნა ბებიაჩემმა, ყურადღება არ მივაქციე და საშინელება მოხდა!

ჰარი ვერაფერს მიხვდა, ხან კონვერტს უყურებდა, ხან მათ გაქვავებულ სახეებს.

— ღრიალა რა არის?

რონი დაძაბული მისჩერებოდა კონვერტს, რომელსაც კუთხეებზე უკვე ბოლი ასდიოდა.

— გახსენი! — დააჩქარა ნევილმა, — სულ რამდენიმე წუთში ყველაფერი დამთავრდება...

რონმა ეროლს აკანკალებული ხელით გამოაცალა ნისკარტიდან წერილი და გახსნა. ნევილმა ყურები თითებით დაიხსო. ჰარის ეგონა, კონვერტი აფეთქდაო — საშინელმა ღრიალმა უზარმაზარი დარბაზი ისე შეაზანზარა, ჭერიდან მტვერიც კი ჩამოცვივდა.

„მანქანა მოიპარე! ღირსი ხარ. სასოლიდან გაგრიცხონ! დამაცადე, მე შენ გიჩვენებ სერს! არც კი ვიფიქრია, რა დაგვემართებოდა მე და მამაშენს, როცა მანქანა ადგილზე არ დაგვხვდებოდა!“

ქალბატონ უისლის ყვირილი ჩვეულებრივზე ასჯერ უფრო ხმამაღლა ისმოდა, მაგიდეებზე ჭურჭელი აზრიალდა, ქვის კედლები გამაყრუებელ ექოს გამოსცემდა. ბავშვები კისერწაგრძელებულები იყურებოდნენ, რომ დაენახათ, ვინ მიიღო ღრიალა. რონი ლამის მაგიდის ქვეშ ჩაძვრა, მხოლოდ განითლებული შუბლილა უჩანდა.

„წუხელ დამბლდორის წერილი მივიღეთ! მამაშენი კინალამ მოკვდა სირცხვილით! ამას გასწავლიდით? ამისთვის გაგზარდეთ? შენ და ჰარი რომ დახოცილიყავით?!“

ჰარი ელოდა, რომ ქალბატონი უისლი მის სახელსაც ახსენებდა, მაგრამ ახლა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ესმოდა, თუმცა, ღრიალასგან ყურები ლამის დახეთქოდა.

„რა სირცხვილია! მამაშენს სამსახურში დაჰკითხავენ და ეს სულ შენი ბრალია! იცოდე, კიდევ რამეს თუ დააშავებ, შინ წამოგაბრძანებთ!“

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. რონს წერილი ხელიდან გაუვარდა, წითელი კონვერტი მაშინვე ცეცხლის ალში გაეხვია და წამში დაიფერფლა. ჰარი და რონი გაშეშებული იხსდნენ, თითქოს უზარმაზარმა ტალღამ გადაუარათო. მერე აქა-იქ სიცხილი გაისმა... თანდათან ყველანი ისევ ალაპარაკდნენ.

ჰერმიონმა „პირისპირ ვამპირებთან“ დახურა და მაგიდის ქვეშ ჩამძვრალ რონს უთხრა:

— რონ, არ ვიცი, რას ელოდი, მაგრამ...

— არ მითხრა, რომ დავიმსახურე! — შეუღრინა რონმა.

ჰარიმ ფაფა გვერდზე გადადგა. თავს დამნაშავედ გრძნობდა. მის გამო ბატონ უისლის სამსახურში დაკითხვა ელოდა, არადა, უისლები მთელ ზაფხულს თავს ევლებოდნენ... თუმცა, ჰარის დიდხანს ფიქრი არ დასცალდა, რადგან გრიფინდორის მაგიდასთან პროფესორი მაკგონაგელი მივიდა და („ცხრილები დაარიგა. ჰარიმ ნახა, რომ ჰერბოლოგიის გაკვეთილები ჰაფლეპაფლებთან ერთად ჰქონდათ.

ჰარი, რონი და ჰერმიონი ციხე-კოშკიდან ერთად გავიდნენ, ბოსტანი გაიარეს და სათბურისკენ გაემართნენ, სადაც ჯადოსნური მცენარეები იზრდებოდა. ღრიალამ ერთი სიკვთე მანისც მოიტანა: ჰერმიონს ეტყობოდა, კმაყოფილი იყო იმ სასჯელით, რაც რონმა და ჰარიმ მიიღეს და ბიჭებს უკვე აღარ უწყრებოდა.

სათბურთან მათი მეგობრები იდგნენ და პროფესორ სპრაუტს ელოდნენ. ჰარი, რონი და ჰერმიონი სათბურთან მივიდნენ თუ არა, პროფესორიც გამოჩნდა, მკლავები სულ დაბინტული ჰქონდა, გვერდით გილდეროი ლოკჰარტი მოჰყვებოდა. ჰარიმ შეწხებულმა გახედა მტარვალ ტირიფს, რომელსაც რამდენიმე ტოტი შეხვეული ჰქონდა.

პროფესორი სპრაუტი ტანდაბალი, მსუქანი ქალი იყო, გაშლილ თმაზე დაკემსილი ქედი ეხურა, ტანსაცმელი ყოველთვის მინით ჰქონდა მოსვრილი. მისი ფრჩხილების დანახვაზე დეიდა პეტუნიას ალბათ გული წაუვიდოდა. გილდეროი ლოკჰარტს კი, პირიქით, უნაკლოდ სუფთა ფირუზისფერი მანტია მოესხა, ოქროს ძაფით მოქარგული ფირუზისფერი კოხტა ქედიდან კი ოქროსფერი კულულები მოუჩანდა.

— დილა მშვიდობისა! — მხიარულად მიესალმა ლოკჰარტი მოსწავლეებს, — სწორედ ახლა ვაჩვენებდი პროფესორ სპრაუტს, როგორ უნდა უმკურნალოს მტარვალ ტირიფს! თუმცა, არ იფიქროთ, რომ ჰერბოლოგიაში მასზე უკეთესად ვერკვევი. უბრალოდ, მოგზაურობის დროს რამდენჯერმე შევხვედრივარ ამ ეგზოტიკურ მცენარეს...

— ბავშვებო, დღეს მესამე სათბურში ვიმეცადინებთ! — გამოაცხადა პროფესორმა სპრაუტმა. ყველამ შეამჩნია, რომ პროფესორი განანწყენებული იყო და სულაც არ ემხიარულებოდა.

მოსწავლეები აჩურჩულდნენ. აქამდე მხოლოდ პირველ სათბურში მუშაობდნენ, არადა, მესამე სათბურში ბევრად უფრო საინტერესო და სახიფათო მცენარეები იზრდებოდა. პროფესორმა სპრაუტმა ქამრიდან დიდი ვასალები ამოიღო და კარი გააღო. ჰარის ნესტიანი მინის, სასუქისა და ჭერიდან გადმოკიდებული უზარმაზარი, ქოლგისოდენა ყვავილის სუნი ეცა. ის იყო, რონსა და ჰერმიონს სათბურში უნდა შეჰყოლოდა, რომ ლოკჰარტმა მხარზე დაადო ხელი.

— ჰარი! შენთან სალაპარაკო მაქვს. პროფესორო სპრაუტ, ორიოდ წუთით რომ დაავკიანოს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

პროფესორი სპრაუტი ისე მოიღუბა, რომ აშკარად წინააღმდეგი იყო, მაგრამ ლოკჰარტმა ნაუცხბათევად მიადახა: „მოვილაპარაკეთო“ და კარი ცხვირწინ მიუხურა.

— ჰარი, ჰარი, ჰარი! — თავი გააქნია ლოკჰარტმა. მზის სინათლეზე ქათქათა კბილები თვალისმომჭრელად უელავდა.

ჰარი დაიბნა, ხმას ვერ იღებდა.

— როცა მოთხრეს... ჰო, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია! ამისთვის საკუთარი თავი უნდა მიმეტყვიპა.

ჰარი ვერაფერს მიუხედა, დააპირა კიდევ, ეთქვა, ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობთო, მაგრამ ლოკჰარტმა არ აცალა.

— არც კი მახსოვს, ასეთ შოკში როდისმე თუ ჩავვარდნილვარ! ჰოგვორტსში მანქანით მოფრინდი! რასაკვირველია, მივხვდი, ასე რატომაც მოიქეცი. თავის გამოჩენა გინდოდა, არა? ეჰ, ჰარი, ჰარი!

საოცარი იყო, როგორ გამოაჩენდა ხოლმე ლოკჰარტი თავის უნაკლო კბილებს მაშინაც კი, როცა არ ლაპარაკობდა.

— ჰოპულარობის გემო გაგასინჯე! ეს სიგიჟე მე ჩაგაგონე! ჩემთან ერთად გაზეთის პირველ გვერდზე გამოგჭიმეს და ისევ მოგინდა, ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყავი!

— არა, პროფესორო, არა! იყით...

— ეჰ, ჰარი, ჰარი! — ლოკჰარტმა მხარზე დაადო ხელი, — კარგად მესმის შენი! ერთხელ თუ გემო გაუგე, სულ უფრო მეტი გინდა. ჩემი ბრალია, უნდა მივმხედარიყავი, რომ თავში ავივარდებოდა! მაგრამ, ყმაწვილო, მეტისმეტი მოგივიდა! ყურადღების მისაქცევად მანქანით ფრენა მეტისმეტია! ცოტა უნდა დანყნარდე, გესმის?! ამისთვის მერეც ბევრი დრო გექნება, როცა გაიზრდები. ვიცი, ვიცი, ახლა ფიქრობ: „თქვენთვის ადვილი სათქმელია, უკვე მსოფლიოში ცნობილი ჯადოქარი ხართ!“ მაგრამ, როცა თორმეტი წლისა ვიყავი, მეც, შენსავით არაფერს წარმოვადგენდი. იმას ვგულისხმობ, რომ შენი ამბავი ცოტამ თუ იცის. ვისი-სახელიც-არ-ითქმის, იმის დამარცხება, — ლოკჰარტმა ჰარის შუბლზე ელვასავით გაკლაკნილ ნაიარევს შეავლო თვალი, — არ არის ისეთი დიდი წარმატება, როგორსაც მე მივალწიე — ხუთჯერ ზედიზედ მივიღე „ქალთა გაზეთის“ პრიზი ყველაზე მომხიბლავი ღიმილისათვის... მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს. ჰარი, შენ ხომ ყველაფერი წინა გაქვს! — მერე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და გზას გაუყვა. ჰარი ერთხანს გაქვავებულივით იდგა, მერე გაახსენდა, რომ სათბურში უნდა შესულიყო, კარი გამოაღო და უხმაუროდ შეიპარა შიგნით.

პროფესორი სპრაუტი სათბურის შუაგულში, ხარიხასთან იდგა, რომელზეც ოცი წყვილი სხვადასხვა ფერის ყურსაცვამები ეწყო. როცა ჰარი თავის ადგილას, რონსა და ჰერმიონს შორის დაჯდა, პროფესორმა გამოაცხადა:

— დღეს მანდრაგორას გადარგვას ვისწავლით. აბა, ვინ მეტყვის, რა თვისებები აქვს მანდრაგორას?

არავის არ გააკვირვებია, როცა ჰერმიონმა პირველმა ასწია ხელი.

— მანდრაგორას ძლიერი აღმდგენი ძალა აქვს, — ჰერმიონი ისე თავდაჯერებით პასუხობდა, გეგონებოდა, მთელი წიგნი გადაღეჭილი აქვსო, — ის გამოიყენება ტრანსფიგურირებული ან დანყველილი ადამიანების თავდაპირველ მდგომარეობაში დასაბრუნებლად.

— ბრწყინვალეა! ათი ქულა გრიფინდორს! — მოუწონა პროფესორმა სპრაუტმა, — მანდრაგორა შხამსაწინააღმდეგო საშუალებების ძირითადი კომპონენტია, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან სახიფათო მცენარეა. ვის შეუძლია, მითხრას, რატომ?

ჰერმიონის ხელი ბეწვზე ასცდა ჰარის სათვალეს და ჰაერში აიჭრა.

— მანდრაგორას ტირილი სასიკვდილოა მათთვის, ვინც გაიგონებს, — სხაპასხუპით მიუგო ჰერმიონმა.

— ზუსტი პასუხია! კიდევ ათი ქულა! ახლა კი კარგად დააკვირდით მანდრაგორას ახალგაზრდა ნერგებს, — პროფესორმა ერთ რიგად ჩამწკრივებულ პატარა ქოთნებზე მიუთითა ყველანი წინ წამოვიდნენ, რომ უკეთესად დაენახათ. ასამდე მოიხსრო-მოშვანო პატარა მცენარე რიგებად დაერგოთ. ჰარისთვის რომ გეკითხათ, დიდი ვერაფერი ნარგავები იყო, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, რას გულისხმობდა ჰერმიონი „მანდრაგორას ტირილში“.

— დამცავი ყურსაცვამები აიღეთ! — ბრძანა პროფესორმა.

დიდი ალიაქოთი ატყდა, არავის არ უნდოდა ვარდისფერი ფუმ. ფულა ყურსაცვამების აღება.

— როცა მე გეტყვით, ყურებზე ჩამოიცივით და შეამოწმეთ, რომ ყურები მთლიანად დაფარული გქონდეთ, — განაგრძო პროფესორმა სპრაუტმა, — როცა მათი მოხსნა უსაფრთხო იქნება, ხელით განიშნებთ. აბა, ჩამოიცივით!

ჰარამ დაუდევრად შეასრულა ბრძანება. ყურსაცვამები ყველანაირ ხმას ახშობდა. პროფესორს ვარდისფერი ფუმეულა ყურსაცვამები შეხვდა, მანტია იდაყვებზე აიკეცა, ერთ გაბუჩქულ მცენარეს ხელი ჩაავლო და მაგრად მოქაჩა.

ჰარამ გაოცებისგან შეჰყვირა, მაგრამ არავის გაუგონია.

ფესვების ნაცვლად მიწიდან პატარა, ტალახიანმა და საშინლად შეუხედავმა ბავშვმა ამოყო თავი. მცენარის ფოთლები ზედ თავზე ეზრდებოდა. ღია მწვანე, დალაქავებული კანი ჰქონდა და ისე კიოდა, ლამის ფილტვები დახეთქოდა.

პროფესორმა სპრაუტმა მაგიდის ქვემოდან დიდი ქოთანის გამოაძვრინა, მცენარე შიგ ჩადო და შავი, ნესტიანი ნაკელით იქამდე დათარა, რომ მხოლოდ ხშირი

ფოთლებილა ჩანდა. მერე ხელები გაიფერთხა, მოსწავლეებს ნიშანი მისცა და ყურსაცვამები მოიხსნა.

— ჩვენი მანდრაგორები მხოლოდ და მხოლოდ ნერგებია, ამიტომ მათი ტირილი ჯერჯერობით მომაკვდინებელი არ არის, — ისე მშვიდად თქვა, თითქოს რაიმე განსაკუთრებული კი არ გაეკეთებინოს, არამედ, უბრალოდ, ბევონია მოერწყას, — თუმცა, რამდენიმე საათით მაინც დაგაკარგვინებთ გონებას. დარწმუნებული ვარ, პირველ დღეს გაკვეთილების გაცდენა არავის არ გინდათ, ამიტომ გირჩევთ, მუშაობისას ყურსაცვამები კარგად მოირგოთ. როცა გაკვეთილი დამთავრდება, მე განიშნებთ. ახლა კი თითო ნერგთან ოთხნი მიდით. ქოთანნი ბევრი გვაქვს, ნაკელი, აი, იქ, ტომრებში ყრია... შხამიან ტენტაკულას მოერიდეთ, იკბინება! — ამ სიტყვებზე პროფესორმა მთელი ძალით დასცხო გრძელი საცეცებით მის მხარზე აცოცებულ მუქნითელ ხვიარა მცენარეს.

ჰარისთან, რონსა და ჰერმიონთან ერთად ლანგართან დგომა ერთ ჰაფლეპაფელ ხუჭუჭთმიან ბიჭს ერგო. იმ ბიჭს ჰარი შორიდან იცნობდა.

— ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლი, — ბიჭმა სიხარულით ჩამოართვა ხელი ჰარის, — ვიცი, ვინცა ხარ, სახელგანთქმული ჰარი პოტერი... შენ კი ჰერმიონ გრეინჯერი ხარ — საუკეთესო მოსწავლე, შენ, ალბათ, რონ უისლი ხარ, არა? მფრინავი მანქანა შენი არ იყო?

რონს არ გაღიმებია. ეტყობა, ღრიალა ჯერ კიდევ არ დავინწყებოდა:

— ეს ლოკჰარტი მაგარი ვინმეა, არა? — განაგრძო გახარებულმა ჯასტინმა, როცა დრაკონის ნაკელით ქოთნების შევსებას შეუდგნენ, — აუ, რა მაგარი ტიპია! მისი წიგნები წაიკითხეთ? მე შიშისგან მოვკვდებოდი, მაქცისას ტელეფონის ჯიხურში რომ მოვემწყვდიე, მაგრამ ლოკჰარტი არც კი აღელვებულა, წარმოგიდგენიათ?! მე იტონის სკოლაში მიპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ ვერც კი ავიხსნით, ისე გამიხარდა, აქ რომ გამომგზავნეს. რა თქმა უნდა, დედაჩემი თავიდან ცოტა უკმაყოფილო იყო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ლოკჰარტის წიგნები წავაკითხე, დარწმუნდა, რომ ოჯახში განათლებული ჯადოქრის ყოლა ნამდვილად საჭიროა...

ამის შემდეგ ლაპარაკი შეწყვიტეს, ყურსაცვამები ისევ გაიკეთეს და მთელი ყურადღება მანდრაგორებზე გადაიტანეს. პროფესორ სპრაუტს ეს საქმე ძალიან კარგად გამოსდიოდა, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ იყო იოლი. მანდრაგორებს, ჯერ ერთი, მიწიდან ამოსვლა დიდად არ უხაროდათ, მაგრამ უფრო მეტად უკან ჩაბრუნება ეზარებოდათ. გამწარებულები იკლაკნებოდნენ, ფეხებსა და ბასრ კლანჭებს იქნევდნენ, კბილებს აღრჭიალებდნენ... ჰარიმ ერთი მსუქანი მანდრაგორას ჩარგვას მთელი ათი წუთი მოანდომა.

გაკვეთილის შემდეგ ჰარი, სხვა დანარჩენებით, მიწით მოსვრილი და გაოფლილი გაემართა ციხე-კოშკისკენ. გრიფინდორელებმა ნაჩქარევად მიიღეს შხაპი და ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე გაიქცნენ.

პროფესორ მაკკონაგელის გაკვეთილები ყოველთვის რთული იყო, მაგრამ დღეს განსაკუთრებით გაუძნელდათ. როგორც ჩანს, ყველაფერი, რაც შარშან ისწავლეს, შარის ზაფხულში სულ დავიწყებოდა. ამჯერად ხოჭო ღილად უნდა გადაექცია, თუმცა, ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ თავისი ხოჭო კარგა ხანს არბენინა. სანყალი მწერი მერხზე აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ როგორმე ჯადოსნური ჯოხი აეცილებინა.

რონი უარეს დღეში ჩავარდა. თავისი ჯოხი ჯადოსნური წებოთი გაემთელებინა, მაგრამ აშკარა იყო, ამ საქმეს წებო ვერ შველოდა. ჯოხი მოულოდნელად ჭრიალს იწყებდა და ნაპერწკლებს ყრიდა. როგორც კი რონი ხოჯოს ღილად გადაქცევას მოინდომებდა, იქაურობა ლაყე კვერცხისსუნიანი კვამლით ივსებოდა. რონი ვედარაფერს ხედავდა, შემთხვევით თავისი ხოჯო შემოესრისა და ახალი ითხოვა. პროფესორ მაკკონაგელს ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა.

შარიმ შვებით ამოისუნთქა, როცა მეორე საუზმის ზარი აწკრიალდა. საკლასო ოთახიდან ყველანი გავიდნენ, რონის გარდა, რომელიც თავის ჯოხს გამეტებით ურტყამდა მერხს.

— ეს სულელური... უვარგისი ნივთი!

— შენებს მისწერე, ახალი გამოგიგზავნონ, — ურჩია შარიმ, როცა ჯოხი შუშუნასავით ატკაცუნდა.

— და კიდევ ერთი ღრიალა მივიღო, არა?! — რონმა აშიშინებული ჯოხი ჩანთაში ჩატენა, — „შენი ბრალია, ჯოხი რომ გატეხე...“

სასაუზმოდ ჩავიდნენ. ჰერმიონმა მათ ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე გაკეთებული ერთი მუჭა ღილი აჩვენა, თუმცა, ამით რონს გუნება სულაც არ გამოჰკეთებია.

— ნაშუადღევს რა გვაქვს? — სასწრაფოდ სხვა თემამზე გადაიტანა საუბარი შარიმ.

— ბნელი ძალებისგან თავდაცვა, — შეახსენა ჰერმიონმა.

— ეს რაღაა? — რონმა ჰერმიონს ცხრილი გამოჰკლიჯა ხელიდან, — ლოკჰარტის გაკვეთილებთან პატარა გულები მიახატე?

ჰერმიონმა ცხრილი გამოსტაცა და სამინლად განითლდა.

ნასაუზმევს ებოში ჩავიდნენ. ჰერმიონი ქვის საფეხურზე ჩამოჯდა და ცხვირი იმ თავის წიგნში ჩარგო, რომელსაც „პირისპირ ვამპირებთან“ ერქვა. შარი და რონი იდგნენ და ქვიდიჩზე ლაპარაკობდნენ. უცებ შარიმ იგრძნო, რომ ვიღაცა გულდასმით აკვირდებოდა. ზემოთ აიხედა და ის თავგისფერთმიანი პატარა ბიჭი დაინახა, რომელიც განანილების ცერემონიაზე შეამჩნია. მონუსხულივით იდგა და ჩვეულებრივი მაგლური ფოტოაპარატი მაგრად ჩაებლუჯა ხელში. როცა შარიმ ახედა, ერთიანად განითლდა.

— როგორა ხარ, ჰარი? მე... მე კოლინ ქრივი ვარ, — ძლივს ამოილულულა ბიჭმა და ფრთხილად გადმოდგა ერთი ნაბიჯი, — მეც გრიფინდორში ვსწავლობ. შეიძლება, სურათი გადაგილო? ჩემთვის მინდა, — კოლინმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა.

— სურათი? — გაუკვირდა ჰარის.

— ასე ყველას დაუმტკიცებ, რომ მართლა გიცნობ, — გამოცოცხლდა კოლინ ქრივი და წინ წამოინია, — შენზე ყველაფერი ვიცი. ყველანი შენზე ლაპარაკობენ. როგორ გადარჩი, როცა, ჩვენ-რომ-ვიცით, ის შენს მოკვლას ცდილობდა, როგორ გაქრა მერე... და როგორ დაგიტოვა შუბლზე ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი, — კოლინმა ჰარის შუბლს შეხედა, — თან, ჩემმა მეგობელმა ბიჭმა მითხრა, სურათს თუ სწორად გაამჟღავნებ, მოძრავი იქნებაო! — კოლინს აღელვებისგან სუნთქვა შეეკრა, — რა მაგარია, არა? მე თვითონ სანამ ჰოგვორტსიდან წერილი არ მივიღე, ჯადოქრობის შესახებ არაფერი არ ვიცოდი. მამაჩემი მერძევეა, ჯადოქრების არსებობისა მასაც არ სჯეროდა. ახლა ბევრ სურათს გადავიღებ და გავუგზავნი. ძალიან გამიხარდება, შენი სურათიც თუ მექნება, — ბიჭმა მუდარით შეხედა — შენს მეგობარს რომ ვთხოვოთ, გადაგვიღოს... მე კი გვერდით დავიდგები. მერე სურათზე ხელსაც ხომ არ მომიწერდი?

— სურათზე ხელმოწერაო? შენ რა, უკვე სურათებზე ხელის მოწერაც დაიწყე, პოტერ?

კოლინს უკან დრაკო მალფოი ამოსდგომოდა, მისი ბოროტი ხმა მთელ ეზოში ისმოდა. თან, როგორც ყოველთვის, თავისი ჰოგვორტსელი ზორბა ძმაკაცები, კრაბი და გოილი, ახლდნენ.

— ხალხო, რიგში ჩადექით, — ყველას გასაგონად იღრიალა მალფოიმ, — ჰარი პოტერი ავტოგრაფებს არიგებს!

— არაფერსაც არ ვარიგებ! მალფოი, მოკეტე! — გაბრაზებულმა ჰარიმ მუშტები შეკრა.

— შენ რა, შეგშურდა? — ხმა ამოიღო განრიპულმა კოლინმა. კრაბს მისი სისხო მარტო კისერი ჰქონდა.

— შეგშურდა? — დრაკო მალფოი უკვე აღარ ყვიროდა, ისედაც მთელი ეზო უსმენდა, — რა უნდა შეგშურებოდა? არაფერში არ მჭირდება ეგ იდიოტური ნაიარევი შუბლზე! მე რომ მკითხო, თავის გახეთქვა დიდი ვერაფერი ღირსება!

კრაბი და გოილი სულელურად ახეხივინდნენ.

— მალფოი, თავიდან მოგვწყდი! — შეუღრინა რონმა. კრაბმა სიცილი შეწყვიტა და ავის მომასწავებლად მოიფშენიდა მარნუხებივით ძლიერი მუშტები.

— ფრთხილად, უისლი! — ჩაიქირქილა მალფოიმ, — რამე შარში არ გაეხვიო, თორემ დედიკო სკოლიდან მიგაბრძანებს, — მერე გამყივანი ხმით დაიკვილა: — იცოდე, კიდევ რამეს თუ დააშავებ...

იქვე მდგარმა მეხუთეკურსელმა სლიზერინელებმა ხარხარი ატეხეს.

— ერთი უისლისაც მოუნერე ხელი სურათზე, პოტერ, — ბოროტად ჩაიყინა მალფოიმ, — ეგ სურათი მთელ მის კარ-მიდამოზე ძვირფასი იქნება!

რონმა თავისი დაწებებული ჯოხი აიქნია, მაგრამ ამ დროს ჰერმიონმა წიგნი დახურა და შესძახა:

— ფრთხილად!

— რა ამბავია? რა ხდება მანდ? — ფირუზისფერი მანტიის ფრიალით მათკენ გილდეროი ლოკჰარტი მოდიოდა, — ვინ არიგებს ავტოგრაფიან სურათებს?

ჰარიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ლოკჰარტმა ხელი გადახვია და მხიარულად შესძახა:

— ჰო, რა თქმა უნდა, ამას რაღა კითხვა სჭირდება! ჰარი, მე და შენ ისევ უნდა დავილაპარაკოთ!

ჰარი ლოკჰარტის გვერდით იდგა და სირცხვილისგან იწვოდა, კმაყოფილი მალფოი ჩუმად შეძვრა სლიზერინელებში.

— აბა, ბატონო ქრივი, — ღიმილით მიუბრუნდა ლოკჰარტი კოლინს, — ორივეს პორტრეტი ხომ არ გნებავთ? ამაზე უკეთესს რაღას ინატრებთ? თან ჩვენ ორივენი მოგინერთ ხელს!

დაბნეულმა კოლინმა სასწრაფოდ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და სურათი გადაიღო. ამ დროს ზარი დაირეკა. ნაშუაღლევის გაკვეთილები დაიწყო.

— აბა, ყველანი საკლასო ოთახებში! — ბრძანა ლოკჰარტმა და ციხე-კოშკისკენ გაემართა, თან ჰარის ხელს არ უშვებდა. ჰარი ნატრობდა, ნეტავ, რაიმე შელოცვა ვიცოდე, რომ როგორმე გავჭერო.

— იცოდე, ჰარი, ისევ გადაგარჩინე. ბავშვებს ეგონებათ, ქრივის ჩემი სურათის გადაღება უნდოდა და აღარ იფიქრებენ, რომ დიდ ვინმედ მოგაქვს თავი... — მშობლიური მზრუნველობით უთხრა ლოკჰარტმა, როცა გვერდითა კარიდან შენობაში შევიდნენ. თავის მართლებაც არ აცალა, გაშტერებული მოსწავლეებით გადაჭედილი დერეფანი გაატარა და კიბეზე აიყვანა.

— მინდა, იცოდე, რომ შენი კარიერის დასაწყისში ავტოგრაფიანი სურათების დარიგება მთლად ჭკვიანური არ არის... ყოყლოჩინობაში ჩაგეთვლება. მოვა დრო, როცა ჩემსავით უამრავ ავტოგრაფს ჩამოგართმევენ, მაგრამ, — ლოკჰარტმა ჩაიქირქილა: — შენთვის ეს ჯერ აღრეა!

როგორც იქნა, საკლასო ოთახთან მივიდნენ და ლოკჰარტმა ხელი გაუშვა. ჰარიმ დაჭმუჭნილი მანტია გაისწორა, ბოლო მერხზე დაჯდა და წინ ლოკჰარტის წიგნები დაიხვავა, რომ თავად ავტორი რაც შეიძლება იშვიათად დაენახა.

ბავშვები ოთახში შემოლაგდნენ. რონი და ჰერმიონი ჰარის აქეთიქიდან მოუსხდნენ.

— რომ იცოდე, როგორ სამინლად განითლდი, — გადაულაპარაკა რონმა, — ღმერთმა ნუ ქნას, ქრივიმ ჯინი გაიციოს, თორემ ჰარი პოტერის ფანკლუბს გახსნიან და ეგ იქნება!

— მოკვტე! — გაუჯავრდა ჰარი, — სულაც არ უნდოდა, რონის ნათქვამი ლოკჰარტს გაეგო.

როცა ყველანი დასხდნენ, ლოკჰარტმა ჩაახველა და სრული სიჩუმე ჩამოწვა. მერე პროფესორმა ნევილ ლონგბოტომის მერხიდან „ხეტიალი ტროლებთან“ აიღო, მაღლა ასწია და თავისი სურათი ყველას დაანახა.

— ეს მე ვარ! — სურათის მსგავსად ლოკჰარტმაც თვალი ჩაუკრა ბავშვებს, — გილდეროი ლოკჰარტი! მერლინის მესამე ხარისხის ორდენის მფლობელი, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ლიგის საპატიო წევრი და „ქალთა გაზეთის“ ხუთგზის ჯილდოს მფლობელი ყველაზე მომხიბლავი ღიმილისათვის. თუმცა, ამ თემაზე ბევრს არ ვლაპარაკობ ხოლმე. ალქაჯებსა და ჭინკებს ჩემი ღიმილით კი არ დავაღწიე თავი!

ლოკჰარტი დაელოდა, როდის გაიცინებდნენ ბავშვები, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეს გაეღიმა.

— როგორც ვხედავ, ჩემი წიგნების სრული კრებული ყველას შეგიძენიათ, ძალიან კარგი! დღევანდელი ვაკვეთილი პატარა ვიქტორინით დავინწყით. სანერვიულო არაფერია, უბრალოდ, შევამოწმებ, რამდენად ყურადღებით წაიკითხეთ ჩემი წიგნები და რა დაგამახსოვრდათ... — მერე ტესტები დაარია და გამოაცხადა: — ოცდაათი წუთი გაქვთ, შეგიძლიათ, დაიწყით!

ჰარიმ ფურცელს დახედა.

1. რომელია გილდეროი ლოკჰარტის საყვარელი ფერი?

2 რა აქვს გილდეროი ლოკჰარტს დასახული საიდუმლო მიზნად?

3. თქვენი აზრით, რომელია გილდეროი ლოკჰარტის ყველაზე დიდი მიღწევა?

მთელი სამი გვერდი ასეთი კითხვებით იყო სავსე. ბოლოში ეწერა:

4. როდის არის გილდეროი ლოკჰარტის დაბადების დღე? რა იქნებოდა მისთვის საუკეთესო საჩუქარი?

ნახევარ საათში ლოკჰარტმა ნამუშევრები წამოკრიფა და ყველას თვალწინ სასწრაფოდ გაასწორა.

— ერთი ამათ უყურე! ძალიან ცოტას თუ გაგახსენდათ, რომ ჩემი საყვარელი ფერი იისფერია! ამის შესახებ მიწერია წიგნში: „დავა დევებთან“. თანაც, ბევრ თქვენგანს ხელახლა და ყურადღებით მოუწვევს ჩემი წიგნის წაკითხვა, რომელსაც „გაქცევა მაქციებთან“ ჰქვია. მეთორმეტე თავში სრულიად გარკვევით მიწერია, რომ ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა ჯადოქრებსა და არაჯადოქრებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა... თუმცა, ერთ ბოთლ „ოლდ ოგდენის ცეცხლოვან ვისკიზედაც“ არ ვიტყვოდი უარს! — ლოკჰარტმა ისევ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ბავშვებს.

რონი დაეჭვებული უყურებდა მასწავლებელს. სიმუს ფინიგანი და დინ ტომასი წინა მერხებზე ისხდნენ და სიცილს ძლივს იკავებდნენ. ჰერმიონი, ყველასგან განსხვავებით, ყურადღებით უსმენდა ლოკჰარტს და საშინლად დაიძაბა, როცა მასწავლებელმა მისი სახელი ახსენა.

— მაგრამ მის ჰერმიონ გრეინჯერს სცოდნია, რომ საიდუმლო მიზნად ბოროტების დამარცხება და თმის მოვლის საკუთარი საშუალებების გამოშვება მაქვს დასახული. ყოჩაღ! — ლოკჰარტმა ფურცელი გადააბრუნა, — ყველა პასუხი სწორია! მის ჰერმიონ გრეინჯერი რომელია?

ჰერმიონმა აკანკალებული ხელი ასწია.

— ბრწყინვალეა! — გაიბადრა ლოკჰარტი, — გადასარევი! ათი ქულა გრიფინდორს! ახლა ისევ საქმეს დავუბრუნდეთ...

ლოკჰარტმა მაგიდის ქვემოდან გალია გამოიღო.

— ახლა კი გაფრთხილებთ! როგორც იცით, ჩემი საქმეა, გასწავლოთ, როგორ დაიცვათ თავი ჯადოქრული სამყაროს ყველაზე საშიში არსებებისგან. შესაძლოა, ამ ოთახში ისეთ რაღაცეებს გადააწყდეთ, რაც უსაშინლეს კომმარშიც კი არ დაგსიზმრებიათ. იცოდეთ, სანამ მე აქ ვარ, არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ. თქვენგან მხოლოდ სრულ სიმშვიდეს მოვითხოვ. ჰარიმ თავისდაუნებურად კისერი წაიგრძელა, რომ გალია უკეთესად დაენახა. ლოკჰარტმა გადასათვარებელს დაადო ხელი. დინი და სიმუსი გაჩუმდნენ. ნევილი წინა მერხზე იჯდა და ლამის მაგიდის ქვეშ ჩამძვრალიყო.

— ძალიან გთხოვთ, ყვირილს ნუ დაიწყებთ, — ჩუმად წარმოთქვა ლოკჰარტმა, — ამ არსებებს ყვირილი აღიზიანებთ.

ყველანი სუნთქვაშეკრულები ელოდნენ, რა მოხდებოდა. ლოკჰარტმა გალიას გადასათვარებელი ჩამოხსნა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— ახლადდაჭერილი კორნუოლის ფერიები!

სიმუს ფინიგანმა თავი ვედარ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. ეს ხარხარი არაფრით არ ჰგავდა დაზაფრულ ყვირილს.

— რა გაცინებს? — გაულიმა ლოკჰარტმა ბიჭს.

— ესენი ხომ... ესენი ხომ ძალიან საშიში არსებები არ არიან?! სიმუსი ლამის გაიგუდა სიცილით.

— ასე დარწმუნებული ნუ ხარ! — გაუნყრა ლოკჰარტი და თითი დაუქნია, — დიდი გაიძვერები და მაგნები არიან!

ფერიები კაშკაშა ცისფერ სინათლეს ასხივებდნენ, სულ რაღაც ოცი სანტიმეტრის სიმძლავრისა თუ იქნებოდნენ. ნაწვეტებული სახე და გამყივანი ხმა ჰქონდათ. როგორც კი გადასაფარებელი გადახადეს, ერთი ვაი-უშველვებელი ატეხეს, აწრიალდნენ, გისოსებს ეცნენ და გაოცებულები მიაჩერდნენ ყველაზე ახლოს მსხდომ მოსწავლეებს.

— აბა, ვნახოთ, რას მოუხერხებთ ამ არსებებს! — გამოაცხადა ლოკჰარტმა და გალია გახსნა.

იქაურობა ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. ფერიები შუშხუნებივით დაქროდნენ ოთახში. ორმა მათგანმა ნევილს ყურებში ჩააფლო ხელი და ჰაერში აიტაცა. რამდენიმემ ფანჯარა ჩაამტვრია და უკანა რიგში მსხდომ მოსწავლეებს მინის ნამსხვრევები დააცვივდათ თავზე. დანარჩენები ისე მონდომებით ლენავდნენ იქაურობას, რომ გამძვინვარებული მარტორქაც კი ვერ მოახერხებდა ამდენს.

ფერიებმა სამეღნეები აიტაცეს და ოთახი სულ მეღნით მოსვარეს, წიგნები და რვეულები დაფხზინეს, კედლებიდან სურათები ჩამოგლიჯეს, სანაგვე ურნები გადმოაპირქვავეს, ჩანთები და წიგნები ჩამსხვრეული ფანჯრიდან გადაუძახეს. რამდენიმე წუთში ნახევარი კლასი მერხებქვეშ ჩაძვრა, ნევილი კი ყურებით ეკიდა ჭალზე.

— აბა, მიდით! გაუმკლავდით როგორმე! ესენი ხომ მხოლოდ ფერიები არიან! — შესძახა ლოკჰარტმა, მერე სახელოები დაიკაპინა, ჯოხი აიქნია და დაიდრიალა: — პესკიპიკსი პესტერნომი!

მაგრამ ამ შელოცვას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ის კი არა, ერთ-ერთმა ფერიამ ლოკჰარტს ჯოხი წაართვა და ფანჯრიდან მოისროლა. შემცბარი ლოკჰარტი მაგიდის ქვეშ შეძვრა და ბეწვზე ასცდა ნევილს. ჭალმა სიმძიმეს ვედარ გაუძლო და ბიჭი მასწავლებლის მაგიდას დაენარცხა.

ზარი დაირეკა. ყველანი გიჟებივით გაცვივდნენ ოთახიდან. იქაურობა ცოტა ჩანყნარდა. ლოკჰარტი წამოდგა და გასასვლელთან მდგარ ჰარის, რონსა და ჰერმიონს მიუბრუნდა:

— თქვენ გავალბებთ ფერიების გალიაში შერეკვას! — მერე გარეთ გავიდა და კარი გაიხურა.

— გჯერათ, რომ ამან რამე იცის? — იკითხა რონმა, მაგრამ ამ დროს ერთმა ფერია მწარედ უკბინა ყურზე.

— უბრალოდ, პრაქტიკულ მეცადინეობას გვითარებს, — მიუგო ჰერმიონმა, მერე გაშეშების შელოცვით ორი ფერია გააჩერა და გალიაში შესვა.

— პრაქტიკულ მეცადინეობას? — გაიკვირვა ჰარიმ, თან მონდომებით ცდილობდა, ერთი აბეზარი ფერია დაეჭირა, რომელიც შორიახლოს დაფრინავდა და ენას უყოფდა, — ჰერმიონ, ლოკჰარტი აზრზე არ არის, რას აკეთებს!

— სისულელეა! — შეაწყვეტინა ჰერმიონმა, — ხომ წავიკითხავთ მისი წიგნები?! ვერ ნახეთ, რა განსაცვიფრებელი რაღაცეები გაუკეთებია...

— თვითონ კი ამბობს, გამიკეთებიაო, მაგრამ... — დაეჭვდა რონი.

თავი მეშვიდე

უცნაური ხმა

რამდენიმე დღის განმავლობაში ჰარი სულ იმას ცდილობდა, გილდეროი ლოკჰარტს არსად გადაჰყროდა. კოლინ ქრივის თავიდან მოშორება კი უფრო ძნელი გამოდგა: ბიჭმა, როგორც ჩანს, ჰარის გაკვეთილების ცხრილი ზეპირად იცოდა. როცა ჰარის დღეში მიეჭესეღ თუ მეშვიდედ მიესალმებოდა, კოლინი სიამოვნებისაგან გაიბადრებოდა ხოლმე. ჰარის კი ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოუვიდა. ჰედვიგი ისევ ნაწყენი იყო ჰარიზე, ავარია ჯერ კიდევ არ დაეწყებოდა. რონის ჯადოსნურმა ჯოხმა მთლად აურია: შელოცვების გაკვეთილზე პატრონს ხელიდან გაუფრინდა, ბებერ პროფესორ ფლიტვიკს შუბლში დაეტაკა და უზარმაზარი მწვანე კოპი დაასვა. ასე რომ, შაბათ-კვირის დადგომა ჰარის ძალიან გაუხარდა: რონთან და ჰერმიონთან ერთად ჰავრიდთან აპირებდა სტუმრობას, მაგრამ შაბათს გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის კაპიტანი ოლივერ ვუდი დილაადრიან დაადგა თავზე.

— რა ხდება? — ჩაიბუზღუნა ჰარიმ.

— წამო, ქვიდიჩში უნდა ვივარჯიშოთ! — უთხრა ვუდმა.

ჰარიმ ფანჯარას გახედა. შევარდისფრებულ ცას თხელი ბურუსი გადაჰკვროდა. ჩიტებს ურიაშული აეტეხათ. ჰარიმ გაიფიქრა, ამ ხმაურში როგორ მეძინაო, და ოლივერს უსაყვედურა:

— ოლივერ, ჯერ არც კი გათენებულა!

— მართალია! — დაუდასტურა ვუდმა., მაღალი, დაკუნთული ბიჭი იყო, ზედმეტი მონდომებისგან თვალები უელავდა, — ჩვენი ახალი საწვრთნელი პროგრამის

მიხედვით, სწორედ ახლა უნდა ვივარჯიშოთ, ჯერ არც ერთ გუნდს არ დაუნყია ვარჯიში! წელს აუცილებლად გავიმარჯვებთ! ნუ გეზარება, მოკიდე ცოცხს ხელი და წავიდეთ!

ჰარი მთქნარება-მთქნარებით წამოდგა და ქვიდიჩის მანტიას დაუნყო ძებნა.

— აი, ეს მომწონს! — შეაქო ვუდმა, — თხუთმეტ წუთში მოედანზე შევხვდებით!

ჰარიმ, როგორც იქნა, იპოვა თავისი მუქი წითელი ფორმა, ზედ თბილი მოსასხამი გადაიცვა, რონს ბარათი დაუტოვა ახსნაგანმარტებით, „ნიმბუს-2000“ მხარზე გაიღო და ხვეული კიბით საერთო ოთახში ჩავიდა. როგორც კი საიდუმლო გასასვლელს მიაღწა, რაღაც ხმაური შემოესმა. კოლინ ქრივი კიბეებზე ჩამორობოდა, კისერზე ფოტოაპარატი ეკიდა და ხელში რაღაც ჩაებლუჯა.

— ჰარი, ამწუთას ვიღაცამ შენი სახელი ახსენა! ნახე, რა მაქვს! გავამუღავნებინე და მინდოდა, შენთვის მეჩვენებინა!

ჰარი შეცბუნებული მიაჩერდა ცხვირწინ აფრიალებულ სურათს. შავ-თეთრ მოძრავ სურათზე ლოკჰარტს მისთვის მკლავში ჩაეველო ხელი და თავისკენ ექაჩებოდა, მაგრამ ჰარი გამეტებით იბრძოდა და ცდილობდა, კადრში არ მოხვედრილიყო. ბოლოს ლოკჰარტმა ხელი გაუშვა და აქოშინებული მიეყრდნო სურათის კიდეს.

— ხელს მომიწერ? — შეეხვეწა კოლინი.

— არა! — მტკიცედ მიუგო ჰარიმ და მიმოიხედა, ოთახში ვინმე ხომ არ არისო, — მაპატიე, კოლინ, ქვიდიჩის ვარჯიშზე მაგვიანდება, ჰარი ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტის ხერხელში გაძვრა.

— აუ, რა მაგარია! დამელოდე! ქვიდიჩი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, — გახარებული კოლინი ხერხელში გადაბობლდა.

— დიდი მოსაწყენი რამე იქნება, — გააფრთხილა ჰარიმ, მაგრამ სიხარულით ანთებული კოლინი ამან ვერ შეაჩერა. მისდევდა და ქაქანებდა:

— შენ ხომ საკლებო ჩემპიონატში ბოლო ასი წლის მანძილზე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ხარ, არა, ჰარი? ალბათ, ძალიან მაგრად თამაშობ! მე კიდევ არასოდეს მიცდია ფრენა. როგორ ფიქრობ, ფრენა ადვილია? ეს შენი ცოცხია? საუკეთესო მოდელია?

ჰარიმ აღარ იცოდა, როგორ მოეშორებინა ეს აჩრდილივით ადევნებული ლაქლაქა ბიჭი.

— ქვიდიჩის წესები, სიმართლე გითხრა, კარგად არ მესმის, — ენას არ აჩერებდა აფოფინებული კოლინი, — მართლა ოთხი ბურთით თამაშობენ? მართალია, რომ ორი ბურთი მოთამაშეების ცოცხიდან ჩამოგდებას ცდილობს?

— მართალია, — ჰარიმ ამოიოხრა, რადგან ძალიან ეზარებოდა ქვიდიჩის რთული წესების ახსნა, — მავ ბურთებს ბლაჯერები ჰქვია. თითოეულ გუნდში ორი ბიტერია, რომლებიც დანარჩენ მოთამაშეებს ბლაჯერებისგან იცავენ. ფრედი და ჯორჯ უისლები გრიფინდორის ბიტერები არიან.

— სხვა ბურთები რისთვისაა? — გაოცებული კოლინი რამდენიმე საფეხურს ერთად გადაახტა.

— ქუაფლი დიდი წითელი ბურთია, რომლითაც მოთამაშეებს გოლები გააქვთ. თითო გუნდში სამი ჩეიზერია, ისინი ქუაფლს ესვრიან ერთმანეთს და გოლპოსტებს უმიზნებენ. გოლპოსტი გრძელი სვეტია, რომელსაც თავზე რგოლი აქვს დამაგრებული. სულ სამი გოლპოსტია.

— და მეოთხე ბურთი?

— მეოთხე ბურთი, ოქროს სნიჩი, ძალიან პატარაა და სწრაფად დაფრინავს. მისი დაჭერა ძალიან ძნელია. მოკლედ, სიკერმა სნიჩი უნდა დაიჭიროს, იმიტომ რომ, ქვიდიჩის თამაში სნიჩის დაჭერამდე არ მთავრდება. როცა სიკერი სნიჩს დაიჭერს, მის გუნდს დამატებით ას ორმოცდაათი ქულა დაენერება.

— და შენ გრიფინდორის სიკერი ხარ, არა? — მონიწებით ჰკითხა კოლინმა.

— ჰო, სიკერი ვარ! არის კიდევ ერთი მოთამაშე, მეკარე, რომელიც რგოლებს იცავს. სულ ესაა, — ამასობაში ციხე-კოშკიდან გავიდნენ და დაცვარული გაზონი გადაიარეს.

კოლინი არ ცხრებოდა, ქვიდიჩის მოედნამდე შეკითხვებით ჰარის გული გაუწვრილა. ბოლოს, გასახდელთან, როგორც იქნა, თავი დაანება.

— ყველაზე კარგ ადგილს ამოვარჩევ! — მიაძახა კოლინმა და ტრიბუნებისკენ გაიქცა.

გრიფინდორის გუნდის წევრები უკვე გასახდელში შეკრებილიყვნენ. ყველაზე მხნედ ვუდს ეჭირა თავი. ფრედი და ჯორჯ უისლები თვალებდასიებულიები, თმაგაჩჩილები ისხდნენ მეოთხეკურსელი. ალისია სპინეტის გვერდით. ალისიას კი თავი ვედლისთვის მიეყრდნო და ნახევრად ეძინა. მათ პირდაპირ ისხდნენ ჩეიზერები: კეიტი ბელი და ანჯელინა ჯონსონი და გაუთავებლად ამოქნარებდნენ.

— ჰარიც გამოჩნდა! სად იყავი ამდენ ხანს? — მკაცრად ჰკითხა ვუდმა, — ახლა, სანამ მოედანზე გავალთ, მინდა, ორიოდ სიტყვით აგისხნათ ჩემი ახალი სანვრთნელი პროგრამა, რომელსაც მთელ ზაფხულს ვამუშავებდი. ჩემი აზრით, ძალიან კარგი შედეგი უნდა მოგვცეს...

ვუდს სხვადასხვა ფერის ისრებით, ხაზებითა და ჯვრებით აჭრელებული ქვიდიჩის მოედნის დიაგრამა ეჭირა ხელში. მერე ჯოხი ამოიღო, დაფას დაუკაკუნა და ისრები მუხლუხებივით აფუთფუთდნენ. როცა ვუდმა დიდი ამბით დაიწყო თავისი ახალი

ტაქტიკის ახსნა, ფრედ უისლიმ თავი ალისია სპინეტს ჩამოადო მხარზე და ხვრინვა ამოუშვა.

პირველი სქემის ახსნას დაახლოებით ოცი წუთი დასჭირდა, ვუდს კიდევ ორი სქემა ჰქონდა. ჰარი გამტერებული იჯდა.

— აბა! ყველაფერი გასაგებია? შეკითხვები ხომ არა გაქვთ? ვუდმა ჰარი შეანჯღრია, რომელიც ამ წუთში საუბრებზე ფიქრობდა.

— მე მაქვს შეკითხვა, ოლივერ! — უცებ გამოფხიზლდა ჯორჯი, რატომ გუშინ არ გვიტახარი ეს ყველაფერი?

— ახლა კარგად მომისმინეთ! — გაღიზიანდა ვუდი და თანაგუნდელებს თვალები დაუბრიალა, — შარშანაც უნდა მოგვეყო ქვიდიჩის თასი! ნამდვილად საუკეთესო გუნდი ვართ! მაგრამ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო...

ჰარი უხერხულად შეიშმუშნა. შარშანდელი ფინალური მატჩის დროს საავადმყოფო ფლიგელში უგონოდ იწვა. გრიფინდორს მოთამაშე დააკლდა და ბოლო სამასი წლის მანძილზე ყველაზე სამარცხვინოდ წააგო...

ვუდი ერთხანს შეჩერდა, ცდილობდა, დამშვიდებულიყო. შარშანდელი წაგება ჯერაც ვერ მოენელებინა. მერე შესძახა:

— ერთი სიტყვით, წელს ისე უნდა ვივარჯიშოთ, როგორც არასდროს! აბა, ახლა წავიდეთ და ახალი თეორიები პრაქტიკულად გამოვცადოთ! — ცოცხს ხელი დაავლო და გასახდელიდან გავიდა. მთელი გუნდი ფეხათრევითა და მოქნარებით გაჰყვა კაპიტანს.

სანამ გასახდელში იხდნენ, მზე უკვე კარგად ამოსულიყო, თუმცა, სტადიონზე აქა-იქ მაინც შემორჩენილიყო ნისლი. მოედანზე გამოსულმა ჰარიმ ტრიბუნებზე რონი და ჰერმიონი დაინახა.

— ვარჯიშს არ მორჩით? — გადმოსძახა რონმა.

— ჯერ, არც კი დავიწყებია, — გასძახა ჰარიმ და შურით შეხედა ჯემიან ორცხობილეს, რომლებიც რონსა და ჰერმიონს დიდი დარბაზიდან წამოეღოთ, — ვუდი ახალ ილეთებს გვასწავლის, — ჰარი ცოცხს მოაჯდა, მინას ფეხი დაჰკრა და ჰაერში აიჭრა. დილის ცივმა ნიავმა უცებ გამოაფხიზლა. ქვიდიჩის მოედანზე დაბრუნებამ სიხარული მოჰკვარა და ფრედსა და ჯორჯთან ერთად სტადიონს ელვის სისწრაფით შემოუფრინა.

— ეს რა ჩხაკუნის ხმა ისმის? — შესძახა ფრედმა, როცა კუთხესთან მიფრინდნენ.

ჰარიმ ტრიბუნებს გადახედა. კოლინი ყველაზე მაღალ ადგილას იჯდა, ფოტოაპარატი მაღლა აენია და გამალებით აჩხაკუნებდა.

დაცარიელებულ სტადიონზე ეს ხმა უცნაურ, ძლიერ ექოს გამოსცემდა.

— აქეთ, ჰარი! აქეთ გამოიხედე! — დაუძახა კოლინმა.

— ეს ვინლაა? — გაუკვირდა ფრედს.

— ამრზე არა ვარ, — იყრუა ჰარიმ და სწრაფად მოშორდა იმ ტრიბუნას, სადაც კოლინი იჯდა.

— რა ხდება? — მოლუპული ფრედი მათკენ გამოეშურა, — ეს პირველკურსელი სურათებს რატომ იღებს? არ მომწონს ეს ამბავი! იქნებ სლიზგერინის ჯაშუშია და ჩვენი ახალი საწვრთნელი პროგრამის შესასწავლად გამოგზავნეს!

— გრიფინდორელია, — სწრაფად მიუგო ჰარიმ.

— სლიზგერინელებს ჯაშუში არ სჭირდებათ, ოლივერ, — უთხრა ჯორჯმა.

— ვითომ, რატომ? — აღშფოთდა ვუდი.

— იმიტომ, რომ უკვე თვითონ მოვიდნენ, — ჯორჯმა მწვანეფორმიან მოსწავლეებზე ანიშნა, მათაც ცოცხები მოემარჯვებინათ და მოედანზე შემოდიოდნენ.

— წარმოუდგენელია! დღეისთვის მე დავჯავშნე მოედანი! ერთი, გავარკვიო, რა ხდება! — გაცხარდა ვუდი და ელვის სისწრაფით დაეშვა ძირს. ჰარი, ფრედი და ჯორჯიც უკან მიჰყვნენ.

— ჰეი, ფლინტ! — დაუღრიალა ვუდმა სლიზგერინის კაპიტანს, ახლა ჩვენ ვვარჯიშობთ! სპეციალურად ადრე ავდექით! აბა, მოუსვით აქედან!

მარკუს ფლინტმა ბოროტი, ეშმაკური ღიმილით გამოსძახა:

— ნუ გემინია, ვუდ! ადგილი ყველას გვეყოფა!

ანჯელინა, ალისია და კეიტიც მოედანზე დაემშენნენ. სლიზგერინელები, რომლებსაც გუნდში გოგონები საერთოდ არ ჰყავდათ, გრიფინდორელების პირისპირ იდგნენ და სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამამებდათ.

— კი მაგრამ, დღეისთვის მოედანი მე დავჯავშნე! — არ ცხრებოდა ვუდი.

— რას მელაპარაკები, — ჩაიქირქილა ფლინტმა, — მე კიდევ პროფესორ სნეიპის ხელმოწერილი წერილი მაქვს. „მე, პროფესორის. სნეიპი, სლიზგერინის გუნდს ვაძლევ უფლებას, დღეს ქვიდიჩის მოედანზე ივარჯიშოს, რათა ახალი სიკვრი უკეთ მოემზადოს“.

— ახალი სიკვრი გყავთ? სად არის? — დაინტერესდა ვუდი.

ექვსი ზორბა სლიზგერინელის ზურგს უკნიდან მეშვიდე, ტანდაბალი ბიჭი გამოვიდა, რომელსაც ფერმკრთალ წანვეტებულ სახეზე თვითკმაყოფილი ღიმილი დასთამამებდა. ეს დრაკო მალფოი იყო!

— შენ ლუციუს მალფოის შვილი არა ხარ? — ამრეზით ჰკითხა ფრედმა.

— კარგია, დრაკოს მამა რომ ახსენე, — ჩაიქირქილა ფლინტმა, სლიზერინელები გაიბადრნენ, — ახლა გაჩვენებთ დიდებულ საჩუქარს, რომელიც ბატონმა მალფოიმ სლიზერინის გუნდს უძღვნა!

შვიდივე სლიზერინელმა ცოცხი გამოაჩინა. შვიდ ლაპლაპა, ახალთახალ ცოცხზე თვალისმომჭრელად გაიბრწყინა ოქროს წარწერამ: „ნიმბუს-2001“.

— უკანასკნელი მოდელია! ერთი თვის წინ გამოვიდა, — სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა ფლინტმა და თავის ცოცხს ხელი გადაუსვა, — უკვე მოძველებულ „ნიმბუს-2000“-ს ბევრად სჯობს. რაც შეეხება „ქლინსვიპებს“, — ფლინტმა ამრეზით გადახედა ფრედისა და ჯორჯის „ქლინსვიპ-5“-ის მარკის ცოცხებს, — ეგენი მხოლოდ იატაკის დასაგველად თუ გამოდგება!

გრიფინდორელები გაოცებულები იდგნენ და ვერაფერს ამბობდნენ. დრაკოს ღიმილისგან თვალები დაუნჯრილდა.

— ერთი ამათ შეხედეთ! მოედანზე უცხოები შემოიჭრნენ! — აღშფოთდა ფლინტი.

რონსა და ჰერმიონს ველარ მოეთმინათ და მოედანზე გამოსულიყვნენ.

— რა ხდება? რატომ არ თამაშობთ! ამას აქ რა უნდა? — რონმა მალფოის გადახედა, რომელიც სლიზერინის ქვიდიჩის ფორმას იცვამდა.

— მე სლიზერინის ახალი სიკერი ვარ, უისლი, — ჩაიქირქილა მალფოიმ, — მამაჩემის ნაჩუქარი ცოცხები ყველას მოეწონა.

რონი განცვიფრებული მიაჩერდა შვიდ ახალთახალ ცოცხს.

— მაგრებია, არა? — ხმა დაიტკბო მალფოიმ, — იქნებ თქვენც შეაგროვოთ ფული და ახალი ცოცხები იყიდოთ?! „ქლინსვიპ-5“-ს მუზეუმები სიამოვნებით იყიდიან...

სლიზერინელები ახარხარდნენ.

— სამაგიეროდ, არც ერთ გრიფინდორელს არ უყვია ადგილი, — მკაცრად შეაწყვეტინა ჰერმიონმა, — ყველანი თავიანთი ნიჭის წყალობით მოხვდნენ გუნდში!

მალფოის ბოროტი ღიმილი სახეზე შეაცვივდა.

— შენი აზრი არავის არ აინტერესებს, შე მუქსისხლიანო! — შეუტია გამწარებულმა.

ჰარი მიხვდა, რომ მალფოიმ ძალიან საშინელი რაღაც თქვა, რადგან ამ სიტყვებს დიდი აყალმაყალი მოჰყვა. ფრედი და ჯორჯი მალფოისკენ გაქანდნენ და, რომ არა ფლინტი, ვინ იცის, რა დღეს დააყრიდნენ.

— როგორ ბედავ! — დაიკვილა ალისიამ.

რონმა მანტიაში ხელი ჩაიყო, ჯოხი ამოიღო და დაიღრიალა:

— მწარედ განანებ, მალფოი! — მერე ჯოხი მალფოის სახეს დაუმიზნა. სტადიონი გამაყრუებელმა გრგვინვამ შეაზანზარა. რონს ჯოხი უკუღმა დაეჭირა, მწვანე ელვა, დრაკოს ნაცვლად, მას მოხვდა მუცელში და სადღაც შორს გადაისროლა.

— რონ! რა მოგივიდა! რონ! — აკივლდა ჰერმიონი.

რონმა პირი გააღო, მაგრამ სიტყვების ნაცვლად პირიდან ნაღველი გადმონათხია.

სლიზერინელები კინალამ დაიხრჩვენენ სიცილით. ფლინტი ცოცხს ეყრდნობოდა, რომ არ დაეცემულიყო. ახარხარებული მალფოი მოედანზე ხოხავდა და მიწას მუშტებს უბრავეუნებდა. გრიფინდორელები რონს შემოეხვივნენ. რონი მიწაზე იწვა, ხმამაღლა აბოყინებდა და ნაღველს ანთხევდა. მისთვის ხელის ხლეება არავის უნდოდა.

— აჯობებს, ჰავრიდთან წავეყვანოთ, ყველაზე ახლოა, — გადაულაპარაკა ჰარიმ ჰერმიონს, გოგონამ თავი დაუქნია, მერე ორივენი რონს მხრებში სწვდნენ და წამოაყენეს.

— რა მოხდა, ჰარი? რა მოხდა? ცუდადაა? ხომ მოარჩნეთ, ხომ კარგად იქნება? — მოედნიდან მიმავალ მეგობრებს ტრიბუნიდან ჩამოსული კოლინი გვერდიდან არ სცილდებოდა. რონმა ხმამაღლა დააბოყინა და ახლა უფრო მეტი ნაღველი გადმონათხია.

— აუუ! რა მაგარია! — აღმოხდა კოლინს და კამერა მოიმარჯვა, აქეთ მოახედე რა, ჰარი!

— თავიდან მომწყდი! — დაუყვირა გაცოფებულმა ჰარიმ. ბოლოს, როგორც იქნა, რონი სტადიონიდან გაიყვანეს და ჰავრიდის სახლისკენ გაემართნენ.

— თითქმის მივედით, რონ, — გაამხნევა ჰერმიონმა რონი და ჰავრიდის ქოხი დაანახა, — ცოტაც მოითმინე და უკეთესად გახდები... თითქმის მივედით!

ჰავრიდის სახლამდე ოცი ფუტიღა იყო დარჩენილი, როცა კარი გაიღო და ვიღაც გამოჩნდა, მაგრამ ეს ჰავრიდი არ იყო! ეს იყო მოვარდისფერო-ლილისფერ მანტიაში გამოწყობილი გილდეროი ლოკჰარტი.

— ჩქარა დავიმალოთ! — დაიჩურჩულა ჰარიმ და რონი ბუჩქებში შეათრია. ჰერმიონიც შეჰყვა, მაგრამ უკმაყოფილოდ.

— ძალიან ადვილია, როცა ზუსტად იცი, რას აკეთებ! — ხმამაღლა უთხრა ლოკჰარტმა ჰავრიდს, — თუ ჩემი დახმარება დაგჭირდება, იცი, სადაც მომძებნო. ჩემს ნივთსაც გაჩქეებ, თუმცა, მიკვირს, აქამდე როგორ არ იყიდე. ხელს მოვანერ და ამ საღამოსვე გამოგიგზავნი.

აბა, ჯერჯერობით! — დაემშვიდობა ჰავრიდს და ციხე-კოშკისკენ გაემართა.

ჰარი დაელოდა, სანამ ლოკჰარტი თვალს მიეფარებოდა. მერე რონი ბუჩქებიდან გამოათრია, ჰაგრიდის ქობთან მიიყვანა და კარზე მაგრად დააკაკუნა.

ჰაგრიდმა ბუზღუნით გამოიხილა, მაგრამ ბავშვების დანახვაზე მყისვე გაიბადრა.

— სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ ჩემს სანახავად როდის მოვლენმეთქი... შემოდით, რას უდგახართ! მე მეგონა, ისევ ლოკჰარტი დაბრუნდა-მეთქი!

ჰარი და ჰერმიონი რონს მხრებში ამოუდგნენ და ოთახში შეიყვანეს. ერთადერთი ოთახის ცალ მხარეს უზარმაზარი სანოლი იდგა, მეორე მხარეს კი ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ჰარიმ რონი სკამზე დასვა და სხაპასხუპით ჩაუკაკლა მთელი ამბავი ჰაგრიდს, რომელიც რონის გულისრევას მაინცდამაინც არ შეუშვოთათბია.

— ნაღველი უნდა ამოანთხო, არ უნდა დაიგროვო, — აუღელვებლად დაარიგა ჰაგრიდმა რონი და სპილენძის ტაშტი დაუდგა, — მიდი, ყველაფერი ამოიღე!

— როგორც ვხვდები, ვერაფერს მოვეუხერხებთ, უბრალოდ, უნდა დაველოდოთ, როდის გაჩერდება, — შეწუხებული ჰერმიონი ტაშტზე გადაყუდებულ რონს თვალს არ ამორებდა, — ძალიან რთული შელოცვაა და იშვიათად გამოდის ხოლმე, მაგრამ გატეხილი ჯობით...

ჰაგრიდი დაფაცურდა, ჩაის გაგიმზადებთო. მისმა ნაგაზმა, ფენგმა, ჰარი თავით ფეხამდე გალოკა:

— ლოკჰარტს შენთან რა უნდოდა, ჰაგრიდ? — ჰკითხა ჰარიმ და ფენგს ყურები მოუხანა.

— ჭკუას მასწავლიდა, როგორ ამოვიტყუო ჭიდან ალი, ჩაიბუზღუნა ჰაგრიდმა, ნახევრად გაპუტული მამალი არეულ-დარეული მაგიდიდან აიღო და ჩაიდანის ცეცხლზე შემოდგა, — თითქოს მე არ ვიცოდე... თან გული გამინვრილა თავისი ამბებით, როგორ გაანადგურა ალქაჯი... მომკალი და, მაგისი ერთი სიტყვაც არ მჯერა!

ჰარიმ ყურებს არ დაუჯერა, როდის აქეთ დაიწყო ჰაგრიდმა ჰოგვორტსელი მასწავლებლების ლანძღვაო?! ჰერმიონი მაშინვე წამოენთო და გაცხარებული შეეპასუხა ჰაგრიდს:

— არა ხარ მართალი! პროფესორმა დამბლდორმა ამ სამუშაოზე სწორედ ლოკჰარტი მოიწვია, როგორც საუკეთესო...

— ეგ ერთადერთი კაცია, ვინც დათანხმდა, — შეანწყვეტინა ჰაგრიდმა და ნუგა მიანოდა. რონი ისევ ახველებდა, — ჰო, ეგრეა! ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის პოვნა ძალიან გაძნელდა, რომ იცოდეთ, დიდად არავის უხარია, ყველა იმას გაიძახის, დაწყველილი საქმეაო. დიდხანს ვერავინ უძლებს. აბა, ახლა დაწვრილებით მომიყევით, რით დაიწყო ეს ამბავი, — ჰაგრიდმა რონზე ანიშნა.

— მალფოიმ ჰერმიონს რაღაც დაუძახა, ეტყობა, ძალიან ცუდი სიტყვა იყო... იმიტომ რომ, ყველანი გაცოფდნენ!

— ეტყობა კი არა, ძალიან ცუდი სიტყვაა, — თავი წამოყო ფერდაკარგულმა და გაოფლილმა რონმა, — ჰაგრიდ, მალეფოიმ ჰერმიონს მუქსისხლიანი უწოდა... — რონმა სიტყვა ვეღარ გააგრძელა, რადგან ისევ გული აერია.

— რაო?! — აღშოთდა ჰაგრიდი.

— ჰო, მართლა ასე მოხდა, — დაუდასტურა ჰერმიონმა, — მე არ ვიცი, ეგ სიტყვა რას ნიშნავს, მაგრამ ძალიან უზრდელურად კი გამოუვიდა...

— ეს ყველაზე საშინელი სალანძღავი სიტყვაა, — არ ცხრებოდა რონი, — მუქსისხლიანებს მაგლების ოჯახში დაბადებულებს ეძახიან. მალეფოებისნაირი ჯადოქრები ფიქრობენ, რომ სხვებზე უკეთესები არიან, რადგან ძარღვებში წმინდა სისხლი უდგათ! — რონმა დააბოყინა და როცა შეეტევამ გადაუარა, განაგრძო: — ჩვენთვის, ნორმალური ჯადოქრებისთვის, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თუნდაც ნევილ ლონგბოტომი აიღეთ — წმინდა სისხლისაა, მაგრამ ქვების დადგმაც კი არ შეუძლია წესიერად!

— თანაც, არ არსებობს ამქვეყნად შელოცვა, ჩვენმა ჰერმიონმა რომ არ იცოდეს, — ამყად დასძინა ჰაგრიდმა. ჰერმიონს სახეზე სინითლემ გადაჰკრა.

— საზიზღარი სიტყვაა! — რონმა გაოფლილი შუბლი აკანკალებული ხელით მოინმინდა, — ბინძური სისხლიო! რა სიგიჟეა, მდაბიო სისხლი! ჯადოქრების უმეტესობა სულაც არ არის წმინდა სისხლისა! ჯადოქრები მაგლებზე რომ არ ქონწინდებოდნენ, სულ ამოვწყდებოდიო! — რონმა ისევ დააბოყინა და თავი ტაშტში ჩარგო.

— ახლა ყველაფერი მესმის და არ გამტყუნებ, მალეფოისთვის შელოცვა რომ გინდოდა, — უთხრა ჰაგრიდმა, — თუმცა, მაინც კარგია, რომ ელვა შენ თვითონ მოგვხდა. წარმომიდგენია, ლუციუს მალეფოი რა გამწარებელი მოვარდებოდა სკოლაში, მისი შვილი რომ მოგეტყადობინა. მოკლედ, დიდ შარს გადაურჩი!

ჰარის უნდოდა ეთქვა, ამაზე მეტი შარი რაღა გინდა, გაუთავებლად აღებინებო, მაგრამ ვერ მოახერხა: ჰაგრიდის ნუგამ კბილები ერთმანეთზე მიუწება.

— ჰო, მართლა, ჰარი, — უცებ მოაგონდა ჰაგრიდს, — შენთვის უნდა მეკითხა. გავიგე, თურმე, ავტოგრაფიან ფოტოებს არიგებდი. მე რატომ არ მაჩუქე?

აღშოთებულმა ჰარიმ კბილები გაჭირვებით დააშორა ერთმანეთს.

— მე არავითარ ფოტოებს არ ვარიგებდი! თუ ლოკჰარტი ისევ მივრცელებს ხმას... — ჰარიმ სიტყვა აღარ დაამთავრა, რადგან ჰაგრიდს სიცილი აუტყდა.

— კარგი, ჰო, გეხუმრე! — ჰაგრიდმა მეგობრულად დაჰკრა ბეჭებზე ხელი და სახით ლამის მაგიდას დაანარცხა, — ვიცი, ამას არ იკადრებდი. ლოკჰარტსაც ვუთხარი, რომ შენ ეს არ გჭირდება. არაფერიც რომ არ გააკეთო, მაინც მასზე უფრო ცნობილი ხარ!

— აუჰ, როგორ ეწყინებოდა! — ჰარიმ თავი ასწია და ნიკაპი მოისრისა.

— ეწყინა რომელია, — ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ჰაგრიდმა, — მერე ისიც ვუთხარი, რომ მისი არც ერთი წიგნი არ წამიკითხავს და აქედან მოუსვა. რონ, ნუგა ხომ არ გინდა?

— არა, გმადლობ! — ძლივს ამოილულულა რონმა, — ვერ შეეჭამ!

— მოლით, რალაცას გაჩვენებთ, — შესთავაზა ჰაგრიდმა, როცა ჰარი და ჰერმიონი ჩაის სმას მორჩნენ.

ჰაგრიდის ქოხს უკან, პატარა ბოსტანში, უზარმაზარი ლოდებისოდენა გოგრები იზრდებოდა. ჰარის თავის დღეში მსგავსი არაფერი ენახა.

— კარგად გაიხარეს, არა? — სახე გაუბრწყინდა ჰაგრიდს, ჰელოუინისთვის უკვე ძალიან დიდები იქნებიან...

— კი მაგრამ, ამხელეები როგორ მოიყვანე? — დაინტერესდა ჰარი.

ჰაგრიდმა იქაურობა მოათვალიერა, ვინმე ხომ არ გვისმენსო და წაუჩერჩულა:

— ცოტა წავეხმარე... ხომ მიმიხვდი...

ჰარიმ ქოხის კედელზე მიყუდებული ვარდისფერყვავილებიანი ქოლგა შეამჩნია და არცთუ უმიზეზოდ გაიფიქრა, როგორც ჩანს, ეს ქოლგა ჩვეულებრივი არ უნდა იყოსო. მართლაც, მასში ჰაგრიდის ძველი, სკოლისდროინდელი ჯოხი იყო ჩამალული. ჰაგრიდს ხომ მაგის გამოყენება აკრძალული ჰქონდა. თავის დროზე მესამე კურსიდან გარიცხეს, მაგრამ ჰარის ამის მიზეზი ვერაფრით ვერ გაერკვია. რამდენჯერაც ჰკითხა, ჰაგრიდმა იმდენჯერ წაუყრუა. ის კი არადა, საერთოდ არ სცემდა ხმას, სანამ საუბარს სხვა თემაზე არ გადაიტანდა.

— როგორც ვხვდები, გასადიდებელი შელოცვა გამოგიყენებია, — დაასკვნა ჰერმიონმა, თან ვერ გადაეწყვიტა, ამ საქციელისთვის შეეყო თუ დაეთუქსა, — ყოჩაღ, კარგად გამოვსვლია!

— შენმა დაიკომაყ ასე მითხრა, — მოუბრუნდა ჰაგრიდი რონს, — გუშინ გავიციანი, — მერე ცერად გადახედა ჰარის, — მითხრა, უბრალოდ, აქაურობას ვათვალიერებდიო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს სახლში სხვა ვილაცას ეძებდა. მე მგონი, უარს არ იტყოდა ავტოგრაფიან...

— გეყოფა! — გაჯავრდა ჰარი.

რონს სიცილი აუტყდა და იმწამსვე ნაღველი გადმოანთხია.

— ფრთხილად! — დაუყვირა ჰაგრიდმა და თავის ძვირფას გოგრებს მოარიადა.

ამასობაში მეორე საუბრის დროც მოვიდა. ჰარის, დილიდან მოყოლებული, ნუგას გარდა, არაფერი ეჭამა და ახლა ერთი სული ჰქონდა, სკოლაში როდის

დაბრუნდებოდა, რომ გემრიელად დანაყრებულყო. ბავშვები ჰაგრიდს დაემშვიდობნენ და ციხე-კოშკისკენ გაემართნენ. გზადაგზა რონს სლოკინი უვარდებოდა, მაგრამ გული იშვიათადლა ერეოდა.

ის იყო, მთავარ შესასვლელში შევიდნენ, რომ პროფესორ მაკგონაგელის მკაცრი ხმა შემოესმათ:

— როგორც იქნა, გიპოვეთ! პოტერ, უისლი, ამ საღამოს დამატებით სამუშაოს შეასრულებთ!

— რა უნდა გავაკეთოთ, პროფესორო? — ჰკითხა რონმა, თან ბოცინს ძლივს იკავებდა.

— შენ, უისლი, ჯილდოების ოთახში ვერცხლყუთს გააპრილებ ბატონ ფილჩთან ერთად. ოლონდ, გაფრთხილებ, არავითარი ჯადოქრობა!

რონს სუნთქვა შეეკრა. დარაჯი არგუს ფილჩი სკოლაში ყველა მოსწავლეს სძულდა.

— შენ კი, პოტერ, პროფესორ ლოკჰარტს მიეხმარები. თავის ფანებს წერილებზე უნდა უპასუხო.

— ოლონდ ეგ არა! — შემფოთდა ჰარი, — არ შეიძლება, მეც ჯილდოების ოთახში ვიმუშაო?

— არავითარ შემთხვევაში! — წარბები აზიდა პროფესორმა მაკგონაგელმა, — პროფესორმა ლოკჰარტმა შენზე მთხოვა. საქმეს ზუსტად რვა საათზე შეუდგებით, გასაგებია?

ჰარი და რონი დიდ დარბაზში შელასლასდნენ. ჰერმიონიც მათ მიჰყვებოდა, სახეზე კი ერთობ კმაყოფილი გამომეტყველება ეხატა, თითქოს ფიქრობდა, სკოლის წესების დარღვევისათვის ასეც მოგიხდებათო. საუზმობისას ჰარის ღვეზელი ყელში არ გადასლიოდა.

ამაზე უარეს სასჯელს ვერც კი წარმოიდგენდა. არც რონი იყო ნაკლებ გასაჭირში.

— ფილჩი ტყავს გამძრობს, — დაიწუნუნა რონმა, — თან, ჯადოქრობასაც ვერ გამოვიყენებ! იმ ოთახში, ალბათ, ასზე მეტი თასია! მაგლებივით ჭურჭლის წმენდა საერთოდ არ მხებრხება.

— მე სიამოვნებით გავიცვლიდი სასჯელს, — ამოიოხრა ჰარიმ, — დერსლებთან მაგის მეტი რა მიკეთებია. ლოკჰარტის ფანების წერილებზე პასუხის გაცემა ნამდვილი ჯოჯოხეთია...

შაბათი დღე ძალიან მალე მიილია. თითქოს თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ უკვე რვას ხუთი წუთი აკლდა. ჰარი ფეხათრევით ავიდა მეორე სართულზე და ლოკჰარტის კაბინეტს კბილების ღრჭიალით მიადგა. კარი დაკაკუნებისთანავე გაიღო.

— აი, ჩვენი უსაქმური ბიჭიც მოსულა! — გაუღიმა ლოკჰარტმა, შემოდი, შემოდი!

კედლები ლოკჰარტის ფოტოებით იყო სავსე. უამრავი სანთლის შუქზე იქაურობას ბრძღვალა გაჰქონდა. ლოკჰარტს რამდენიმე სურათზე ხელიც კი მოეწერა. მაგიდაზე ფოტოების დიდი გროვა იდო.

— კონვერტებს მისამართები დაანერე! — ისე უთხრა ლოკჰარტმა, თითქოს უზარმაზარი წყალობა გაეღოს, — აი, ეს წერილი გლედის გუდჯონს... ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ფანია!

დრო უსაშველოდ გაინელა. ჰარი უხმოდ ასრულებდა სამუშაოს, შიგადაშიგ ლოკჰარტი თუ წამოიძახებდა: „მმმ...“, ან „აჰა“, ან „ყოჩაღ!“, ან კიდევ, ამგვარ დარიგებებს აძლევდა: „პოპულარობა ადამიანს აფუჭებს, ჰარი!“, ან „ღირსშესანიშნავი ადამიანი ღირსშესანიშნავად უნდა იქცეოდეს, კარგად დაიმსხოვრე!“.

სანთლები ნელ-ნელა ჩაინვა და ლოკჰარტის მოძრავ სურათებზე ჩრდილები ათამაშდა. ჰარი ატკივებული ხელით მეთასე კონვერტს გადასწვდა და ზედ ვერონიკა სმეთლის მისამართი წაანერა. თან გაიფიქრა, ალბათ, უკვე წასვლის დროა... ო, როგორ უნდოდა ამ ოთახიდან გაქცევა...

უცებ რაღაც ხმა შემოესმა — ეს არც სანთლების პარჰალს ჰგავდა და არც ლოკჰარტის გაუთავებელ ლაყბობას.

ეს იყო ცივი, სულის შემძვრელი ხმა, თმას რომ ყალყზე დაგიყენებს და ჟრუნტელს მოგგვრის.

„უნდა გაგფატრო... დაგგლიჯო... მოგკლა...“

მოულოდნელობისგან ჰარი შეხტა და ვერონიკა სმეთლის კონვერტი მელნით დასვარა.

— რაო? — თავი ველარ შეიკავა ჰარიმ.

— ვიცი, ვიცი, გიკვირს! მაგრამ ექვსი თვის მანძილზე ბესტსელერების სიაში პირველ ადგილზე იყო ჩემი წიგ...

— არა! — შეანწყვეტინა დაზაფრულმა ჰარიმ, — ხმაზე გეუბნებით!

— რა თქვი? — გაუკვირდა ლოკჰარტს, — რა ხმაზე?

— აი... აი, იმ ხმაზე... არ გაგიგონიათ?

ლოკჰარტი განცვიფრებული მიაჩერდა.

— ვერ მიგიხვდი, ჰარი! ცოტა ხომ არ დაიღალე? მაინც ყოჩაღი ბიჭი ხარ, აბა, საათს შეხედე! თითქმის ოთხი საათია, აქ ვსხედვართ) წარმოვიდგენია?! როგორ გაფრენილა დრო.

ჰარის არაფერი უპასუხია. გაფაციცებული აყურადებდა, მაგრამ ხმა უკვე აღარ ესმოდა. მხოლოდ ლოკჰარტი არ ჩერდებოდა, არ გეგონოს, რომ ყოველ დამატებით სამუშაოზე ასეთ წყალობას ეღირსებო. დარეტიანებული ჰარი ოთახიდან გავიდა.

ძალიან გვიანი იყო, გრიფინდორის საერთო ოთახში თითქმის აღარავინ იჯდა. ჰარი პირდაპირ საძინებლისკენ გაემართა. რონი ჯერ კიდევ არ ჩანდა. ჰარიმ პიჟამა ჩაიცვა, ლოგინში შეწვა და გადაწყვიტა, ასე დალოდებოდა მეგობარს. ნახევარ საათში რონიც გამოჩნდა, მარჯვენა მკლავი მონყვეტილივით ეკიდა და ჯურჯლის სანმედი ფხვნილის სუნით ყარდა.

— მკლავები დამანცდა! — ამოიკვნესა და სანოლზე გაიშლართა, თოთხმეტჯერ გამაპრიალებინა ქვიდიჩის თასი. მერე, როცა „სკოლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაწესებულ თასს ვაპრიალებდი, შეტევა დამეწყო. აუ, რამდენი დრო მოვანდომე ნაღვლით დასვრილი თასის ვაპრიალებას... ლოკჰარტთან რა ხდებოდა?

ჰარიმ უამბო, რაც მოესმა, ოღონდ ისე ხმადაბლა, რომ ნევილს, დინსა და სიმუსს არ გაეგონათ.

— ლოკჰარტმა გითხრა, არაფერი არ გამიგონიაო? — ჰარიმ შეამჩნია, როგორ მოიღუპა რონი, — როგორ გგონია, მოგატყუა? არ მესმის... უჩინმაჩინი რომ ყოფილიყო, კარი მანც ხომ უნდა გაეღო...

— ჰო, მართალი ხარ, — დაუდასტურა ჰარიმ და ჯერს მიაჩერდა, ვერც მე მივმხვდარვარ!

თავი მერვე

გარდაცვალების დღე

ოქტომბრის სუსხმა ციხე-კოშკშიც შეაღწია. სკოლის მედღას, მაღამ პომფურის, უამრავი საზრუნავი გაუჩნდა: მასწავლებელ-მოსწავლეებიანად ყველანი წარამარა ცივდებოდნენ. მაღამ პომფურის პილპილო ელექსირი გაცივებას წამში არჩენდა, მაგრამ მისი დალევიდან რამდენიმე საათის განმავლობაში პაციენტებს ყურებიდან ბოლი გამოსდიოდათ. ჯინი უისლისაც სურდო დაეწყო და პერსიმ ძალით დააღვეინა ელექსირი. გოგონას ჩამოშლილი ყლალა თმიდან ისეთი ბოლი აუვიდა, გეგონებოდათ, თავზე ცეცხლი უკიდაო.

წვიმის მსხვილი წვეთები გაუთავებლად ურაკუნებდა ციხეკოშკის ფანჯრებს. ტბა ადიდა, ყვავილების კვლები ატალახდა და ჰავრიდის გოგრები პლაჟის ქოლგებივით დაიბერა. ოლივერ ვუდს კი ქვიდიჩში ვარჯიში მანც არ შეუწყვეტია. სწორედ ამ მიზეზით ერთ წვიმიან შაბათ ნაშუადღევს, ჰელოუინამდე რამდენიმე დღით

ადრე, ჰარი ერთიანად განუწული და ტალახში ამოსვრილი დაბრუნდა გრიფინდორის კოშკში.

უამინდობის მიუხედავად, ამჯერადაც კარგად ივარჯიშეს. სლიზერინის ვარჯიშზე საჯაშუშოდ შეგზავნილმა ფრედამ და ჯორჯმა ახალი „ნიმბუს-2001“-ის სიჩქარე დაადგინეს და განაცხადეს, სლიზერინელები მწვანე ლაქებივით ისე დაქრიან ჰაერში, თვალსაც ვერ მიაღწევენბო.

დაცარიელებულ დერეფანში ჰარი გრიფინდორის კოშკის მოჩვენებას, თითქმის უთავო ნიკს გადააწყდა. ნიკი ღრმად ჩაფლულიყო ფიქრებში და რალაცას ბუტბუტებდა:

— ...მოთხოვნებს არ აკმაყოფილებთ... თუ არა და...

— გამარჯობა, ნიკ! — მიესალმა ჰარი.

— გაგიმარჯოს, — მიუგო თითქმის უთავო ნიკმა, მერე იქაურობა მოათვალიერა. თავზე ქვაბურა ქუდი ეხურა, რომელიც ხუჭუჭა თმაზე გამუდმებით უცურდებოდა, ტანთ კი ტუნიკა ეცვა, რომლის საყელო თითქმის გადაჭრილ კისერს უმაღავდა. ბურუსივით ფერმკრთალი და გამჭვირვალე იყო, ისე რომ, მის მიღმა ჰარი ჩაბნელებულ ცასა და თავსხმა წვიმას ხედავდა.

— რალაც შენუხებული ჩანხარ, ყმანვილო, — შენიშნა ნიკმა, გამჭვირვალე წერილი დაკეცა და უილეთის ჯიბეში ჩაიჩურთა.

— შენც, — მიუგო ჰარიმ.

— აჰ, რას ამბობ, — თითქმის უთავო ნიკმა ელეგანტურად აიქნია ხელი, — უმნიშვნელო ამბავია, სინამდვილეში სულაც არ მინდოდა მაგ კლუბში განევრიანება... ვფიქრობდი, განაცხადს მაინც შევიტან-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ „მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებ“, — მიუხედავად მშვიდი ტონისა, აშკარად ეტყობოდა, რომ ნაწყენი იყო. უცებ გაბრაზებულმა წერილი ჯიბიდან ამოიღო, — მაგრამ შენც ხომ მეთანხმები, რომ კისერში ნაჯახის ორმოცდახუთჯერ ჩარტყმა სრულიად საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ „უთავოთა კლუბში“ მიგიღონ.

— ჰოო, ღიახ, — მიუგო ჰარიმ.

— იცი, რა, ნეტავ, ყველაფერი სწრაფად და ზუსტად გაეკეთებინათ და ჩემთვის თავი წესიერად მოეჭრათ... ყოველ შემთხვევაში, ამდენ დამცირებას გადავრჩებოდი. თუმცა... — თითქმის უთავო ნიკმა გაცხარებით დაინყო წერილის კითხვა: — „კლუბის წევრად შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ის, ვისი თავიც ტანს სრულიად მოსწყდა. სხვანაირად, როგორც თავადაც ხვდებით, შეუძლებელია ჩვენი კლუბის წევრთა ისეთ გართობებში მონაწილეობა, როგორიცაა მხედრების უონგლიორობა თავებით და თავების პოლო. დიდად ვწუხვარ, მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ ჩვენი კლუბის მოთხოვნებს. საუკეთესო სურვილებით, სერ ჰატრიკ დელანი-პოდმორი“

აღშფოთებულმა თითქმის უთავო ნიკმა წერილი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— სულ რაღაც ერთი სანტიმეტრი კანი მიმაგრებს თავს კისერზე... მოკვეთილი ჰქვია ჩემს თავს, აბა, რა ჰქვია?! მაგრამ, არა, იმ სერ პირწმინდად გოგონაცხლილი პოლმორისთვის ეს საკმარისი არ არის, — თითქმის უთავო ნიკმა ღრმად შეისუნთქა და. უფრო მშვიდად განაგრძო: — აბა, ახლა შენ მითხარი, რა გავჭირვებია, რით შემოძლია, დაგეხმარო?

— სამწუხაროდ, ვერაფრით, — ამოიოხრა ჰარიმ, — არა მგონია, სადმე უფასოდ შეგეძლოს შვიდი ცალი „ნიმბუს-2001“-ის შოვნა, სლიზერინის წინააღმდეგ გვაქვს მატრი...

კატის კნავილმა ჰარის სიტყვა გაანწყვეტინა. ქვემოდან ორი მოელვარე ყვირთელი თვალი მოშტერებოდა. ეს ჰოვვორტის დაჩაჩის, არგუს ფილჩის გაძვალტყავებული რუხი კატა იყო, მისის ნორისი — თავისი პატრონის მარჯვენა ხელი სტუდენტებთან ბრძოლაში.

— ჯობს, აქედან წახვიდე, — სწრაფად ურჩია ნიკმა, — ფილჩი უგუნებოდ ბრძანდება. გრიპი აქვს, თან ვიღაც მესამეკურსელებმა სარდაფის ჭერი შემთხვევით ბაყაყის ტვინით მოსვარეს, მთელი დღია მაგის წმენდაშია. აჯობებს, არ დაგინახოს, რომ ტალახიანი ფეხებით შემოხვედი...

— მართალი ხარ, — მიუგო ჰარიმ და მისის ნორისის გამოცდელ მზერას თვალი მოარიდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მარჯვენა კედელზე ჩამოკიდებული გობელენიდან თავზე შალის კუბოკრულმარფნაკრული, უჩვეულოდ ცხვირგანითღებული, გაათრებელი არგუს ფილჩი გამოვარდა და თვალების ბრიალით დაუნყო ძებნა წესების დამრღვევს.

- სიბინძურე! — დაიყვირა ყბააკანკალებულმა და თვალგადმოკარკლულმა ფილჩმა და ჰარის ფეხებთან დამღვარ ტალახიან გუბებს დახედა, — ყველგან საშინელი არეულობა! ყელში ამომივიდა! გამომყვი, პოტერ!

ჰარიმ სანწყლად დაუქნია ხელი თითქმის უთავო ნიკს და ფილჩს კიბეზე ჩაჰყვა, გზადაგზა ტალახიან ნაკვალევს ტოვებდა.

ფილჩის კაბინეტში ჰარი ადრე არასოდეს ყოფილა. ამ ოთახს სტუდენტები ყოველთვის თავს არიდებდნენ. უფანჯრო, ჩაბნელებულ სარდაფს დაბალ ჭერზე დაკიდებული ერთადერთი ნავთის ლამპა ძლივს ანათებდა. იქაურობა შემწვარი თევზის სუნით ყარდა. კედლებთან ხის თაროები იდგა. ზედ მიმაგრებული წარწერებით ჰარი მიხვდა, რომ ამ თაროებზე ფილჩი ინახავდა დანწერილებით ინფორმაციის იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც ოდესმე დაესაჯა. ერთი თარო მთლიანად ფრედ და ჯორჯ უისლებს ეკუთვნოდათ.

კედელზე, ფილჩის სამუშაო მაგიდასთან, საგულდაგულოდ გაპრიალებული ჯაჭვები და ხელობრიკლები ეკიდა. სკოლაში ყველამ იცოდა, რომ ფილჩი

გამუდმებით სთხოვდა დამბლდორს, უფლება მომეცი, დამნაშავე სტუდენტები ფეხებით დაგვიდოო.

ფილჩმა სამელნიდან ბატის ფრთა ამოიღო და პერგამენტს დაუნყო ძებნა, თან გამწარებული ბუტბუტებდა:

— ნეხვი! დრაკონის ფუნა!.. ბაყაყის ტვინი... ვირთხის ნანლავები... ყელში ამომივიდა!.. მე მაგათ ვუჩვენებ!.. სად ჯანდაბაში წავიდა ეს ანკეტა?!

ბოლოს მაგიდის ქვემოდან პერგამენტის დიდი გრავინილი გამო აძრო, მაგიდაზე გაშალა და შავი ბატის ფრთა სამელნეში ჩაანო, — სახელი... ჰარი პოტერი. დანაშაული...

— კი მაგრამ, სულ რაღაც ერთი ბენო ტალახი... — წამოიწყო ჰარიმ, — შენტვის ეგ ერთი ბენო ტალახი, ყმანვილო, მაგრამ ჩემთვის ერთი საათი იატაკის ხეხვაა! — განრისხებულ ფილჩს გასივებული ცხვირის წვერზე საზიზღრად ჩამოეკიდა ცინგლი, — დანაშაული ციხე-კოშკის დაბინძურება... რეკომენდებული სასჯელი... — ფილჩმა წვინტლიანი ცხვირი მოიფხანა და ბოროტად გადახედა ჰარის. ბიჭი სუნთქვაშეკრული ელოდა სასჯელს.

ის იყო, ფილჩმა ბატის ფრთა ხელმეორედ ჩაანო სამელნეში, რომ ჭერს საშინლად დაებრეხვა რაღაც და ნავთის ლამპა შეაზანზარა.

— პივს! — დაიდრიალა ფილჩმა და ბატის ფრთა მოისროლა, — ახლა ვეღარსად წამიხვალ! მე შენ გიჩვენებ სიერს! — თვალის დახამხამებაში გავარდა კაბინეტიდან და მისის ნორსიც თან გაიყოლა.

პივსი სკოლის პოლტერგვისტი იყო, მუდამ გაკრეჭილი დალივლივებდა ჰაერში და ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. ჰარის მანიცდამინც დიდად არასოდეს ჰყვარებია პივსი, მაგრამ ახლა მისი უზომოდ მაღლიერი იყო. წამსვე მიხვდა, რომ პივსმა ამჯერად რაღაც ძალიან დიდი ნივთი დაამტვრია და იფიქრა, იქნებ ფილჩს ჩემი დანაშაული გადაავიწყდესო. მერე გადაწყვიტა, მანიც დალოდებოდა მის დაბრუნებას და მაგიდასთან ახლოს, ჩრჩილისგან შეჭმულ სკამზე ჩამოჯდა. მაგიდაზე, ნახევრად შევსებული ანკეტის გარდა, იღო უზარმაზარი პრიალა ალისფერი კონვერტი, რომელსაც ზედ ვერცხლისფერი ასოებით რაღაც ეწერა. ჰარიმ ქურდული მზერა გააპარა კარისკენ, დარწმუნდა, რომ ფილჩი ჯერ არ ჩანდა და კონვერტი აიღო.

„ქვიქსპელი“ ჯადოქრობის მიმონერითი კურსი დამწყებთათვის დაინტერესებულმა ჰარიმ კონვერტი გახსნა და პერგამენტის მთელი შეკვრა ამოიღო. პირველ ფურცელზე ჩახუჭებული ვერცხლისფერი ასოებით ეწერა: „ჩამორჩით თანამედროვე ჯადოქრობის განვითარებას? ხშირად გინევთ მობოდიშება იმისთვის, რომ მარტივი შელოცვები არ გამოგდით? ბევრჯერ შეურცხვენიახართ თქვენს უხირო ჯალოსნურ იოხს?“

ჩვენ გვაქვს საკადრისი პასუხი თქვენს შეკითხვებზე!

„ქვიქსპელი“ სრულიად ახალი, გარანტირებული, სწრაფშედეგიანი, ადვილად შესასწავლი კურსია. „ქვიქსპელის“ მეთოდით უკვე ასობით ჯადოქარმა ისარგებლა!

მადამ ზ. ნეტლზ ტოპშემელო წერს: „შელოცვებს ვერაფრით ვერ ვიმახსოვრებდი და ჩემ მიერ მომზადებულ ელექსირებს მთელი ოჯახი დასცინოდა. „ქვიქსპელის“ კურსის გავლის შემდეგ ყველა წვეულების სული და გული გავხდი. მეგობრების შევედრებთან, მოციმციმე ხსნარის რეცეპტი მოგვეცით!.

უორლოკ დ. ჯ. პროდ დისბერელი წერს:

„ჩემი ცოლი ჩემს უსუსურ შელოცვებს ყოველთვის დასცინოდა, მაგრამ „ქვიქსპელის“ ერთთვიანი კურსის შემდეგ თავისუფლად შემძლია მისი გადაქცევა ტიბეტურ ხარად. უღრმესი მადლობა „ქვიქსპელს“.

ნეტავ, რამი დასჭირდა ფილჩს „ქვიქსპელის“ კურსი? ნუთუ ჩვეულებრივი ჯადოქარი არ იყო? გოაცებულმა ჰარიმ ყველა ფურცელი გადაათვალიერა და პირველი გაკვეთილის კითხვა დაინყო, სადაც ახსნილი იყო, როგორ უნდა დაგეჭირა ხელში ჯადოსნური ჯოხი. ამ დროს დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. ბიჭმა პერგამენტის ფურცლები სასწრაფოდ ჩაჩურთა კონვერტში, კონვერტი მაგიდაზე დააგდო და კარიც გაიღო.

ფილჩს სახე უბრწყინავდა.

— ეგ უჩინმაჩინის კარადა ძალიან ძვირფასი იყო, — გახარებული ეუბნებოდა მისის ნორისს, — ამჯერად პიესის საქმე ცუდად იქნება, ჩემო ძვირფასო! — ფილჩმა ჯერ ჰარის გადახედა, მერე კონვერტისკენ გააპარა მზერა. ჰარიმ ახლავდა შეამჩნია, რომ კონვერტი იქ არ დაედო, საიდანაც აიღო, მაგრამ რაღას იზამდა.

ფილჩი ერთიანად განითლდა, გაცეცხლებული მიიჭრა მაგიდასთან, კონვერტს ხელი სტაცა და უჯრაში ჩააგდო.

— შენ რა... ნაიკითხე?

— არა, — იცრუა ჰარიმ.

— შენ რომ ჩემი წერილი წაგეკითხა... არა, ჩემი სულაც არ არის...

მეგობრისთვის მინდოდა... მაგრამ მაინც... ერთი სიტყვით... თითების მტვრევა დაინყო ფილჩმა.

ჰარი დაძაბული მიაჩერდა, ასეთი გაცოფებული ფილჩი არასოდეს ენახა: თვალები გადმოშკარკლოდა, ნერვიულობისგან აკანკალებულ სახეს კუბოკრული შარფი ველარ უფარავდა.

— კეთილი... ნაბრძანდი... იცოდე, სიტყვა არ წამოგცდეს... თუმცა, თუ არ წაგიკითხავს... ახლა წადი, პიესზე უნდა დავწერო მოხსენება, წადი-მეთქი...

ჰარი გახარებული გამოვარდა კაბინეტიდან, დერეფანში გაიქროლა და კიბეს აუყვა. ფილჩის კაბინეტიდან დაუსჯელად თავის დაღწევა ნამდვილი სასწაული იყო.

— ჰარი! ჰარი! როგორ გამომივიდა? — საკლასო ოთახიდან თითქმის უთავო ნიკი გამოფარფატდა. მის ზურგს უკან მთლად დაღვნილი შავი, ოქროთი განწყობილი კარადა მოჩანდა. როგორც ჩანს, ძალიან მაღლიდან გადმოეცდოთ.

— მე დავიყოლიე პივსი, კარადა ზედ ფილჩის კაბინეტის თავზე დაემსხვრია, — შესცინა ნიკმა, — ვიფიქრე, ყურადღება გაეფანტებამეთქი...

— შენ? — ჰარი უზომოდ მაღლიერი იყო, — მაგრად გამოვივიდა! დამატებითი სამუშაოც კი არ მოუცია! გმადლობ, ნიკ!

დერეფანს ერთად გაუყვნენ. ჰარიმ შეამჩნია, რომ თითქმის უთავო ნიკს ხელში ისევ სერ პატრიკის წერილი ეჭირა.

— ნეტავ შემეძლოს, მაგ შენი „უთავოთა კლუბის“ საქმეში დაგეხმარო, — უთხრა ჰარიმ.

თითქმის უთავო ნიკი მოულოდნელად შედგა და ჰარიმ პირდაპირ მის ჰაეროვან, ცინულივით ცივ სხეულში გაიარა.

— შეგიძლია, ჰარი, როგორ არა, — აღელდა ნიკი, — მაგრამ შენ ალბათ არ დათანხმდები, ძალიან ბევრს ვითხოვ შენგან...

— მითხარი, — არ მოეშვა ჰარი.

— კეთილი, გეტყვი. ამ ჰელოუინზე ჩემი გარდაცვალებიდან ხუთასი წელი შესრულდება, — ამყად აუნყა ნიკმა და ჰარისთან ახლოს მიფრინდა.

— მართლა? — გაიკვირვა ჰარიმ, თუმცა, არ იცოდა, ეს ამბავი უნდა გახარებოდა თუ სწყენოდა.

— ერთ-ერთ დიდ სარდაფში წვეულებას ვაწყობ. ჩემი მეგობრები ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვლენ. ჩემთვის დიდი პატივი იქნება, შენც თუ მოხვალ. უისლისა და გრინჩერსაყ სიამოვნებით დავპატიჟებდი, მაგრამ თქვენ ალბათ, სასკოლო წვეულებაზე გირჩევიანთ წასვლა... — ყოყმანით თქვა ნიკმა და მოლოდინად იქცა.

— სულაც არა, — არ დააყოვნა ჰარიმ, — მოვალ...

— ჩემო ძვირფასო ბიჭო! წარმოგიდგენიათ? ჰარი პოტერი ჩემი გარდაცვალების დღეზე მოვა! და კიდევ ერთი რაღაც... — ცოტა შეყოყმანდა, — იქნებ, სერ პატრიკს ჩემზე ერთი-ორი სიტყვა უთხრა... ვითომ ძალიან თავზარდამცემი და შემადრწუნებელი მოჩვენება ვარ...

— რასაკვირველია! — დაჰპირდა ჰარი.

თითქმის უთავო ნიკი ერთიანად გაიბადრა.

* * *

— გარდაცვალების დღე?! — აღფრთოვანებით შესძახა ჰერმიონმა, როცა ჰარიმ, ბოლოს და ბოლოს, ბინძური ტანსაცმელი გამოიცვალა და საერთო ოთახში ჩავიდა, — რაღაც არა მგონია, რომ ბევრს შეუძლია, დაიტრახოს, გარდაცვალების დღეზე ვყოფილვარო. წარმომიდგენია, რა საოცრება იქნება!

— ვის რაში სჭირდება გარდაცვალების დღის აღნიშვნა, ჩაიბუზღუნა რონმა. შხამ-წამლებში დავალეხა სანახევროდ ჰქონდა შესრულებული და უგუნებოდ იყო, — მაგარი მოსაწყენი რამე იქნება...

წვიმა ისევ აკაკუნებდა ჩაშავებულ ფანჯრებზე, თუმცა, ასეთი უამინდობის მიუხედავად, ოთახებში სინათლე იფრქვეოდა. ბუხარში მოკიაფე ალი სავარძლებს დასთამაშებდა. სტუდენტები ისხდნენ და კითხულობდნენ, საუბრობდნენ ან საშინაო დავალებას ასრულებდნენ. ფრედ და ჯორჯ უისლები კი იმის გარკვევას ცდილობდნენ, სალამანდრას ფლიბუსტიერის შუშხუნა რომ გადავაცლაპოთ, ნეტავ, რა მოხდებაო. ფრედმა ჯადოსნურ ცხოველთა კაბინეტიდან ერთი ნარინჯისფერი ხვლიკი „გათავისუფლა“ და ცნობისმოყვარეთა წინაშე მაგიდაზე დასვა.

ჰარიმ დააპირა, რონისა და ჰერმიონისთვის ფილჩისა და „ქვიქსპელის“ კურსის ამბავი მოეთხრო, მაგრამ სწორედ ამ დროს სალამანდრა ჰაერში აიჭრა, ოთახს გააფთრებულმა დაარტყა წრე და ხმაურითა და ბათქაბუთქით გადმოყარა ნაპერწკლები. საშინლად განრისხებული ჰერსი ფრედსა და ჯორჯს დააცხრა და ღრიალი დაუწყო. სალამანდრას კი პირიდან ფერად-ფერადი ვარსკვლავები გადმოსცვივდა, ბოლოს სანყალი არსება ცეცხლში შეხტა, რასაც კიდევ ერთი აფეთქება მოჰყვა. ამ აურზაურმა ჰარის, რასაკვირველია, სრულიად გადაავინცა ფილჩიცა და „ქვიქსპელიც“.

* * *

ჰელოუინი მოახლოვდა. ჰარი უკვე ნანობდა, ასე დაუფიქრებლად რომ დათანხმდა გარდაცვალების დღეზე მოპატიჟებას. მთელი სკოლა სულმოუთქმელად ელოდა ჰელოუინის წვეულებას. დიდი დარბაზი, როგორც ყოველთვის, ცოცხალი ღამურებით მორთეს, ჰაგრიდის უშველელელი გოგრებისაგან იმხელა ფარნები გააკეთეს, შიგ სამი კაცი თავისუფლად ჩაეტეოდა. თან იმასაც ამბობდნენ, სტუდენტების გასართობად დამბლდორმა მოცეკვავე ჩონჩხების ჯგუფი დაიქირავაო.

— პირობა პირობაა, — ცივად მოაგონა ჰერმიონმა ჰარის, — ნიკს ხომ დაჰპირდი, რომ გარდაცვალების დღეზე მიხვიდოდი!

სხვა რა გზა იყო, ზუსტად შვიდ საათზე ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ოქროს თევზებითა და სანთლებით მაცდურად ალაპლაპებულ დიდ დარბაზს ჩაუარეს და სარდაფებისკენ გაეშურნენ.

თითქმის უთავო ნიკის წვეულებამდე მისასვლელი დერეფანიც სანთლებით მოერთოთ, მაგრამ ეს სანახაობა გულს შევიდოდათ: გრძელი, თხელზე თხელი, უშავესი სანთლები ცისფერ სინათლეს აფრქვევდნენ და ცოცხალ არსებებსაც კი მოჩვენებებს ამსვავსებდნენ. რაც უფრო ქვემოთ ჩადიოდნენ, მით უფრო ციოდა. ჰარის ააკანკალა და მანტია მჭიდროდ მოიხვია. უცებ ისეთი ხმა მოესმა, თითქოს ათასი ფრჩხილი ერთდროულად კანრავდა უმარმამარ დაფას.

— ეს ალბათ მუსიკაა, — დაასვენა რონმა.

კუთხეში ჩახვივის თუ არა, შავი ხავერდის ფარდებით მორთულ შესასვლელში თითქმის უთავო ნიკი დაინახეს.

— ჩემო ძვირფასო მეგობრებო, — სამგლოვიარო ხმით მიესალმა ნიკი, — მობრძანდით, მობრძანდით... ძალიან მიხარია თქვენი მოსვლა... — ნიკმა ფრთიანი ქედი მოიხადა და მოსულებს ოთახისკენ მიუთითა.

ოთახში შესულებმა თვალებს არ დაუჯერეს: სარდაფი სავსე იყო მარგალიტივით თეთრი, გამჭვირვალე სტუმრებით. მათი უმეტესობა მოედანზე ვალსს ცეკვავდა, შავად მორთულ სცენაზე კი ორკესტრი ოცდაათ მუსიკალურ ხერხზე სულისშემძვრელ მელიოდის ასრულებდა. ათასი შავი სანთლით დამძიმებული ჭალი ოთახში ლურჯ სინათლეს აფრქვევდა. ისეთი სუსხი იდგა, რომ ბავშვებს პირიდან ორთქლი გამოსდიოდათ.

— აქაურობა ხომ არ დაგვეთვალე რეზინა? — შესთავაზა ჰარიმ მეგობრებს და გაიფიქრა: ცოტას გავივლი, იქნებ გავხურდეთ.

— ფრთხილად იყავი, რომელიმე მოჩვენებაში არ გაიარო, — დამოძღვრა რონმა.

მეგობრებმა საცეკვაო მოედანს შემოუარეს. ვის არ ნახავდით აქ: პირქუში მონაზვნების ჯგუფს, ჯაჭვებასხმულ კაცს, ჰაფლეპაფელ მხიარულ მოჩვენებას, მსუქან ბერს, რომელიც შუბლში ისარგარჭობილ რაინდს ესაუბრებოდა. ჰარის სულაც არ გაჰკვირვებია, როცა სლიფერინის გაძვალტყავებული მოჩვენება, ვერცხლისფერი სისხლით მოსვრილი ბარონი დაინახა. სხვა მოჩვენებებს მისგან საკმაოდ შორს ეჭირათ თავი.

— ვაიმე! — ჰერმიონი უცებ შეჩერდა, — დაბრუნდით, დაბრუნდით! არ მინდა. მტირალა მირტლთან შეხვედრა!

— ვისთან? — დაინტერესდა ჰარი.

— პირველ სართულზე გოგონების ტუალეტის მოჩვენებაა, — აუხსნა ჰერმიონმა.

— ტუალეტის მოჩვენება?

— ჰო, მაგის გამო ტუალეტი მთელ წელიწადს არ მუშაობდა, გაბრაზდება ხოლმე და ონკანებს მოშვებულს ტოვებს. სულ ვცდილობ, ტუალეტში არ შევიდე. წარმოგიდგენიათ, რა საშინელ ებაა, ტუალეტში შედიხარ და ეს უკან მოგყვება... — საჭმელი! — შესძახა რონმა.

სარდაფის მეორე მხარეს ასევე შავი ხავერდით დაფარული გრძელი მაგიდა დაედგათ. ბავშვები სიხარულით მიცვივდნენ მაგიდას, მაგრამ თავზარი დაეცათ. იქაურობა საშინლად ყარდა. დამშალი თევზი ვერცხლის ულამაზეს თეთვებზე დაენცოთ; დანახშირებული ნამცხვრები ლანგრებზე დაეხვავებინათ. აქვე იყო მატლებიანი მოხარშული ხორცი, მწვანე ობმოლებული ყველი და, რაც მთავარია, სუფრის მშვენება — საფლავის ქვის ფორმის უზარმაზარი ნამცხვარი, რომელსაც ეწერა:

„სერ ნიკოლას დე მიმსი-პორპინგტონი გარდაიცვალა 1492 წლის 31 ოქტომბერს“.

ჰარი გაკვირვებული მიაჩერდა მსუქან მოჩვენებას, რომელიც მაგიდას მიუახლოვდა, დაიხარა და შიგ ისე გაიარა, რომ პირი აყროლებულ ორაგულს დაუმიზნა.

— შიგ თუ გაივლი, გემოს იგრძნობ? — ჰკითხა ჰარიმ.

— თითქმის, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა მოჩვენებამ და გაუჩინარდა, — როგორც ვხვდები, თევზს იმიტომ ალპობენ, რომ არომატი უფრო მძაფრი ჰქონდეს, — საქმეში ჩახედულოვით გამოაცხადა ჰერმიონმა და აყროლებულ მოხარშულ ხორცს უყნოსა.

— წავიდეთ, რა! გული მერევა, — უჩურჩულა რონმა.

მიტრიალდნენ თუ არა, მაგიდიდან პატარა კაცუნა ამოძვრა და მათ ცხვირწინ ჰაერში ჩამოეკიდა.

— გამარჯობა, პიუს, — გაუბედავად მიესალმა ჰარი.

სხვა მოჩვენებებისაგან განსხვავებით, პოლტერგეისტი პიუსი სულაც არ იყო ფერმკრთალი და გამჭვირვალე. კაშკაშა ნარინჯისფერი სადღესასწაულო ქელი ეხურა, ყელზე ჰუპელა-ჰალსტუხი ეკეთა და ბოროც სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— საკნატუნო ხომ არ გნებავთ? — ობმოლებული მიწის თხილი შესთავაზა ბავშვებს.

— არა, გმადლობთ, — მიუგო ჰერმიონმა.

— მესმოდა, საცოდავ მირტლზე როგორ უზრდელად ლაპარაკობდი, — პიესს თვალეები ეშმაკურად აუთამამდა, მერე ღრმად შეისუნთქა და მთელი ხმით დაიდრიალა: — ჰეი! მირტლ!

— გთხოვ, პიეს, არ უთხრა, რაც ვთქვი, ძალიან ეწყინება, — უჩურჩულა ჰერმიონმა, — მისი გაბრაზება სულაც არ მინდა, საერთოდ არ მანუხებს... აჰ, გამარჯობა, მირტლ!

ძალიან დაბალი, მსუქანი გოგონა-მოჩვენება მათთან მოფარფატდა. ბრჭყვიალა სათვალისა და ჩამოშლილი თმის გამო სანახევროდ მოუჩანდა პირქუში სახე, რომლის მსგავსი ჰარის თავის დღეში არ ენახა.

— რაო? — გაბოროტებით იკითხა მირტლმა.

— როგორა ხარ, მირტლ? — ყალბად გაუცინა ჰერმიონმა. — მიხარია, ტუალეტიდან რომ გამოსულხარ.

მირტლმა ჩაიხითხითა.

— მის გრეინჯერი ახლახან თქვენზე ლაპარაკობდა, — ეშმაკურად ჩასჩურჩულა პიესმა. :

— ჰო, უბრალოდ, იმას ვამბობდი... რომ... რომ ამ სალამოს ძალიან მომხიბლავად გამოიყურები, — ჰერმიონმა პიესს თვალეები დაუბრიალა.

— დამცინი, არა? — მირტლმა დაეჭვებით შეხედა ჰერმიონს და წვრილი თვალეები ვერცხლისფერი ცრემლით აევსო.

— არა, გეფიცები, არ დაგცინოდი. მართლა ეგ არა ვთქვი, ამ სალამოს მირტლი რა ლამაზია-მეთქი? — ჰერმიონმა ჰარისა და რონს მუჭლუგუნი გაჰკრა. — ჰო, აბა რა!

— კი, ნამდვილად...

— ნუ მატყუებ, — მირტლს ღაპღუპით ჩამოსცვივდა ცრემლები, პიესი კი კმაყოფილი ახითხითდა, — თქვენ გგონიათ, არ ვიცი, ზურგს უკან რომ დამცინიან?! მსუქანას და მახინჯს მეძახიან! სანყალი მტირალა მირტლი! — „მუნუკებიანი“ გამოგრჩა, — ჩაუსისინა პიესმა.

მტირალა მირტლი უფრო გულამოსკვნით აქვითინდა და სარდაფიდან გავარდა. პიესი გაეკიდა, თან ობმოლდებულ მიწის თხილს ესროდა და მისძახოდა: „მუნუკებიანო! მუნუკებიანო!“.

— ვაი, სანყალი, — შეეცოდა ჰერმიონს.

თითქმის უთავო ნიკი მათთან მოფარფატდა.

— ხომ კარგად ერთობით?

— რა თქმა უნდა, — იცრუეს ბავშვებმა.

— მე მგონი, ყველაფერი კარგად მიდის, — გაამაყდა თითქმის უთავო ნიკი, — მგლოვიარე ქვრივიც მოსულა კენტიდან. დროა, სიტყვით გამოვიდე, ნავალ, ორკესტრს გავაფრთხილებ.

მაგრამ ორკესტრმა მოულოდნელად თავისით შეწყვიტა დაკვრა. სარდაფში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მერე სტუმრებმა სანადირო საყვირის ხმა გაიგონეს და ერთმანეთს გადახედეს.

— ეჰ, აი, ისინიც მოვიდნენ, — მწარედ ამოიოხრა თითქმის უთავო ნიკმა.

სარდაფის კედლები მოჩვენება-ცხენებზე ამხედრებულმა უთავო მხედრებმა გააპეს. სტუმრებმა ტაში დასცხეს. ჰარიც აპყვა, მაგრამ ნიკს რომ შეხედა, იმწამსვე გაჩერდა.

ცხენები საცეკვაო მოედნის შუაგულამდე ჭენებით მიიჭრნენ და ყალყზე შედგნენ. ერთი გოლიათი მოჩვენება, რომელსაც წვერიანი თავი იღლიაში ამოეჩარა და საყვირში უბერავდა, ცხენიდან ჩამოხტა, თავისი თავი ჯერ მაღლა ასწია, რომ იქ მყოფნი კარგად დაეთვალიერებინა, მერე კისერზე დაიდგა და თითქმის უთავო ნიკისკენ გაემართა.

— ნიკ! როგორ გიკითხო? თავი ისევ მხრებზე გაბია? — მოჩვენებამ ხმამაღლა გადაიხარხარა და თითქმის უთავო ნიკს ბეჭზე მეგობრულად დაჰკრა ხელი.

— მობრძანდი, პატრიკ! — ცივად მოიპატიჟა ნიკმა.

— ცოცხლები! — თვალთმაქცურად შეჰყვირა სერ პატრიკმა ჰარის, რონისა და ჰერმიონის დანახვაზე და თავი ჩამოუვარდა. სტუმრებს სიცილი აუტყდათ.

— ძალიან სასაცილოა, — ჩაილაპარაკა თითქმის უთავო ნიკმა.

— არ იდარდო, ნიკ! — შესძახა იატაკზე გავორებულმა სერ პატრიკის თავმა, — ისევ გვიბრაზდები, კლუბში რომ არ მიგიღეთ? ხალხო, ერთი ამ კაცს შეხედეთ...

— ჩემი აზრით, — სწრაფად ჩაურთო ჰარიმ, როცა ნიკის მრავალმნიშვნელოვანი მზერა დაიჭირა, — ნიკი ნამდვილად შემადრწუნებელია და...

— რაო?! — შესძახა სერ პატრიკის თავმა, — დაგენაძლევები, თვითონ გთხოვა, ჩემთვის ასე გეთქვა!

— თუ შეიძლება, ერთი წამით ყური დამიგდე, სიტყვა უნდა წარმოვთქვა! — გამოაცხადა თითქმის უთავო ნიკმა და ლურჯად განათებულ სცენაზე ავიდა.

— ჩემო ღრმად გარდაცვლილო ქალბატონებო და ბატონებო, მინდა, უდიდესი მწუხარებით გაუნყოთ, რომ...

მაგრამ მისი. სიტყვები არავის გაუგონია. სერ პატრიკმა და უთავოთა კლუბის წევრებმა თავებით ჰოკეის თამაში გააჩაღეს და ყველანი მათ საყურებლად

მიტრიალდნენ. თითქმის უთავო ნიკი ცდილობდა, სტუმრების ყურადღება მიეპყრო, მაგრამ, როცა სერ პატრიკის თავმა გვერდით ჩაუნწილა და გულშემატკივრებმა ჟივილხივილი ატეხეს, ნიკმა ხელი ჩაიქნია.

ჰარი მთლად გაითოშა და შიმშილით კუჭი აწვია.

— მეტი აღარ შემიძლია! — კბილები უკანკანებდა რონსაც. ორკესტრმა ისევ თავისი ადგილი დაიკავა და მოჩვენებები საცეკვაო მოედანზე გაფართატდნენ.

— წავიდეთ, — მიუხვდა ჰარი.

კარისკენ მიმავლები გზად ყველას თავს უკრავდნენ და უღიმოდნენ. ერთი წამიც და კისრისტეხით გაცვივდნენ შავი სანთლებით მორთულ დერეფნებში.

— იქნება პუდინგი ჯერ ბოლომდე არ შეუჭამიათ, — რონი მთავარი შესასვლელისკენ გავარდა.

ამ სირბილ-სირბილში ჰარის უცებ ისევ ის ხმა შემოესმა:

„...გაგფატრო... დაგგლიჯო... მოგკლა...“

ჰარი დარწმუნდა, რომ ეს სწორედ ის ცივი, შემადრწუნებელი ხმა იყო, ლოკჰარტის კაბინეტში რომ შემოესმა. დაბნეული ნაბორძიკდა, ქვეს კედელს მიეყრდნო, სმენა დაძაბა და სუსტად განათებული დერეფანი ყურადღებით მოათვალიერა.

— ჰარი, რა ჯანდაბას...

— ისევ ის ხმაა! გაჩემდი!

„...როგორ მშია... რამდენი ხანია...“

— უსმინეთ! — კბილებში გამოსცრა ჰარიმ. რონი და ჰერმიონი გაქვავდნენ.

„მოგკლა... უნდა მოგკლა...“

ხმა ნელ-ნელა მისუსტდა. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ ხმა ზევით მიიწვდა. შიშითა და ინტერესით შეხედა ჯერს, თან გაიფიქრა: „ნეტავ ზემოთ როგორ აღის? ნუთუ ფანტომია? თუ ფანტომია, ჯერში გასვლა მისთვის ძალიან ადვილი იქნება!“

— აქეთ წამოდი, — დაუძახა მეგობრებს და მთავარი შესასვლელის კიბეზე ავარდა. თუმცა, აქ უკვე რაიმეს გაგონება შეუძლებელი იყო, რადგან დიდი დარბაზიდან მოქეიფეთა ურიაშული ისმოდა. ჰარიმ მარმარილოს საფეხურები აირბინა და პირველ სართულზე ავიდა. რონი და ჰერმიონი უკან მისდევდნენ.

— ჰარი, რა დაგემართა...

— ჩშშშ! — ჰარი დაიძაბა, ზედა სართულიდან ჯერ კიდევ ისმოდა მისუსტებული ხმა: „...სისხლის სუნი მცემს... სისხლის სუნი მცემს!“

ჰარის მუცელი აუბუყბუყდა.

— ვილაცას მოკლავს! — დაასკვნა და კიბე ისე აირბინა, გოცეხული რონისა და ჰერმიონისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ცდილობდა, უხმაუროდ ერბინა, რომ მიმქრალი ხმა როგორმე გაეგონა. ჰარიმ მეორე სართული შემოირბინა, აქოშინებული რონი და ჰერმიონი უკან მისდევდნენ. ბოლო მოსახვევში ერთ უკაცრიელ დერეფანს გადააწყდნენ.

— ჰარი, რა ბზიკმა გიკბინა? — რონმა გაოფლილი სახე შემშრალა, — მე არაფერი არ გამიგია...

მაგრამ უცებ ჰერმიონმა დერეფნისკენ გაიშვირა ხელი და შესძახა:

— შეხედეთ!

მოპირდაპირე კედელზე რაღაც ბრჭყვიალებდა. ნელა მიუახლოვდნენ და სიბნელეს მიაჩერდნენ. კედელზე, ფანჯრებს შორის, უზარმაზარი ასოებით ეწერა რაღაცა და ჩირაღდნების შუქზე უცნაურად ლაპლაპებდა.

— ქვემოთ რა კიღია? — ხმა აუკანკალდა რონს.

იატაკზე წყლის გუბე იდგა, ჰარის ფეხი დაუსხლტა. რონმა და ჰერმიონმა დროზე შეაშველეს ხელი. კედელთან მივიდნენ და წაიკითხეს:

- „საიდუმლო ოთახი გაიღო! ძრწოდეთ, მემკვიდრის მტრებო!“

წარწერის ქვეშ უცნაური ჩრდილი მოჩანდა. შემინებული ბავშვები უკან გადახტნენ.

ჩირაღდანზე კუდით ეკიდა გაშვებული და თვალბედაჭყეტილი მისის ნორისი, დარაჯის კატა.

— გავიქცეთ აქედან, — ჩურჩულით სთხოვა მეგობრებს რონმა.

— არ დავეხმაროთ? — იკითხა ჰარიმ.

— დამიჯერე, ჯობია, აქ არავინ დაგვინახოს.

მაგრამ უკვე გვიან იყო. შორიდან გუგუნი გაისმა და ბავშვები მიხვდნენ, რომ წვეულება დამთავრდა. ორივე მხრიდან მხიარული ხმები გაისმა. წამიჯ და, დერეფანში სტუდენტები გამოჩნდნენ.

კუდით დაკიდებული კატის დანახვაზე ყველამ ხმა გაკმინდა, ჰარი, რონი და ჰერმიონი განცალკევებით იდგნენ, უკან მდგომი სტუდენტები კი წინ მოიწვედნენ, რომ უკეთ დაენახათ.

უცებ სიჩუმე ვილაცის ხმამ გააპო:

— ძრწოდეთ, მემკვიდრის მტრებო! ახლა თქვენი ჯერია, მუქსისხლიანებო!

ეს დრაკო მალფოის ხმა იყო. ის წინ გამოსულიყო, მუდამ უსიცოცხლო სახე ახლა ერთიანად გასწითლებოდა, თვალები უელავდა, სახეზე კი ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

თავი მეცხრე

წარწერა კედელზე

— რა ამბავია? რა ხდება? — დრაკო მალფოის ღრიალზე ფილჩიც გამოჩნდა, ბავშვების ჯგუფი გაარღვია და მისის ნორისი რომ დაინახა, გამყვანი ხმით შეჰკვილა:

— ჩემი კატა! ჩემი ფისუნია! რა დაემართა მისის ნორისს?! — გაავებული მზერა ჰარის მიაპყრო, — შენ მოკალი ჩემი კატა! შენ მოკალი! მოგკლავ! მოგკლავ!

— არგუს! — სად იყო და სად არა, დამბლდორიც გამოჩნდა, თან რამდენიმე მასწავლებელი ახლდა. ჰარის, რონსა და ჰერმიონს სწრაფად ჩაუარა გვერდით და მისის ნორისი ჩირაღდნიდან ჩამოხსნა. მერე ფილჩს მიუბრუნდა: — გამომყევი, არგუს! თქვენც გამომყევი, მისტერ პოტერ, მისტერ უისლი და მის გრეინჯერ!

— ჩემი კაბინეტი ყველაზე ახლოსაა, ღირექტორო, — თავი გამოიძლო ლოკჰარტმა, — ერთი საერთოლით ზემოთ, გთხოვთ, გამოიყენოთ...

— გმადლობ, გილდეროი, — შეაწყვეტინა დამბლდორმა.

ბავშვები ხმას არ იღებდნენ, მერე ორად გაიყვნენ და მასწავლებლები გაატარეს. აღელვებული ლოკჰარტი დამბლდორს გაედევნა, მას პროფესორი მაკგონაგელი და სნეიპი მიჰყვნენ.

როცა ლოკჰარტის ჩაბნელებულ კაბინეტში შევიდნენ, კედლებზე რაღაც ამოძრავდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ რამდენიმე ფოტოზე ლოკჰარტს თმის დასახვევი სარტყების მოხსნა დაეინყებოდა, ამიტომ ცდილობდა, როგორმე სხვებს თვალში არ მოხვედროდა. ნამდვილმა ლოკჰარტმა სანთლები ანთო და უკან გადგა. დამბლდორმა მისის ნორისი გაპრიალებულ მაგიდაზე დაასვენა და ყურადღებით დააცქერდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი შორიახლოს, რბილ სკამებზე ისხდნენ და მისის ნორისს თვალს არ ამორებდნენ.

დამბლდორმა კეხიანი ცხვირი ლამის მისის ნორისის ბეწვს დაადო. ნახევარმთვარისებრი სათვალით გულდასმით ათვალთვლებდა, გრძელი თითებით ფრთხილად სინჯავდა. პროფესორი მაკგონაგელიც დახრილიყო და თვალები დასწვრილებოდა. სნეიპი მათ უკან, ჩრდილში მიმალულიყო. უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ, ცდილობს, არ გაეღიმოსო. ლოკჰარტი კი იქვე ტრიალებდა და გაუთავებლად იძლეოდა რჩევებს:

— აშკარაა, რომ შელოცვით მოუკლავთ. ალბათ, ტრანსმოგრიფული წამების შელოცვა იქნებოდა. ბევრჯერ მინახავს! რა სამწუხაროა, რომ იქ არ ვიყავი, სწორედ მისი საპირისპირო შელოცვა ვიცი, მე რომ მიმესწრო, უეჭველად გადარჩებოდა.

ლოკჰარტის კომენტარებს შიგადაშიგ ფილჩის უცრემლო, ხმამაღალი ქვითინი ერთვოდა. ფილჩი მაგიდასთან ახლოს, სავარძელში მისვენებულიყო, სახე ხელებში ჩაერგო და მისის ნორისს ვერ უყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰარის სასტიკად სძულდა ფილჩი, მაინც შეეცოდა. თუმცა, საკუთარი თავი უფრო ეცოდებოდა. თუკი დამბლდორი ფილჩს დაუჯერებდა, უთუოდ სკოლიდან გარიცხავდნენ.

დამბლდორი რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა და მისის ნორისს ჯადოსნურ ჯოსს უცაცუნებდა, მაგრამ — უშედეგოდ, — ...მახსოვს, რაღაც ამის მსგავსი უგადუგუშოც მოხდა, — თავისას განაგრძობდა ლოკჰარტი, — მკვლელობების სერია იყო, ეგ ამბავი ჩემს ავტობიოგრაფიაში მაქვს აღწერილი. იმ ქალაქის მოსახლეობას თილისმები დავეურიგე და ყველაფერი მოგვარდა.

კედლებზე დაკიდებული ფოტოები ნამდვილ ლოკჰარტს, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევდნენ. ერთ-ერთ ფოტოზე ლოკჰარტს ჩაჩიც კი ეხურა.

— კატა მკვდარი არ არის, არგუს! — წამოიმართა ბოლოს დამბლდორი.

ლოკჰარტმა უცებ შეწყვიტა იმ მკვლელობათა ჩამოთვლა, რომლებიც მისი წყალობით, თავიდან აიცილეს.

— მკვდარი არ არის? — სუნთქვა შეეკრა ფილჩს და მისის ნორისს სახეზე აფარებულ თითებს შორის ფრთხილად გახედა, — აბა, მკვდარივით გაქვავებული და გაყინული რატომაა?

— გააქვავეს, — მიუგო დამბლდორმა (ასეც ვიცოდიო, შესძახა ლოკჰარტმა), — თუმცა, არ ვიცი, როგორ...

— აი, ამას ჰკითხეთ! — დაიწვლა ფილჩმა და უკვე ცრემლებით დამბალი სახე ჰარისკენ მიაბრუნა.

— ვერც ერთი მეორეკურსელი ამას ვერ შეძლებდა, — მტკიცედ მიუგო დამბლდორმა, — ამ საქმეს შავ მაგიაში ძალიან გამოცდილი...

— არა! ამისი ბრალია! — ცოფებს ყრიდა აჭარხლებული ფილჩი, ხომ ნახეთ, კედელზე რა დაწერა! ჩემს კაბინეტში ის იპოვა... ისა... მოკლედ, იცის, რომ მე.. მე... — ფილჩს სახე დაეჯღანა. — იცის, რომ მე სქვები ვარ!

— მისის ნორისისთვის ხელი არ მიხლია! — ლოკჰარტის ფოტოების ჩათვლით, ყველანი ჰარის მიაჩერდნენ, — არც კი ვიცი, სქვები რა არის!

— ტყუის! — დაისისინა ფილჩმა, — ჩემი „ქვიქსპელის“ წერილი წაიკითხა!

— თუ შეიძლება, დირექტორო, მეც მაქვს რაღაც სათქმელი, — სიბნელიდან სწიპი გამოვიდა, ჰარის გულმა რეჩხი უყო, დარწმუნებული იყო, სწიპი მის სასიკეთოდ არაფერს იტყოდა.

— პოტერი და მისი მეგობრები, შესაძლოა, მართლა შემთხვევით აღმოჩნდნენ იქ, — სწიპს ბოროტი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე, თითქოს თავისი ნათქვამისა თვითონვე არ სჯეროდა, — მაგრამ მათ წინააღმდეგ ბევრი საეჭვო გარემოება მეტყველებს. ზედა სართულის დერეფანში რა ესაქმებოდათ? ჰელოუინის ზეიმზე რატომ არ იყვნენ?

ჰარი, რონი და ჰერმიონი თავგამოდებით შეუდგნენ მტკიცებას, გარდაცვალების დღეზე ვიყავითო:

— ...იქ ასობით მოჩვენება იყო, ისინი დაგვიდასტურებენ, რომ ჩვენც ვესწრებოდიოთ გარდაცვალების დღეს...

— კი მაგრამ, მოგვიანებით რატომ არ დაბრუნდით ზეიმზე? სწიპს სანთლის შუქზე შავი თვალები ავად უელავდა, — იმ დერეფანში რატომ ახვედით?

რონმა და ჰერმიონმა ჰარის გადახედეს.

— იმიტომ რომ... — ჰარის გული გამალებით უძგერდა, მიხვდა, რომ არავინ დაუჯერებდა, თუ იტყოდა, დერეფანში უცნაურ ხმას აცყევი, რომელიც ჩემს მეთს არავის ესმისო, — იმიტომ რომ, ძალიან დავიღალეთ და დასაძინებლად მივდიოდით!

— მშვირები? — სწიპს გაძვალტყავებულ სახეზე გამარჯვებულის ღიმილი აუთამაშდა, — არა მგონია, მოჩვენებებს თავიანთ წვეულებებზე ცოცხალი ადამიანებისთვის ვარგისი საჭმელი ჰქონდეთ.

— არ გვპიოდა, — შესძახა რონმა და სწორედ ამ დროს მუცელი აუბუყბუყდა.

სწიპს საზიზლარი სახე გაებადრა.

— ჩემი აზრით, დირექტორო, პოტერი სიმართლეს გვიმაღავს. ურიგო არ იქნებოდა, მისთვის გარკვეული უფლებები ჩამოგვეერთმია, სანამ სიმართლეს არ მოგვიყვება. მე გთავაზობთ, დროებით გავაძევოთ ოთ გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდიდან, სანამ პატიოსნად არ მოიქცევა.

— სიმართლე გითხრათ, სევერუს, — მკაცრად შეაწყვეტინა პროფესორმა მკვონაგელმა, — მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა ავუკრძალოთ ამ ყმანვილს ქვიდიჩის თამაში. ამ კატისთვის თავში ცოცხი კი არ ჩაურტყამთ! არავითარი სამხილი არ არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ დანაშაული პოტერმა ჩაიდინა.

დამბლდორი ჰარის ისე მიაჩერდა, თითქოს რენტგენის სურათს უღებდა და ბოლოს ბრძანა:

ბოლოს დამბლდორმა ბრძანა:

— უდანაშაულოა, სანამ ბრალი არ დაუმტკიცდება!

სნეიპი და ფილჩი დაიბოლმნენ.

— კატა გამიქვავეს! — დაინივლა ფილჩმა, — ამისთვის ვილაც უნდა დაისაჯოს!

— შენს კატას განგკურნავთ, არგუს. მაღამ სპრაუტმა ახლახან რამდენიმე მანდრაგორა გაახარა. როგორც კი მანდრაგორები დამწიფდება, მისის ნორისის გასაცოცხლებელ წამალს დავამზადებინებ, — დაამშვიდა დამბლდორმა.

— მე დავამზადებ! — ჩაერია ლოკჰარტი, — სულ ცოტა, ასჯერ მაინც დამიზადებია! მანდრაგორას აღმდგენ ნაყენს თვალდახუჭული ვამზადებ...

— უკაცრავად, მაგრამ, თუ არ ვცდები, ამ სკოლაში შხამ-წამლების ოსტატი მე ვარ! — ცივად მოუჭრა სნეიპმა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— შეგიძლიათ, წახვიდეთ, — გამოუცხადა დამბლდორმა ბავშვებს.

ბავშვები მკვირცხლად გაცვივდნენ კაბინეტიდან, ზედა სართულზე აირბინეს, ცარიელ საკლასო ოთახში შეცვივდნენ, კარი ჩუმად მიხურეს და სიბნელებაში ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— თქვენი აზრით, უნდა მეთქვა იმ ხმის ამბავი?

— არა, — დაბეჭითებით მიუგო რონმა, — თუ რაღაცა ხმები შენ გესმის და სხვებს არა, ეს ცუდის ნიშანია, მიუხედავად იმისა, რომ ჯადოქრები ვართ.

რონმა ისეთნაირად წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ჰარიმ სასწრაფოდ ჰკითხა:

— შენ რა, ჩემი არ გჯერა?

— რა თქმა უნდა, მჯერა, — სწრაფადვე მიუგო რონმა, — მაგრამ უნდა აღიარო, რომ უცნაური მოვლენაა...

— ვიცი, რომ უცნაურია! ვერაფერს ვხვდები! გახსოვს, რა ეწერა კედელზე? „ოთახი გააღეს...“ ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— მე მგონი, ვხვდები, — გაუბედავად თქვა რონმა, — როგორც მახსოვს, ვილაც მიყვებოდა, რომ ჰოგვორტსში ერთი საიდუმლო ოთახია... ჰო, მგონი, ბილმა მითხრა...

— სქვები რას ნიშნავს? — ჰკითხა ჰარიმ.

რონმა ჩაიქირქილა:

— ვიცი, სულაც არ არის სასაცილო... მაგრამ, რახან ფილჩი... სქვები ჯადოქრების ოჯახში დაბადებული ადამიანია, რომელსაც ჯადოსნური ძალა არა აქვს. ერთი

სიტყვით, მაგლების ოჯახში დაბადებული ჯადოქრის საპირისპირო ვინმეა. ისე, სქვებები ძალიან იშვიათად იბადებიან. თუ ფილჩი „ქვიქსპელის“ კურსით სწავლობს მაგიას, ესე იგი, სქვები ყოფილა. ახლა კი მესმის, რატომ ეზიზღება სტუდენტები, გამწარებული ყოფილა!

სადღაც შორს საათმა ჩამოჰკრა.

— შუალამეა! — დაასკვნა ჰარიმ, — წავიდეთ, დავიძინოთ, სანამ სნეიპი დაგვადგება თავზე და კიდევ რაიმეს დაგვაბრალებს!

* * *

რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი სკოლა მხოლოდ მისის ნორისზე ლაპარაკობდა. ფილჩი თავდასხმის ადგილს არ შორდებოდა, თითქოს ელოდებოდა, დამნაშავე უსათუოდ უკან დაბრუნდებოდა. ჰარიმ შეამჩნია, როგორ შლიდა ფილჩი წარწერას „მისის სკოვერის ჯადოსნური ლაქების ამომყვანი“ საშუალებით, მაგრამ ვერაფერი გააწყობა. კედელზე წაწერილი სიტყვები ისევ ისე ბზინავდა. როცა ფილჩი დანაშაულის ადგილს არ დარაჯობდა, დერეფნებში ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა და სრულიად უდანაშაულო სტუდენტებს ისეთი „დანაშაულისთვის“ სჯიდა, როგორცაა ხმამაღლა სუნთქვა და ბედნიერი ღიმილი.

ჯინი უისლი მისის ნორისის ამბავმა ძალიან დააღონა. რონი ამბობდა, ჩემს დას კატები ძალიან უყვარსო.

— მაგრამ შენ ხომ არ იცნობდი მისის ნორისს, — მიახალა ერთხელაც რონმა დას, — სიმართლე გითხრა, ახლა უიმისოდ ყველანი ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს.

ჯინის ტუჩები აუკანკალდა.

— ასეთი რაღაცეები ჰოგვორტსში ხშირად არ ხდება, — აწყნარებდა რონი, — აი, ნახავ, დამნაშავეს დაიჭერენ და სკოლიდან მიაბრძანებენ. იმედი მაქვს, სკოლიდან გაძევებამდე ფილჩის გაქვავებასაც მოასწარებს! გეხუმრები, ჯინი, — სწრაფად დასძინა რონმა, რადგან დაინახა, რომ ჯინის ფერი დაეკარგა.

მისის ნორისის ამბავმა ჰერმიონზვეც უცნაურად იმოქმედა, ყველამ იცოდა, რომ გოგონა წიგნებს ყოველთვის დიდ დროს უთმობდა, მაგრამ ახლა კითხვის მეტს აღარაფერს აკეთებდა. უფრო მეტიც, არც ჰარისა და რონს ელაპარაკებოდა ბევრს, ის კი არა, მომღვენო კვირის ოთხშაბათამდე მეგობრებს არც კი გაუხილა, რას აპირებდა.

იმ დღეს სნეიპმა ჰარის მერხებიდან კოლბის ჭიების გადანმენდა დაავალა, ამიტომ კარგა ხანს მოუხდა შხამ-წამლების კაბინეტში ყურყუტი, მერე ნაჩქარევად ისაუბმა და რონის სანახავად ბიბლიოთეკაში ავიდა, სადაც ჰათლუჰათელი ჯასტინ თინჩ-

ფლერლი დაინახა. ის იყო, უნდა მისალმებოდა, რომ ჯასტინმა ზურგი შეაქცია და საპირისპირო მიმართულებით წავიდა.

რონი ბიბლიოთეკაში ბოლო მაგიდასთან იჯდა და მაგიის ისტორიაში თავის დავალებას ზომავდა. პროფესორმა ბინსმა ოთხმოცდაათსანტიმეტრიანი თხზულების დაწერა დაავალა, რომლის თემა იყო „ვეროპელ ჯადოქართა ასამბლეა შუა საუკუნეებში“.

— წარმოდგენელია, ოცი სანტიმეტრი ისევ მაკლდება... — გაბრაზებულმა რონმა პერგამენტი მაგიდაზე მიაგდო, — ჰერმიონს კი მეტრნახევარი გამოუვიდა! თან ხომ იცი, როგორ წერილად წერს!

— ჰერმიონი სად არის? — ჰკითხა ჰარიმ, სანტიმეტრი აიღო და თავისი დავალების გაზომვას შეუდგა.

— სადღაც იქ ზის, — რონმა თაროებზე ანიშნა, — რაღაც წიგნს ეძებს, მე მგონი, შობამდე მთელი ბიბლიოთეკის წაკითხვას აპირებს.

ჰარიმ რონს უამბო, როგორ შეაქცია ზურგი ჯასტინ ფინჩ-ფლერლიმ.

— რაში გენაღვლება! ეგ ჯასტინი მაინც ცოტა მოსულელო ტიპია! — რონი ხელახლა წერდა დავალებას და, რაც შეეძლო, მსხვილი ასოები გამოჰყავდა, — ეგ არ იყო, ყურები რომ გამოგვიჭედა, ლოკჰარტი ძალიან მაგარიყო!..

უცებ თაროებს შორის ჰერმიონმა გამოყო თავი. გაღიზიანებული ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, ბიჭებთან ლაპარაკი უნდოდა.

— „ჰოგვორტსის ისტორიის“ ყველა ეგზემპლარი გაუტანიათ ბიბლიოთეკიდან! თან ხალხი ორი კვირით აღრეა ჩაწერილი მოთხოვნის სიაში! ნეტავ, ჩემი წიგნი შინ არ დამეტოვებინა! მაგრამ რა მექნა, ლოკჰარტის წიგნებით გამოტენილ ჩემოდანში ვერ ჩავტიე!

— კი მაგრამ, რაში დაგჭირდა? — ჰკითხა ჰარიმ.

— იმაში, რაშიც სხვებს სჭირდებათ, საიღუმლო ოთახის ლეგენდა უნდა წავიკითხო, — აუხსნა ჰერმიონმა.

— ეგ რაღა? — დაინტერესდა ჰარი.

— ჰო, ეგ... ახლა კარგად არ მახსოვს, — ჰერმიონმა ტუჩი მოიკვნითა, — სხვა წიგნში ეს ამბავი არ წერია...

— ჰერმიონ, შენი თხზულება წამაკითხე, რა, — გამწარებული რონი საათზე იყურებოდა.

— არაფერსაც არ წავაკითხე, — მკაცრად მოუჭრა ჰერმიონმა, მთელი ათი დღე გქონდა!

— გთხოვ, რა! სულ ხუთიოდე სანტიმეტრი მაკლდება...

ამ დროს ზარი დაირეკა. რონი და ჰერმიონი ძიძგილაობით გაუყვნენ დერეფანს მაგიის ისტორიის კაბინეტისკენ.

ყველაზე მოსაწყენი საგნის, მაგიის ისტორიის მასწავლებელი, პროფესორი ბინსი ერთადერთი მოჩვენება იყო მასწავლებელთა შორის. მის გაკვეთილებზე ბავშვებს ყველაზე მეტად ის ართობდათ, რომ ზოგჯერ საკლასო ოთახში დაფიდან შემოდიოდა. ისეთი გადაყრუებული ბებერი იყო, იმასაც კი ამბობდნენ, ვერ ამჩნევს, რომ მკვდარიყო. თურმე ერთ დღეს გაკვეთილზე წასულა და სხეული. სამასწავლებლოს ბუხრის წინ, სავარძელში დაუტოვებია. მას შემდეგ მისი ყოველდღიური ცხოვრება ოდნავადაც არ შეცვლილა.

იმდღევანდელი გაკვეთილიც უინტერესოდ დაიწყო. პროფესორმა ბინსმა თავისი ჩანაწერები გადაშალა და ძველი მტვერსასრუტევიტ მონოტონურად ჩართო ლექცია. მოსწავლეები გაშტერებულები ისხდნენ, ხანდახან ზოგიერთი მოსწავლე ფხიზლდებოდა, რომელიმე სახელს თუ თარიღს ჩაიწერდა და ისევ ჩაიძინებდა. ბინსი თითქმის მთელ ნახევარ საათს შეუჩერებლად ლაპარაკობდა. უცებ უცნაური რაღაც მოხდა: ჰერმიონმა ხელი ასწია.

პროფესორი უსაშველოდ მოსაწყენ ლექციას კითხულობდა 1280 წლის უორლოკის საერთაშორისო კონვენციის შესახებ და უცებ გაკვირვებით მიაჩერდა ჰერმიონს.

— მის... ისა...

— მის გრეინჯერი, პროფესორო! შეგიძლიათ, საიდუმლო ოთახის შესახებ გვიამბოთ რამე? — პირდაპირ ჰკითხა ჰერმიონმა.

პროფესორმა ბინსმა შუბლი შეჭმუნა.

— ჩემს საგანს „მაგიის ისტორია“ ჰქვია, ასე რომ, მე რეალურ ფაქტებს გასწავლით და არა — მითებსა და ლეგენდებს! — პროფესორმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა და განაგრძო: — იმავე წლის სექტემბერში სარდინიელი ჯადოქრების ქვეკომიტეტმა...

უცებ ხმა ჩაუნცდა, ჰერმიონმა ისევ ასწია ხელი.

— მის გრანტ?

— სერ, ლეგენდები ყოველთვის ფაქტებს არ ეყრდნობა?

პროფესორი გაოგნებული მისჩერებოდა ჰერმიონს. ჰარიმ იფიქრა, ალბათ არასოდეს არც ერთ ცოცხალსა თუ მკვდარს მისთვის ლექცია არ შეუწყვეტინებიაო.

— ჰო, ეგ სადავო საკითხია, — გაუბედავად დაიწყო პროფესორმა და ისე დააკვირდა ჰერმიონს, თითქოს პირველად ხედავსო, — თუმცა ის ლეგენდა,

რომელიც თქვენ გაინტერესებთ, ჩემი აზრით, საგანგებოდ გაბერილი და აბსურდულიც კია.

მთელი კლასი გაფაციცებით უსმენდა პროფესორის თითოეულ სიტყვას. ბინსი ცოტა დაბნეული ჩანდა. ჰარი მიხვდა, რომ პროფესორი საოცრად მოხიბლა ასეთმა უჩვეულო ყურადღებამ.

— ჰო... რა გითხრათ... ერთი წამით... მაშ ასე, საიდუმლო ოთახი! გაუბედავად განაგრძო ბინსმა, — რა თქმა უნდა, ყველამ იცით, რომ ჰოგვორტსი ათასზე მეტი წლის წინ დაარსდა, თუმცა ზუსტი თარიღი უცნობია. დამაარსებელი იმ დროის ოთხი უდიდესი ჯადოქარი იყო: გოდრიკ გრიფინდორი, ჰელგა ჰაფლეპაფი, როენა რეივენტლო და სალაზარ სლიზერინი. მათ ეს ციხე-კოშკი მაგლებისგან მოშორებით ააშენეს, რადგან იმ ეპოქაში ჩვეულებრივ ხალხს ჯადოქრობისა ემინოდა და ჯადოქრებსაც დიდად ავიწროებდნენ.

პროფესორი შეჩერდა, ოთახს თვალი მოავლო და განაგრძო:

— რამდენიმე წელიწადს დამფუძნებლები შეხმატკვილებულად მუშაობდნენ, ჯადოქრული მონაცემების მქონე ბავშვებს ეძებდნენ და განათლების მისაღებად სკოლაში მოჰყავდათ. მაგრამ მერე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სლიზერინსა და დანარჩენ სამს შორის უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა. სლიზერინს სურდა, ჰოგვორტსში სტუდენტები შერჩევის პრინციპით მიეღოთ. მისი ღრმა რწმენით, ჯადოქრობა მხოლოდ ტრადიციულ ჯადოქართა ოჯახებში უნდა დარჩენილიყო. მას არ უყვარდა მაგლების ოჯახში დაბადებული სტუდენტები და არც ენდობოდა. ცოტა ხანში სლიზერინსა და გრიფინდორს ამ საკითხზე სერიოზული შელაპარაკება მოუვიდათ, რის შემდეგაც სლიზერინი სკოლიდან წავიდა.

პროფესორი ბინსი ისევ შეჩერდა, დაიმანჯა და ბებერ კუს დაემსგავსა.

— სანდო ისტორიული წყაროებიდან მხოლოდ ეს არის ცნობილი, მაგრამ მოვლენები ერთობ გააბუნდოვანა საიდუმლო ოთახის შესახებ შექმნილმა ლეგენდამ. ლეგენდის მიხედვით, სლიზერინმა ციხე-კოშკში საიდუმლო ოთახი ააშენა, რომლის შესახებ სხვა დამფუძნებლებმა არაფერი იცოდნენ. ლეგენდა იმასაც მოგვითხრობს, რომ სლიზერინმა ოთახის შესასვლელი დალუქა და მისი ნამდვილი მემკვიდრის სკოლაში მოსვლამდე შიგ შედნევას ვერავინ მოახერხებს. მხოლოდ მემკვიდრე შეძლებს საიდუმლო ოთახის გაღებას. მაშინ ოთახში გამოჩნცდელი მონსტრი გათავისუფლდება და დახოცავს მათ, ვინც მაგიის შესწავლის ღირსი არ არის.

პროფესორი ბინსი თხრობას მორჩა. კლასში სამარისებური სიჩუმე გამეფდა, თუმცა ეს სულაც არ ჰგავდა იმ მძინარე სიჩუმეს, რომელიც ბინსის გაკვეთილებზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჰაერში რაღაც დაძაბულობა იგრძნობოდა. ყველანი ისევ პროფესორს უყურებდნენ, თითქოს მისგან უფრო მეტის გაგებას მოელოდნენ.

— ყოველივე ეს, რასაკვირველია, წმინდა წყლის სისუფლევა, ცოტა არ იყოს გაბრაზდა ბინსი, — რასაკვირველია, დამამტკიცებელი საბუთის მოსაძებნად სკოლა

არაერთხელ გაჩხრიკეს ყველაზე განსწავლულმა ჯადოქრებმა. დასკვნა ასეთია — ოთახი არ არსებობს, ლეგენდა კი სულელების შესაშინებლად შეიქმნა.

ჰერმიონმა ისევ ასწია ხელი.

— სერ, „ოთახში გამომწყვდეულ მონსტრში“ რას გულისხმობდით?

— ლეგენდის მიხედვით, ეს არის საშინელი ურჩხული, რომელიც მხოლოდ სლიზგერინის მემკვიდრეს ემორჩილება, — უხალისოდ ჩაილაპარაკა პროფესორმა.

სტუდენტები აფორიაქდნენ.

— დამიჯერეთ, ეს ყველაფერი მოგონილია, — პროფესორი ბინსი ისევ თავის ჩანაწერებს მიუბრუნდა, — არც ოთახი არსებობს და არც — ურჩხული.

— კი მაგრამ, სერ, — თავი წამოყო სიმუს ფინიგანმა, — თუ ოთახის გაღება მხოლოდ სლიზგერინის ნამდვილ მემკვიდრეს შეუძლია, სხვა ჯადოქრები მას როგორ იპოვიდნენ?

— სისულელეა, ო'ფლაერტი! — პროფესორს ხმა გაუმკაცრდა, რადგან ჰოგვორტისის დირექტორთაგან ვერც ერთმა ვერ მოახერხა იმ ოთახის პოვნა...

— პატივცემულო. პროფესორო, ოთახის გასაღებად, ალბათ, შავი მაგიის გამოყენება გახდება საჭირო... — დაინრიპინა პარვატი პეტილმა.

— რადგან კეთილი ჯადოქრები შავ მაგიას არ იყენებენ, არ „გეგონოთ, რომ არ შეუძლიათ, მის პენიფეზერ! — დაუტატანა პროფესორმა, — კიდევ ვიმეორებ, თუ დამბლდორის დონის...

— როგორც ჩანს, აუცილებელია, სლიზგერინთან რაიმე გაკავშირებდეს, ასე რომ, დამბლდორი ვერ მოახერხებდა... — ჩაერთო დინ ტომასი, მაგრამ პროფესორს მოთმინების ფიალა აევისო და იყვირა:

— კმარა! გეუბნებით, მითია და არ არსებობს-მეთქი! არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ სლიზგერინმა საიდუმლო ოთახი კი არა, თუნდაც ცოცხების შესანახი საკუჭნაო ააშენა. თქვენის ნებართვით, ისევ ისტორიას, უტყუარ, სანდო და წყალგაუვალ ფაქტებს დავუბრუნდები! ხუთ წუთში მთელი კლასი ხელახლა ჩაეფლო ჩვეულ ძილ-ბურანში.

* * *

— ყოველთვის ვიცოდი, რომ სალაზარ სლიზგერინი ბებერი ნაძირალა იყო, — უთხრა რონმა ჰარისა და ჰერმიონს, როცა გაკვეთილის შემდეგ სტუდენტებით გადაჭედო დერეფანში გავიდნენ, რომ ჩანთები სადილამდე თავიანთ ოთახებში

დაეტოვებინათ, — მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ წმინდასისხლიანების ამბავი მან ააგორა! რაც გინდა მოეცათ, მაგ კლუბში ცოცხალი თავით არ დავრჩებოდი! გამანაწილებელ ქედს სლიზერინში რომ გავენაწილებინე, მატარებლით უკანვე გავბრუნდებოდი...

ჰერმიონი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, ჰარი კი ჩუმად იყო. მუცელი უსიამოვნოდ აუბუყბუყდა. რონისა და ჰერმიონისთვის არასოდეს უთქვამს, რომ გამანაწილებელმა ქედმა კინალამ სლიზერინში უკრა თავი. გუშინდელ დღესავით ახსოვდა ის ხმა, რომლითაც გამანაწილებელმა ქედმა ერთი წლის წინ ყურში ჩასჩერჩულა:

„შეგიძლია, სახელოვანი გახდე, მონიჭებული გაქვს. აქ განვრია. სლიზერინი უჭკველად დაგეხმარება დიდების მოპოვებაში...“

მაგრამ ჰარამ უკვე იცოდა, რომ სლიზერინიდან უმეტესად ბოროტი ჯადოქრები გამოდიოდნენ და შემფოთებულმა გაიფიქრა: „ოღონდ სლიზერინი არაო!“, ბოლოს, ქედმა უთხრა:

„კეთილი... რადგან ასე გსურს... მაშ — გრიფინდორი!“.

როცა სტუდენტებს შორის გზას მიიკვლევდნენ, კოლინ ქრივი შეეჩხათ.

— გაუმარჯოს ჰარის!

— გამარჯობა, კოლინ! — მექანიკურად მიესალმა ჰარი.

— ჰარი, იცი, ერთი ჩემი კურსელი ბიჭი შენზე ამბობს... — კოლინი სტუდენტების ტალღამ სადღაც, დიდი დარბაზისკენ გაიტაცა, მაგრამ შორიდან მანაც მოესმათ მისი ჭყვილი: — ნახვამდის, ჰარი!

— ნეტავ მისი კურსელი ბიჭი შენზე რას ამბობს? — დაინტერესდა ჰერმიონი.

— ალბათ, სლიზერინის მემკვიდრე ვგონივარ, — მიამიტად უპასუხა ჰარიმ. მოაგონდა, როგორ შეაქცია ზურგი ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლიმ და მუცელი უარესად აუბუყბუყდა.

— ამ სკოლაში ყველაფერს იჯერებენ, — ტუჩები დაბრიცა რონმა.

სტუდენტების ნაკადი შემცირდა და მეორე სართულზე აღვილად ავიდნენ.

— მართლა გჯერა, რომ საიდუმლო ოთახი არსებობს? — ჰკითხა ჰერმიონს რონმა.

— რავიცი, — ჩაფიქრდა ჰერმიონი, — დამბლდორმა მისის ნორისი ვერ განკურნა, ანუ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდამსხმელი ადამიანი არ იყო...

ლაპარაკში გართულები სწორედ იმ დერეფნის ბოლოში აღმოჩნდნენ, სადაც თავდასხმა მოხდა. მეგობრები შეჩერდნენ და იქაურობა მოათვალიერეს. ყველაფერი

ისევ ისე დაეტოვებინათ, როგორც იმ ღამეს იყო, მხოლოდ გაქვავებული კატა აღარ ეკიდა ჩირაღდანზე. კედელთან კი, იქ სადაც წარწერა ისევ ბზინავდა, სკამი მიედგათ.

— აქ ფილჩი დარაჯობდა, — დაასკვნა რონმა.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. დერეფანში მარტონი იყვნენ.

— აქაურობა კარგად უნდა დავათვალიეროთ, — გაღაწყვეტა ჰარიმ, ჩანთა მოიხსნა, ოთხზე დადგა და იქაურობის ჩხრეკას შეუდგა.

— აი, აქ და აქაც დამწვრის კვალი ეტყობა!

— შეხედეთ! რა უცნაური რაღაცაა! — წამოიძახა ჰერმიონმა.

ჰარი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ოცამდე ობობა გამეტებით იბრძოდა, რათა ფანჯრის ზედა კუთხეში დარჩენილ ვინრო ღრიჭოში გამძვრალიყო. გრძელი, ვერცხლისფერი ქსელი სიმძიმისგან ირწეოდა, როგორც ჩანს, ყველა ობობა ზედ იჯდა და გარეთ გასვლას ლამობდა.

— ობობები ასე უცნაურად არ იქცევიან ხოლმე, — გაუკვირდა ჰერმიონს.

— მართალი ხარ, — დაუმონმა ჰარიმ, — რონ, შენ რას იტყვი? რონ!

რონი მოშორებით იდგა და სახეზე ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, იქიდან გაქცეულიყო.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ჰარიმ.

— მე... მე.. ობობები მეზიზღება, — ძლივს ამოღერდა რონმა.

— ეგ არ ვიცოდი, — გაოცდა ჰერმიონი, — კი მაგრამ, შხამ-წამლების მომზადებისას რამდენჯერ გამოგიყენებია ობობა...

— მკვლარ ობობებს არა უშავს, — რონი ფანჯარას თვალს არიდებდა, — ცოცხლებისა რა მოგახსენოთ...

ჰერმიონმა ჩაიხითხითა.

— სულაც არ არის სასაცილო, — აღშფოთდა რონი, — სამი წლისა ვიყავი, როცა ფრედმა ჩემი დათუნია უზარმაზარ ბინძურ ობობად გადააქცია, იმიტომ რომ სათამაშო ცოცხი გავუტეხე. წარმომიდგენია, როგორ მოგეწონებოდა, შენს დათუნიას უცებ საცეცები როგ გასჩენოდა და...

აკანკალებულ რონს ხმა ჩაუნყდა. ჰერმიონი სიცილს ძლივს იკავებდა. ჰარი მიხვდა, რომ საუბრის სხვა თემაზე გადატანა ჯობდა და იკითხა:

— გახსოვთ, იატაკზე რომ გუბე იდგა? ნეტავ საიდან გაჩნდა? როგორც ხედავთ, უკვე აუნმნდიათ!

— აი, აქ იყო, — რონმა მაინც გაბედა და ფილჩის სკამს მიუახლოვდა, — კართან ახლოს, — მერე კარის სახელოურს ჩაავლო ხელი, მაგრამ ისე სწრაფად გაუშვა, თითქოს გახურებული ყოფილიყოს, — რა მოხდა? — ჰკითხა ჰარიმ.

— მე იქ ვერ შევალ! გოგოების ტუალეტია, — ჩაიბუზღუნა რონმა, — კარგი ერთი, რონ! მაინც არავინ არ იქნება, — ჰერმიონი კართან მივიდა, — ეს მტირალა მირტლის ტუალეტია, წამო, შევიდეთ!

კარზე დიდი წარწერა ეკიდა: „არ მუშაობს“, მაგრამ ჰერმიონმა კარი მაინც შეაღო.

ასეთი საშინელი საპირფარეშო ჰარის თავის დღეში არ ენახა. უზარმაზარი, დაბზარული და დალაქავებული სარკის ქვეშ რამდენიმე კიდევებმომტვრეული ქვის ხელსაბანი ჩაემწკრივებინათ. იატაკი სველი იყო და თითქმის ბოლომდე ჩამწვარი სანთლების სინათლეს ირეკლავდა. კაბინების ხის კარს საღებავი აქერცლოდა, ერთი კარი კი ანჯამებიდან თითქმის ამოეგდოთ და საზარლად ჭრიალებდა.

ჰერმიონმა ტუჩებზე თითი მიიღო და ბოლო კაბინასთან მივიდა.

— გამარჯობა, მირტლ, როგორა ხარ?

ჰარიმ და რონმა კაბინაში შეიხედეს. მტირალა მირტლი უნიტაზს დაჰფარფატებდა და ნიკაპზე რაღაცას ინვალებდა.

— ეს გოგოების ტუალეტია! — მირტლმა რონსა და ჰარის ეჭვიანი მზერა მიაპყრო, — ესენი გოგოები არ არიან!

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ჰერმიონი, — მე უბრალოდ მინდოდა, მეჩვენებინა, რა ლამაზია აქაურობა... — ჰერმიონმა ბინძურ სარკესა და სველ იატაკზე ანიშნა.

— ჰკითხე, რაიმე ხომ არ დაუნახავს! — წაუჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს.

— რას ჩურჩულებთ მანდ? — მირტლმა ჰარის თვალები დაუბრიალა.

— არათერს, — სწრაფად მიუვო ჰარიმ, — უბრალოდ, გვინდოდა, გვეკითხა...

— ნეტავ, ხალხი ზურგს უკან არ დამცინოდეს, — ცრემლი მოერია მირტლს, — მერე რა, რომ მკვდარი ვარ, გრძნობები მეც მაქვს!

— მირტლ, შენი წყენინება არავის არ უნდა, ჰარის მართლა...

— ჩემი წყენინება არავის არ უნდა?! — დაუყვირა მირტლმა, მთელი ცხოვრება უბედური ვიყავი, ახლა კი სიკვდილსაც მიმწარებენ!

— ჩვენ გვანტერესებს, ამ ბოლო დროს რაიმე უცნაური ხომ არათერი შევიმჩნევეთ, ჰელოუინზე შენს კარებთან კატას დაესხნენ თავს, — სხაპასხუპით მიაყარა ჰერმიონმა.

— იმ ღამეს ვინმე ხომ არ დაგინახავს? — დაუზუსტა ჰარიმ.

— ყურადღება არ მიმიქცევია, — სასონარკვეთით ამოიოხრა მირტლმა, — პიესმა ისე მანყენინა, რომ აქ ამოსულმა თავის მოკვლა ვცადე. მერე, რა თქმა უნდა, გამახსენდა, რომ მე უკვე... რომ მე...

— უკვე მკვდარი ხარ, — წაეშველა რონი.

მირტლი აქვითინდა, ჰაერში აიჭრა, გადმოტრიალდა, უნიტაჰში ჩახტა, ბავშვები განუნა და გაუჩინარდა. მოგუდული ქვითინი სადღაც შორს გაისმა.

ჰარი და რონი გაოცდნენ. ჰერმიონმა მხრები აიჩჩია:

— ამას კიდევ არა უშავს, უფრო საშინლად იქცევა ხოლმე... წავი თ!

ს მირტლი გულამოსკვნილი მოთქვამდა. ჰარიმ კარი გამოხურა. უცებ ბავშვები მოულოდნელობისგან შეხტნენ.

— რონი!!!

პერსი უისლი კიბის თავთან გაშეშებული იდგა, მკერდზე პრეფექტის ნიშანი უბზინავდა და სახეზე ეტყობოდა, თავზარდაცემული იყო.

— ეს ხომ გოგოების ტუალეტია! რა ჯანდაბას...

— უბრალოდ, ვათვალიერებდი, — მხრები აიჩჩია რონმა, — სამხილს ვეძებდი...

განრისხებული პერსი ისე გაიფხორა, ჰარის მაშინვე ქალბატონი უისლი მოაგონდა.

— ახლავე გამოეთრიე მანდედანი! — დასჭეჭა პერსიმ და ბავშვები წინილებივით გამორეკა, — არ გრცხვენია? ხალხი რას იტყვის? ყველანი სასადილოდ წავიდნენ, თქვენ კი აქ დაეხეტებით...

— რა უნდა თქვან? — შეედავა რონი, — მაგ კატისთვის ჩვენ ხელი არ გვიხლია!

— მეც ეგ ვუთხარი ჯინის, — არ ცხრებოდა პერსი, — მაგრამ მაინც ჰგონია, რომ სკოლიდან გაგრიცხავენ! იცი, რა დღეშია, ტირილისგან თვალები დაუსივდა! ცოტა შენს დაზეც იფიქრე, პირველკურსელებს სულ ეს ამბავი აკერიათ პირზე...

— შენ ჯინი კი არ გენადღელება, — რონს სიბრაზისგან ყურები წამოუნითლდა, — გეშინია, რომ სახელს შეგირცხვენ და ჰედბოი ვერ გახდები, არა?

— ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს! — გაცეცხლდა პერსი და თითოთ პრეფექტის ნიშანზე მიუთითა, — იმედია, ჭკუას ისწავლით! გამომძიებლობანას თავს თუ არ დაანებებ, დედას ყველაფერს მივწერ!

პერსი გაბრაზებული მიტრიალდა. ჰარიმ და ჰერმიონმა დაინახეს, რომ რონს კისერი ყურებზე მეტად გასწითლებოდა.

* * *

იმ საღამოს ჰარი, რონი და ჰერმიონი საერთო ოთახში პერსისგან მოშორებით დასხდნენ. რონი ისევ გუნებამოშამული იყო და ჯადოსნურ ფორმულებში შესასრულებელ დავალებას თავს ვერ აბამდა. მერე ჯადოსნური ჯოხი აიღო, რომ ნანერისთვის გადღაბნილი ლაქები მოეშორებინა, მაგრამ ჯოხმა პერგამენტს კინაღამ ცეცხლი წაუკიდა. რონს მოთმინების ფიალა აეცსო და „შელოცვების ქრესტომათია“ გვერდზე მოისროლა. ჰარის გასაკვირად, ჰერმიონიც ასევე მოიქცა და თითქოს სულ ახლახან შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, ისე იკითხა:

— მაინც ვინ უნდა ყოფილიყო? ვის უნდა მაგლების ოჯახში დაბადებულებისა და სქვებების სკოლიდან მოშორება?

— მოდი, დავფიქრდეთ, — გამოაჯაგრა რონმა, — როგორ გგონია, ვინა გვყავს ისეთი, ვინ გაიძახის, მაგლების ოჯახში დაბადებულები ნაკვები არიანო?

მაგრამ ჰერმიონმა არ დაუჯერა:

— მალფოის თუ გულისხმობ...

— იმას ვგულისხმობ, აბა ვის! ხომ გაიგე, რა დაიძახა: „ახლა თქვენი ჯერია, მუქსისხლიანებო!“. კარგი ერთი, იმ ნაძირალას სახეზე რომ შეხედავ, ეგრევე მიხვდები, რომ...

— მალფოი სლიზერინის მემკვიდრეა? — დაეჭვდა ჰერმიონი.

— მალფოების ოჯახი დავაინცდა? — ჰარიმ წიგნი დახურა, მთელი მაგათი მოდგმა სლიზერინში სწავლობდა, დრაკო სულ ამით ტრაბახობს! ადვილი შესაძლებელია, სლიზერინის შთამომავლები იყვნენ. მამამისი აშკარად ბოროტი ჯადოქარია.

— იქნებ, სულაც მთელი ეს საუკუნეები მალფოები ინახავენ საიდუმლო ოთახის გასაღებს... თაობიდან თაობას გადასცემენ, დაასკვნა რონმა.

— რატომაც არა, შეიძლება ასეცაა, — გაუბედავად დაეთანხმა ჰერმიონი.

— მაგრამ ამას როგორ დავამტკიცებთ? — მოიღუშა ჰარი.

— რაღაც გზა უნდა გამოვნახოთ, — ფრთხილად წაუჩურჩულა ჰერმიონმა და მოშორებით მჯდარი პერსისკენ გააპარა მზერა, — რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იქნება! და თან სახიფათო! ჩემი ვარაუდით, სკოლის ორმოცდაათამდე წესის დარღვევა მოგვინვეს.

— იმედია, ერთ თვეს არ გვაცდევინებ, რომ ყველაფერი აგვისხნა, — გაღიზიანდა რონი.

— კეთილი, — ცივად მოუჭრა ჰერმიონმა, — აი, რა უნდა გავაკეთოთ: სლიზერინის საერთო ოთახში უნდა შევიპაროთ და მალფოის რამდენიმე შეკითხვა დავუსვათ, ოღონდ ისე, რომ ვერ მიხვდეს, ვინა ვართ.

— ეგ ხომ შეუძლებელია! — გაეცინათ რონსა და ჰარის.

— სულაც არა, უბრალოდ, მრავალწვნიანი სასმელი დაგვჭირდება.

— ეგ რაღაა? — ერთხმად იკითხეს ბიჭებმა.

— რამდენიმე კვირის წინ სნეიპმა ხომ აგვისნა გაკვეთილზე.

— შენ რა, გგონია, მეტი საქმე არა გვაქვს, შხამ-წამლების გაკვეთილზე სნეიპის ლაყბობას ვუსმინოთ? — ამირიბა რონი.

— ამ სასმელის წყალობით, სხვა ვინმედ გადაიქცევი. აბა, კარგად დაფიქრდით! ჩვენ შეგვიძლია, სლიზერინელებად გადავიქცეთ და ვერავინ ვერ გაიგებს, სინამდვილეში ვინ ვართ! მალფოი ალბათ ჩვენთან ყველაფერს დაფიქვავს. წარმომიდგენია, სლიზერინის საერთო ოთახში როგორ ბაჭიაობს! ოჰ, ნეტავ ერთი მოგვასმენინა!

— ეგ მრავალწვნიანი რაღაც ცოტა მაშინებს, — შეცოყმანდა რონი, — ხომ შეიძლება, სიცოცხლის ბოლომდე სლიზერინელებად გადაიქცეულე და ვერაფრით?

— გარკვეული დროის მერე ძალას კარგავს, — აუხსნა მოთმინებადაკარგულმა ჰერმიონმა, — მაგრამ რეცეპტის ხელში ჩაგდება გავგიჭირდება. სნეიპმა თქვა, ეს რეცეპტი „ყველაზე ძლიერ შხამწამლებშია“ შეტანილიო. ეს წიგნი კი ბიბლიოთეკის აკრძალულ სექციაში ინახება.

ბიბლიოთეკის აკრძალული სექციიდან წიგნს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოატანდნენ, თუ მასწავლებლის ხელმოწერილი ნებართვა ექნებოდათ.

— მაინც რა ძნელი მისახვედრია, რად გვინდა ეგ წიგნი! ყველა მიხვდება, რომ სასმელის მომზადებას ვაპირებთ!

ჰერმიონი არ დაეთანხმა:

— მე მგონი, ყველას ისე უნდა მოვაჩვენოთ თავი, თითქოს, უბრალოდ, თეორია გვაინტერესებს. ჰოდა, რაღაც შანსი მაინც გვექნება...

— კარგი ერთი, არც ერთი მასწავლებელი არ დაილუპავს თავს ამისთვის, — შეაწყვეტინა რონმა, — გიჟები ხომ არ არიან...

თავი მეთე

მოჭადლოებული ბლაჯერი

ბოროტ ფერიებთან მარცხის შემდეგ პროფესორ ლოკჰარტს კლასში ცოცხალი არსებები აღარ შეუყვანია. ამის სანაცვლოდ სტუდენტებს თავის წიგნებს უკითხავდა და ზოგიერთ დაძაბულ ეპიზოდს კიდევ გაითამაშებდა ხოლმე. დახმარებას ყოველთვის ჰარის სთხოვდა. ასე რომ, ბიჭი იძულებული იყო, ხან უბრალო ტრანსილვანიელი გლეხის როლი ეთამაშა, რომელიც ლოკჰარტმა ბუბუხუის წყველისგან განკურნა, ხან — თოვლის უაცისა, რომელსაც სურდო შეეყარა, ხან კიდევ — ვამპირისა, რომელიც ლოკჰარტის შელოცვების გამო, სალათის ფოთლების გარდა, ვერაფერს ჭამდა.

ერთხელაც ჰარი კლასის წინაშე იდგა და მაქციას განასახიერებდა.

— ახლა ხმამაღლა დაიწყებლე, ჰარი... ყოჩაღ!.. და მერე, თქვენ წარმოიდგინეთ, აი, ასე ჩავცხე და იატაკზე დავავდე... ცალი ხელით დავაკავე, მეორე ხელით ჭოხი ყელზე მივადე... ძალა მოვიკრიბე და წარმოუდგენლად რთული ჰომომორფუზის შელოცვა ჩავუტარე... მაქციამ საცოდავად ამოიკუნესა... მიდი, ჰარი, ცოტა უფრო ხმამაღლა... კარგია, ყოჩაღ! მერე ბენვი გაუქრა, ბრჭყალები დაუპატარავდა და ისევ ადამიანად გადაიქცა. საკმაოდ რთული რამაა, მაგრამ კარგი შედეგი მივიღე! თანაც, ის სოფელი სამუდამოდ დამიმახსოვრებს, როგორც გმირს, რომელმაც იქაურები ყოველთვიური კომმარებისგან იხსნა!

როგორც იქნა, ზარი დაირეკა და ლოკჰარტი წამოდგა.

— საშინაო დავალებად დანერტ პომას იმის შესახებ, თუ როგორ დავამარცხე მე ვაგა-ვაგაელი მაქცია! საუკეთესო ნაშრომის ავტორი საჩუქრად მიიღებს ჩემს წიგნს: „მე — ჯადოქარი“ ჩემი ავტოგრაფით.

ბავშვები კარისკენ წავიდნენ. ჰარიმ რონსა და ჰერმიონს მიაშურა და ჩურჩულით ჰკითხა:

— მზადა ხართ?

— მოიცა, ჯერ ყველანი გავიდნენ, — აღელდა ჰერმიონი, — აი, ახლა რა...

ჰერმიონი. ქალაქის ნაგლეჯით ლოკჰარტის მაგიდას მიუახლოვდა, ჰარი და რონიც უკან მიჰყვნენ.

— პროფესორო ლოკჰარტ, — ჰერმიონი ცოტა დაიბნა, — მე... მე ბიბლიოთეკიდან ამ წიგნის გამოტანა მინდოდა. უბრალოდ, დამატებით საკითხავად, — ჰერმიონმა ხელის კანკალით გაუნოდა ქალაქის ნაგლეჯი, — მაგრამ, თურმე, ეს წიგნი ბიბლიოთეკის აკრძალულ სექციაში ინახება, ამიტომ მასწავლებლის ხელმოწერა მჭირდება... დარწმუნებული ვარ, ამ წიგნში ვიპოვი იმის ახსნა-განმარტებას, რაზეც თქვენ ნელა მოქმედი შხამების შესახებ წერთ წიგნში: „ჭიაკოკონა ჭინკებთან“.

— „ჭიაკოკონა ჭინკებთან“, — ლოკჰარტი გაიბადრა და ქალაღდი გამოართვა, — ეგ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნია. მოგეწონა?

— ო, რა თქმა უნდა, — გამოცოცხლდა ჰერმიონი, — რა ჭკვიანურად მოახერხეთ ბოლო ჭინკის დაჭერა!

— კეთილი! მგონი, არაუინ არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ჩემს საუკეთესო მოსწავლეს ოღნავ წავეხმარო, — თბილად გაუღიმა ლოკჰარტმა და უჭრიდან ფარშევანგის უშველელელი ფრთა ამოიღო, — ძალიან ლამაზია, არა? საერთოდ, ამ ფრთით ავტოგრაფებს ვიძლევი ხოლმე! — როგორც ჩანს, ლოკჰარტმა რონის ამრეზილი გამომეტყველება მოწონების ნიშნად ჩათვალა. მერე ქალაღდმე უზარმაზარი, ჩახუჭუჭებული ხელმოწერა გამოიყვანა და ისევე ჰერმიონს დაუბრუნა. ჰერმიონმა ფრთხილად დაკეცა და ჩანთაში ჩაასურა.

— ჰო, მართლა, ჰარი, — ახლა ჰარის მიუბრუნდა ლოკჰარტი, — ხვალ ქვიღიჩის ახალი სეზონის პირველი მატჩია, არა? მგონი, გრიფინდორი სლიზერინს ეთამაშება. როგორც ვიცი, შენ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე ხარ. თავის დროზე მეც სიკერი ვიყავი. ეროვნულ ნაკრებში თამაში შემომთავაზეს, მაგრამ მე ვარჩიე, ჩემი სიცოცხლე ბნელი ძაღების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიმეძღვნა! ჰოდა, ცალკე ვარჯიში თუ დაგჭირდება, არ მოგერიდოს, მთხოვე. ყოველთვის მზადა ვარ, ახალბედა მოთამაშეებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო...

ჰარიმ რაღაცა ჩაიბუტბუტა და ბიბლიოთეკისკენ გაქცეულ რონსა და ჰერმიონს გაედევნა.

— წარმოუდგენელია! წიგნის დასახელებისთვის არც კი დაუხედავს! — ჰარი განცვიფრებული დაჰყურებდა ხელმოწერას.

— რა გიკვირს, ეგ ხომ უტვინო და ჩერჩეტია, — ჩაიქირქილა რონმა, — თუმცა, რაში გვენაღვლება, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ!

— უტვინო და ჩერჩეტი სულაც არ არის! — შეუბღვირა ჰერმიონმა, — მაგას იმიტომ ამბობ, რომ შენზე თქვა, საუკეთესო მოსწავლეაო...

ამასობაში ბიბლიოთეკასთან მიიღრბინეს. შიგნით წყნარად შევიდნენ და ხმას დაუნეს. ბიბლიოთეკარი მადამ პინსი გამხდარი, ნერვიული ქალი იყო და დამშეულ სვავს მოგაგონებდათ.

— „ყველაზე ძლიერი შხამ-წამლები?“ — იკითხა დაეჭვებულმა და ქალაღდის გამორთმევა მოინდომა, მაგრამ ჰერმიონმა არ დაუთმო.

— ეს ფურცელი ჩემთვის მინდა!

— ოჰ, კარგი ერთი! — რონმა ქალაღდი გამოჰვლიტა და მადამ პინსს გადასცა, — ნუ გეშინია, ავტოგრაფს კიდევ ვიშოვით. ლოკჰარტისთვის სულ ერთია, რაზე მონაწერს ხელს!

მადამ პინსმა ბარათს სინათლეზე გახედა, ყალბი ხომ არ არისო, მერე აუჩქარებლად გაემართა წიგნებით სავსე თაროებისკენ და რამდენიმე წუთში უზარმაზარი ობზოიდებული წიგნით დაბრუნდა. ჰერმიონმა წიგნი ფრთხილად ჩაიღო ჩანთაში. მეგობრები დინჯად მიტრიალდნენ და უსკოდველი გამომეტყველებით გავიდნენ გარეთ.

ხუთ წუთში უკვე მტირალა მირტლის ტუალეტში ჩაიკეტნენ. რონს იქ შესვლა არ უნდოდა, მაგრამ ჰერმიონმა დაარწმუნა, სრულ ჭკუაზე მყოფი აქ არავინ შემოიხედავს და ხელსაც არავინ შეგვიშლისო. მტირალა მირტლი ერთ-ერთ კაბინაში მწარედ ქვითინებდა, მაგრამ ბავშვებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ჰერმიონმა ფრთხილად გადაშალა „ყველაზე ძლიერი შხამამლები“ და სამივენი დალაქავებულ ფურცლებს დააცქერდნენ. ერთი ნახვითაც მიხვდებოდი, რატომ იღო ეს წიგნი აკრძალულ სექციაში. ზოგიერთი საწამლავის მოქმედება ისე იყო აღწერილი, მისი წაკითხვაც კი თმას ყალყზე დაგიყენებდა. თან ყველაფერს არცთუ სასიამოვნო ილუსტრაციებზე ერთვოდა, მაგალითად, სურათი ქალისა, რომელსაც თავზე უამრავი მკლავი ამოზრდოდა.

— აი, ვიპოვე! — საზეიმოდ გამოაცხადა ჰერმიონმა. ერთ-ერთ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: „მრავალწინიანი სასმელი“ და ნახატები ახლდა, სადაც ნაჩვენები იყო, როგორ გადაიქცევა ერთი ადამიანი მეორედ. ამ ადამიანებს სახეზე საშინელი ტკივილი აღბეჭდოდათ, მაგრამ ჰარიმ გაიფიქრა, იმედია, ეს მხოლოდ მხატვრის ფანტაზიააო.

— ასეთ რთულ სასმელს პირველად ვხედავ, — დაასკვნა ჰერმიონმა, როცა რეცეპტი ჩაიკითხეს, — ფართოფრთიანი ბუბები, წურბელები, წყალმცენარეები და მატიტელა... ამათ აღვივლად ვიშოვით, სკოლის საცავებში ინახება და შეგვიძლია, გამოვიტანოთ. ვაიმე, შეხედეთ!

ორრქიანი ცხენის დაფეხული რქა! აზრზე არა ვარ, საიდან უნდა მოვიტანოთ... გუდაფშუტას გახეხილი კანი და იმ ადამიანის ნაწილები, რომლადაც უნდა გადავიქცეთ.

— რაო, რაო?! — აღშოფოთდა რონი, — ადამიანის ნაწილებში რას გულისხმობ? არავითარ შემთხვევაში არ დავლევ კრაბის ფეხის ფრჩხილებიან სასმელს... ჰერმიონმა აუღელვებლად განაგრძო: — თუმცა, ჯერ ამაზე თავს ნუ შევიწუხებთ, ეს ნაწილები ბოლოს უნდა ჩავამატოთ.

რონმა საცოდავად შეხედა ჰარის, მაგრამ მას თავისი სადარდებელი აწუხებდა.

— ხვდები, რამდენი რაღაცის მოპარვა მოგიწევს, ჰერმიონ? გუდაფშუტას გახეხილი კანი სკოლის საერთო საცავებში ნამდვილად არ იქნება. რა უნდა ვქნათ? სნიპის პირადი საცავიდან მოვიპაროთ? არა მგონია, კარგი აზრი იყოს...

ჰერმიონმა წიგნი გაბრაზებით დახურა.

— კი ბატონო, თუ შეგეშინდათ, თქვენი ნებაა! — ჰერმიონს ლოყები აუწითლდა და თვალები აუელვარდა, — კარგად იცით, რომ მე წესების დარღვევა არ მიყვარს! მაგრამ, ჩემი აზრით, თუ მაგლების ოჯახში დაბადებულებს საფრთხე დამუქრებათ, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სკოლის წესების დაცვა! როგორც ჩანს, არ გინდათ, გაარკვიოთ, არის თუ არა მალფოი ამ საქმეში გარეული. ჰოდა, ავდგები და მადამ პინსს წიგნს დავუბრუნებ...

— არ მეგონა, ოდესმე თუ მოვესწრებოდი, რომ შენ წესების დარღვევას გვაძულებდი, — შეაქო რონმა, — კარგი, თანახმა ვართ! მაგრამ თეხის ფრჩხილები არ გვინდა, რა!

— სასმელის მოსამზადებლად რამდენი ხანი დაგვჭირდება? ჰკითხა ჰარიმ. კმაყოფილმა ჰერმიონმა ისევ გადაშალა წიგნი.

— აბა, ვნახოთ! წყალმცენარეები სავესე მთვარისას უნდა დაიკრიფოს, ფართოფრთიანი ბუზები ოცდაერთ დღეს უნდა ვხრაკოთ... ჩემი აზრით, თუ ყველა ინგრედიენტს ვიშოვით, დაახლოებით, ერთ თვეში მზად გვექნება.

— ერთ თვეშიო?! — შეიცხადა რონმა, — ამასობაში მალფოი მაგლების შვილებს გაანადგურებს! — ჰერმიონს ავის მომასწავებლად დაუნვრილდა თვალები და რონმა სასწრაფოდ დაიხია უკან, — თუმცა, სხვა არჩევანი არა გვაქვს, ასე რომ, საქმეს შევედგეთ!

ტუალეტიდან პირველი ჰერმიონი გამოვიდა, რომ შეემონმებინა, ვინმე ხომ არ უთვალთვალეზდათ. რონმა კი ჰარის გადაუჩურჩულა:

— ამას ის აჯობებს, თუ ხვალ მალფოის ცოცხიდან ჩამოავდებ!

* * *

შაბათ დილით ჰარის ადრე გაეღვიძა. ინვა და ქვიდიჩის მომავალ მატჩზე ფიქრობდა. ოდნავ ღელავდა, როცა წარმოიდგენდა, ვუდი რა დღეს დააყრიდა, გრიფინდორს რომ წაეგო. მის გაფიქრება კი, რომ უახლესი მოდელის უსწრაფეს ცოცხებზე ამხედრებულ გუნდს უნდა შერკინებოდნენ, მოსვენებას არ აძლევდა. სლიზერინის დამარცხება ასე ძალიან არასოდეს ნდომებია. ნახევარ საათს ასე ინვა, მუცელი რომ აუნრიალდა, ადგა, ტანთ ჩაიცვა და სასაუზმოდ ჩავიდა. გრიფინდორის გუნდის დანარჩენი მოთამაშეები გრძელ ცარიელ მაგიდას შემოსხდომოდნენ, დაძაბულები უყურებდნენ ერთმანეთს და მაინცდამაინც ბევრს არ ლაპარაკობდნენ.

თერთმეტი საათი მოახლოვდა. მთელი სკოლა ქვიდიჩის სტადიონისკენ დაიძრა. ღრუბლიანი დღე იყო, გვეგონებოდათ, სადაცაა იელვებსო. გასახდელში შესვლამდე ჰარის რონი და ჰერმიონი მისცვივდნენ და წარმატება უსურვეს. გუნდის მოთამაშეები

ალისფერ ფორმაში გამოწყენენ და თამაშის წინ ვუდის ჩვეულებრივი რჩევადარიგებების მოსასმენად ჩამოსდნენ.

— სლიზერინელებს ჩვენზე უკეთესი ცოცხები აქვთ, — დაიწყო ვუდმა, — ამის უარყოფას აზრი არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ უკეთესი მოთამაშეები გვყავს! ჩვენ მათზე მეტი ვივარჯიშეთ, ყველანაირ ამინდში დავფერინავდით!

— რაც მართალია, მართალია, — ჩაიბუტბუტა ჯორჯ უისლიმ, აგვისტოდან მოყოლებული, წესიერად ვერ გავმშრალვარ!

— ჰოდა, ახლა ის დღე უნდა ვაწყველინოთ, როცა ეგ ნაგავი მალ- ფოი ქრთამით მიიღეს გუნდში! — აღელვებისგან ათრთოლებული ვუდი ჰარის მიუბრუნდა: — ჰარი, შენ უნდა უჩვენო მაგათ, რომ სიკერისთვის მარტო მდიდარი მამიკო საკმარისი არ არის! მალფოის უნდა დაასწრო სნიჩის დაჭერა, თავი არ დაზოგო, იცოდე! დღეს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, აუცილებლად!

— აბა, შენ იცი, ჰარი! — თვალი ჩაუკრა ფრედმა.

მოედანზე მათ გამოჩენას მაყურებლების უმრავლესობა გამამხნეველი შეძახილებით შეხვდა. რეივენქლოცა და ჰაფლეპაფიც გრიფინდორს გულშემატკივრობდა. სლიზერინელების ტრიბუნიდან კი ამ დროს ღმუილი და სისინი გაისმა. მადამ ჰუჩმა, ქვიდიჩის მასწავლებელმა, ფლინტსა და ვუდს სთხოვა, ერთმანეთისთვის ხელი ჩამოერთმიათ. მათაც, რასაკვირველია, არ დააყოვნეს, თუმცა ერთმანეთს მექარით აღსავსე თვალებით უყურებდნენ და ხელს ხელზე მეტისმეტად ძლიერად უჭერდნენ.

— მოემზადეთ, — გამოაცხადა მადამ ჰუჩმა, — ერთი... ორი... სამი...

სასტვენის ხმაზე თოთხმეტივე მოთამაშე ღრუბლიანი ცისკენ აიჭრა, მაყურებლები აღრიალდნენ. ჰარი სხვებზე მალლა აფრინდა და სნიჩს დაუწყო ძებნა.

— ჰეი, შენ, ცინგლიანო! — დაუყვირა მალფოიმ და მთელი სისწრაფით დაეშვა დაბლა, თითქოს თავისი ცოცხის შესაძლებლობებს ჰარის პასუხის გასაცემად სად ეცალა! სწორედ იმ წუთს მისკენ მძიმე შავი ბლაჯერი გამოქანდა. ჰარი ბენჯზე ასცდა ბურთს და იგრძნო, როგორ ჩაუქროლა გვერდით.

— ყოჩაღ, ჰარი! — დაუძახა ჯორჯმა და ჩოგანმომარჯვებული დაედევნა ბლაჯერს. წამიკ და სლიზერინელებისკენ გატყორცნიდა. ჰარიმ დაინახა, რომ ჯორჯმა მთელი ძალით დაარტყა ბლაჯერს და ედრიან პუსის მიმართულებით გაგზავნა, მაგრამ ბლაჯერმა შუა გზაზე მიმართულება შეიცვალა და ჰარის გამოენთო.

ჰარი სწრაფად დაიხარა და ბურთი აიცილინა. ჯორჯმა ისევ დაარტყა ჩოგანი და ახლა მალფოისკენ გაგზავნა, მაგრამ ბურთი ბუმერანგივით მოტრიალდა და ჰარის გამოედევნა.

ჰარი მთელი ძალით დააწვა ცოცხს და მოედნის მეორე ბოლოსკენ ელვის სისწრაფით გაფრინდა. მიფრინავდა, ესმოდა, როგორ მისდევდა ბლაჯერი წუილით და ფიქრობდა: „რა ხდება? ბლაჯერები ხომ არასოდეს ირჩევენ მხოლოდ ერთ მოთამაშეს, პირიქით, მათი საქმეა, რაც შეიძლება, მეტი მოთამაშე ჩამოყარონ ცოცხებიდან...“

მოედნის მეორე ბოლოში ბლაჯერს ფრედ უისლი ელოდა. ჰარი სწრაფად დაეშვა ქვემოთ და ფრედმაც მთელი ძალით დაარტყა ბურთს. ბლაჯერმა, როგორც იქნა, მიმართულება შეიცვალა.

— მორჩა! მოვიშორეთ! — დაიყვირა გახარებულმა ფრედმა, მაგრამ თურმე ცდებოდა! ჰარი რაღაც უცნაური ძალის წყალობით, მაგნიტივით იზიდავდა ბლაჯერს და იძულებული იყო, ელვის სისწრაფით ეფრინა.

ამასობაში წვიმა დაიწყო. ჰარის სათვალე უსველდებოდა, ამიტომ მოედანს კარგად ვერ ხედავდა და არ იცოდა, რა ანგარიში იყო. ბოლოს კომენტატორის, ლი ჯორდანის, ხმა გაიგონა: „ანგარიშია სამოცით ნული, სლიზგერინის სასარგებლოდ“.

სლიზგერინის ახალი ცოცხები, როგორც ჩანს, თავიანთ საქმეს კარგად ასრულებდნენ, გაცოფებული ბლაჯერი კი ჰარის არ ეშვებოდა. ფრედი და ჯორჯი მასთან ისე ახლოს დაფრინავდნენ, რომ ჰარი სხვას ველარაფერს ხედავდა. სნიჩის დაჭერაზე ოცნებაც კი არ ღირდა.

— ვიღაცამ ბლაჯერი მოაჯადოვა, — დაიყვირა ფრედმა და ბლაჯერს მთელი ძალით მოუქნია ჩოგანი, რათა ჰარისთვის აეცილებინა, — ტაიმაუტი გვჭირდება, — შესძახა ჯორჯმა და ვუდს რაღაც ანიშნა, ამასობაში კი სულზე მიუსწრო ბლაჯერს, თორემ ჰარის (ცხვირს გაუტეხდა.

ვუდი ყველაფერს მიხვდა. მადამ ჰუჩმა სასტვენს ჩაჰბერა, ჰარი, ფრედი და ჯორჯი ძირს დაეშვნენ, შეშლილი ბლაჯერი კი მაინც არ ეშვებოდათ.

— რა ხდება? — ჰკითხა ვუდმა ერთად შეჯგუფებულ გრიფინდორელებს. — მინასთან გვასწორებენ! ფრედ, ჯორჯ, სად იყავით, როცა ბლაჯერმა ანჯელინას გოლი არ გაატანინა?!

სლიზგერინელები ახითხითდნენ.

— ოცი ფუტით მაღლა დაფრინავდით, ოლივერ, ჰარის ვიცავდით მეორე ბლაჯერისგან, — გაცხარდა ჯორჯი, — ვიღაცამ შეულოცა და ჰარის აღარ ეშვება, სულ მას დასდევს! ალბათ სლიზგერინელების ხრიკებია!

— კი მაგრამ, ჩვენი ბოლო ვარჯიშის შემდეგ ბლაჯერები მადამ ჰუჩის კაბინეტში იყო ჩაკეტილი, მაშინ არაფერი სჭირდათ! შეუღრინა ოლივერმა.

მადამ ჰუჩი გრიფინდორელებისკენ წამოვიდა. მის ზურგს უკან სლიზგერინელები შეჯგუფებულიყვნენ, ჰარისკენ იშვრდნენ ხელს და ხითხითებდნენ.

— მომისმინეთ, — მიმართა ჰარიმ ფრედსა და ჯორჯს, — თქვენ ორნი თუ ჩემ გვერდით იფრენთ, სწიხს ვერაფრით ვერ დავიჭერ! აჯობებს, გუნდის სხვა წევრებს მივხმაროთ, იმ ბლაჯერს მე თვითონ მოვუვლი!

— ნუ სულელობ, — შეაწყვეტინა ფრედმა, — თავს წაგაცლის!

ვუდი ხან ჰარის უყურებდა, ხან — უისლებს.

— ოლივერ, ეს სიგიჟეა! — გაბრაზდა ალისია სპინეტი, — არ შეიძლება, ჰარი ბლაჯერთან მარტო დავტოვოთ, მოდი, გამოძიება მოვიტხოვოთ...

— ახლა თუ შევწყვეთ თამაშს, წაგებად ჩაგვეთვლება, — იუარა ჰარიმ, — და თანაც, მარტო იმ ბლაჯერის გამო არ ვაგებთ! მიდი, ოლივერ, უთხარი, თავი დამანებონ!

— შენი ბრალა! — გაცეცხლებული ჯორჯი ვუდს მიუბრუნდა, შენ არ იყავი, რომ ეუბნებოდი, „სწიხის დასაჭერად თავი არ უნდა დაზოგო!“.

ამასობაში მადამ ჰუჩი მიუახლოვდათ.

— მზადა ხართ თამაშის გასაგრძელებლად?

ჰარიმ ვუდს თავი დაუქნია.

— მზადა ვართ! ფრედ, ჯორჯ, ხომ გაიგეთ, ჰარიმ რა გითხრათ? თავი დაანებეთ! ბლაჯერს თვითონ მიხედავს!

წვიმა გაძლიერდა. მადამ ჰუჩის სასტვენის ხმაზე ჰარი მალლა აიჭრა და ბლაჯერიც მაშინვე გამოედევნა. ჰარი სულ უფრო მალლა მიფრინავდა, იხრებოდა, ტრიალებდა, აქეთ-იქით ხტოდა, ბზრიალებდა, დაქროდა. თავბრუ ესხმოდა, მაგრამ მაინც ყურადღებით იყო. წვიმის წვეთებმა სათვალე სულ დაუბურა, ის კი არა, თავდაყირა დაკიდებულს წყალი ცხვირში ჩასდიოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ბლაჯერის გაათრებულ შემოტევებს იგერიებდა. მაყურებლების სიცილი ესმოდა და ფიქრობდა, ალბათ, სულელივით გამოვიყურებო. კიდევ კარგი, ბლაჯერი საკმაოდ მძიმე იყო და მიმართულებას სწრაფად ვერ იცვლიდა. მერე ჰარი სტადიონის განაპირა მხარეებში მოჰყვა წინ და უკან ფრენას, დანამული სათვალეიდან ძლივსლა არჩევდა გრიფინდორის გოლპოსტებს, სადაც ედრიან პუსი ვუდისთვის გვერდის ავლას ცდილობდა...

ყურთან რალაცამ ჩაუნულია, ჰარი მიხვდა, რომ ბლაჯერი აიცილია და საპირისპირო მიმართულებით გაფრინდა.

— რაო, პოტერ, ბალეტს ცეკვავ? — დაუყვირა მალფოიმ, როცა ჰარი ბლაჯერის მორიგი თავდასხმის მოსაგერიებლად სასაცლოდ გაიკლაკნა და მოშორებით გაფრინდა, ბლაჯერი კი მაინც არ ეშვებოდა. ჰარიმ ზიზღით გახედა მალფოის და უცებ ოქროს სწიხი დაინახა! ბურთი მალფოის მარცხენა ყურთან ახლოს ლივლივებდა, თუმცა, მალფოი იმდენად გართულიყო ჰარის დაცინვით, რომ ვერაფერს ამჩნევდა.

ჰარი ერთი წამით შეეცოყმანდა, მალფოისკენ გაფრენა ვერ გაბედა, ვაითუ, მიიხედოს და სწიჩი დაინახოსო და... ბრახ!

გაფრენა დაუგვიანდა, ბლაჯერი მთელი ძალით დაეტაკა იდაყვში და ძვალი გადაუმტვრია. საშინელი ტკივილით დაბრმავებული ჰარი გვერდზე გადაქანდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, ერთიანად გალუმპულ ცოცხს ფეხით მოეჭიდა, მარჯვენა ხელს ველარ იყენებდა... ბლაჯერი მაინც არ ცხრებოდა და ელვისებურად მოქროდა, ამჯერად თავში უმიზნებდა. ჰარი გვერდზე გახტა, ტკივილისგან გამწარებულს მაინც არ ავიწყდებოდა, რომ მალფოისთან უნდა მიფრენილიყო.

— წვიმამ გამეტებით დასცხო. ჰარიმ მალფოის დამცინავი ღიმილი შეამჩნია და მისკენ გაქანდა. დაფეთებულ მალფოის თვალები გაუფართოვდა, ეგონა, ჰარი მას უტევდა. რა ჯანდაბა... — მალფომ სიტყვა განწყვიტა და მეტოქეს გზიდან ეცალა.

ჰარიმ ცოცხს ხელი გაუშვა და სწიჩი ჩაბლუჯა, მაგრამ ცოცხს ახლა მხოლოდ ფეხებით იჭერდა. მაცურებლობმა ერთხმად შეწყვიტა, ჰარი ტყვიასავით დაემუა ძირს, ემინოდა, გონება არ დაეკარგა, ბოლოს ტალახიან მოედანზე დაებერტყა და ცოცხიდან გადმოგორდა. მარჯვენა ხელი უცნაურად ჰქონდა ჩამოკონწიალებული, ტკივილისგან გონებაწართმეულს მაინც ესმოდა მაცურებლების სტვენა და ყვირილი. მერე ძალა მოიკრიბა, საღ ხელში ჩაბლუჯულ სწიჩს დახედა და ძლივს ამოილულულა:

— მაინც გავიმარჯვეთ! — და იმწამსვე გული წაუვიდა.

როცა გონზე მოვიდა, ჯერ ისევ მოედანზე იწვა და სახეზე აწვიმდა, თავზე ვილაც დასდგომოდა. ჰარიმ თეთრი, ელვარე კბილები შეამჩნია და ამოიღწავლა:

— არა, ოღონდ ეგ არა!

— ბოდავს, — გამოაცხადა ლოკჰარტმა, — ნუ ლელავ, ჰარი! ახლავე მოგიჩვენებ მკლავს!

— არა! — დაიყვირა ჰარიმ, — ხელი არ ახლოთ, იყოს მოტეხილი... გმადლობთ... — წამოჭდომა სცადა, მაგრამ ტკივილს ვერ გაუძლო. მერე ფოტოაპარატის ჩხაკუნის გაიგონა.

— კოლინ! ახლა სურათს ნუ მიღებ!

— დანეწი, ჰარი! — თავი გამოიღო ლოკჰარტმა, — ძალიან მარტივი შელოცვაა, ადრეც ათასჯერ გამომიყენებია!

— მირჩვენია, საავადმყოფო ფლიგელში წავიდე, — კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

— მართლაც ასე აჯობებს, პროფესორო, — მიუხედავად იმისა, რომ ჰარიმ მძიმე ტრავმა მიიღო, ტალახში ამოსვრილ ვუდს სახიდან ღიმილი არ შორდებოდა, — ყოჩაღ, ჰარი! ძალიან მაგრად დაიჭირე! მართლა მაგარი ხარ! ყოჩაღ!

ჰარიმ ფრედ და ჯორჯ უისლები შეამჩნია. ბიჭები ბლაჯერს ძალით ტენიდნენ ყუთში, ის კი გააფთრებული ეწინააღმდეგებოდა.

— ყველანი უკან გადაეცით! — ბრძანა ლოკჰარტმა და ზურმუხტისფერი მანტიის სახელოები დაიკაპინა.

— არა... არ გინდათ, — ძლივს ამოილულულა ჰარიმ, მაგრამ ლოკჰარტმა ჯადოსნური ჯოხი თვალის დახამხამებაში ჰარისკენ გაიშვირა.

უცებ ჰარის მთელ მკლავში უსიამოვნო ურუნტელმა დაუარა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ხელი დაუჩუტეს. ზედ დახედ ვისაც კი ეშინოდა, თვალეხი მაგრად ჰქონდა დახუჭული, მაგრამ როცა ხალხის შეშფოთებული შეძახილები და კოლინ ქრივის აპარატის გამაღებელი ჩხაკუნი მოესმა, მიხვდა, რომ მის თავს რაღაც საშინელება ხდებოდა. მართალია, მოტეხილი ხელი აღარ სტკიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მკლავს საერთოდ ვეღარ გრძნობდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დაიბნა ლოკჰარტი, — ზოგჯერ ასეც ხდება. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ძვალი მოტეხილი არა გაქვს. ეს უკვე ძალიან კარგია! აბა, ჰარი, ახლა შეგიძლია, საავადმყოფო ფლიგელში წახვიდე! მისტერ უისლი, მის გრეინჯერ, ჰარის ხომ ვერ გააცილებთ?! ერთი სიტყვით, მადამ პომფრი... ჰო, ის მიხედავს ამ საქმეს...

ჰარი წამოდგა. თავს ძალიან უცნაურად გრძნობდა. გამბედაობა მოიკრიბა, მარჯვენა მკლავზე დაიხედა და ისეთი რაღაც დაინახა, რომ კინაღამ ისევ გული წაუვიდა.

მანტიის სახელოდან სქელი, ხორცისფერი რეზინის ხელთათმანივით რაღაც გადმოჰკიდებოდა. თითების ამოდრავება სცადა, მაგრამ ამაოდ.

ლოკჰარტს, გამთელების ნაცვლად, ძვლები სულ გაექრო.

* * *

მადამ პომფრი ძალიან გაბრაზდა.

— პირდაპირ ჩემთან უნდა მოსულიყავი, — ქალმა ერთ ღროს ჯანსალი, ახლა კი სასკოლავად ჩამოკონწიანლებული მკლავი ფრთხილად გაუსინჯა, — ძვლებს რამდენიმე წაში ვამთელებ... მაგრამ ხელახლა გაზრდა...

— ამასაც მოახერხებთ, არა? — ხმა აუკანკალდა ჰარის.

— რა თქმა უნდა, მოვახერხებ, მაგრამ ძალიან გეტკინება, მკაცრად უთხრა მადამ პომფრიმ და პიჟამა მიუგდო, — ამ საღამოს აქ უნდა დარჩე...

ჰერმიონი სანოლოზე ჩამოფარებული ფარდის უკან იცდიდა, რონი კი ჰარის პიუჰამის ჩაცმაში ეხმარებოდა. კარგად განვალდნენ, სანამ უძვლო, რეზინივით ხელს სახელოში გაუყრიდნენ.

— ახლა რით გაამართლებ ლოკჰარტს, ჰერმიონ? — გასძახა რონმა ჰერმიონს, — ძვლების გაქრობა რომ ნდომებოდა, ჰარი როგორმე თვითონ იტყოდა!

— შეცდომა ყველას მოსდის, — მიუგო ჰერმიონმა, — თანაც, ხომ აღარ გტკივა, ჰარი?

— არა, არ მტკივა, მაგრამ ხელს საერთოდ ვერ ვამოძრავებ! — ჰარი ლოგინზე წამოწვა.

ჰერმიონი და მადამ პომფრი ფარდის უკნიდან გამოვიდნენ. მადამ პომფრის ხელში დიდი ბოთლი ეჭირა, ზედ ეწერა: „ძვლისსაზრდელა“.

— სულ ცოტა, ერთი ღამე მაინც მოგიწევს აქ დარჩენა, — მადამ პომფრიმ ორთქლადენილი სასმელი მიანოდა, — ძვლების ხელახლა გაზრდა საზოგადოებრივი რამეა.

ძვლისსაზრდელას დაღვევაც არ იყო მთლად სასიამოვნო. ჰარის ყელი ჩაენვა და ხველა აუტყდა. მადამ პომფრი რაღაცას ბუზღუნებდა სპორტის სახიფათო სახეობებსა და დაუდევარ მასწავლებლებზე, მერე სადღაც წავიდა. ჰარისთან რონი და ჰერმიონი დარჩნენ.

— ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, — გაიბადრა რონი, — ძალიან მაგრად დაიჭირე სნიჩი! მალფოის სახე უნდა გენახა... მზად იყო, იქვე მოეკალი!

— ნეტავ მაცოდინა, ბლაჯერი როგორ მოაჯადოვა, — მოიღუპა ჰერმიონი.

— მრავალწინანი სასმელი მზად რომ გვექნება, ამას მაშინ ვკითხავთ მალფოის, — ჰარი ბალიშებში ჩაეფლო, — იმედია, ის სასმელი ასეთი საძაგელი არ იქნება!

— შიგ სლიზერინელების ნაწილები თუ შეეურიეთ, ალბათ, ძალიან გემრიელი ვერ იქნება, — ეჭვი გამოთქვა რონმა.

სწორედ ამ დროს საავადმყოფო ფლიგელის კარი ხმაურით გაიღო. ტალახში ამოსვრილი და ერთიანად გალუმპული გრიფინდორელები ჰარის სანახავად მოვიდნენ.

— ძალიან მაგრად გამოგივიდა, ჰარი, — შეაქო ჯორჯმა, — სწორედ ახლა გავიგონე, როგორ უყვიროდა მარკუს ფლინტი მალფოის, სნიჩი შენ თავს ზემოთ ლივლივებდა და როგორ ვერ დაინახეო. მალფოი კი ყურებჩამოყრილი იდგა.

მეგობრებმა ნამცხვრები, ტკბილეული და გოგრის წვენი მოიტანეს, ჰარის შემოეხვივნენ და ის იყო გემრიელად უნდა მოეღებინათ, რომ ოთახში მადამ პომფრი შემოვიდა.

— ბიჭს სიმშვიდე სჭირდება! ოცდაცამეტი ძვალი უნდა გაეზარდოს! აბა, მოშორდით აქედან, ჩქარა!

ჰარი მართო ღარჩა. მომჩვარული მკლავი ძალიან სტკიოდა.

* * *

გვიან ღამით ჰარის უკუნეთ სიბნელეში გაეღვიძა და ტკივილისგან აყვირდა. მკლავი ტეხდა, ეჩვენებოდა, თითქოს უამრავი ხიჭვი ერთად შეერჭო. მერე უცებ მიხვდა, რომ ვიღაცა ოფლით დაცვარულ შუბლს უწმენდა.

— მომშორდი! — შეუტია იმ ვიღაცას და უცებ იცნო დაუპატიუებელი სტუმარი.

— დობი, შენა ხარ?

შინაური ელფის ჩოგბურთის ბურთისოდენა გადმოკარკლული თვალები ჰარის მისჩერებოდა. წაწვეტებულ ცხვირზე ერთადერთი ცრემლი ჩამოუგორდა.

— ჰარი პოტერი მაინც დაბრუნდა სკოლაში, — საცოდავად დაიკრუსუნა ელფმა, — დობიმ ხომ გაათვრთხილა ჰარი პოტერი, ხომ გაათვრთხილა! აჰ, სერ, დობის რატომ არ დაუჯერა? მატარებელზე როცა დააგვიანდა, შინ რატომ არ დაბრუნდა?

ჰარი წამოჭდა, დობის ხელი მოიშორა და ჰკითხა:

— შენ აქ რა გინდა? საიდან იცი, რომ მატარებელზე დამაგვიანდა?

დობის ტუჩები აუკანკალდა.

— ესე იგი, ყველაფერი შენ მოაწყვე?! შენ გამო ვერ გავალწიეთ ბარიერში? — დაეჭვდა ჰარი.

— რასაკვირველია, დიახ, სერ! — დობიმ ყურების პარტყუნით დაუქნია თავი, — დობი დაიმალა, ჰარი პოტერს უთვალთვალედა და მერე გასასვლელი ჩაკეტა. ამისთვის დობიმ ხელები დაიუთოვა, — სტუმარმა ათივე დაბინტული თითი დაანახვა, — მაგრამ ამას ვინ ჩივის, სერ, დობიმ იფიქრა, ჰარი პოტერი დავიცავიო, მაგრამ რას წარმოიდგენდა დობი, რომ ჰარი პოტერი სკოლაში სხვა გზით მივიდოდა! — ელფი ბოლთას სცემდა და მახინჯ თავს იქნევდა, — დობი კინაღამ ცუდად გახდა, როცა ჰარი პოტერის ჰოგვორტსში დაბრუნება შეიტყო, თავის ბატონს სადილიც კი დაუნვა, ასეთი რამ დობის არასოდეს მოსვლია, სერ...

ჰარი ბალიშებს მიესვენა.

— შენ გამო მე და რონი კინაღამ სკოლიდან გავკრიცხეს! ჯობია, აქედან გაქრე, სანამ ძვლები გამზრდია, თორემ დაგახრჩობ!

დობიმ ნაღვლიანად გაიღიმა.

— დობი ასეთ მუქარას მიჩვეულია, სერ! შინ დღეში ხუთჯერ მაინც ესმის, — ელფმა, ზედ რომ ეცვა, იმ ბინძური ბალიშისპირით ცხვირი მოიხოცა. ისეთი საწყალი სახე ჰქონდა, ჰარის, თავისდა უნებურად, სიბრაზემ გადაუარა.

— ეგ რატომ გაცვია, დობი? — დაინტერესდა ჰარი.

— ეს, სერ? — დობიმ ბალიშისპირზე მიიღო თითი, — ეს, სერ, იმის ნიშანია, რომ შინაური ელფი მონაა. დობი მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება, სერ, როცა ბატონი ტანსაცმელს აჩუქებს. ოჯახი დობის ერთ წინდასაც არ აძლევს საჩუქრად, თორემ აქამდე მათი სახლიდან სამუდამოდ წავიდოდა, — დობიმ გადმოკარკლული თვალები შეიმშრალა და უცებ ისევ გამოცოცხლდა: — ჰარი პოტერი შინ უნდა დაბრუნდეს! დობიმ იფიქრა, რომ მისი ბლაჯერი სრულიად საკმარისი იქნებოდა...

— შენი ბლაჯერი?! — წამოენთო ჰარი, — რაო, რა თქვი? ესე იგი, შენ მოაჯადოვე ბლაჯერი და ჩემს მოკვლას ცდილობდი?

— არა, სერ! თქვენი მოკვლა არც მიფიქრია, სერ! — შეშფოთდა დობი, — დობის ჰარი პოტერის გადარჩენა უნდა! უმჯობესია, ასე მძიმედ დაშავებული შინ გაუშვან, ვიდრე აქ დარჩეს, სერ! დობის, უბრალოდ, უნდოდა, ჰარი პოტერი ისე დაშავებულიყო, რომ შინ გაეგზავნათ.

— მართლა? და სულ ეგ არის?! — აღშფოთდა ჰარი, — თანაც, ალბათ, იმის თქმაც არ შეგიძლია, ჩემი შინ გაგზავნა რატომ გინდოდა, არა?!

— ეჰ, ჰარი პოტერმა რომ იცოდეს! — ამოიგმინა დობიმ და ბალიშისპირზე წვიმასავით წამოვიდა ცრემლები, — რომ იცოდეს, მისი სიცოცხლე როგორი ძვირფასია ჩვენთვის, დაბალი ფენის, დამონებული, უუფლებო ჯადოქრებისთვის! დობის კარგად ახსოვს, რა დრო იყო, როცა ბატონობდა ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის, სერ! შინაურ ელფებს მაშინ ღორის ტილებივით ექცეოდნენ, სერ! რა თქმა უნდა, დობის ახლაც ასე ექცევიან, სერ, — დობიმ თავი ჩალუნა, — მაგრამ, მას შემდეგ, რაც თქვენ ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის, დაამარცხეთ, ბევრად უკეთესად ვცხოვრობ. ჰარი პოტერი გადარჩა, ბნელმა ბატონმა ძალა დაკარგა და ახალი დილა გათენდა, სერ... და ჩვენთვის, ვისაც გვეგონა, რომ ბნელი ძალების ბატონობა არასოდეს დასრულდებოდა, ჰარი პოტერმა იმედის სხივივით გამოანათა... ახლა კი ჰოვგორტსში საშინელი ამბები დატრიალდება. დობის არ შეუძლია, ჰარი პოტერი აქ დატოვოს, ყველაფერი თავიდან იწყება, სერ, საიდუმლო ოთახი ისევ გააღეს... — დობი თავისმა ნათქვამმა თვითონვე დააფრთხო, დაზაფრულმა ჰარის ღოჭი თავში დაიშინა და გაუჩინარდა. ცოტა ხანში დაელმებული მიუცუცქდა საწოლთან და აბუტბუტდა: — დობი — ცუდი! დობი — საძაგელი!

— ესე იგი, საიდუმლო ოთახი მართლა არსებობს? — ჩურჩულით ჰკითხა ჰარიმ, — და შენ ამბობ, რომ ადრეც გაუღიათ? დობი, გთხოვ, მომიყვივი! — ჰარიმ

გაძვალტყავებულ მაჯაში ხელი წაავლო, რადგან დობი ისევ დოქისკენ იწვედა, — რა საფრთხე უნდა დამემუქროს, მე ხომ მაგლების ოჯახში არა ვარ დაბადებული?

— აჰ, სერ, მეტს ნუ მკითხავთ! არ მკითხოთ! — ელფს ენა ებმოდა, სიბნელეში უშველელი თვალები უელავდა, — აქ საშინელი ამბები დატრიალდება, ჰარი პოტერი აქ არ უნდა იყოს! ჰარი პოტერი, შინ დაბრუნდით! შინ დაბრუნდით! თქვენ ამ საფრთხეს უნდა მოერიდოთ, სერ...

— დობი, — შეანყვეტინა ელფის მაჯაზე ჩაფრენილმა ჰარიმ, — ვინ გაალოთახი? ბოლოს ვინ გაალო?

— არა, სერ, დობის არ შეუძლია! დობი ვერ იტყვის! — დაიჭყვივლა ელფმა, — შინ დაბრუნდით, სერ! დაბრუნდით!

— არსადაც არ წავალ! — გაბრაზდა ჰარი, — ერთ-ერთი ჩემი საუკეთესო მეგობარი მაგლების ოჯახშია დაბადებული. თუ საიდუმლო ოთახს მართლა გააღებენ, პირველს მას დაემუქრება საფრთხე...

— ჰარი პოტერი მეგობრებისთვის საკუთარ სიცოცხლეს სწირავს! — წამოიძახა აღტაცებულმა დობიმ, — რა დიდებულია! რა კეთილშობილია! მაგრამ ჯერ თავს უნდა უშველოს! ჰარი პოტერმა არ უნდა... — დობი გაჩუმდა და ღამურასავით ფართხუნა ყრები აუცახცახდა. ამ დროს დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა.

— დობი უნდა წავიდეს, — სუნთქვა შეეკრა ელფს, მერე რაღაცამ გაიტკაცუნა და, დობის მაჯის ნაცვლად, ჰარის ხელში სიცარიელე შერჩა. საბანი გადაიფარა და საავადმყოფო ფლიგელის ჩაბნელებულ შემოსასვლელს მიაჩერდა. ნაბიჯების ხმა სულ უფრო ახლოვდებოდა.

წამიჯ და, დამბლდორი გამოჩნდა, გრძელი შალის პერანგი ეცვა და ჩაჩი ეხურა. თან რაღაც ქანდაკების მსგავსი მოჰქონდა. გამოჩნდა პროფესორი მაკგონაგელიც, მას ქანდაკების ფეხებზე ეკიდა ხელი. ორივემ ერთად ქანდაკება ერთ-ერთ საწოლზე დადეს.

— მაღამ პომფრი მოიყვანეთ, — წასწურჩულა დამბლდორმა. პროფესორმა მაკგონაგელმა ჰარის საწოლს ჩაუარა და გაუჩინარდა. ჰარი გაუნძრევლად იწვა, ვითომ ეძინა. პროფესორი მაკგონაგელი სწრაფადვე დაბრუნდა, თან მაღამ პომფრი ახლდა, რომელიც ღამის პერანგზე ნაჩქარევად იცვამდა ჟაკეტს. ვიღაცამ ღრმად ამოისუნთქა.

— რა მოხდა? — ჩურჩულით ჰკითხა მაღამ პომფრიმ დამბლდორს და ქანდაკების დასათვალიერებლად დაიხარა.

— რა და, კიდევ ერთი თავდასხმა, მინერვამ კიბეებზე იპოვა, უთხრა დამბლდორმა.

— გვერდით ყურძნის მტევნები ეყარა, — ჩაურთო მაკკონაგელმა, — ჩემი აზრით, ჰარი პოტერის სანახავად მოიპარებოდა.

ჰარის მუცელი აუბუყბუყდა. ფრთხილად წამოიწია ლოგინიდან, რომ ქანდაკება უკეთ დაენახა. ეს კოლინ ქრივი იყო, გაშეშებულ სახეზე მთვარის შუქი სცემდა... თვალეები ფართოდ დაეჭყიტა და ხელში ფოტოაპარატი ეჭირა.

— გააქვავეს? — ისევ ჩურჩულით იკითხა მადამ პომფრიმ.

— დიახ, — მიუგო მაკკონაგელმა, — მაგრამ იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რა მოხდებოდა, ალბუსი ცხელი შოკოლადის დასალეევად პირველ სართულზე რომ არ ჩამოსულიყო...

სამივენი კოლინს დააცქერდნენ. დამბლდორი დაიხარა და კოლინს მაგრად ჩაბლუჯული კამერა ხელიდან ძლივს გამოჰგლიჯა.

— იქნებ თავდამსხმელისთვის სურათის გადაღება მოასწრო, იმედი მიეცა პროფესორ მაკკონაგელს.

დამბლდორს არათფერი უპასუხია. კამერას უჩხიკინა და ძლივს გახსნა.

შიგნიდან ბოლი გამოვარდა. ჰარი სამი სანოლის იქით იწვა, მაგრამ დამწვარი პლასტმასის სუნი მაინც ეცა.

— დადნა... — გაოცდა მადამ პომფრი.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა პროფესორმა მაკკონაგელმა.

— ეს ნიშნავს, რომ საიდუმლო ოთახი მართლა გააღეს.

მადამ პომფრიმ პირზე ხელი აიფარა. პროფესორი მაკკონაგელი დამბლდორს მიაშტერდა.

— კი მაგრამ, ალბუს... დარწმუნებული ხართ?.. ვინ...

— მთავარი ის კი არ არის, ვინ გააღო, — დამბლდორი კოლინს თვალს არ აშორებდა, — მთავარია, როგორ გააღო!

პროფესორ მაკკონაგელის შეწუხებული სახის დანახვისას ჰარი მიხვდა, რომ პასუხი ამ კითხვაზე არც მან იცოდა.

თავი მეთერთმეტე

მებრძოლთა კლუბი

კვირა დილით პალატაში ზამთრის მშემ შემოანათა. ჰარის გაეღვიძა, ძვლები უკვე გაზრდოდა, მაგრამ მკლავს ვერ ხრიდა. სწრაფად წამოჭდა და კოლინის სანოლისკენ გაიხედა, მაგრამ მისთვის ფარდა ჩამოეთარებინათ. მაღამ პომფრემ ჰარის საუზმე მიაართვა, მერე კი მკლავისა და თითების გავარჯიშებაში მიეხმარა.

— ყველაფერი რიგზეა, — დაასვენა მაღამ პომფრემ. ჰარი ამასობაში მარცხენა ხელით ფაფას მიირთმევდა, — ჭამას რომ მორჩები, შეგიძლია, წახვიდე.

ჰარიმ სწრაფად ჩაიცვა და გრიფინდორის კოშკისკენ გაქანდა. ერთი სული ჰქონდა, რონისა და ჰერმიონისთვის კოლინისა და დობის ამბავი მოეთხრო, მაგრამ მეგობრები კოშკში არ დახვდნენ. ჰარი მათ საძებნელად წავიდა, თან ფიქრობდა, ნეტავ სად იქნებიანო. ისე, ცოტა ნაწყენიც კი იყო, ჩემი ჯანმრთელობის ამბავი რატომ არ აინტერესებთო.

ბიბლიოთეკას რომ ჩაუარა, იქიდან პერსი უისლი გამოვიდა, ახლა ბევრად უკეთეს გუნებაზე ბრძანდებოდა, ვიდრე მათი ბოლო შეხვედრისას იყო.

— გამარჯობა, ჰარი! გუშინ ძალიან მაგრა იფრინე! ყოჩაღ! გრიფინდორი კლუბების თასის გათამაშებაში პირველ ადგილზეა, შენ ორმოცდაათი ქულა აიღე!

— რონი და ჰერმიონი ხომ არ გინახავს? — ჰკითხა ჰარიმ.

— არა, არ მინახავს, — პერსის ღიმილი სახეზე შეაცივდა, — იმედია, რონი ისევ გოგოების ტუალეტში არ ზის...

ჰარიმ ნაძალადევად გაუცინა. მერე დაელოდა, სანამ პერსი თვალს მიეფარებოდა და პირდაპირ მტირალა მირტლის ტუალეტისკენ გაიქცა, თუმცა ვერ ხვდებოდა, ტუალეტში ახლა რაღა უნდოდათ.

სანამ შიგნით შევიდოდა, დერეფანი კარგად მოათვალიერა, ფილჩი ან პრეფექტები არ მითვალთვალებდნენო და კარი მერეღა შეაღო. ერთ-ერთი კაბინიდან რონისა და ჰერმიონის ხმა მოესმა.

— მე ვარ, — დაუძახა ჰარიმ და კარი მიხურა. ერთ-ერთ კაბინაში რაღაცამ გაიწკარუნა, მერე წყალში მოადინა ტყაპანი. გასალების ჭუჭრუტანიდან ჰერმიონმა ფრთხილად გამოიხედა.

— ჰარი! როგორ შეგვაშინე! შემოდი! მკლავი როგორ გაქვს?

— კარგად, — მიუგო ჰარიმ და კაბინაში შეძვრა. უნიტაზზე ერთი ძველი ქვაბი შემოედგათ. ქვემოდან ისეთი ხმები ისმოდა, რომ ჰარი მიხვდა, ცეცხლი შეუნთიათო. ჰერმიონი ხომ გადასატანი და წყალგამძლე ცეცხლის დანთების ნამდვილი ოსტატი იყო.

— შენთან მოსვლას ვაპირებდით, მაგრამ გადავწყვიტეთ, მრავალწინიანი სასმელის მომზადება დაგვეწყო, — აუხსნა რონმა, — ჩვენი აზრით, ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

ჰარიმ კაბინის კარი დიდი გაჭირვებით ჩაკეტა და კოლინზე დაიწყო მოყოლა, მაგრამ ჰერმიონმა შეაწყვეტინა:

— უკვე ვიცით, გავიგონეთ, ამ დილით პროფესორი მაკგონაგელი პროფესორ ფლიტვეკს რომ უყვებოდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, დროზე დავგვეწყლო...

— რაც უფრო მალე დათქვავს მალფოი ყველაფერს, მით უკეთესი, — ჩაიბუზუნა რონმა, — იცით, რას ვფიქრობ? ქვიდიჩის მატჩის მერე ისეთი გაბრაზებული იყო, რომ კოლინზე იდია შური.

— კიდევ რაღაც უნდა ვითხრათ, — განაგრძო ჰარიმ, თან თვალს არ აცილებდა ჰერმიონს, რომელიც სასმელში მათიტელას ყრიდა, ნუხელ ჩემთან დობი მოვიდა.

რონმა და ჰერმიონმა გაოცებულებმა შეხედეს. ჰარიმ მეგობრებს ყველაფერი უამბო, ისინიც სუნთქვაშეკრულები უსმენდნენ.

— ესე იგი, საიდუმლო ოთახი ადრეც გაუღიათ? — გაუკვირდა ჰერმიონს.

— ყველაფერი დღესავით ნათელია, — გამოაცხადა რონმა, — ეტყობა, თავის დროზე ლუციუს მალფოიმ გააღო საიდუმლო ოთახი, ახლა კი თავის ძვირფას დრაკოს ასწავლა. ეს ხომ ცხადზე ცხადია! ნეტავ დობის ეთქვა, იმ ოთახში როგორი მონსტრი ზის. ძალიან მიკვირს, ნუთუ ვერაფერ ვერ შეამჩნია, სკოლაში როგორ დაძრწის?

— ალბათ, გაუჩინარება შეუძლია ან, სულაც სხვა რამედ გადაქცევა, — დაასკვნა ჰერმიონმა და ქვაბში წურბელები ჩაუძახა, — ვთქვათ, რაინდის აღჭურვილობად. ჭინკა-ქამლეონის შესახებაც წამიკითხავს სადღაც...

— შენ მეტისმეტად ბევრს კითხულობ, ჰერმიონ, — შეაწყვეტინა რონმა და მკვდარ წურბელებს ზემოდან ფართოფრთიანი ბუზები მოაყარა. მერე ცარიელი პარკი დაფერთხა და ჰარის მიუბრუნდა: — ესე იგი, დობის „წყალობით“ დავგავგიანდა მატარებელზე და ხელიც მაგან მოგტეხა? — რონმა თავი გადააქნია, — იცი რა, ჰარი, თუ შენს გადარჩენაზე ზრუნვას თავს არ დაანებებს, აუცილებლად შემოაკვდები!

* * *

ორშაბათ დილას უკვე მთელმა სკოლამ გაიგო, რომ კოლინ ქრივის თავს დაესხნენ და ახლა საავადმყოფო ფლიგელში გაშუშებული იწვა. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა და ჭორაობა. პირველკურსელებს ისე ეშინოდათ თავდასხმისა, ჭგუფ-ჭგუფად დადიოდნენ.

ჯინი უისლი, რომელიც ჯადოსნური ფორმულების გაკვეთილზე კოლინ ქრივის გვერდით იჯდა, უგუნებოდ იყო. ფრედი და ჯორჯი ვითომ მის გამხიარულებას

ცდილობდნენ, მაგრამ პირიქით კი გამოსდიოდათ. ხან მეტყევეს გაიჩენდნენ, ხან — წვერს, ხან ერთი გამოუხტებოდა ქანდაკების უკნიდან, ხან — მეორე. ეს ოინები მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს, როცა გაცეცხლებული პერსი დამეუქრა, დედას ყველაფერს მივწერო.

ამასობაში, მასწავლებლებისგან მალულად, სკოლაში ავგაროზებითა და სხვა დამცავი საშუალებებით ვაჭრობა გაჩაღდა. ნევილ ლონგბოტომმა უშველებელი აყროლებული მწვანე ხახვი, წაწვეტებული ლილისფერი კრისტალი და ტრიტონის დამპალი კუდი იყიდა. ერთხელაც გრიფინდორელმა ბიჭებმა უთხრეს, რისი გეშინია, შენ ხომ წმინდა სისხლისა ხარ, ხელს არავინ გახლებსო.

— პირველად ხომ ფილქს დაესხნენ თავს, — ნევილი შიშისგან თრთოდა, — თან ყველამ იცის, რომ მე თითქმის სქები ვარ!

* * *

დეკემბრის მეორე კვირას პროფესორმა მაკგონაგელმა ჩვეულებრივ შეადგინა იმ ბავშვების სია, ვინც საშობაოდ სკოლაში რჩებოდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი სიაში ჩაენერნენ, თან შეიტყვეს; რომ მალფოიყ სკოლაში აპირებდა დარჩენას, რაც ძალიან საეჭვოდ მოეჩვენათ. ასე რომ, არდადეგები მრავალწვნიანი სასმელის გამოსაცდელად და მალფოისტვის სიმართლის დასატყუებლად საუკეთესო დრო იქნებოდა.

სამწუხაროდ, სასმელი ჯერაც არ იყო მზად. ორრქიანი ცხენის რქასა და გუდაფუშტას ვერსად მიაგნეს, ამ ინგრედიენტებს მხოლოდ სნეიპის პირად საცავებში თუ იშოვიდნენ. ჰარისტვის რომ გეკითხათ, ერჩივნა, სლოიგერიინის საშინელ მონსტრს გადაჰყოლოდა, ვიდრე სნეიპს ქურდობაზე დაეჭირა.

— მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ, — თავდაჯერებით განაცხადა ჰერმიონმა, როცა ხუთმაბათს შხამ-წამლების გაკვეთილზე მიდიოდნენ, — ყურადღება რალაცაზე უნდა გადავატანიოთ, მერე ერთ-ერთი ჩვენგანი სნეიპის კაბინეტში შეიპარება და ყველაფერს წამოიღებს, ჰარიმ და რონმა შემფოთებულებმა შეხედეს.

— მე მგონი, აჯობებს, მოსაპარად მე შევიდე, — აუღელვებლად განაგრძო ჰერმიონმა, — თქვენ თუ კიდევ რაიმე შარში გავხვიეთ, აუცილებლად გავრაცხავენ, მე კი პირად საქმეში არც ერთი საყვედური არ მიწერია. ასე რომ, თქვენ გვევლებათ, დაახლოებით ხუთი წუთით მაინც მიიქციოთ სნეიპის ყურადღება.

ჰარი შეიჭმუნა. სნეიპის გაკვეთილზე ხმაურის განზრახ ატეხა ისეთივე საშიში იყო, როგორც მძინარე დრაკონისთვის თვალში თითის ტაკება.

შხამ-წამლები გაკვეთილები ერთ-ერთ დიდ სარდაფში უტარდებოდათ. ხუთშაბათის გაკვეთილიც ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მერხებს შორის ოცი ორთქლმოდებული ქვაბი იდგა, მერხებზე კი სასწორები და ინგრედიენტებით სავსე ქილები ეწყო. სწიპი გამურულ კლასში წინ და უკან დააბიჯებდა და გრიფინდორელებს მოურიდებლად ლანძღავდა, სლიზგინელების ნამუშევრებს კი აქებდა. სწიპის საყვარელი მოსწავლე, დრაკო მალფოი, რონსა და ჰარის ზღვის ცხენის თვალებს ესროდა. ბიჭებმა იცოდნენ, რომ, თუ სამაგიეროს გადაუხდიდნენ, თავის დასაცავად ხმის ამოღებასაც კი ვერ მოასწრებდნენ, იმწამსვე დამატებით სამუშაოს მიიღებდნენ სასჯელად.

ჰარის გამასივებელი ხსნარი მეტად წყალწყალა გამოუვიდა, მაგრამ ახლა სხვა რამ ადარდებდა. ჰერმიონისგან ნიშანს ელოდა და არც კი შეუმჩნევია, როგორ ჩაიქირქილა სწიპმა მისი ხსნარის დანახვაზე. სწიპი მიტრიალდა და ახლა ნევილის დასაცინად გაემართა. ამ დროს ჰერმიონმა ჰარის თავი დაუქნია.

ჰარი ქვაბს უკან ჩაიმალა, ჯიბიდან ფრედის ფლიბუსტერის შუშუნა ამოიღო და მსუბუქად დაჰკრა ჯოხი. შუშუნა აშიშინდა და აბოლდა. ჰარის დასაკარგი დრო არ ჰქონდა, სასწრაფოდ წამოღვა, შუშუნა მოიმარჯვა და პირდაპირ გოილის ქვაბისკენ ისროლა.

გოილის ქვაბი აფეთქდა და მთელი კლასი განუნა. ბავშვებმა კვილი მორთეს. მალფოის კარვა ბლომად შეესხა გამასივებელი ხსნარი და ცხვირი ბუშტივით გაებერა; გოილი დაბარბაცდა და თეფშისოდენა თვალებზე ხელები აიფარა. სწიპს არაფერი დაუნახავს, გაოგნებული იყო და ბავშვების დამშვიდებას ცდილობდა. ამ არეულობაში ჰარიმ შეამჩნია, როგორ გაიპარა ოთახიდან ჰერმიონი.

— სიჩუმე! ჩემად-მეთქი! — დაიღრიალა სწიპმა, — ვისაც სასმელი შეესხა, ჩემთან მოვიდეს, დასაჩუტ წამალს მოგცემთ. როცა გავარკვევ, ეს ვინ ჩაიდინა...

ჰარიმ სიცილი ძლივს შეიკავა, როცა გამწარებული მალფოი მასწავლებლის მაგიდისკენ გაეარდა. ნესვივით გასივებული ცხვირის წონას თავი ძლივსდა უძლებდა. ნახევარი კლასი სწიპის მაგიდასთან მილასლასდა, ზოგს ჩოგნებვით გაზრდოდა ხელები, ზოგსაც ტუჩები ისე დაბუშტოდა, ლაპარაკს ვერ ახერხებდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ სარდაფში დაბრუნებულ ჰერმიონს მანტია გამობერილი ჰქონდა.

როცა გასივების საწინააღმდეგო წამალი ყველამ დალია და ასე თუ ისე, გამოკეთდნენ, სწიპი გოილის ქვაბთან მივიდა და გამავებული, დაჭმუჭნილი შუშუნის ნარჩენი ამოიღო. ბავშვები გაისუსნენ.

— როცა გავარკვევ, ეს ვინ ისროლა, გპირდებით, სკოლიდან გავარიცხინებ! — კბილებში გამოსცრა სწიპმა.

ჰარი შეეცადა, გაოცებული სახე მიეღო. სწიპი თვალს არ აცილებდა. ათ წუთში ზარი დაირეკა და ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— ხვდება, რომ მე ვიყავი, — უთხრა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, როცა მტირალა მირტლის ტუალეტისკენ გარბოდნენ.

ჰერმიონმა ახალი ინგრედიენტები ქვაბში ჩაყარა და მორევა დაიწყო, მერე გახარებულმა გამოაცხადა:

— ერთ კვირაში მზად იქნება!

— სნეიპი ვერაფრით ვერ დაამტკიცებს, რომ შენ იყავი! — ამშვიდებდა რონი ჰარის, — ვერაფერსაც ვერ გიზამს!

— სნეიპს არ იცნობ? რაღაც სისაძაგლეს მოიფიქრებს, — არწმუნებდა ჰარი.

სასმელი ათუხთუხდა.

* * *

ერთი კვირის შემდეგ ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა ჰოლში დაფასთან შეჯგუფებული მოსწავლეები შეამჩნიეს. ყველანი ახლად გამოკრულ განცხადებას კითხულობდნენ.

— მეგრძოლთა კლუბი იხსნება! — ახარა მეგობრებს სიმუს ფინი განმა, — ამ საღამოს პირველი შეხვედრა ჩატარდება. ორთაბრძოლაში ვარჯიში არ მანწყენდა, ვინ იცის, იქნებ ამ დღეებში დამჭირდეს კიდევ...

— რაო? შენი აზრით, სლიზგერინის მონსტრთან ჩხუბი შესაძლებელია? — დაეჭვდა რონი, თუმცა, თვითონაც ინტერესით წაიკითხა განცხადება, მერე ჰარისა და ჰერმიონთან ერთად სასადილო ოთახში შევიდა და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა: — ჰო, მართლა საჭირო რამეა. ჩვენც ხომ არ მივსულიყავით?

ჰარი და ჰერმიონი დაეთანხმნენ. ასე რომ, საღამოს რვა საათზე ისევ დიდ დარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს. გრძელი სასადილო მაგიდები საღდაც გამქრალიყო, სანაცვლოდ კი ერთი კედლის გაყოლებაზე ათასობით მოლივლივე სანთლის შუქით გაბრწყინებული ოქროსფერი სცენა მოეწყოთ. ჭერი ხავერდით შავი იყო. მთელ სკოლას დიდ დარბაზში მოეყარა თავი, ჯადოსნური ჯოხი ყველას თან ჰქონდა.

— ნეტავ მასწავლებელი ვინ იქნება? — იკითხა ჰერმიონმა, როცა მოყაყანე ბრბოს შეუერთდნენ, — ვილაცამ მითხრა, ფლიტვიკი ახალგაზრდობაში ორთაბრძოლების ჩემპიონი იყო. იქნებ, ფლიტვიკია მასწავლებელი.

— რადგანაც არ... — ჰარის სიტყვა გაუწყდა, სცენაზე მუქ ქლიავისფერ მანტიამ გამოწყობილი გილდეროი ლოკჰარტი გამოვიდა და თან, არც მეტი, არც — ნაკლები, სნეიპი მოჰყვა თავისი განუყრელი შავი მანტიის ფრიალით.

ლოკპარტმა ყურადღების მისაქცევად ხელი გააქნია და ხმამაღლა დაიწყო:

— აბა, ერთად შეგროვდით! ყველანი მხედავთ? ყველას გესმით ჩემი ხმა? ძალიან კარგი! მინდა გაცნობოთ, რომ პროფესორმა დამბლდორმა ნება დამართო, მებრძოლთა კლუბი გაეხსნა, რათა საჭიროების შემთხვევაში, თავდაცვა შეეძლოთ. პირადად მე არაერთხელ დამიცავს თავი. ამის შესახებ უფრო დანწერილებით ჩემს წიგნებში წაიკითხავთ. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი ასისტენტი, პროფესორი სნეიპი, — ლოკპარტმა თვალისმომჭრელად გაიღიმა, — ორთაბრძოლებში ცოტა რამ მასაც გაეგება და სიხარულით დამთანხმდა, მეცადინეობის დაწყებამდე ორიოდ ილეთის დემონსტრირებაში დამეხმაროს. ნუ ღელავთ, ახალგაზრდებო, თქვენს შხამ-წამლების მასწავლებელს არაფერი მოუვა, ნუ გეშინიათ!

— ოჰ, რა კარგი იქნება, ორივემ კისერი მოიტეხოს, — გადაუჩურჩულა რონმა ჰარის.

სნეიპს ტუჩები ზიზღით დაებრცა. ჰარის უკვირდა, ნეტავ ლოკპარტს რა აცინებს, სნეიპს ჩემთვის რომ შემოეხედა ასე, აქედან თავ-პირის მტერევით გავვარდებოდიო.

ლოკპარტი და სნეიპი პირისპირ დადგნენ და ერთმანეთს მიესალმნენ. ლოკპარტმა დიდი მანჭვა-გრეხით გააკეთა რევერანსი, გაღიზიანებულმა სნეიპმა კი მხოლოდ თავი დაუკრა. მერე ჯაღოსნური ჯოხები ხმლებივით შემართეს.

— როგორც ხედავთ, ჯოხები საყოველთაოდ მიღებულ საბრძოლო პოზიციაში გვიჭირავს, — აუხსნა ლოკპარტმა გასუსულ მოსწავლეებს, — სამ თვლაზე ერთმანეთს შელოცვებს დაუშენთ. რასაკვირველია, ჩვენ ერთმანეთის დახოცვას არ ვაპირებთ.

— მე ამაში მთლად დარწმუნებული არა ვარ, — ჩაილაპარაკა ჰარიმ, როცა სნეიპის საზარლად დაკრეჭილი კბილები დაინახა.

— ერთი... ორი... სამი...

ორივემ ერთდროულად ასწია ჯოხი. სნეიპმა დაიყვირა:

— ექსპელიარმუს!

წითელმა შუქმა დამბრმავებლად გაიელვა, ლოკპარტი სცენიდან გადმოვარდა, კედელს შეასკდა და იატაკზე მოადინა ზღართანი.

მალეთიმ და რამდენიმე სლიზგინელმა ყიჟინა დასცეს.

— რამე ხომ არ დაემართა! — შეჰკვივლა ცერებზე შემდგარმა ჰერმიონმა.

— რაში გვენადვლებ! — ერთხმად მიუგეს რონმა და ჰარიმ.

ლოკპარტი რის ვაივავლახით წამოდგა. უქულო და თმაგაჩეჩილი ძლივს ალასლასდა სცენაზე.

— აი, ესეც პირველი მაგალითი — ეს იყო განმაიარალებელი შელოცვა! როგორც ხვდებით, ჯოხი დაგვარგე... აჰ, გმადლობთ, მის ბრაუნს! ყოჩაღ, პროფესორო სნეიპ, ბავშვებისთვის საჩვენებლად მშვენიერი მაგალითია, მაგრამ ერთ შენიშვნას მაინც მოგცემთ: მეტისმეტად ცხადი იყო, რას აპირებდით, ადვილად მიგიხვდით. თქვენი შეჩერება რომ მდომებოდა, ძალიან ადვილად მოვახერხებდი. თუმცა, მაინც ჩავთვალე, რომ მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამის ჩვენება და ამიტომაც... — ლოკჰარტმა სნეიპის სიძულვილით აღსავსე მზერა დაიჭირა და სასწრაფოდ სხვა თემამე გადაიტანა საუბარი, — დღეისათვის დემონსტრირება საკმარისია! ბავშვებო, ახლა მე თქვენ დაგაწყვილებთ! პროფესორო სნეიპ, თუ გნებავთ, დამეხმარეთ...

ორივენი ბავშვებში გაერივნენ. ლოკჰარტმა ნევილს ჯასტინ ფინჩფლეჩლი ამოუყენა გვერდით, სნეიპი კი პირველ რიგში ჰარისთან და რონთან მივიდა და ჩაიქირქილა:

— დროა, განუყრელი წყვილი დავშალო. უისლი, შენი მენცვილე ფინიგანი იქნება. პოტერ...

ჰარიმ ჰერმიონისკენ გაიწია.

— არა, არა! — ბოროტად ჩაიყინა სნეიპმა, — მისტერ მალფოი, აქეთ მობრძანდით! ერთი ვნახოთ, სახელგანთქმულ პოტერს რას მოუხერხებთ. თქვენ კი, მის გრეინჯერ, მის ბულსტროლთან იქნებით, მალფოი ამაცად, აუჩქარებლად წამოვიდა. უკან ერთი სლიმერინელი გოგო მოჰყვებოდა, რომელმაც ჰარის წიგნში „ალიაქოთი ალქაჯებთან“ ნანახი სურათი მოაგონა. მაღალი, ჩასკვნილი გოგო იყო და კბილებს ავად აღრჭიალებდა. ჰერმიონმა ოდნავ გაუღიმა.

— წყვილები პირისპირ დადევით და ერთმანეთს თავი დაუკარით, — ბრძანა ისევ სცენაზე ასულმა ლოკჰარტმა.

ჰარიმ და მალფოიმ ერთმანეთს ოდნავ დაუკრეს თავი და თვალი თვალში გაუყარეს.

— ჯოხები მოამზადეთ! — დაიძახა ლოკჰარტმა, — სამამდე რომ დავითვლი, მოწინააღმდეგეს შეულოცეთ და შეეცადეთ, განაიარალოთ. ოღონდ, ფრთხილად იყავით, არავინ დაშავდეს. ერთი... ორი...

სამი...

ჰარიმ ჯოხი აიქნია, მაგრამ მალფოიმ დროზე ადრე დაიწყო ბრძოლა. მისი შელოცვა ჰარის ისე მაგრად დაეტაკა, თითქოს თავში ტაფა ჩასცხესო. ჰარი დაბარბაცდა, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ჯოხი მალფოის მიუშვირა და შესძახა:

— რიკტუსემპრა!

ვერცხლისფერი ელვა მალფოის მუცელში დაეძვრა და აწკმუტუნებული ბიჭი ორად მოიკეცა.

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, მხოლოდ განაიარაღეთ-მეთქი! — დაიყვირა ლოკჰარტმა, მაგრამ მისი ხმა ბავშვებს აღარ ესმოდათ. მალფოი მუხლებზე დაეცა, ჰარიმ მას ღუტუნის შელოცვა ესროლა და კინაღამ სიცილით გაგუდა. ჰარიმ უკან დაიხია, ნაქცეული მეტოქისთვის შელოცვა უღირსი საქციელიაო, გაიფიქრა, მაგრამ თურმე ცდებოდა. სუნთქვაშეკრულმა მალფოიმ ჰარის ჯოხი მიუშვირა და ამოიხრიალა:

— ტარანტალეგრა!

წამიკ და, ჰარი თავისდა უნებურად აცეკვდა, ფეხებს ველარ იმორჩილებდა.

— შეჩერდით! შეჩერდით! — ამოდ გაჰყვიროდა ლოკჰარტი. საქმეში სწეიპი ჩაერია.

— ფინიტი ინკანტატემ! — დასტექა მთელი ხმით. ჰარი შეჩერდა, მალფოიმ სიცილი შეწყვიტა და სული მოითქვა.

სცენაზე მომწვანო ბული ტრიალებდა. აქოშინებული ნევილი და ჯასტინი იატაკზე იწვნენ. რონმა სახეგამურული სიმუსი ფეხზე წამოაყენა და ბოდიში მოუხადა, ხომ იცი, ჯოხი გამიტყდაო. ჰერმიონი და მილისენტ ბულსტროდი მაინც არ ჩერდებოდნენ. მილისენტს ჰერმიონისთვის ხელი გადაეგრიხა და სანყლად აწივლებდა. მათი ჯოხები იატაკზე ეყარა. ჰარიმ მათკენ ისკუპა და მილისენტი ჰერმიონს მოაშორა.

— ვაი, ვაი, ვაი, — წუხდა ლოკჰარტი და ნაცემ-ნაბეგვ ბავშვებს ათვლიერებდა, — ადე, ადე, მაკმილან... მის ფოსეტ, ცოტა ფრთხილად... ხელი მაგრად მიიჭირე და სისხლდენა შეგინცდება, ბუტ... მგონი, აჯობებს, მტრული შელოცვების დაბლოკვა გასწავლოთ, — ყოყმანით დაინყო ლოკჰარტმა, მერე სწეიპის აბრიალებულ შავ თვალებს გადაანყდა და მზერა ვერ გაუსწორა, — მოხალისე წყვილი მჭირდება. აი, თქვენ რას იტყვით, ლონგბოტომ და ფინჩ-ფლეჩლი?

— ცუდი არჩევანია, პროფესორო ლოკჰარტ, — საიდანდაც საზიზლარი ღამურასავით გამოძვრა სწეიპი, — ლონგბოტომს უმარტივესი შელოცვებიც კი ეშლება, ფინჩ-ფლეჩლის ნარჩენებს კი ალბათ ასანთის კოლოფით საავადმყოფო ფლიგელში გავაგზავნით, — ნევილს მრგვალი, ვარდისფერი სახე უფრო გაუვარდისფერდა, — მალფოისა და პოტერზე რას იტყვით?

— მშვენიერია! — მოიწონა ლოკჰარტმა და ბიჭებს ანიშნა, დარ ბაზის შუაგულში გამოდითო. ყველამ უკან დაიხია.

— ახლა კი, ჰარი, მომისმინე! როცა დრაკო ჯოხს მოგიშვერს, ასე უნდა მოიქცე!

ლოკჰარტმა ჯოხი ასწია და რაღაც რთული მოძრაობის შესრულება სცადა, მაგრამ ჯოხი ხელიდან გაუვარდა. სწეიპმა დამყინავად ჩაიქირქილა. ლოკჰარტმა სასწრაფოდ

აილო ჯოხი და მოიბოდიშასავით, — უჰ, ჩემი ჯოხი რატომღაც მეტისმეტად აღელვებულა!

სნეიპი დრაკოსთან მივიდა, დაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მალფოიმ ბოროტად ჩაიციხა. ჰარიმ ლოკჰარტს ახედა.

— პროფესორო, იქნებ კიდევ ერთხელ მაჩვენოთ, დაბლოკვა როგორ უნდა?

— შეგეშინდა? — ჩაილულულა მალფოიმ ისე, რომ ლოკჰარტს არ გაეგონა.

ლოკჰარტმა ჰარის გაუცინა და მხარზე ხელი მიუტყაპუნა.

— უბრალოდ, ისევე გააკეთე, როგორც მე!

— როგორ? ჯოხი დავაგდო?

მაგრამ ლოკჰარტი უკვე აღარ უსმენდა.

— სამი... ორი... ერთი... წავიდა!

მალფოიმ ელვის უსწრაფესად შემართა ჯოხი და იღრიალა:

— სერპენსორტია! — ჯოხის წვერმა უცებ იფეთქა, იქიდან უშველვებელი შავი გველი გამოძვრა, ბიჭებს შორის ჩადგა და თავდასხმისთვის შეიმართა. ბავშვები კივილით გაიფანტნენ.

— არ გაინძრე, პოტერ, — აუღელვებლად უბრძანა სნეიპმა, აშკარად სიამოვნებდა, მძვინვარე გველის წინ უძრავად მდგარ ჰარის რომ უყურებდა, — მე მოგაშორებ...

— არა, მე! მე! — შესძახა ლოკჰარტმა და გველს ჯოხი დაუქნია, გაქრობის ნაცვლად, გველი ჰაერში აიჭრა, მერე ისევ იატაკზე დაეხერტა, სისინით გასრიალდა ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლისკენ, კვლავ წამოიმართა და შხამიანი ეშვები გამოაჩინა.

ჰარიმ თავისდა უნებურად ისეთი რამ გააკეთა, რომ თვითონაც გაუკვირდა: გველს მივარდა და დაუყვირა:

— თავი დანებე! — რაღაც ამოუხსნელი სასწაულით გველი იატაკს განერთხა და ყვავილების მოსარწყავი შლანგივით დაიგორგლა, თან ჰარის არ ამორებდა თვალს. ჰარიმ იგრძნო, როგორ გადაუარა შიშმა, იცოდა, რომ გველი არ ავნებდა, თუმცა, ასე დარწმუნებული რატომ იყო, თვითონაც ვერ გეტყობათ.

გადიმებულმა ჰარიმ ჯასტინს შეხედა, იფიქრა, შვებით ამოისუნთქავს, ან გაცდებდა, ან, სულაც, ჩემი მალღიერი იქნებაო... გაბრაზებას და შიშს კი ნამდვილად არ ელოდა.

— რა ჯანდაბას აკეთებ, თუ იცი?! — შეუღრინა ჯასტინმა და სანამ ჰარი რაიმეს თქმას მოასწრებდა, დარბაზიდან გავარდა.

სწიგნი წინ გამოვიდა, ჯოხი აიქნია და გველი კვამლის პატარა ღრუბლად აქცია. მერე ჰარის უცნაური მზერა მიაპყრო, თითქოს რაღაცას ითვლისო. ჰარის ეს მზერა არ მოეწონა. უკმაყოფილო ბავშვები რაღაცას ბუზღუნებდნენ.

— წამო, წავიდეთ, — სახელოზე მოქაჩა რონმა და დარბაზიდან გაიყვანა, ჰერმიონიც უკან გაჰყვა. დანარჩენები გზიდან ისე ჩამოეყალბნენ, თითქოს რაღაცისა შეეშინდათო. ჰარი ვერ ხვდებოდა, რა მოხდა, არც რონსა და ჰერმიონს აუხსნიათ მისთვის რაიმე, სანამ გრიფინდორის დაცარიელებულ საერთო ოთახში არ აიყვანეს. მერე რონმა ძალით ჩასვა საფარძელში და უსაყვედურა:

— რატომ არ გვითხარი, პარსელი თუ იყავი?

— რაო, რა ვიყავი? — გაუკვირდა ჰარის.

— პარსელი, ანუ გველებთან მოლაპარაკე.

— ჰო, გველს ერთხელ ადრეც დაველაპარაკე. ზოოპარკში ჩემს დეიდაშვილს, დადღის, შემთხვევით ბოა კონსტრიქტორი მივეუქსიე. გველმა მითხრა, რომ ბრაზილია არასოდეს ენახა, ჰოდა, ჩემდა უნებურად გავათავისუფლე. მაშინ არ ვიცოდი, რომ ჯალოქარი ვიყავი...

— ბოა კონსტრიქტორმა გითხრა, რომ ბრაზილია არასოდეს უნახა ეს? — ძლივს ამოილულლულა რონმა.

— ჰო, რა მოხდა? დარწმუნებული ვარ, უამრავ ჯალოქარს შეუძლია გველებთან ლაპარაკი, — უთხრა ჰარიმ.

— არაფერიც! ძალიან იშვიათი უნარია და სულაც არ არის კარგი!

— რატომ? — ცოტა არ იყოს, გაბრაზდა ჰარი, — რა დაგემართათ, გამაგებინეთ! იცი რა, მე რომ გველისთვის არ მეთქვა, ჯასტინისთვის თავი დაენებებინა...

— აი, თურმე რა უთხარი!

— შენ რა, იქ არ იყავი... ვერ გაიგე?

— შენ პარსულად ლაპარაკობდი, ეგ ხომ გველების ენაა. ვინ გაიგებდა, რას ამბობდი! ჯასტინი იმიტომ დაფრთხა, რომ ეგონა, გველს მიუქსევდი. ფუ, რა საშინელება იყო!

ჰარიმ გაოცებისგან პირი დაალო.

— მე უცხო ენაზე ვლაპარაკობდი? რა სისულელეა!

რონმა თავი გააქნია. მას და ჰერმიონს ისე ჩამოსტიროდათ თავპირი, თითქოს ეს-ესაა, ვილაყ მოუკვდათო. ჰარი მაინც ვერ ხვდებოდა, ასეთი საშინელი რა ჩაიდინა.

— თქვენი აზრით, აჯობებდა, გველისთვის არაფერი მეთქვა? მერე, თავს რომ წააგლეჯდა?! რა მნიშვნელობა აქვს, ჯასტინი როგორ გადავარჩინე? თუ, მაინცდამაინც, „უთავოთა კლუბში“ უნდა მოხვედრილიყო?

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, — ძლივს ამოიღო ხმა ჰერმიონმა, — გველებთან ლაპარაკის უნარით სალაზარ სლიზერინი იყო ცნობილი. ამიტომაც არის გველი სლიზერინის კლუბის სიმბოლო.

ჰარის ყბა ჩამოუვარდა.

— ეგრეა, — დაუდასტურა რონმა, — ახლა ყველას ეგონება, რომ შენ მისი შვილიშვილის შვილის შვილიშვილის შვილი ან რაღაც ნათესავი ხარ...

— მაგრამ ხომ არა ვარ?! — შესძახა გულგახეთქილმა ჰარიმ.

— ამის დამტკიცება ძნელი იქნება, — მიუგო ჰერმიონმა, — დაახლოებით ათასი წლის წინ ცხოვრობდა. რა ვიცით, იქნებ, ხარ კიდევც...

* * *

ჰარის იმ ღამეს დიდხანს არ დაეძინა. იწვა და ფიქრობდა. საწოლზე ჩამოთარებული ფარდებიდან ხედავდა, როგორ დათვარფატებდნენ ფანტელები კოშკის ფანჯრებთან.

ნუთუ მართლა სალაზარ სლიზერინის შთამომავალი? მამის წინაპრებზე არაფერი იცოდა. დერსლები ხომ ჯადოქარ ნათესავებზე არასოდეს ლაპარაკობდნენ...

ჰარიმ სცადა, პარსულად რაღაც ეთქვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როგორც ჩანს, ამ ენაზე სალაპარაკოდ ისევ გველის წინაშე უნდა მდგარიყო.

„კი მაგრამ, მე ხომ გრიფინდორში ვარ! გამანანჩილებელი ქუდი ამ კლუბში არ გამომიშვებდა, სლიზერინის შთამომავალი რომ...“

უცებ ჰარის შინაგანმა ხმამ მოაგონა:

„დაგავინწყდა, ქუდს შენი სლიზერინში გაშვება რომ უნდოდა?“.

ჰარი გვერდზე გადაბრუნდა და გაიფიქრა, ხვალ ჰერბოლოგიის გაკვეთილზე ჯასტინს ვნახავ და ავუხსნი, რომ გველს კი არ ვუქსევდი, პირიქით, მომორება მინდოდაო.

* * *

სადამოს დანცებული თოვა მეორე დილისთვის ისეთ ქარბუქად იქცა, რომ სემესტრის ბოლო ჰერბოლოგიის გაკვეთილი აღარ ჩაუტარდათ. პროფესორ სპრაუტს მანდრაგორებისთვის წინდების ჩამოცმა უნდოდა, მაგრამ ამ საკმოდ რთულ ოპერაციას სხვას ვერ ანდობდა. ახლა ხომ მანდრაგორების დამწიფება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რათა მისის ნორისი და კოლინ ქრივი გაეცოცხლებინათ.

სანამ რონი და ჰერმიონი გრიფინდორის საერთო ოთახში ჯადოსნურ ჭადრაკს თამაშობდნენ, ჰარი ბუხართან იჯდა და ბუზღუნებდა.

— გეყოფა, რა, ჰარი! — შეწუხდა ჰერმიონი. ამასობაში რონის ერთერთმა კუმ მხედარი ცხენიდან ჩამოავდო და დაფიდან გადაათრია, — თუ ასე ღელავ, წადი და იპოვე ის შენი ჯასტინი!

ჰარი მართლაც ადგა, პორტრეტის ხვრელიდან გაძვრა და ჯასტინის მოსაძებნად წავიდა.

ციხე-კოშკი ამ დროისთვის უჩვეულოდ ჩაბნელებული იყო, რადგან ფანჯრები რუხ თოვლის ქულებს დაეფარა. აკანკალებულმა ჰარიმ ერთ-ერთ საკლასო ოთახს ჩაუარა. კლასში გაკვეთილი ტარდებოდა. ჰარიმ მიაყურადა, პროფესორი მაკკონაგელი ვიღაცას საყვედურობდა, შენი მეგობარი მაჩვად რატომ გადააქციეო. ჰარის ძალიან უნდოდა, ოთახში შეეხედა, მაგრამ თავი შეიკავა. მერე გაიფიქრა, ჯასტინი ალბათ თავისუფალ დროს მეცადინეობაში ატარებსო და ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

ჰაფლეპაფელების ჯგუფი ახლა ჰერბოლოგიაზე უნდა მჭდარიყო, მაგრამ ყველანი ბიბლიოთეკის უკანა მერხებთან მოგროვილიყვნენ. მეცადინეობით თავს არ იწუხებდნენ, ისხდნენ და რალაცაზე გაცხარებით საუბრობდნენ. ჰარიმ ვერ დაინახა, ჯასტინიც იქ იყო თუ არა და მათვე გაემართა, მაგრამ უცებ ისეთი რალაც გაიგონა, რომ გადანწყვითა, უჩინმაჩინობის სექციას ამოჰფარებოდა.

— მე ვურჩივ ჯასტინს, ჩვენს საძინებელ ოთახში დამალულიყო, — ამბობდა ერთი ჩასკენილი ბიჭი, — თუ პოტერმა თავის მორიგ მსხვერპლად აირჩია, უმჯობესია, ცოტა ხანს თვალში არ შეეჩხიროს. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც ჯასტინს პოტერთან წამოსცდა, მაგლების ოჯახში ვარ დაბადებულიო, მასზე თავდასხმა მოულოდნელი აღარ უნდა ყოფილიყო. თვითონვე არ უთხრა, იტონში მიპირებდნენ გაგზავნასო?

— დარწმუნებული ხარ, რომ სლიზერინის მემკვიდრე პოტერია, ერნი? — იკითხა ქერაკიკინებიანმა გოგონამ.

— ჰანა! ის ხომ პარსელია! — დაბეჯითებით მიუგო ბიჭმა, — ყველამ იცის, რომ ეს ბოროტი ჯადოქრების თვისებაა. ოდესმე თუ გაგიგია, რომ წესიერი ჯადოქარი გველებს ელაპარაკებოდეს? თან, ხომ არ გავინყდება, რომ თავად სალაზარ სლიზერინს მეტსახელად „გველის ენას“ ეძახდნენ?!

ბავშვები აჩურჩულდნენ.

— გახსოვთ, კედელზე რა ეწერა? „ძრწოდეთ, მემკვიდრის მტრებო!“, პოტერს ფილჩთან უსიამოვნება ჰქონდა, ჰოდა, ფილჩის კატას თავს დაესხნენ! პირველკურსელმა კოლინ ქრივმ ტალახში ამოსვრილ ჰარის სურათები გადაულო, რითაც ძალიან გააბრაზა, ამის მერე, ცოტა ხანში კოლინ ერივისაც დაესხნენ თავს!

— ჰარი მინც ისეთი საყვარელი ბიჭია, — შეეცმანდა ჰანა, თანაც, ხომ იცით, მისი წყალობით ჩვენ-რომ-ვიცით, ის გაუჩინარდა. შეუძლებელია, ჰარი ბოროტი ჯადოქარი იყოს!

ერნიმ ხმას დაუწია, ჰარი უფრო ახლოს მივიდა, რომ მისი ლაპარაკი უკეთესად გაეგონა.

— არავინ იცის, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას როგორ გადაურჩა. იმ დროს ძალიან პატარა იყო, წესით, ნაკუნებად უნდა ექცია! მხოლოდ და მხოლოდ უძლიერეს ბოროტ ჯადოქარს შეუძლია, ასეთ წყევლას თავი დაადნოს, — ერნი მთლად ჩურჩულზე გადავიდა: — ალბათ, ამიტომაც უნდოდა ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მისი მოკვლა. ბნელეთის ბატონს მეტოქე არ სჭირდება. ნეტავ კიდევ რა შეუძლია პოტერს?

ჰარიმ ველარ მოითმინა, ხმამაღლა ჩაახველა და სამალავიდან გამოვიდა. ასეთი გაბრაზებული რომ არ ყოფილიყო, ალბათ, შეამჩნევდა, რომ ჰაფლეპაფელეები მის დანახვაზე შიშისგან თითქოს გაქვავდნენ, ერნის კი ფერი დაეკარგა. — გამარჯობა, — მიესალმა ჰარი, — ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლის ვეძებ, ჰაფლეპაფელეების ეჭვები დამტკიცდა. შემინებულეებმა ერნის გადახედეს.

— რაში გჭირდება ჯასტინი? — ხმა აუკანკალდა ერნის.

— მინდოდა ამეხსნა, რა დაემართა გველს სინამდვილეში.

ერნიმ ტუჩზე იკბინა, მერე გამბედაობა მოიკრიბა და მიუგო:

— ჩვენ იქ ვიყავით და მშვენივრად დავინახეთ, რაც მოხდა.

— მაშინ ისიც უნდა დავგინახათ, რომ, მას მერე, რაც გველს დაველაპარაკე, უკან დაიხია.

— არაფერიც! — ჯიუტად განაგრძობდა ერთიანად აცახცახებული ერნი, — შენ პარსულად ლაპარაკობდი და ჯასტინს გველი მიუქსივ!

— არაფერიც არ მიმიქსივია! — ჰარი სიბრაზისგან აკანკალდა, გველი არც კი მიჰკარებია ჯასტინს!

— ბენვზე ასცდა! — არ ცხრებოდა ერნი, — და თუ გაინტერესებს, შეგიძლია, ჩემი ოჯახის ისტორია შეისწავლო, ბოლო ცხრა თაობა სულ ჯადოქრები იყვნენ... ასე რომ, ჩემი სისხლი ისეთი წმინდაა...

— შენი სისხლი სულ არ მაინტერესებს! — დაუყვირა ჰარიმ, ვითომ, რატომ უნდა მინდოდეს მაგლების ოჯახებში დაბადებულებზე თავდასხმა?

— შენზე ამბობენ, რომ ის მაგლები გძულს, ვისთანაც ცხოვრობ, — მიახალა ერნიმ.

— შეუძლებელია, დერსლებთან იცხოვრო და არ შეგძულდეს. ერთი — ვნახავდი, შენ რა დღეში ჩავარდებოდი! — ჰარი გაცეცხლებული გაიქცა ბიბლიოთეკიდან. მადამ პინსი შელოცვების უზარმაზარ მოვარაყებულ წიგნს აპრიალვებდა, ჰარის საყვედურით შეხედა, მაგრამ ბიჭს ყურადღება არ მიუქცევია.

დერეფანში გიჟივით მიქროდა, წინ არც კი იყურებოდა. ბოლოს რაღაც უზარმაზარს დაეჯახა და ძირს გაიშხლართა.

— გამარჯობა, ჰაგრიდ, — ახედა ჰარიმ გოლიათს.

ჰაგრიდს ნაქსოვი ქუდი თითქმის მთელ სახეს უფარავდა, მაგრამ მაინც იცნობდით. აბა, სხვა ვინ იქნებოდა ასეთი უშველებელი, თხუნელას ბენვის ქურქში გახვეული არსება, დერეფანში ძლივს რომ ეტეოდა. ცალ ხელში მკვდარი მამალი ეჭირა, — როგორა ხარ, ჰარი? — ჰაგრიდმა ქუდი მოიძრო, — გაკვეთილზე რატომ არ ზიხარ?

— გაგვიცდა! შენ აქ რას აკეთებ?

ჰაგრიდმა მამალი ასწია.

— ამ სემესტრში უკვე მეორე მომიკლეს! ან მელიის ნახელავია, ან კიდევ — სისხლისმსმელი საფრთხობელასი. — ჰაგრიდმა დათოვლილ წარბებს ქვემოდან გამომცდელად შეხედა ჰარის, — მართლა კარგად ხარ? რაღაც გაბრაზებული ჩანხარ!

ჰარის არ შეეძლო იმის გამეორება, რაც ახლახანს ბიბლიოთეკაში მოისმინა.

— არაფერია, ჰაგრიდ, უნდა წავიდე, ახლა ტრანსფიგურაციის გაკვეთილი გვაქვს, წიგნებს ავიღებ, — ჰარი დერეფანს გაუყვა, თავში ისევ ერნის სიტყვები უტრიალებდა: „რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც ჯასტინს პოტერთან წამოსცდა, მაგლების ოჯახში ვარ დაბადებულიო, მასზე თავდასხმა მოულოდნელი აღარ უნდა ყოფილიყო...“

ჰარიმ კიბზე აირბინა და ერთ-ერთ ჩაბნელებულ დერეფანში შეუხვია. ჩამსხვრეული ფანჯრიდან ცივი ქარი უბერავდა. ჩირაღდნები ჩამქრალიყო. შუა დერეფანში რაღაცას წამოედო და წაიქცა.

ძირს დაიხედა და მუცელში თითქოს რაღაც ჩასწყდა...

იატაკზე გაქვავებული ჯასტინ ფინჩ-ფლეჩლი ეგდო, სახეზე საშინელი გამომეტყველება შეჰყინვოდა, დაჭყეტილი თვალებით ჭერს მიშტერებოდა. თუმცა, კიდევ უფრო საშინელი სანახაობა ჰარის წინ ელოდა! იქვე ჰაერში უძრავად ეკიდა სრულიად გაშავებული თითქმის უთავო ნიკი. თავი ნახევრად მოსწყვეტოდა და სახეზე მასაც საშინელი გამომეტყველება შეჰყინვოდა.

ჰარი წამოხტა, გული ისე გამალებით უცემდა, თითქოს ნეკნების გამონგრევას ლამობსო. ცარიელი დერეფანი მოათვალიერა, მაგრამ ობობების გარდა ვერაფერი შენიშნა. მწერები ფაციფუცით გარბოდნენ გაქვავებული სხეულებისგან. სიჩუმეს კლასებიდან გამომავალი მოგუდული ხმები არღვევდა.

ჰარის შეეძლო, გაქცეულიყო და ვერც ვერავინ გაიგებდა, რომ აქ იყო... მაგრამ ჯასტინსა და ნიკს ასე ვერ დატოვებდა... გაიფიქრა, დასახმარებლად ვინმეს უნდა დაეუძახო. აშკარა იყო, არავინ დაუჭერებდა, რომ ამ საქმეში მისი ხელი არ ერიო.

სანამ ასე დაბნეული იდგა და ვერ გადაწყვიტა, რა ექნა, ერთერთი კარი ხმაურით გაიღო და იქიდან პოლტერგეისტი პივსი გამოვარდა.

— ჰეი! პოტერ! პოტერ! — პივსმა ისე ჩაუქროლა, ჰარის სათვალე მოსძვრა, — რაო, პოტერ, რას გასუსულებარ! — უცებ ჯასტინი და თითქმის უთავო ნიკი შეამჩნია. შეშინებული მალლა აფრინდა, ღრმად შეისუნთქა და, სანამ ჰარი მის გაჩუმებას შეეცდებოდა, მთელი ხმით აკვივლდა:

— თავდასხმა! თავდასხმა! კიდევ ერთი თავდასხმა! არც ერთი მოკვდავი და მოჩვენება არ არის დაცული! ყველამ თავს უშველეთ! თავდასხმაა!

ბახ! ბახ! ბახ! კარები ხმაურით გაიღო და საკლასო ოთახებიდან გარეთ მასწავლებლები და მოსწავლეები გამოცვივდნენ და საწყალი ჯასტინი კინაღამ გადათელეს, თითქმის უთავო ნიკზე რომ არაფერი ვთქვათ. მასწავლებლები ბავშვებს აწყნარებდნენ, ამასობაში ჰარი კედელთან მიმწყვდეული აღმოჩნდა. ამ დროს პროფესორი მაკგონაგელი მოვარდა თავის მოსწავლეებთან ერთად. ერთ-ერთს თმაზე ჯერ ისევე შერჩენოდა მაჩვის ბეწვი. პროფესორმა ჯონი აიქნია, რაღაცამ იფეთქა და ყველანი გაჩუმდნენ. პროფესორმა ბავშვებს უბრძანა საკლასო ოთახებში დაბრუნებულიყვნენ. ამ დროს ქოშინით მოვარდა ჰაფლეპაფელი ერნი და ფერდაკარგულმა უყვირა ჰარის:

— წავასწარიოთ თუ არა!

— გეყოფა, მაკმილან! — გაუჯავრდა პროფესორი მაკგონაგელი.

პივსი იქვე დაფარფატებდა და ბოროტად იცინოდა, რადგან არეულობა ძალიან უყვარდა. როცა მასწავლებლები ჯასტინისა და თითქმის უთავო ნიკის გასასინჯად დაიხარნენ, პივსმა სიმღერა წამოიწყო:

ნახეთ, ბიჭი პოტერი რა საზარლად ერთობა, სტუდენტების ხოცვა-ყლევა უხარია, ეტყობა...

— გეყოფა, პივს! — დაუცაცხანა პროფესორმა მაკგონაგელმა. პივსი უკან გახტა, თან ჰარის ენა გამოუყო.

პროფესორმა ფლიტვიკმა და ასტრონომიის განყოფილების პროფესორმა სინისტრამ ჯასტინი საავადმყოფო ფლიგელში წაასვენეს, თითქმის უთავო ნიკისთვის

კი რა უნდა ეწნათ, ეს არაფერი იყო. ბოლოს პროფესორმა მაკგონაგელმა ჰაერისგან უშველებელი მარაო შექმნა და ფრნის დაავალა, ნიკს დაუფრიალე და კიბეზე აიყვანეო. ფრნი უსიტყვოდ დაემორჩილა, ნიკი შავი ვერტმფრენით გაფარფატდა კიბისკენ. ჰარი და პროფესორი მაკგონაგელი მარტონი დარჩნენ.

— აქეთ წამობრძანდი, პოტერ, — უბრძანა ქალმა.

— პროფესორო, — დაიწყო ჰარიმ, — გეფიცებით, მე არაფერი...

— ეს უკვე მე არ მეხება, — შეაწყვეტინა მაკგონაგელმა.

ორივენი უხმოდ გაუყვნენ გზას და ერთ უშველებელ ქვის ურჩხულს მიადგნენ.

— შერბეთ ლიმონ! — დაიძახა პროფესორმა. ეს, ეტყობა, პაროლი იყო, რადგან ქვის ურჩხული უცებ გაცოცხლდა, გვერდზე გახტა და კედელი გაისხნა. ჰარის თან ყველაფერი უკვირდა, თან შიშისგან გული ელეოდა. კედელს უკან ვიწრო, დაკლაკნილი კიბე ესკალატორით აღიოდა მაღლა. კიბეზე დადგნენ თუ არა, კედელი ხმაურით დაიხურა. სულ ზევით და ზევით მიიწევდნენ. როცა შეჩერდნენ, თავბრუდახვეულმა ჰარიმ მუხის პრიალა კარი დაინახა. დასაკაკუნებლად ზედ გრიფონის ფორმის თითბრის ჩაქუჩი ეკიდა.

ჰარი მიხვდა, სადაც მიიყვანეს. ეს უთუოდ დამბლდორის ოთახი იყო.

თავი მეთორმეტე

მრავალწინიანი სასმელი

პროფესორმა მაკგონაგელმა კარზე დააკაკუნა. კარი უხმაუროდ გაიღო და ორივენი ოთახში შევიდნენ. პროფესორმა ჰარის უთხრა, აქ დამელოდეო და მარტო დატოვა.

ჰარიმ იქაურობა მოათვალიერა. რაც მართალია, მართალია, ჰოგვორტის არც ერთი მასწავლებლის კაბინეტი ასე საინტერესოდ არ მოსჩვენებია. ალბათ, სხვა დროს ძალიან ბედნიერი იქნებოდა აქ ყოფნით, მაგრამ ახლა შიშით გული უსკდებოდა, სკოლიდან გამრიცხავნო.

დიდ, წრიულ ოთახში უცნაური ხმები ისმოდა. დაბრეცილფეხებიან მაგიდეზე ვერცხლის უცნაური ხელსაწყოები ეწყო. ყველა ხელსაწყო ტრიალებდა და კვამლის ბოლქვებს აფრქვევდა. კედლებზე ყოფილი დირექტორების პორტრეტები ეკიდა, ყველანი უშფოთველად თვლემდნენ. ერთ კუთხეში უშველებელი სანერი მაგიდა იდგა კლანჭებიანი ფეხებით. მის უკან, თაროზე კი ძველი, გაცვეთილი გამანაწილებელი ქედი იდო.

ჰარიმ დაბნეული მზერა მოავლო მთვლემარე ჯაღოქრების პორტრეტებს. რასაკვირველია, ვერავინ გაიგებდა, ქუდი რომ ჩამოეღო და კიდევ ერთხელ დაესურა... უბრალოდ, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ქუდმა სწორად გაანაწილა.

ფეხაკრეფით მიიპარა მაგიდასთან, თაროდან ქუდი ჩამოიღო და თავზე დაიხურა. ქუდი ძალიან დიდი იყო და შარშანდელივით ახლაც თვალებზე ჩამოეთხატა. ჰარი სიბნელებში მოლოდინად იქცა.

— რაო, ჰარი, რა ბზიკმა გიკბინა? — მოესმა ცოტა ხანში.

— იცით, რა... — ალუღღღდა ჰარი, — უკაცრავად, რომ განუხებთ, მაგრამ... მინდოდა, მეკითხა...

— გაინტერესებს, სწორად გაგანაწილე თუ არა?! — მიუხვდა ქუდი, — ჰოო... სიმართლე გითხრა, შენი განაწილება ცოტა გამიჭირდა:

მაგრამ იმავს გავიმეორებ, რაც მაშინ გითხარი, — ჰარის გული აუჩქროლდა, — სლიზერინი შენთვის იდეალური იქნებოდა!

ჰარის მუცელი აუბუყბუყდა და ქუდი თავიდან მოიგლიჯა. ერთხანს ხელში ეჭირა, მერე ისევ თაროზე შემოღო.

— ცდები, — დაუყვირა დაღუმებულ უძრავ ქუდს. განზე გადავა და ახლა შორიდან დააკვირდა. უცებ უცნაურმა კრიახმა უკან მიახედა.

თურმე, სულაც არ ყოფილა მარტო. კარს უკან, ოქროს კვარცხლობეებზე, ერთი დაჩაჩანაკებული ფრინველი შეამჩნია, ნახევრად გაპუტულ ინდაურს წააგავდა. ფრინველმა ერთი გამოხედა და ისევ აკრიახდა. ჰარის ასეთი საცოდავი ფრინველი თავის დღეში არ ენახა, საწყალს თვალები დასწითლებოდა. ჰარის იქ ყოფნაში ერთ-ორი ბუმბული კიდევ გამოსძვრა კუდიდან.

ჰარიმ გაიფიქრა, ესლა მაკლია, სანამ კაბინეტში მარტო ვარ, დამბლდორის საყვარელი ფრინველი მოკვდესო. სწორედ ამ დროს ინდაურის მსგავს არსებას ცეცხლი მოედო.

ჰარიმ შეჰყვირა და სანერ მაგიდას ეცა, იქნებ სადმე ერთ ჭიქა წყალს მაინც მივაგნოო, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში ფრინველი უზარმაზარ ცეცხლის ბურთს დაემსგავსა და განწირულივით აკვილდა. რამდენიმე წამში მისგან ნაცრის პატარა გროვავა დარჩა.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და შუბლშეჭმუნხილი დამბლდორი შემოვიდა.

— პროფესორო, — მიმართა ჰარიმ, — თქვენი ფრინველი... მე ვერ ვუშვებლე... ცეცხლი წაეკიდა...

ჰარისდა გასაკვირად, დამბლდორმა გაიღიმა.

— ისე კი, დრო იყო! რა ხანია, ამ დღეს ელოდა. მეც ვეუბნებოდი, მიდი, რაღას უცდი-მეთქი! — პროფესორმა გაოგნებულ ჰარის შეხედა და სიცილი აუტყდა, — ჰარი, ეს ჩემი ფენიქსია, სახელად ფოუკსი! ფენიქსებს სიკვდილის დრო რომ მოუვათ, ცეცხლი ეკიდებათ ხოლმე. მერე კი ფერფლიდან ხელახლა იბადებიან. აი, უყურე...

ჰარამ ძირს დაიხედა და დაინახა, როგორ ამოყო თავი ნაცრიდან ჰანანინა, ახლად დაბადებულმა ბარტყმა. პატარაც ისეთივე მახინჯი იყო, როგორც ზრდასრული.

— სამწუხაროა, რომ სწორედ დანვის დღეს ნახე, — დამბლდორი სანერ მაგიდას მიუტადა, — ისე, საერთოდ, ფენიქსები ძალიან ლამაზი და გასაოცარი არსებები არიან. წითელი და ოქროსფერი ბუმბული აქვთ. ძალიან მძიმე ტვირთის გადატანა შეუძლიათ, მათ ცრემლებს კი სამკურნალოდ იყენებენ. თანაც, უერთგულესი შინაური ფრინველები არიან!

ჰარის სულ თვალწინ ედგა ცეცხლმოდებული ფრინველი. ერთხანს დაავიწყდა კიდევ, აქ რისთვის მოიყვანეს. თუმცა, როცა დამბლდორი სანერ მაგიდასთან მაღალზურგიან სკამზე დაჯდა და გამომცდელი მზერა მიაპყრო, მაშინვე ყველაფერი მოაგონდა.

სანამ დამბლდორი რაიმეს იტყოდა, კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ჰავრიდი შემოვარდა, თვალები უელავდა, გაბურძგნილ თავზე ნაქსოვი ქუდი ეხურა და ხელში ისევ მკვდარი მამალი ეჭირა, — ჰარის ბრალი არ არის, პროფესორო დამბლდორ! ახლახან ველაპარაკებოდი, სანამ იმ ბიჭს იპოვიდნენ... ვერ მოასწრებდა, — სხაპასხუპით მიაყარა ჰავრიდმა. დამბლდორმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღელვებული ჰავრიდი არ ცხრებოდა, მამალს გამეტებით იქნევდა და ბუმბულს აყრუვინებდა, — ჰარის ბრალი არ არის, თუ საჭიროა, შემიძლია, მაგიის სამინისტროს წინაშე დავიფიცო...

— ჰავრიდ, მე... :

— ის არ არის, ვინც უნდა დაგეჭვირათ, სერ! დარწმუნებული ვარ, ჰარი არასოდეს...

— ჰავრიდ! — დაუყვირა დამბლდორმა, — მე სულაც არ მგონია, რომ იმათ ჰარი დაესხა თავს.

— ოჰ, — შვებით ამოისუნთქა ჰავრიდმა და მამალი ძირს დაუშვა, — მართალი ბრძანდებით! ძალიან კარგი, მე გარეთ დავიციდი, დირექტორო! — დარცხვენილი ჰავრიდი ოთახიდან გაიძურნა.

— მართლა გჯერათ, პროფესორო, რომ ეს ყველაფერი მე არ ჩამიდენია? — სახე გაუბრწყინდა ჰარის. დამბლდორმა მაგიდიდან მამლის ბუმბული გადაფერთხა.

— მჯერა, ჰარი, მჯერა! მაგრამ მაინც უნდა დაგელაპარაკო! დაამშვიდა დამბლდორმა, თუმცა, ისევ შუბლშეჭმუნხილი უყურებდა.

ჰარი დაიძაბა. დამბლდორმა გრძელი თითები ერთმანეთს გადააჭდო და მოლოდინით მიაყქერდა.

— რაიმეს თქმა ხომ არ გინდა, ჰარი, აბა, კარგად დაფიქრდი!

ჰარიმ არ იცოდა, რა ეთქვა. თავში უამრავი აზრი უტრიალებდა. ჯერ მალფოისს მიუხედავად მოაგონდა: „ახლა თქვენი ჯერია, მუქისის ლიანებო“, მერე მრავალწინიანი სასმელი, რომელსაც მტრალა მიტრლის ტუალეტში ამზადებდნენ; შემდეგ უცნაური ხმა, ორჯერ რომ მოესმა და რონის ნათქვამი: „თუ რაღაც ხმები შენ გესმის და სხვას — არა, ეს ჯადოქრების სამყაროშიც კი ცუდი ნიშანიაო“; ბოლოს ის ჭორები გაახსენდა, რასაც მასზე ავრცელებდნენ და საკუთარი ეჭვი, ვაითუ სალაზარ სლიზგერინის ნათესავი აღმოჩნდებოდა...

— არა, სათქმელი არაფერი მაქვს, პროფესორო!

* * *

ჯასტინსა და თითქმის უთავო ნიკზე თავდასხმამ სკოლა ჰანიკაში ჩააგდო. უცნაურია, მაგრამ ხალხს ყველაზე მეტად თითქმის უთავო ნიკის ამბავი ადარდებდა. მოჩვენებას ეს როგორ მოუხერხეს, რა საშინელმა ძალამ შეძლო, მკვდარი ასეთ დღეში ჩაეგდო. ჰოგვორტის ექსპრესზე ნამდვილი წყვეტა შეიქნა. ყველანი ცდილობდნენ, საშობაოდ ბილეთები აღრე დაეჯავშნათ და იქაურობას გასცლოდნენ.

— ასე თუ გაგრძელა, ჩვენ აქ მარტონი დავრჩებით, — უთხრა რონმა ჰარისა და ჰერმიონს, — ჩვენ, მალფოი, კრაბი და გოილი! წარმოგიდგენიათ, რა მხიარული არდადეგები გვექნება?!

კრაბი და გოილი ყოველთვის იმას აკეთებდნენ, რასაც — მალფოი, ჰოდა, ახლაც არდადეგებზე სკოლაში დარჩენა გადაწყვიტეს. ჰარის ძალიან უხაროდა, რომ სკოლიდან თითქმის ყველანი მიდიოდნენ, რადგან მოხეზრდა მის ზურგს უკან ატეხილი ჩურჩული და მითქმამოთქმა. მოსწავლეები ისე უყურებდნენ, თითქოს ელოდნენ, რომ ეშვებს გამოაჩენდა ან შხამს გადმოანთხევდა. ყველასათვის თითოთ საჩვენებელი გახდა.

ფრედი და ჯორჯი კი შესანიშნავად ერთობოდნენ. ერთხელ დერეფანში ჰარის გაასწრეს და მთელი ხმით აყვირდნენ:

— გზა მიეცით სლიზგერინის მემკვიდრეს! უძლიერეს ბოროტ ჯადოქართა შორის!..

რასაკვირველია, პერსის ასეთი საქციელი არ მოეწონა და ძმებს მკაცრად უთხრა:

— სულაც არაა სასაცილო!

— თავიდან მოგვწყდი, პერსი! — შეუტია ფრედმა, — ჰარის ეჩქარება!

— ნამდვილად! — ახორხოცდა ჯორჯი, — საიღუმლო ოთახში მიიპარება, თავის ეშვებიან მსახურთან ერთად ჩაი უნდა დალიოს.

ჯინისთვის რომ გეკითხათ, ეს ამბავი სულაც არ იყო სასაცილო.

— გეყოფათ! — დაუყვირებდა ხოლმე ძმებს, როცა ფრედი ჰარის შეეკითხებოდა, შენი მომდევნო მსხვერპლი ვინ იქნებაო, ან კიდევ ჯორჯი, ვითომდა ჰარისგან თავის დასაცავად, ყელზე ნივრის აცმას რომ ჩამოიკიდებდა.

ჰარის ეს ოინები სულ არ ადარდებდა. პირიქით, უხაროდა კიდევ, რომ ფრედსა და ჯორჯს მისი სლიზერინის მემკვიდრედ დასახელება სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. აი, დრაკო მალფოი კი უფრო და უფრო იბოლმებოდა, ვიცო, რაც სჭირს, — აუნყა მეგობრებს რონმა: — შურით სკდება და ერთი სული აქვს, როდის იტყვის, რომ სლიზერინის მემკვიდრე სინამდვილეში თვითონაა. ხომ იცი, როგორ ვერ იტანს, როცა ვიღაც ჯოხნის! თვითონ სისაძაგლეებს აკეთებს, ყველაფერი კი შენ გბრალდება!

— ცოტაც მოითმინოს! — დაიქაუნა ჰერმიონმა, — მრავალწვნიანი სასმელი თითქმის მზადაა. ახლა უკვე შეგვიძლია, დრაკოს სიმართლე ვათქმევინოთ.

* * *

როგორც იქნა, სემესტრი დამთავრდა და დათოვლილ ციხე-კოშკში სიჩუმემ დაისადგურა. ჰარის ეს სიმშვიდე მოსაწყენად სულაც არ ეჩვენებოდა, პირიქით, ძალიან სიამოვნებდა, რომ ჰერმიონთან და უისლებთან ერთად, გრიფინდორის კოშკი მთლიანად მას ეკუთვნოდა. შეეძლოთ, აფეთქობანა ეთამაშათ ისე, რომ არავინ შეენუხებინათ და ორთაბრძოლებშიც, როცა მოეპრიანებოდათ, მაშინ ევარჯიშათ. ფრედმა, ჯორჯმა და ჯინიმ მშობლებთან ერთად ეგვიპტეში ბილთან სტუმრობას სკოლაში დარჩენა არჩიეს. პერსის, როგორც თვითონ ამბობდა, მათი „ბავშვური საქციელი“ სულაც არ მოსწონდა და გრიფინდორის კოშკში იშვიათად თუ შემოიხედავდა ხოლმე. ყველას ამაყად გამოუცხადა, საშობაოდ სკოლაში იმიტომ ვრჩები, რომ პრეფექტი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ამ არეულ დროში მასწავლებლებს მხარში ამოვუდგეო.

შობის სუსხიანი დილაყ გათენდა. გამოპრანჭული ჰერმიონი დილაადრიან შევარდა ბიჭებთან, საჩუქრები შეურბენინა, ფარდები გადასწია და დაიყვირა:

— აბა, გაიღვიძეთ!

— ჰერმიონ... ვინ მოგცა აქ შემოსვლის უფლება! — რონს შუქმა თვალები მოსჭრა. — შენც გილოყავ, — გაბრაზებულმა ჰერმიონმა რონს საჩუქარი მიუგდო, — თითქმის

ერთი საათია, რაც გავიღვიძე, სასმელში ფართოფრთიან ბუზებს ვუმატებდი. მინდა, გითხრა, რომ უკვე მზადაა! ჰარი იმწამსვე გამოფხიზლდა და საწოლში წამოჯდა.

— დარწმუნებული ხარ?

— წყალი არ გაუვა! — ჰერმიონმა ვირთხა სკაბერზი საწოლიდან ჩამოსვა, რომ თვითონ დამჯდარიყო, — ჰოდა, თუ რაიმეს ვაპირებთ, ამ საღამოს უნდა გავაკეთოთ!

ამ დროს ოთახში ჰედვიგი შემოფართხუნდა, ნისკარტით ერთი ციცქნა შეკვრა მოჰქონდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ჰარი ლოგინზე დასკუპებულ ბუს, - აღარ მეტუტები?

ბუ ახლოს მიუჩოჩდა და ყურზე ნაზად უკბინა, რაც ჰარისთვის ბევრად ძვირფასი საჩუქარი იყო, ვიდრე დერსლების გამოგზავნილი ამანათი, რომელშიც კბილის ჯაგრისი და პატარა ბარათი იდო. დერსლები სთხოვდნენ, იქნებ, როგორმე მოახერხო და ზაფხულის არდადეგებზეც ჰოგვორტსში დარჩეო.

ჰარის სხვა საშობაო საჩუქრები უფრო მოეწონა. ჰაგრიდმა დიდი კოლოფით ნუგა გამოუგზავნა, რომელიც ჰარიმ ბუხართან დადო, რომ ცოტა დარბილებულიყო. რონმა თავისი საყვარელი ქვიდიჩის გუნდის შესახებ დაწერილი წიგნი აჩუქა: „ფრენა ქენონზთან ერთად“, ჰერმიონმა კი არწივის ფრთისგან დამზადებული უძვირფასესი კალამი მიართვა. ჰარიმ ბოლო ფუთა გახსნა, შიგ ქალბატონი უისლის მოქსოვილი სვიტერი და ქლიავის ნამცხვარი დახვდა. ჰარიმ მისალოცი ბარათი წაიკითხა და სირცხვილით დაინვა, მოაგონდა ბატონ უისლის მანქანა, რომელიც მტარვალ ტირიფთან დაჯახების შემდეგ თვალთ ალარავის უნახავს... თანაც, ცოტა ხანში რონთან ერთად ხომ ისევ უამრავი წესის დარღვევა მოუწევდა...

* * *

საშობაო სუფრას ჰოგვორტსში დარჩენილთაგან არავინ დაჰკლებია, თუმცა, ზოგ-ზოგიერთებს საშინელი მრავალწინიანი სასმელის გახსენებაზე მაღა ეკარგებოდათ.

დიდ დარბაზში ყინულით მორთული რამდენიმე ნაძვის ხე იდგა, ბაძვითა და ფითრით განწყობილი ჭერიდან კი თბილი და მშრალი თოვლი ცვიოდა. დამბლდორი ყველას თავის საყვარელ საშობაო სიმღერებს ამღერებდა; ჰაგრიდი რაც უფრო მეტს სვამდა, მით უფრო ხმამაღლა ღრიალებდა. პერსის არ შეუმჩნევია, რომ ფრედმა მისი პრეფექტის სამკერდე ნიშანი მოაჯადოვა და ახლა ზედ „ჩერჩეტი“ ეწერა. პრეფექტი ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რა აცინებდათ ბავშვებს და ბრაზობდა. ჰარის სულაც არ აღელვებდა, დრაკო მალფოი მის სვიტერს ხმამაღლა რომ დასცინოდა. ბედი ცოტა თუ გაუღიმებდათ, მალფოის მალე ყველაფერს მწარედ ანანებდნენ.

ჰარიმ და რონმა საშობაო პუდინგის მესამე ნაჭერი შეჭამეს თუ არა, ჰერმიონმა ისინი დიდი დარბაზიდან გაიყვანა: ჩვენი გეგმა, ჩვენი გეგმა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შევასრულოთო.

— ახლა იმ სლიზერინელების სხეულის ნაწილები გვინდა, რომ ლებადაც უნდა გადავიქცეთ, — ისე აუღელვებლად წარმოთქვა ჰერმიონმა, თითქოს ბიჭებს სუპერმარკეტში სარეცხი ფხვნილის საყიდლად აგზავნიდა, — რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი იქნება კრაბისა და გოილის რაიმეს თუ იშოვით, ისინი მალფოის საუკეთესო მეგობრები არიან და მათ არაფერს დაუშალავს. თანაც, იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ მალფოის დაკითხვისას ნამდვილი კრაბი და გოილი არ გამოგვეცხადონ. თუმცა, მე უკვე ყველაფერი მოვიფიქრე, — ჰერმიონმა ბიჭებს შოკოლადის ორი ნამცხვარი დაანახვა; — ეს ნამცხვრები უბრალო ძილის ნამლით დავანამე. თქვენ გვევალებათ, რომ კრაბმა და გოილმა როგორმე ესენი შეამჩნიონ. ხომ იცით, რა ღორმუცელები არიან, აუცილებლად შეჭამენ. როგორც კი ჩაეძინებათ, თმის ღერები დააძრეთ და მძინარეები ცოცხების საკუჭნაოში ჩაკეტეთ.

ჰარიმ და რონმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— ჰერმიონ, არა მგონია...

— ყველაფერი ჩაგვეშლება...

მაგრამ ჰერმიონს, პროფესორ მაკგონაგელისა არ იყოს, ისეთი სახე ჰქონდა, რომ სიტყვას ვერ შეუბრუნებდი.

— სასმელი არ იმოქმედებს, თუ კრაბისა და გოილის თმები არ გვექნა, — მკაცრად გამოუცხადა ბიჭებს, — თქვენ რა, არ გინდათ მალფოის გამოტეხა?

— ჰო, კარგი, კარგი, — დანებდა ჰარი, — კი მაგრამ, შენ? შენ ვისი თმა უნდა იშოვო?

— მე უკვე მაქვს, — სახე გაუბრწყინდა ჰერმიონს, ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოაძვრინა, შიგ ერთი ღერი თმა ეგდო, — გახსოვთ მილისენტ ბულსტროდი, ორთაბრძოლების კლუბში რომ ვეჩხუბე? ჰოდა, როცა ჩემს მოხრჩობას ცდილობდა, თმის ღერი მანტიაზე დამიტოვა! თანაც, საშობაოდ შინ გაემგზავრა. ასე რომ, სლიზერინელებს ადვილად მოვატყუებ, ვითომ სკოლაში დაბრუნება გადავწყვიტე.

ჰერმიონი მრავალწვნიანი სასმელის შესამომზებლად გაიქცა. რონმა განწირული ხმით უთხრა ჰარის:

— ოდესმე თუ გინახავს ასეთი სულელური გეგმა?! ცუდადაა ჩვენი საქმე!..

ჰარისა და რონის გასაკვირად, ოპერაციის პირველი ეტაპი ისე ადვილად შეასრულეს, როგორც ჰერმიონი ამბობდა. ჩაის შემდეგ მთავარ შემოსასვლელში დაიმაღნენ და კრაბსა და გოილს დაელოდნენ. სლიზერინელი ღორმუცელები კი ისევ სუფრას უსხდნენ და უკვე მეოთხე ნაჭერ ტორტს ჭამდნენ. ჰარიმ შოკოლადის

ნამცხვრები გამოსაჩენ ადვილას დაანყო. როგორც კი დიდი დარბაზიდან ამომავალი კრაბი და გოილი დაინახეს, სასწრაფოდ შემოსასვლელ კართან მდგარ რაინდის აღჭურვილობას ამოეფარნენ.

— რა ღორმუცელები არიან! — ჩაიჩურჩულა აღფრთოვანებულმა რონმა, როცა კრაბმა ნამცხვრების დანახვაზე სიხარულის ყიჟინა დასცა, მერე სულელურად მოხიბითე ძმაკაცს მიჰბაძა და ნამცხვარი უზარმაზარ პირში ჩაიტენა. ცოტა ხანს უსაზღვროდ კმაყოფილები შეექცეოდნენ ნუგბარს, მერე მუხლებში ძალა ისე გამოეცალათ, ვერაფერს მიხვდნენ და იატაკზე გულაღმა გაიშლართნენ. მათი საკუჭნაოში გადათრევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, ჰარიმ და რონმა კრაბი და გოილი ცოცხებსა და იატაკის ჯაგრისებს შორის ჩააწვინეს და თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ჰარიმ და რონმა კრაბსა და გოილს რამდენიმე ღინღლი ამოაძრეს. მერე ფეხსაცმელებიც გახადეს, რადგან თავიანთი ფეხსაცმელები კრაბისა და გოილისნაირი ზორბა ბიჭებისთვის ძალიან პატარა იქნებოდა. ბოლოს მტირალა მირტლის ტუალეტისკენ გაიქცნენ, თან თვითონვე უკვირდათ, რომ ყველაფერი ასე ადვილად გამოუვიდათ.

ტუალეტში თითქმის არაფერი ჩანდა, ერთ-ერთი კაბინიდან, სადაც ჰერმიონი ქვაბს ურევდა, სქელი შავი კვამლი ბოლქვებად ამოდიოდა. ჰარიმ და რონმა ცხვირ-პირზე მანტიის კალთები აიფარეს და კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

— ჰერმიონ!

საკეტი გადატრიალდა და კვამლში ჰერმიონის გახარებული სახე გამოჩნდა. მის ზურგს უკან მარმელადივით გასქელებული სასმელი ბუბუბუბდა. უნიტაზზე სამი პატარა ჭიქა იდგა.

— იშოვეთ? — ველარ ითმენდა ჰერმიონი.

ჰარიმ გოილის თმა აჩვენა.

— გადასარევა! მე კიდევ სამრეცხაოდან ეს მანტიები მოვიპარე! — ჰერმიონმა პატარა ტომარაზე ანიშნა, — კრაბი და გოილი როცა გახდებით, უფრო დიდი ზომა დაგჭირდებათ.

მერე სამივემ ქვაბში ჩაიხედა. სასმელი შესქელებულ, საზოგადოდ მობუბუბუე შავ ტალახს ჰგავდა.

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერი სწორად გავაკეთე, — აღელვებულმა ჰერმიონმა „ყველაზე ძლიერი შხამ-წამლების“ საჭირო გვერდი ხელახლა გადაიკითხა, — ესე იგი, წიგნში ნათქვამია, რომ... აჰა, გასაგებია, დალევიდან ზუსტად ერთი საათი გვაქვს, ზუსტად ერთ საათში პირვანდელი სახე დაგვიბრუნდება...

— ახლა რა ვქნათ? — დაიჩურჩულა რონმა.

— სამ ჭიქაში გავანაწილოთ და თმის ღერები ჩავუმატოთ.

ჰერმიონმა სამივე ჭიქა პირთამდე აავსო. მერე აკანკალებული ხელით მილისენტ ბულსტროდის თმა ბოთლიდან ამოიღო და პირველ ჭიქაში ჩააგდო.

სასმელი მდულარე ჩაიდანივით ამიშინდა და აბუყბუყდა., ერთ წამში უკვე ყვითელ სითხედ იქცა.

— ფუუუ... მილისენტ ბულსტროდის სუნი აქვს, — აიმრიზა რონი, — დარწმუნებული ვარ, საზიზღარი გემო ექნება!

— ახლა თქვენი ჯერია! — ბრძანა ჰერმიონმა.

ჰარიმ გოილის თმა მეორე ჭიქაში ჩააგდო, რონმა კი კრაბისა — მესამეში. ორივე ჭიქა ამიშინდა და აბუყბუყდა. ბოლოს გოილის სასმელი ჭაობისფერ სითხედ იქცა, კრაბისა კი — მექყავისფრად.

— მოიცათ, — წამოიძახა ჰარიმ, როცა რონი და ჰერმიონი ჭიქებს დასწვდნენ, — სამივემ აქ არ დაველიოთ ეგ სასმელი, თორემ, თუ კრაბად და გოილად გადაიქცევით, კაბინაში ვეღარ დავეტევით. თანაც, მილისენტ ბულსტროდიც არ არის ფერია!

— კარგი აზრია, — მოუწონა რონმა და კარი გააღო, — ცალ-ცალკე კაბინებში შევიდეთ.

ჰარი ფრთხილად შეიპარა შუა კაბინაში, თან ცდილობდა, მრავალწვნიანი სასმელის არც ერთი წვეთი არ დაღვროდა. ბოლოს დაიძახა:

— მზადა ხართ?

— მზადა ვართ! — ერთხმად მიუგეს რონმა და ჰერმიონმა.

— ერთი... ორი... სამი...

ჰარიმ ცხვირზე ხელი მოიჭირა და ჭიქა გამოცალა. სასმელს გადახარშული კომბოსტოს გემო ჰქონდა.

ნაწლავები იმწამსვე აუნრიალდა, თითქოს ცოცხალი გველები გადაყლაპაო... ორად მოკაკულმა გაიფიქრა, ნეტავ გული ხომ არ ამერევაო... მერე რაღაცამ კუჭიდან თითის წვერებამდე ცეცხლივით დაუარა და სუნთქვა შეუკრა. ისეთი საშინელი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს დნებოდა. მთელ სხეულზე კანი ცხელი ცვილივით გაუხდა. თითები გაუსქელდა, ფრჩხილები გაუფართოვდა, ძვლები გამოებერა, მხრებში გაიშალა, შუბლზე რაღაცამ მოულიტინა და მიხვდა, რომ თმა წარბებისკენ ჩამოეზარდა. მკერდი გაუფართოვდა და როგორც კასრი ამსხვრევს სალტეებს, ისე შემოეხა ტანზე მანტია, ოთხი ზომით პატარა ფეხსაცმელი კი საშინლად უჭერდა...

ყველაფერი ისევე სწრაფად შეწყდა, როგორც დაიწყო. ქვის იატაკზე პირქვე დამხობილ ჰარის საიდანაც მტირალა მირტლის გულისგამანვრილებელი ბუზღუნის ფსმოდა. გაჭირვებით გაიძრო ფეხსაცმელი და წამოჯდა. აი, თურმე როგორი ყოფილა გოილად ყოფნა... უზარმაზარი აკანკალებული ტორებით დამოკლებული მანტია

გახიდა, გოილის მანტია მოიყვა და გოილისვე უზარმაზარი ფეხსაც მელი შეიკრა. მერე, თვალებზე ჩამოშლილ თმას გადავივარცხნო, გაიფიქრა, მაგრამ ხელთ მხოლოდ მოკლე, ხუჭუჭა ღინღლები შერჩა. უცებ მიხვდა, რომ სათვალთ ცუდად ხედავდა, გოილს ხომ სულაც არ სჭირდებოდა სათვალე.

— ჰეი, როგორა ხართ მანდ? — პირიდან გოილის დაბალი, მოგუდული ხმა ამოუშვა.

— კარგად, — მარჯვნიდან კრაბის ჯუჯუნა ხმა მოესმა.

ჰარი დაბზარულ სარკესთან მივიდა, სარკიდან ღრმად ჩამჭდარი უაზრო თვალეებით გოილი უყურებდა. ჰარიმ ყური მოიფხანა, გოილმაც იგივე გაიმეორა.

მალე კაბინიდან რონი გამოვიდა. ბიჭები ერთმანეთს მიაშტერდნენ. რონი ისე ფერმკრთალი და შეშინებული რომ არ ყოფილიყო, კრაბისგან ვერაფრით გაარჩევდით, თმით დაწყებული და გორილასავით ხელებით დამთავრებული, ყველაფერი ზუსტად კრაბისნაირი ჰქონდა.

— არ მჯერა! — რონი სარკეს მიუახლოვდა და კრაბის გაბუშტულ ცხვირს თითი მიაღო, — არ მჯერა!!!

— ჯობია, დროზე წავიდეთ, — გონს მოეგო ჰარი და გოილის მსხვილ მაჯაზე მაგრად შემოჭერილი საათი შეისხნა, — ჩვენ ხომ ჯერ სლიზგერინის საერთო ოთახი უნდა ვიპოვოთ. იმედია, ვინმე გამყოლს ვიპოვით...

რონი გაოცებულ მზერას ვერ ამორებდა ჰარის.

— რომ იცოდე, რა უცნაური სანახავია მოაზროვნე გოილი! — მერე ჰერმიონს დაუბრაახუნა, — რაღას უცდი, წავიდეთ.

კაბინიდან გამყივანმა ხმამ უპასუხა:

— მე... მე აღარ მინდა წამოსვლა. უჩემოდ წადით!

— ჰერმიონ, ვიცით, რომ მილისენტ ბულსტროდი მახინჯია, მაგრამ ხომ ვერავინ ვერ გაიგებს, რომ ეს შენა ხარ...

— იცით რა, არა, არ წამოვალ! თქვენ იჩქარეთ, დროს ნუ კარგავთ!

ჰარიმ გაკვირვებით გადახედა რონს.

— აი, ახლა ნამდვილ გოილს ჰგავხარ, — ჩაიციწა რონმა, — ზუსტად ასეთი სახე აქვს, როცა მასწავლებელი რამეს ეკითხება!

— ჰერმიონ, ცუდად ხომ არა ხარ? — გასძახა ჰარიმ.

— არა, არა მიშავს! წადით!

ჰარიმ საათზე დაიხედა. უძვირფასესი სამოცი წუთიდან ხუთი უკვე გასულიყო.

— ისევ აქ შევხვდებით, კარგი? — დაუძახა ჰარიმ, მერე კარი ფრთხილად გააღო, მიიხედა-მოიხედა, ხომ არავინ გვითვალთვალებსო და რონთან ერთად კისრისტეხით გავარდა დერეფანში.

— ხელებს ნუ იქნევ! — წასჩურჩულა ჰარიმ რონს.

— რა თქვი?

— კრაბი ხელებს არ იქნევს!

— აბა, ახლა შემომხედე!

— ჰო, ეგრე უკეთესია!

მარმარილოს კიბე ჩაიარეს. ახლა ვინმე სლიზერინელი სჭირდებოდათ, რომ მათ საერთო ოთახში მოხვედრილიყვნენ, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო.

— რა ვქნათ? — დაიბნა ჰარი.

— სლიზერინელები სასაუბმოდ ყოველთვის იქიდან ამოდიან, რონმა სარდაფების ჩასასვლელისკენ ანიშნა და სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, შემოსასვლელში ხუჭუჭათმიანი გოგონა გამოჩნდა, — უკაცრავად, ერთი წუთით, — რონი გოგონასთან მიიჭრა, — ჩვენი საერთო ოთახის გზა დაგვაგინწყდა.

— რა ბრძანეთ? — ამაყად მიუგო გოგონამ, — ჩვენი საერთო ოთახი? მე რეივენქლოდან ვარ! — გოგონამ გზა განაგრძო, თან ბიჭებს ეჭვიან მშერას არ აცილებდა.

ჰარიმ და რონმა ქვის კიბე ჩაირბინეს და სიბნელებაში აღმოჩნდნენ, მათი ფეხის ხმა სწორედ ისე ისმოდა, როგორც კრაბისა და გოილის უზარმაზარი ტერფების ბრაგუნის. ბიჭები მიხედნენ, რომ ეს საქმე ისე ადვილი არ იქნებოდა, როგორც ეგონათ.

ლაბირინთივით დახლართულ გასასვლელელებში სულიერის ჭაჭანება არ იყო. თანდათან უფრო ქვემოთ ჩალიოდნენ და წამდაუნუმ საათზე იყურებოდნენ. თხუთმეტი წუთი გავიდა, ბიჭებს უკვე იმედი გადაეწურათ, როცა სიბნელიდან ფეხის ხმა მოესმათ.

— როგორც იქნა! სლიზერინელი! — გაუხარდა რონს.

გვერდითა ოთახიდან ბიჭის ფიგურა გამოჩნდა. რონი და ჰარი მიუახლოვდნენ და... იმედი გაუცრუვდათ! ეს ვინმე სლიზერინელი კი არა, პერსი აღმოჩნდა!

— შენ აქ რა გინდა? — გაიკვირვა რონმა.

— რა შენი საქმეა? კრაბი ხარ, არა? — იუკადრისა პერსიმ.

— ჰო... კრაბი ვარ, — მიუგო რონმა.

— ჰოდა, ახლავე საძინებელ ოთახში მიბრძანდით, — მკაცრად უბრძანა პერსიმ,
— ხომ იცით, ღერეფნებში ხეტიალი საშიშია!

— შენთვის არა? — არ მოეშვა რონი.

— მე პრეფექტი ვარ! — ამაყად გაიჭვიმა პერსი, — თითოსაც ვერაფერს დამაკარებს!

ჰარისა და რონს უკნიდან ძახილი შემოესმათ. ეს დრაკო მალფოის ხმა იყო. ჰარის ცხოვრებაში პირველად გაუხარდა მისი დანახვა.

— აი, სად ყოფილხართ, — შეუღრინა დრაკომ, — ამდენ ხანს სულ დიდ დარბაზში იყავით? რით ვერ გაძებით?! რამდენი ხანია, გეძებთ, ძალიან სასაცილო რაღაც უნდა გაჩვენოთ.

მალფოიმ პერსის მიზლით შეხედა.

— შენ აქ რა ჯანდაბა გინდა?

— სკოლის პრეფექტთან ცოტა წესიერად უნდა ილაპარაკო! გაცეცხლდა პერსი.

მალფოიმ რაღაც ჩაიბურტყუნა და რონსა და ჰარის ანიშნა, გამომყევითო. ჰარიმ კინალამ მოუბოლიმა პერსის, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. რონთან ერთად მალფოის გაედევნა. როცა მომდევნო ღერეფანში გავიდნენ, მალფოიმ ისევ წამოიწყო:

— ეგ პიტერ უისლი...

— პერსი, — თავისდა უნებურად შეუსწორა რონმა.

— რა მნიშვნელობა აქვს! მოკლედ, რამდენჯერმე შევამჩნიე, როგორ დაძვრება ჩვენს ტერიტორიაზე. მგონი, ვხვდები, რაც უნდა. მაგ სულელს ჰგონია, სლიზგერინის მემკვიდრეს მარტოკა დაიჭერს! — დრაკომ საძაგლად გაიცინა.

ჰარიმ და რონმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

მალფოი გამოზნექილ, ნესტიან კედელთან შეჩერდა.

— ახალი პაროლი გახსოვს? — მიუბრუნდა ჰარის.

— ისა.. — დაიბნა ჰარი.

— ჰო, გამახსენდა, „წმინდა სისხლი“! — დაიძახა მალფოიმ და კედელში ჩასმული ქვის კარი გაიღო. მალფოი შევიდა, ჰარი და რონიც მიჰყვნენ.

სლიზგერინის საერთო ოთახი ერთი გრძელი, მინისქვეშა სარდაფი იყო, გაუთლელი ქვის კედლები და ჭერი ჰქონდა, ზედ ჯაჭვებით მომწვანო ლამპები ეკიდა. უცნაურად მოჩუქურთმებულ ბუხარში ცეცხლი ენთო. ასევე მოჩუქურთმებულ სავარძლებში რამდენიმე სლიზგერინელი იჯდა.

— აქ დამელოდეთ, — უთხრა მალფოიმ რონსა და ჰარის და ცეცხლისგან მოშორებით მდგარ ორ სკამზე ანიშნა, — წავალ და ახლავე მოვიტან, ეს-ესაა, მამაჩემისგან მივიღე!

ჰარი და რონი ჩამოსხდნენ და ცდილობდნენ, ჩვეულებრივად დაეჭირათ თავი, ძალიან აინტერესებდათ, რას მოიტანდა მალფოი.

მალფოი ერთ ნუთში დაბრუნდა და რონს გაზვითის ამონაჭერი მიაჩეჩა.

— სიცილით მოკვდები!

ჰარიმ შეამჩნია, როგორ გაუფართოვდა რონს თვალები, როცა ამონაჭერი ჩაიკითხა, მერე ნაძალადევად გაიციინა და ჰარის გადაანოდა, ეს იყო სტატია „დილის მისნიდან“:

გამოძიება მაგიის სამინისტროში არტურ უისლი, მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტის უფროსი, დღეს მაგლური მანქანის მოჭადოებისათვის ორმოცდაათი გალენით დააჯარიმეს.

„ბატონმა ლუციუს მალფოიმ, ჰოგვორტის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის მეურვემ, დღეს ბატონ უისლის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ მისი მოჭადოებული მანქანა სწორედ ამ სკოლის ტერიტორიაზე დაეჯახა მტარვალ ტირიფს ა. წ. დასაწყისში.

„ბატონმა უისლიმ სამინისტროს სახელი შეარცხვინა, — განუცხადა ბატონმა მალფოიმ ჩვენს კორესპონდენტს, — აშკარაა, რომ ეს პიროვნება არ არის ღირსი, ჩვენი კანონები შეადგინოს. ჩვენი აზრით, მის მიერ შედგენილი „მაგლების დაცვის აქტი“ სასწრაფოდ უნდა გავანადგუროთ.“

ბატონ უისლისგან კომენტარის მიღება არ მოხერხდა. მისმა მეუღლემ ჟურნალისტებს განუცხადა, აქედან მოშორდით, თორემ შინაურ ჭინკას მოგიქსევთო.

— აბა, რას იტყვით? ხომ სასაცილოა?! — აცქმუტდა მალფოი. ჰარიმ ამონაჭერი დაუბრუნა და ნაძალადევად გაიციინა.

— არტურ უისლის ისე უყვარს მაგლები, რომ აჯობებდა, თავისი ჯოხი დამეტერია და მათთან გადასულიყო საცხოვრებლად, ღვარძლიანად განაგრძო მალფოიმ, — ეგ უისლები ისე იქცევიან, ვერაფრით იფიქრებ, რომ წმინდა სისხლი აქვთ!

რონს, უფრო სწორედ, კრაბს, სიბრაზისგან სახე მოეღრცა.

— რა მოგივიდა, კრაბ? — ჰკითხა მალფოიმ.

— მუცელი მტკივა, — იცრუა რონმა.

— მაშინ საავადმყოფო ფლიგელში ადი და ბარემ მუქსისხლიანებს ერთი ჩემს სახელზე წაუთაქე, — ჩაიქირქილა მალფოიმ, — მიკვირს, „დილის მისანში“

თავდასხმებზე რომ არაფერს წერენ. როგორც ჩანს, დამბლდორი ამ ამბებს არ ახმაურებს! თუ ამ საქმეს დროზე ვერ მიხედავს, აუცილებლად მოხსნიან! მამაჩემი სულ გაიძახის, დამბლდორი ჰოგვორტის ყველაზე ცუდი დირექტორიაო. წარმოგიდგენიათ, მაგლების ოჯახებში დაბადებულები უყვარს! წესიერი დირექტორი ქრივისნაირ ნაგავს სკოლაში არ შემოუშვებდა, — მალფოიმ ქრივის გამოჯავრება დაიწყო, ვითომ ხელში ფოტოაპარატი ეჭირა და სურათებს იღებდა, — პოტერ, შეიძლება, სურათი გადაგიღო? პოტერ, ავტოგრაფი მომეცი, რა! პოტერ, გთხოვ, ფეხსაცმელი გამალოკინე, რა! — უცებ დრაკო შეჩერდა და ჰარისა და რონს მიაშტერდა, — რა ჯანდაბა გეტაკათ ორივეს?

ჰარიმ და რონმა ნაძალადევად გაიციინეს. დრაკო კმაყოფილი დარჩა, ეტყობა, კრაბი და გოილი ყოველთვის გვიან ხვდებოდნენ ყველაფერს.

— წმინდა პოტერი, მუქსისხლიანების მეგობარი! — აიმრიზა მალფოი, — ეგვეც არცხვენს ნამდვილი ჯადოქრის სახელს, იმ მატრაკვეცა მუქსისხლიან გრეინჯერთან რომ დაეთრევა! არადა, ყველას ჰგონია, რომ პოტერი სლიზერინის მემკვიდრეა!

ჰარის და რონს სუნთქვა შეეკრათ... მალფოი სადაც იყო, იტყოდა, მემკვიდრე მე ვარო, მაგრამ...

— ნეტავ მაცოდინა, ვინაა მემკვიდრე, — ამოიოხრა შეწუხებულმა, — დიდი სიამოვნებით დავეხმარებოდი!

რონს ყბა ჩამოუვარდა და კრაბის სახე კიდევ უფრო სულელური შესახედავი გაუხდა. საბედნიეროდ, მალფოის არაფერი შეუმჩნევია. ჰარიმ სწრაფად ჰკითხა:

— მე მგონი, შენ უნდა იცოდე, ვინ დგას ამ ყველაფერის უკან...

— გოილ, რამდენჯერ უნდა გითხრა, აზრზე არა ვარ-მეთქი! შეუღრინა მალფოიმ, — მამაჩემიც არაფერს მიყვება, ერთი სიტყვაც ვერ დავაცდენინე, რომ გავიგო, რა მოხდა საიდუმლო ოთახის გაღებისას. ეს ორმოცდაათი წლის წინ იყო, მაშინ მამაჩემი ჰოგვორტსში არ სწავლობდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი იცის! მაშინ, თურმე, ეს ამბავი მიჩქმალეს. ამიტომ მამა მეუბნება, შენ რომ რალაცრალაცეები იცოდე, ვილაყვებს ეჭვი გაუჩნდებათო, თუმცა, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, საიდუმლო ოთახი როცა გააღეს, ერთი მუქსისხლიანი დაიღუპა! ჰოდა, ახლაც, ადრე თუ გვიან, კიდევ ერთს მოკლავენ... იმედია, ეს გრეინჯერი იქნება!

რონმა, უფრო სწორედ, კრაბმა უზარმაზარი ტორები მომუშტა. ჰარიმ გაიფიქრა, რონმა მალფოის ერთი რომ გაულანუნოს, უეჭველად გავიციდებითო და მეგობარს თვალეები დაუბრიალა. მერე მალფოის ჰკითხა:

— თუ იცი, ის, ვინც საიდუმლო ოთახი გააღო, დაიჭირეს?

— რა თქმა უნდა... ვინ იყო, არ ვიცი, მაგრამ სკოლიდან გარიცხეს და ახლა, ალბათ, ისევ აშკაბანში ზის.

— აზკაბანში? — გაუკვირდა ჰარის.

— აზკაბანი ჯადოქრების საპყრობილეა, გოილ! — ეჭვით შეხედა მალფოიმ, — რა გჭირს? რა ნელა აზროვნებ?! — მალფოი აწრიალდა, — მამაჩემმა მირჩია, შენთვის წყნარად იყავი და სლიფერინის მემკვიდრეს ხელი არ შეუშალოო. მითხრა, სკოლა სიბინძურისგან უნდა გაინმინდოს, მაგრამ შენ ამ საქმეში არ უნდა ჩაერიოო. ახლა მამაჩემსაც თავსაყრელად აქვს პრობლემები. იცით, წინა კვირას მაგიის სამინისტრომ ჩვენს სასახლეში რეიდი მოაწყო!

ჰარიმ გოილის უაზრო სახეზე შეწუხებული გამომეტყველება მიიღო.

— აბაა... — განაგრძო მალფოიმ, — საბედნიეროდ, ბევრი ვერაფერი იპოვეს! მამაჩემს შავი მაგიისთვის საჭირო რამდენიმე ძალიან ძვირფასი ნივთი აქვს. თუმცა, საბედნიეროდ, სასტუმრო ოთახის იატაკქვეშ საიდუმლო სამალავში ინახავს...

— ვაი! — შეჰყვირა რონმა.

მალფოი და ჰარი მოტრიალდნენ. რონი განითლდა. თმაც ნელ-ნელა უწითლდებოდა, ცხვირი დაუგრძელდა — ერთი საათი უკვე გასულიყო, რონი ისევ რონად იწყებდა გადაქცევას და მისი შემფოთებული მხერით ჰარი მიხვდა, რომ მასაც იგივე ემართებოდა.

ორივენი სასწრაფოდ წამოხტნენ.

— მუცლის ტკივილის წამალი მჭირდება, — ამოიღწავლა რონმა და ორივენი ოთახის მეორე ბოლოსკენ გაიქცნენ. ქვის კედელს ეცნენ და დერეფანში გაცვივდნენ. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ და თან ფიქრობდნენ, ნეტავ მალფოი რაიმეს ხომ არ მიხვდაო. ჰარის გოილის უზარმაზარ ფესხაცმელებში ფეხი უცურავდა და მანტიაც ფეხებში ებლანდებოდა. გახვითქულები მიანწყდნენ მთავარ შემოსასვლელს, სადაც საკუჭნაოში ჩაკეტილი კრაბი და გოილი კარს მუშტებს უბრავენებდნენ. ფესხაცმელი საკუჭნაოს კართან დაყარეს და ფეხშიშველები აცვივდნენ მარმარილოს კიბეზე, რომელიც მტირალა მირტლის ტუალეტისკენ მიდიოდა.

— არა უშავს, დრო ტყეილად არ დაგვიკარგავს, — აქოშინებულმა რონმა ტუალეტის კარი მიხურა, — მართალია, ვერ გავარკვიეთ, თავდასხმებს ვინ აწყობს, მაგრამ სამაგიეროდ ხვალ მამაჩემს მივწერ და მალფოების სასტუმრო ოთახს გავაჩხრეკინებ.

ჰარიმ გაბზარულ სარკეში ჩაიხედა, იქიდან ისევ საკუთარი სახე უცქეროდა. გახარებულმა სათვალე ცხვირზე მოირგო. რონმა ჰერმიონის კაბინას დასცხო მუშტი.

— ჰერმიონ, გამოდი! ახალი ამბები უნდა გითხრათ...

— მომშორდიო! — დაიკვილა ჰერმიონმა.

ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა რონმა, — უკვე შენი სახე უნდა დაგბრუნებოდა. ჩვენ...

უცებ კაბინიდან უჩვეულოდ ბედნიერი მტირალა მირტლი გამოფარფატდა.

— ოოო, ცოტაც მოიცადეთ და ნახავთ, რა საზიზღრობაა!

კაბინის საკეტმა გაიტკაცუნა და იქიდან თავზე მანტიანაფარებული აქვითინებული ჰერმიონი გამოვიდა.

— რა მოგივიდა? — შეშფოთდა რონი, — ისევ მილისენტის ცხვირი გაქვს თუ რა გჭირს?

ჰერმიონმა მანტია მოიხსნა და დაზაფრული რონი კინალამ ნიჟარაში ჩავარდა.

ჰერმიონს სახეზე შავი ბენვი ამოსვლოდა, თვალები გაჰყვითლებოდა და თმებიდან ორი ჰატარა, დაცქვეტილი ყური მოუჩანდა.

— კატის ბენვი იყოოო! — ამოიქვითინა ჰერმიონმა, — ეტყობა, მილისენტ ბულსტროდს კატა ჰყავს... სა... სა... სასმელი კი ცხოველებად გადაქცევისთვის არაა გათვალისწინებული!..

— ვაიმე! — შეიცხადა რონმა.

— ოჰო-ჰო, როგორ დაგცინებენ!.. — შესძახა გახარებულმა მირტლმა.

— არა უშავს, ჰერმიონ, საავადმყოფო ფლიგელში ავიყვანთ, უცებ მოისაზრა ჰარიმ, — მაღამ პომფრის ზედმეტი კითხვების დასმა არ უყვარს, ხომ იცი..

კარგა ხანს მოუნდნენ ჰერმიონის დაყოლიებას, რომ ტუალეტიდან გამოსულიყო. გახარებულმა მირტლმა კი აღფრთოვანებით მიაძახა:

— მოიცა, ჯერ სადა ხარ! შენს კუდს რომ დაინახავენ, მერე იკითხე!

თავი მეცამეტე

სრულიად საიდუმლო დღიური

საავადმყოფო ფლიგელში ჰერმიონი რამდენიმე კვირას დარჩა. საშობაო არდადეგებიდან დაბრუნებულმა ბავშვებმა დიდი მითქმამითქმა ატეხეს, რადგან, რასაკვირველია, ყველას ეგონა, რომ ჰერმიონს თავს დაესხნენ. სტუდენტები საავადმყოფო ფლიგელს აწყდებოდნენ, რათა როგორმე ჰერმიონისთვის მოეკრათ თვალი, ასე რომ, მაღამ პომფრი იძულებული გახდა, მის საწოლთან ფარდები ჩამოეფარებინა.

ჰარი და რონი მის სანახავად ყოველ საღამოს მიდიოდნენ. მეორე სემესტრის დასაწყისიდან კი ყოველდღიური საშინაო დავალებაც მიჰქონდათ.

— მე რომ კატის უღვაში ამომსვლოდა, ცოტა ხნით სწავლას თავს დავანებებდი, — აღნიშნა რონმა ერთ საღამოს და ჰერმიონს პატარა მაგიდაზე წიგნები დაუხვავა.

— ნუ სულელობ, რონი! ხომ არ ჩამოვრჩები! — ძველებურად უპასუხა ჰერმიონმა. ეტყობოდა, ახლა ბევრად უკეთეს გუნებაზე იყო, რადგან სახიდან ბენჯი მთლიანად გასცივნიდა და თვალებიც ნელ-ნელა უყავისფრდებოდა. მერე ხმას დაუნია, რომ მაღამ ჰომერის ვერაფერი გავგო:

— არა მგონია, რამე ახალი შეგეტყვოთ.

— მართალი ხარ, — მოიღუმა ჰარი.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ მემკვიდრე მალფოი იყო, — მესაღე გაიმეორა რონმა.

— ეს რა არის? — ჰარიმ ბალიშის ქვეშ ამოდებულ ოქროსფერ ნივთზე ანიშნა.

— არაფერი, უბრალოდ ბარათია, — ჰერმიონი ბარათის გადამალვას შეეცადა, მაგრამ რონმა დაასწრო, ხელიდან გამოჰკლიჯა, გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

„მის ჰერმიონ გრეინჯერ, გისურვებთ სწრაფად გამოჯანმრთელებას. თქვენი მზრუნველი მასწავლებელი, პროფესორი გილდეროი ლოკჰარტი, მერლინის მესამე ხარისხის ორდენის მფლობელი, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ლიგის საპატიო წევრი და „ქალთა გაზეთის“ ხუთგზის პრიზის მფლობელი „ყველაზე მომხიბლავი ღიმილისათვის“.

— ამას ბალიშის ქვეშ ინახავ? — აიმრიზა რონი.

ჰერმიონმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს ოთახში მაღამ ჰომერი შემოფუსფუსდა და საღამოს წამლები შემოიტანა.

— არ მესმის, ლოკჰარტს ყველანი მაგარ ტიპად რატომ მიიჩნევენ, — ეუბნებოდა რონი ჰარის, როცა პალატიდან გავიდნენ და გრიფინდორის კოშკის კიბეს აუყვნენ. ჰარი თავისას დარდობდა: სწიშმა იმდენი დავალება მისცა, რომ იმის შესრულებას, ალბათ, მეექვსე კურსამდე ვერ მორჩებოდა. რონი ახლა იმას წუხდა, ჰერმიონს რატომ არ ვკითხე, თმის ამომყვან სასმელში ვირთხის რამდენი კუდი უნდა ჩავამატოთ. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ზედა სართულიდან განწირული ყვირილი მოესმათ.

— ფილჩის ხმა, — იცნო ჰარიმ. ორივენი კიბეზე აცვივდნენ, ცოტა მოშორებით დადგნენ და მიაყურადეს.

— კიდევ ვინმეს ხომ არ დაესხნენ თავს?! — აღელდა რონი.

ბიჭები ჩუმად იდგნენ და ფილჩის ყვირილს უსმენდნენ:

„...კიდევ მომემატა საქმე! მთელი ღამეა, ვხეხავ და ვწმენდ! თქვენ მე უსაქმური ხომ არ გგონივართ! მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, დამბლლორთან მივდივარ...“

ფილჩის ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა და ბოლოს კარის ჯახუნიც გაისმა. :

ბიჭები კედელს მოეფარნენ და დერეფანში ფრთხილად გაიხედეს. როგორც ჩანს, ფილჩი ისევ იმ ადგილს დარაჯობდა, სადაც მისის ნორისს დაესხნენ თავს. იქაურობა რომ მოათვალიერეს, მაშინვე მიხვდნენ, რამ გააცოფა ფილჩი — ნახევარი დერეფანი მტირალა მირტლის ტუალეტიდან გამოსულ წყალს დაეტბორა. ახლა, როცა ფილჩი აღარ ღრიალებდა, გარკვევით მოესმათ მირტლის მოთქმა-გოდება.

— ნეტავ, რა დაემართა? — დაინტერესდა რონი.

— წამო, ვნახოთ, — შესთავაზა ჰარიმ. ბიჭებმა მანტიები მუხლებამდე აიკეცეს, გუბები შეტოპეს და, მიუხედავად იმისა, რომ კარზე სრულიად გარკვევით ეწერა „არ მუშაობს“, მაინც შევიდნენ.

მტირალა მირტლი ხმამაღლა ბლაოდა. თუმცა, ხმადაბლა არც არასოდეს უტირია. როგორც ჩანს, ისევ თავის კაბინაში იმალებოდა, ტუალეტი ჩაბნელებული იყო: წყლის ნაკადს სანთლები ჩაეწრო და კედლებიც დაესველებინა. — რა მოხდა, მირტლ? — ჰკითხა ჰარიმ.

— რომელი ხარ?! — საცოდავად ამოიღწავლა მირტლმა, — რისთვის მოხვედი? გინდა, რაღაც მესროლო, არა?

ჰარი მირტლის კაბინასთან მივიდა და დაუყვავა:

— რატომ უნდა გესროლო რაღაცა? რატომ გგონია?

— არ მკითხო, — დაიწვილა მირტლმა და ისედაც სველ იატაკზე კიდევ უფრო მეტი წყალი გადმოასხა, — ვზივარ აქ ჩემთვის, არავის არ ვანუხებ, ვილაცეები კი წიგნებს მესვრიან და ერთობიან...

— კი მაგრამ, შენ ხომ არ გეტკინება, თუ რაიმეს გესვრიან! შეაპარა ჰარიმ, — შენ ხომ გამჭვირვალე მოჩვენება ხარ!

ეს თქვა თუ არა, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. მირტლი ჰაერში აფარფატდა და აკვივლდა:

— მოდი, ყველამ წიგნები დაუშინოთ მირტლს! ის ხომ მაინც ვერაფერს იგრძნობს! ათი ქულა იმას, ვინც ზუსტად კუჭში მოახვედრებს! ორმოცდაათი იმას, ვინც

თავში მოარტყამს! რა მაგარია, ჰა, ჰა, ჰა! რა მაგარი თამაშია, არა? მე არაფერს მეკითხებით?

— ვინ გესროლა? — დაინტერესდა ჰარი.

— არ ვიცი... ჩემთვის წყნარად ვიჯექი უნიტაზზე და სიკვდილზე ვფიქრობდი, ამ დროს შიგ თავში მომხვდა წიგნი, — მირტლმა ბიჭებს თვალეები დაუბრიალა, — აი, იქ გდია, წყალში!

ჰარიმ და რონმა ხელსაბანის ქვეშ შეიხედეს. იქ მართლა ეგლო ჰატარა, გაცრეცილი, შავყდიანი წიგნი, ერთიანად სველი, ისევე, როგორც ყველაფერი დანარჩენი ამ ტუალეტში. ჰარიმ აღება დააპირა, მაგრამ რონმა ხელი დაუჭირა.

— რა იყო? — ჰკითხა ჰარიმ.

— გაგიჟდი? რა იცი, იქნებ საშიში წიგნია!

— კარგი რა! — გაეცინა ჰარის, — როგორ შეიძლება, წიგნი საშიში იყოს?!

— გაგიკვირდება, მაგრამ მამაჩემმა მიაშო, თურმე სამინისტრომ ჯადოქრებს ბევრი საშიში წიგნი ჩამოართვა. ერთ-ერთი წიგნი თურმე თვალეებს წვადა. ერთ ბებერ ალქაჯს კი ისეთი წიგნი აღმოუჩინეს, რომლის კითხვას ვერასოდეს შეწყვეტ! ჰოდა, მთელი ცხოვრება იმ წიგნში ცხვირჩაყოფილმა უნდა იარო და სხვა ყველაფერი ცალი ხელით აკეთო. თანაც, ყველანი, ვინც „ჯადოქრის სონეტებს“ ნაიკითხავდნენ, სიკვდილამდე ლექსად ილაპარაკებდნენ. კიდევ...

— ჰო, კარგი, — შეაწყვეტინა ჰარიმ, — მაინც ვერაფერს გავარკვევთ, სანამ არ დავათვალიერებთ, — რონს ხელიდან დაუსხლტა და წიგნი აიღო. თურმე წიგნი კი არა, დღიური იყო. ყდაზე თარიღი ეწერა. მართალია, წარწერა კარგად არ ემჩნეოდა, მაგრამ მაინც მიხვდებოდი, რომ ორმოცდაათი წლის წინ იყო დაწერილი. ჰარიმ მოუთმენლად გადაშალა. პირველ გვერდზე გადღაბნილი მელნით სახელი გამოეყვანათ: „ტ. მ. რიდლი“.

— მოიცა! — რონი ფრთხილად მიუახლოვდა ჰარის და დღიურს დახედა, — ეს სახელი მეცნობა... ტ. მ. რიდლმა ორმოცდაათი წლის წინ სკოლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ჯილდო მიიღო.

— შენ საიდან იცი? — გაუკვირდა ჰარის.

— ფილჩმა ორმოცდაათჯერ მაინც გამაპრიალებინა ეკ ჯილდო, — აიმრიზა რონი, — არ გახსოვს, ზედ რომ ვარწყიე? შენც რომ ერთ საათს გეპრიალებინა თასზე ვილაცის სახელი, აუცილებლად დაგამახსოვრდებოდა.

ჰარიმ სველი ფურცლები გააცალკევა, მაგრამ მელნის კვალიც კი ვერსად შეამჩნია, ყველა გვერდი სუფთა იყო. ზედ ისეთი უბრალო რაღაცეებიც კი არ ეწერა, როგორცაა, მაგალითად „დეიდა მებისლის დაბადების დღე“ ან „ოთხის ნახევარზე კბილის ექიმთან“.

— ეს რა არის, შიგ არაფერი ჩაუნერიათ?! — იმედი გაუცრუვდა ჰარის.

— საინტერესოა, ამ დღიურის გადაგდება ვის და რატომ მოუნდა?! — საგონებელში ჩავარდა რონი.

ჰარიმ რვეულის უკანა ყდას დახედა, ზედ ვოქსჰოლ როუდზე მდებარე ლონდონური ფირმის სახელი ამოიკითხა და დაასკვნა:

— ეტყობა, მაგლური წარმოშობისა იყო, ეს დღიური ვოქსჰოლ როუდზე უყიდა...

— გადააგდე, მაინც არაფერში გამოგვაღებება, — ურჩია რონმა, მერე ჩურჩულით დაამატა: — ორმოცდაათი ქულა — შენ, მირტლს ცხვირში თუ მოარტყამ!

ჰარიმ დღიური მაინც ჯიბეში ჩაიღო.

* * *

თებერვლის დასაწყისში ულვაშო, უკულო და ბენჯვაცლილი ჰერმიონი საავადმყოფო ფლიგელიდან გამოვიდა. გრიფინდორის კოშკში დაბრუნების პირველსავე საღამოს ჰარიმ მას ტ. მ. რიდლის დღიური აჩვენა და უამბო, როგორ იპოვეს.

— ოოო! როგორც ჩანს, ამ დღიურს რაღაც განსაკუთრებული ძალა აქვს, — აღფრთოვანდა ჰერმიონი და გულდასმით დაათვალიერა, — შეიძლება, ასეცაა, მაგრამ მაგ ძალებს, ეტყობა, საგულდაგულოდ მალავს, — ჩაურთო რონმა, — ალბათ, მორცხვობს! ჰარი, არ მესმის, რატომ არ გადააგდე!

— ნეტავ მაცოდინა, ვილაცამ რატომ მოინდომა მისი გადაგდება. დიდი სიამოვნებით გაფარკვევდი, როგორ მიიღო რიდლმა ჰოგვორტისის ჯილდო! — რონის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია ჰარიმ.

— ჯილდოს აქ ყველაფერში იძლევიან, — იხტიბარი არ გაიტეხა რონმა, — იქნებ ოცდაათი ბუა მიიღო ან მასწავლებელი გადაარჩინა გიგანტური რვაფეხასაგან. ან კიდევ, მირტლი მოკლა, რაც სკოლისთვის ძალიან სასიხარულო ამბავი იქნებოდა.

მაგრამ ჰერმიონის კუმტი გამომეტყველების დანახვაზე ჰარი მიხვდა, რომ გოგონა იმასვე ფიქრობდა, რასაც — თვითონ.

— რა გჭირთ? — გადახედა მეგობრებს რონმა.

— საიდუმლო ოთახი ორმოცდაათი წლის წინ გააღეს, — გაახსენა ჰარიმ, — ასე არა თქვა მალფოიმ?

— ჰო... — დაეთანხმა რონი.

— ეს დღიურიც ორმოცდაათი წლისაა! — აღფრთოვანებით დააკაკუნა რვეულზე ჰერმიონმა.

— მერე რა?

— კარგი რა, რონ! — შეუტია ჰერმიონმა, — ვერ ხვდები? ჩვენ ვიცით, რომ ის პიროვნება, ვინც საიდუმლო ოთახი გააღო, ორმოცდაათი წლის წინ სკოლიდან გარიცხეს! ისიც ვიცით, რომ ტ. მ. რიდლს ზუსტად ორმოცდაათი წლის წინ გადასცეს ჯილდო სკოლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის! იქნებ, ეს ჯილდო სლიფერიინის მემკვიდრის დაჭერისთვის მიიღო? მის დღიურში ალბათ აღწერილი იქნება, სად არის საიდუმლო ოთახი, როგორ უნდა გააღო და რა ჯურის არსება ცხოვრობს იქ. ის ადამიანი, ვინც ამ ყველაფრის უკან დგას, ალბათ, არ ისურვებდა ამ ამბების გახმაურებას!

— ბრწყინვალე თეორიაა, ჰერმიონ! — დასცინა რონმა, — ოღონდ სულ ერთი ციკქა, უმნიშვნელო ნაკლი აქვს, დღიურში არაფერი წერია!

— ეს, ალბათ, უჩინარი მელანია! — ივარაუდა გოგონამ, ჩანთიდან ჯოხი ამოიღო, დღიურს სამჯერ დაჰკრა და დაიძახა: — აპარეციუმ!

მაგრამ არაფერი არ მომხდარა. ჰერმიონმა იხტიბარი არ გაიტეხა, ჯოხი ჩანთაში ჩადო და ახლა ხასხასა წითელი საშლელის მსგავსი რაღაც ამოიღო.

— ეს სიტყვების გამომჩენია, მრუდე ქუჩაზე ვიყიდე, — აუხსნა ბიჭებს, მერე „პირველი იანვრის“ გვერდზე გადაუსვა, მაგრამ მაინც არაფერი მოხდა.

— გეუბნები, შიგ არაფერი წერია-მეთქი! — გაუმორა რონმა, ეტყობა, დღიური რიდლს საშობაოდ აჩუქეს და მერე წერით თავი აღარ შეუნუხებია!

* * *

ჰარის თავადაც უკვირდა, რიდლის დღიური რომ არ გადააგდო. ის კი არა, ძალიან კარგად იყო, რომ დღიურში არაფერი ეწერა, მაგრამ მაინც ხშირ-ხშირად გადაშლიდა ხოლმე, თითქოს ჩვეულებრივი წიგნი იყო და ბოლომდე ნაკითხვა უნდოდა. მართალია, ჰარის ტ. მ. რიდლის სახელი ადრე არასოდეს სმენოდა, მაგრამ მისთვის მაინც რაღაცას ნიშნავდა. რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ტ. მ. რიდლი მისი კარგა ხნის დავინწყებული, ადრეული ბავშვობის დროინდელი მეგობარი იყო. თუმცა, რა სისულელეა, ჰარის ხომ დადღის „წყალობით“ ჰოგვორტსამდე არც ერთი მეგობარი არ ჰყოლია.

მიუხედავად ყველაფრისა, ჰარიმ მტკიცედ გადანწყვიტა, რიდლის შესახებ უფრო მეტი რამ შეეტყო, ამიტომ მეორე დღეს, შესვენებისას, ჯილდოების ოთახისკენ

გაემართა. ჰერმიონი სიამოვნებით გაჰყვა თან, რონი კი გაუთავებლად ბუზღუნებდა, მაგ ჭილდოების ოთახში იმდენ ხანს ვიყავი, სიცოცხლის ბოლომდე მეყოფათ.

რიდლის ოქროს თასი კუთხეში, ერთ-ერთ კარადაში ინახებოდა, მაგრამ ზედ არ ეწერა, ჭილდო რისთვის გადაეცა („ძალიანაც კარგი, რომ არაფერი აწერია, — გაითქვას რონმა, — თორემ უფრო დიდი იქნებოდა და ამის გაპრიალებას თან გადავწყვებოდი“). რიდლის სახელი კიდევ ერთ ძველ მედალზე იპოვეს, რომელსაც ეწერა: „ჯადოქრული გმირობისათვის“, იპოვეს ყოფილი ჰედი-ბოების სიამიცი.

— მთლად პერსივით ყოფილა, — დაიჯანა რონი, — ჯერ — პრეფექტი, მერე — ჰედიბოი! ალბათ, საუკეთესო მოსწავლეც იქნებოდა!

— ისე ამბობ, თითქოს კარგად სწავლა დანაშაული იყოს, — ცოტა არ იყოს, ეწყინა ჰერმიონს.

* * *

ჯერ ისევ უძღურმა მშემ ჰოგვორტსი ოდნავ გაათბო და ყველას გუნება გამოუკეთა. ჯასტინისა და თითქმის უთავო ნიკის შემდეგ თავს არავის დასხმიან. მაღამ პომფრიმ კი ყველას ახარა, მანდრაგორები დადინჯდნენ და მოლონიერდნენო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მცენარეებს დამნიფებამდე ცოტალა აკლდათ.

ერთხელ ჰარიმ გაიგონა, როგორ ეუბნებოდა მაღამ პომფრი თილქს, მუნუკები როგორც კი გაუქრებათ, გადარგვისთვის მზად იქნებიან, ამის შემდეგ კი ძალიან მალე დაგვრეთ და მოვუშავთ. აი, ნახავთ, მისის ნორისი ძალიან მალე დაგიბრუნდებათ!

„როგორც ჩანს, სლიფერინის მემკვიდრემ ფარ-ხმალი დაყარა, — ფიქრობდა ჰარი, — საიდუმლო ოთახის გაღება სულ უფრო საშიში ხდება, მთელი სკოლა ფეხზე დგას და ყველანი ერთმანეთს ეჭვის თვალთი უყურებენ! იქნებ, მონსტრმა გადანწყვიტა, კიდევ ორმოცდაათი წლით მიიძინოს...“

ჰაფელპაფელი ერთი მაკმილანი ამ აზრს სულაც არ იზიარებდა. მისი მტკიცე რწმენით, ყველაფერში დამნაშავე ჰარი იყო და ორთაბრძოლების კლუბში „თავი გასცა“. პიუსიც ცეცხლზე წყალს ასხამდა, მოსწავლეებით გაჭედილ დერეფნებში გამოხტებოდა და დაამლერებდა ხოლმე: „ნახეთ ბიჭი პოტერი, რა საზარლად ერთობა“.

გილდერიო ლოკჰარტს სჯეროდა, რომ თავდასხმების შეწყვეტა მისი დამსახურება იყო. ერთხელ, როცა ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე შედიოდნენ, ჰარიმ შემთხვევით ყური მოჰკრა, როგორ ეტრაბახებოდა პროფესორ მაკკონაგელს:

— არა მგონია, პრობლემები კიდევ შეგვექმნას, მინერვა. ჩემი აზრით, საიდუმლო ოთახი ამჯერად სამუდამოდ დაიკეტა. დამნაშავეები მიხვდნენ, რომ აღრე თუ გვიან,

აუცილებლად დავიჭერდი. ჰოდა, სანამ ჩემი რისხვა დაატყდებოდათ თავს, ჭკუა იხმარეს და გაჩერდნენ. იცით, ახლა მთელ სკოლას გამხნელება სჭირდება. ყველამ უნდა დაივინყოს პირველი სემესტრი! ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, თუმცა, უკვე რაღაც მაქვს მოფიქრებული... — ლოკჰარტმა საქმეში ჩახედული კაცივით მოისრისა ცხვირი და პროფესორ მაკკონაგელს თვალი ჩაუკრა.

თოთხმეტ თებერვალს, საუზმობისას, ყველამ გაიგო, რას გულისხმობდა ლოკჰარტი „გამხნელებაში“.

ჰარი გამოუძინებელი იყო. წინაღობით ქვიდიჩში დიდხანს ვარჯიშობდნენ და ამიტომ დილით დიდ დარბაზში ჩასვლა შეაგვიანდა.

შესვლისას ცოტა დაეჭვდა, კარი ხომ არ შემეშალაო.

კედლები დიდი, ჭყეტელა ვარდისფერი ყვავილებით მოერთოთ. ამას კიდევ რა უშავდა, ღია ცისფერი ჭერიდან გულის ფორმის ფერადი ქალღმერთები ცვიოდა. ჰარი გრიფინდორის მაგიდასთან მივიდა. რონი ამრეზილი იჯდა, ჰერმიონი კი სიცილს ძლივს იკავებდა.

— რახდება? — იკითხა ჰარიმ, ჩამოჯდა და ბეკონს ფერადი ქალღმერთები მოაცილა.

რონმა უსიტყვოდ მიახედა მასწავლებლების მაგიდისკენ. როგორც ჩანს, ეს სანახაობა ისე ურევდა გულს, რომ ლაჰარაკის თავიყ არ ჰქონდა. კამკაშა ვარდისფერ მანტიამი გამოწყობილმა ლოკჰარტმა მოსწავლეებს ხელით ანიშნა, გაჩუმდითო. მის აქეთიქით სახეგაქვავებული მასწავლებლები ისხდნენ. ჰარი ამ სიშორიდანაც კი ხედავდა, როგორ უთრთოდა სახე პროფესორ მაკკონაგელს. სწიპი კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ესა მთელი კოლბა ძვლისაზრდელა გამოცალაო, — გილოცავთ ვალენტინის დღეს! — დაიძახა ლოკჰარტმა, — მადლობას ვუხდი იმ ორმოცდაექვს ადამიანს, ვინც უკვე გამომიგზავნა მისალოცი ბარათები! დიახ, მე თავს უფლება მივეცი, თქვენთვის ეს პატარა სიურპრიზი მომეცო, მაგრამ, ჯერ სადა ხართ...

ლოკჰარტმა ტაში შემოჰკრა და მთავარი შემოსასვლელიდან თორმეტამდე მოღუმულმა ჯუჯამ შემოაბიჯა. თუმცა, ესენი ჩვეულებრივი ჯუჯები არ იყვნენ: ლოკჰარტს მათთვის ოქროს ფრთები გამოება და არფეები ჩამოერიგებინა.

— ჩემი ფოსტალიონი კუპიდონები! — გამოაცხადა გაბადრულმა ლოკჰარტმა, — დღეს მთელ სკოლას დაივლიან და სატრფიალო ბარათებს მოგართმევენ! დარწმუნებული ვარ, ჩვენს მხიარულებას ჩემი კოლეგებიც გაიზიარებენ! იქნებ, პროფესორ სნეიპს ვთხოვოთ, გვაჩვენოს, როგორ მზადდება სიყვარულის ელექსირი? ამასობაში კი პროფესორი ფლიტვიკი მომნუსხველ შელოცვებს გვასწავლის, ამ სფეროში ბადალი არა ჰყავს! ნამდვილი ეშმაკუნაა!

პროფესორმა ფლიტვიკმა სახე ხელეშში ჩარგო. სწიპს კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდა, პირველივეს, ვინც მას სიყვარულის ელექსირის მომზადებას სთხოვდა, სანამლაავს დაალევიანება.

— ჰერმიონ, გეხვეწები, მითხარი, რომ იმ ორმოცდაექვსში შენ არა ურევინარ! — დიდი დარბაზიდან გამოსვლისთანავე უთხრა რონმა ჰერმიონს. გოგონამ პასუხი არ გასცა, ჩანთაში დაიწყო ქექვა, თითქოს ცხრილი აინტერესებდა.

ჯუჯები მთელ დღეს კლასებში დარბოძნენ და სატრფიალო ბარათებს არიგებდნენ, რაზეც მასწავლებლები ძალიან ბრაზობდნენ. ნაშუადღევს კი, როცა კრიფინდორელები ჯადოსნური ფორმულების გაკვეთილზე აღიოდნენ, ერთ-ერთმა მოღუშულმა ჯუჯამ ჰარის მოჰკრა თვალი.

— აი, ჰარი ჰოტერი! — შესძახა და მისკენ გაეშურა.

ჰარი ერთიანად განითლდა იმის წარმოდგენაზე, რომ სატრფიალო ბარათი მისთვის პირველკურსელების წინაშე უნდა გადაეცათ (სხვათა შორის, ჯინი უისლიც იქ იყო), და გაქცევა სცადა, მაგრამ ჯუჯამ მუჯლუგუნების კვრით გააღწია მოსწავლეებს შორის, გზა გადაუჭრა და არფით დაემუქრა.

— ჰარი ჰოტერს პირადად უნდა გადავცე მუსიკალური გზავნილი!

— ოღონდ აქ არა! — კბილებში გამოსცრა ჰარიმ და ისევ სცადა გაქცევა.

— არ გაინძრე! — დაუღრიალა ჯუჯამ და ზურგჩანთაში ჩაავლო ხელი.

— გამიშვი! — გაიბრძოლა ჰარიმ.

ამ ბლლარძუნში ჩანთა გაიხა, წიგნები, ჯადოსნური ჯოხი, პერგამენტი და ბატის ფრთები გადმოცვივდა და სამელნეც დაიმსხვრა.

ჰარი თავისი ნივთების აკრეფას შეუდგა. დერეფანში მოძრაობა შეფერხდა.

— რა ხდება? — გაისმა დრაკო მალფოის ცივი, გამყივანი ხმა. ჰარი გამწარებული ტენიდა თავის ნივთებს დახეულ ჩანთაში, რომ დროზე გაქცეულიყო და დრაკოს მისი მუსიკალური მისალოცი არ მოესმინა.

— რა აურზაურია? — გაისმა კიდევ ერთი ნაცნობი ხმა, ეს უკვე პერსი უისლი იყო.

დაბნეულმა ჰარიმ ისევ სცადა გაქცევა, მაგრამ ჯუჯა მუხლებში ეცა და წააქცია.

— ესეც ასე! — ჯუჯა ფეხებზე დააჯდა, — ახლა კი შენი მუსიკალური მილოცვა მოისმინე:

მუავე ბაყაყის მგერა აქვს მწვანე, თმა კი შავი აქვს, ვით ბნელი ღამე.

რა მოხდებოდა, ეს ანგელოზი რომ იყოს ჩემი, გმირი, რომელმაც დაამარცხა ბატონი ბნელი.

ჰარი გრინგოტის მთელ ოქროს არ დაიშურებდა, ოღონდ ახლა აქედან გამქრალიყო. ბავშვებმა სიცილი ატყეს. ფეხებდაბუჟებული ჰარი ძლივს წამოდგა და სცადა, ბავშვებს სიცილში აჰყოლოდა. პერსი უისლი ჩაბუირებულ ბავშვებს დაერია.

— აბა, მოშორდით აქედან! ჩქარა! უკვე ხუთი წუთია, ზარი დაირეკა! ჩქარა, საკლასო ოთახებში მიბრძანდით! შენც გეხება, მალფოი!

ჰარიმ შეამჩნია, რომ მალფოი შეჩერდა, რაღაცას ხელი დაავლო და კრახსა და გოილს დაანახვა. ეს რიდლის დღიური იყო.

— დამიბრუნე, — წყნარად უთხრა ჰარიმ.

— ნეტავ, პოტერმა რა ჩაწერა შიგ? — მალფოიმ, როგორც ჩანს, ყდაზე დაწერილი თარიღი ვერ შეამჩნია და იფიქრა, პოტერის დღიური ჩავიგდე ხელშიო. ყველანი გაისუსნენ. შემოფოთებული ჯინი ხან ჰარის უყურებდა, ხან — დღიურს.

— დღიური დაუბრუნე, მალფოი! — მკაცრად უბრძანა პერსიმ.

— ჯერ გადავათვალიერებ, — მალფოიმ დღიური გამომწვევად აუფერიალა ჰარის.

პერსი გაბრაზდა:

— სკოლის პრეფექტის სახელით...

მაგრამ ჰარის მოთმინების ფიალა ავესო, ჯადოსნურ ჯოხს ხელი დასტაცა და შეჰყვირა:

— ექსპელიარმუს! — სწორედ ისე, როგორც სნეიპმა, როცა ლოკჰარტი განაიარაღა. მალფოის რვეული გაუფრინდა და პირდაპირ გაღიმებულ რონს ჩაუვარდა ხელეებში.

— ჰარი! — შესძახა პერსიმ, — დერეფნებში ჯადოქრობის გამოყენება აკრძალულია! ხომ იცი, ამაზე ახსნა-განმარტების დანერა მომიწევს!

თუმცა ჰარის ეს სულაც არ ადარდებდა. რაც მთავარია, მალფოის აჯობა და ამისთვის გრიფინდორს ხუთ ქულას თუ დააკლებდნენ, ქვეყანა არ დაიქცეოდა. მალფოი გაცოფებული, დაბოღმილი იდგა და როცა ჯინიმ გვერდით ჩაუარა, ღვარძლიანად მიაძახა:

— მე მგონი, პოტერს შენი მისალოცი საერთოდ არ მოეწონა!

ჯინიმ სახეზე ხელეები აიფარა და საკლასო ოთახში შევარდა. რონი გაბრაზდა, თავისი ჯოხი ამოიღო, მაგრამ ჰარიმ უკანვე ჩაადებინა, თორემ ჯადოსნური ფორმულების მთელ გაკვეთილს ნაღველის ამონთხევას მოანდომებდა.

პროფესორ ფლიტუიკის კაბინეტში შესვლისას ჰარიმ რიდლის დღიურს რაღაც უცნაურობა შეატყო. ყველა წიგნი, რაც ჩანთაში ეწყო, ალისფერი მელნით მოსვრილიყო. დღიური კი ისეთივე სუფთა იყო, როგორც სამელნის გატეხამდე. ჰარიმ დააპირა, რონისთვის ეჩვენებინა, მაგრამ მას თავისი გაჭირვება ჰქონდა — მისი ჯოხი ლილისფერ ბუმტუკებს ისროდა.

* * *

იმ საღამოს ჰარი ყველაზე ადრე დანვა დასაძინებლად. ალბათ უფრო იმიტომ, რომ აღარ უნდოდა, კიდევ ერთხელ მოესმინა, როგორ უმღეროდნენ ფრედი და ჯორჯი: „მჟავე ბაყაყის მზერა აქვს მწვანე...“ თანაც, რიდლის დღიური უფრო გულდასმით უნდა დაეთვალიერებინა, თუმცა, რონის აზრით, დროს ტყუილად დაკარგავდა.

ჰარი ჩარდახიან სანოლზე ჩამოჯდა და დღიური გადაშალა. ფურცლები სუფთა იყო, არსად არ აჩნდა ალისფერი მელნის კვალი. მერე უჯრიდან ახალი სამელნე ამოიღო, შიგ ბატის ფრთა ჩაანო და დღიურის პირველ გვერდზე მელანი დაანვეთა.

მელანი განათდა და გაქრა, თითქოს ფურცელმა შეინოვაო. აღელვებულმა ჰარიმ ბატის ფრთა ხელახლა ჩაანო სამელნეში და დანერა: „მე მქვია ჰარი პოტერი“.

სიტყვები იმნამსვე განათდა და უკვალოდ გაქრა. მერე უცნაური რაღაც მოხდა: ფურცელზე ზუსტად იმავე მელნით ნაწერი სიტყვები ამოიბურცა, თუმცა, ისინი ჰარის არ დაუწერია:

„გამარჯობა, ჰარი პოტერი! მე ტომ რიდლი ვარ, ჩემი დღიური საიდანა გაქვს?“

ეს სიტყვებიც გაუჩინარდა. ჰარიმ სასწრაფოდ დანერა პასუხი: „ვიღაცამ ტუალეტში ჩააგდო“ — და მოუთმენლად ელოდა, რას უპასუხებდა რიდლი.

„რა კარგია, რომ ჩემი მოგონებები მელანზე უფრო გამძლე საშუალებით ჩავწერე! ვიცოდი, ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც არ მოინდომებდა, რომ ეს დღიური წაეკითხათ“.

„რას გულისხმობ?“- ნაჩქარევად დაჭაბნა ჰარიმ და აღელვებისგან რვეული მელნით მოთხუპნა.

„ამ დღიურში საშინელი მოგონებები ინახება. ეს ამბები მიჩქმალეს. ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში მომხდარ ამბებს ვგულისხმობ“.

„მეც ამ სკოლაში ვარ, — სწრაფად დანერა ჰარიმ, — ჰოგვორტსში ვსწავლობ და აქ საშინელი ამბები ხდება. საიდუმლო ოთახის შესახებ თუ იცი რამე?“ — ჰარის გული აუჩქარდა.

რიდლმა სწრაფად უპასუხა. მისი ნაწერი ახლა უფრო ნაჯღანს ჰგავდა, თითქოს ცდილობდა, ყველაფრის თქმა მოესწრო, რაც იცოდა:

„რა თქმა უნდა, ვიცი. ჩემს დროს გვეუბნებოდნენ, ლეგენდაა და არ არსებობსო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. მეხუთე კურსზე ვიყავი, როცა ოთახი გააღეს და მონსტრი რამდენიმე სტუდენტს დაესხა თავს, ბოლოს ერთი მოკლა კიდევ. მე დავიჭირე ის ადამიანი, ვინც ოთახი გააღო და, რა თქმა უნდა, ის სკოლიდან გარიცხეს. მაგრამ

მაშინდელმა დირექტორმა, პროფესორმა დიპეტმა, სიმართლის თქმა ამიკრძალა, რადგან რცხვენოდა, რომ სკოლაში ასეთი ამბები დატრიალდა. ხმები გაავრცელეს, თითქოს ის საწყალი გოგონა უბე დური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მე კი ულამაზესი, პრიალა, მოჩუქურთმებული ჯილდო მომცეს და გამაფრთხილეს, ენას კბილი დააჭიროვო. თუმცა, მე ვიცოდი, რომ შეიძლებოდა, ყველაფერი განმეორებულიყო. მონსტრი არ მომკვდარა და ის ადამიანი, ვისაც მისი გ ამოშვება შეეძლო, ციხეში არ ჩამჯდარა“.

ჰარიმ სიჩქარეში კინალამ სამელნე გადმოაყირავა.

„ახლაც იგივე მეორდება. უკვე სამი თავდასხმა მოხდა და არავინ არ იცის, ვისი ხელი ურევია ამ საქმეში. მაშინ ვინ იყო?“

„თუ გინდა, გაჩვენებ, — მიუვო რიღლმა, — ნათქვამი შეიძლება არ დაიჯერო. შემიძლია, ჩემს იმლამინდელ მოგონებებში გადაგიყვანო, როცა დამნაშავე დავიჭირე“.

ჰარი შეეყოყმანდა, ბატის ფრთა ჰაერში გაუშეშდა. ვერ გაეგო, რას გულისხმობდა რიღლი. როგორ უნდა შესულიყო სხვის მოგონებებში? ჰარიმ ჯერ საძინებლის კარს შეხედა, მერე რვეულს დახედა და ახლადდანერვილი სიტყვები შეამჩნია:

„მოდი, გაჩვენებ!“

ჰარი ერთი წამით შეეყოვნდა და მერე მოკლედ უპასუხა:

„კარგი“.

უცებ, თითქოს ქარი ამოვარდაო, ფურცლები აშრიალდა და დღიური იენისის თვეზე გადაიშალა. ჰარიმ გაოცებისგან პირი დაალო: ცამეტი იენისის გრაფა ერთი ციცქნა ტელევიზორის ეკრანად გადაიქცა. აკანკალებული ხელებით დღიური თვალეებთან ახლოს მიიტანა, რომ ციცქნა ფანჯარაში შეეხედა. მოულოდნელად უცნაური რაღაც მოხდა: ფანჯარა გაფართოვდა, ჰარი ლოგინს მოსწყდა და თავით გადაეშვა ფურცელზე გაჩენილ ჭრელ მორევში. მერე იგრძნო, ფეხქვეშ როგორ გამყარდა მინა და არეულ-დარეული ფიგურებიც ვარკვევით დაინახა.

იმწამსვე მიხვდა, სადაც აღმოჩნდა. მძინარეპორტრეტებიანი წრიული ოთახი დამბლდორის კაბინეტი იყო, თუმცა, საწერ მაგიდასთან დამბლდორი არ იჯდა. ერთი დაჩაჩანაკებული, სულ მთლად დანაოჭებული და თითქმის მელოტი (აქა-იქ შერჩენილ ჭაღარა თმას თუ არ ჩავთვლით) ჯადოქარი სანთლის შუქზე წერილს კითხულობდა. ჰარის ეს კაცი ადრე არასოდეს ენახა.

— უკაცრავად, — ხმა უთრთოლდა ჰარის, — თქვენს შენუხებას არ...

ჯადოქარს მისთვის არც კი შეუხედავს, მოლუშული განაგრძობდა კითხვას. ჰარი საწერ მაგიდასთან მივიდა და ბორძიკით უთხრა:

- უბრალოდ, გავალ...

ჯადოქარი ყურადღებას არ აქცევდა. ეტყობოდა, მისი ხმა არ ესმოდა. ჰარიმ გაიფიქრა, შეიძლება, ყრუო და ხმას აუნია:

— უკაცრავად, რომ შეგანუხეთ. ახლავე წავალ!

ჯადოქარმა ამოიოხრა, წერილი დაკეცა, წამოდგა, ჰარის ისე ჩაუარა გვერდით, რომ ზედაც არ შეუხედავს და ფარდების ჩამოსანევედ გაემართა.

ფანჯრიდან ლალისფერი ცა მოჩანდა, მზე ჩადიოდა. ჯადოქარი ისევ მაგიდასთან დაჯდა, ცერები ერთმანეთს მიაბჯინა და კარს მიაჩერდა.

ჰარიმ კაბინეტი მოათვალიერა. ვერც ფენიქსი ფოუკსი დაინახა და ვერც ვერცხლის უცნაური ხელსაწყოები. ეს რიდლის დროინდელი ჰოგვორტსი იყო, ეს უცნობი ჯადოქარი მაშინდელი დირექტორი ბრძანდებოდა; თავად ჰარი კი — მათთვის სრულიად უჩინარი ფანტომი, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — შემოიპატიჟა მოხუცმა ჯადოქარმა.

ოთახში დაახლოებით თექვსმეტი წლის ბიჭი შემოვიდა და წვეტიანი ქუდი მოიხადა. მკერდზე პრეფექტის ვერცხლის ნიშანი უბრწყინავდა. ჰარიზე გაცხილებით მალაღი იყო, თუმცა, მასაც კუპრივით შავი თმა ჰქონდა.

— შენა ხარ, რიდლ?!

— ჩემი ნახვა გინდოდათ, პროფესორო დიპეტ? — რიდლი ძალიან ღელავდა.

— დაჯექი! სწორედ ახლახან ნავიკითხე შენი წერილი.

— მართლა? — რიდლი ჩამოჯდა და სმენად იქცა.

— ჩემო ძვირფასო, — დაიწყო დიპეტმა, — ზაფხულში სკოლაში დარჩენის უფლებას ვერ მოგცემ. შენც, რასაკვირველია, არდადეგებზე შინ დაბრუნება უნდა გერჩიოს, არა?

— არა, — სწრაფად მიუგო რიდლმა, — ჰოგვორტსში დარჩენა მირჩევნია იმ... იმ..

— როგორც მე ვიცი, მაგლების უდემამო ბავშვთა სახლში ცხოვრობ.

— დიახ, სერ, — რიდლი წამოწითლდა.

— მაგლების ოჯახში ხარ დაბადებული?

— ნარევი სისხლი მაქვს, სერ. მამა მაგლი იყო, დედა — ჯადოქარი.

— შენს მშობლებს რა დაემართათ?

— დედა ჩემს დაბადებას გადაჰყვა, სერ. ბავშვთა სახლში მითხრეს, იმდენ ხანს იცოცხლა, რომ შენთვის სახელი დაერქმიაო. ტომი მამაჩემის პატივსაცემად დამარქვა, მერვოლო — ბაბუაჩემისა.

დიპეტმა თანაგრძნობით გააქნია თავი.

— ტომ, საქმე ისაა, რომ შენთვის კი შეიძლებოდა, გამონაკლისი დაგვეშვა, მაგრამ ასეთ არეულ დროს....

— თავდასხმებს გულისხმობთ, სერ? — შეანყვეტინა რიდლმა. ჰარის გული გამალებით აუძგერდა, უფრო ახლოს მიინია, რაიმე არ გამოემჟაროსო.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, ხომ ხვდები, ჩემი მხრივ რა სულელური საქციელი იქნება სემესტრის დამთავრების შემდეგ შენი სკოლაში დატოვება. მით უმეტეს, ახლახან მომხდარ ტრაგედიას თუ გავიხსენებთ... საწყალი გოგონა... ბავშვთა სახლში უფრო დაცული იქნები. მინდა იცოდე, რომ მაგიის სამინისტრო სკოლის დახურვას აპირებს, რადგან ამ უსიამოვნებებს ბოლო ვერ მოვუღებთ...

რიდლს თვალეები გაუფართოვდა.

— სერ, თუ იმ ადამიანს დაიჭერენ... თუ ყველაფერი მოგვარდება...

დიპეტი წამოდგა და განვრილებული ხმით ჰკითხა:

— რას გულისხმობ, რიდლ, ამ თავდასხმებზე რაიმე ხომ არ იცი?

— არა, სერ, — სწრაფად მიუგო რიდლმა.

ჰარი მაშინვე მიხვდა, რომ ეს „არა“ ისეთივე ტყუილი იყო, როგორც თვითონ უთხრა დამბლდორს.

დიპეტი მოცელილივით დაეშვა სკამზე.

— შეგიძლია, ნახვიდე, ტომ...

რიდლი წამოხტა და ოთახიდან გავიდა. ჰარი უკან მიჰყვა.

მიხვეულ-მოხვეული მოძრავი კიბით ქვემოთ, ჩაბნელებულ დერეფანში ჩავიდნენ. რიდლი შეჩერდა. ჰარიც შედგა, მიხვდა, რომ რიდლი სერიოზულ რალაცაზე ფიქრობდა. შუბლშეჭმუხნილი იკვნეტდა ტუჩებს. მერე, თითქოს გადანყვეტილება მიიღო, სადღაც გაიქცა. ჰარი უხმაუროდ გაჰყვა უკან. სანამ მთავარ შემოსასვლელამდე მიაღწევდნენ, არავინ შეხვედრიათ. იქ კი მარმარილოს კიბიდან ნაბლისფერთმიანმა და წვერიანმა მაღალმა ჯადოქარმა დაიძახა:

— ასე გვიან სად დაეხეტები, ტომ?

ჰარი ჯადოქარს მიაშტერდა. მის წინაშე ორმოცდაათი წლით ახალგაზრდა დამბლდორი იდგა.

— დირექტორმა დამიბარა, სერ, — მიუგო რიდლმა.

— კეთილი, მაგრამ ახლა საძინებელში ადი, — ჰარის ეცნო დამბლდორის მზერა, — ხომ იცი, ამ დღეებში ღერეფნებში ხეტიალი საშიშია. რადგან... — დამბლდორმა სათქმელი არ დაასრულა, მწარედ ამოიოხრა, რიდლს დაემშვიდობა და წავიდა. ტომმა ერთხანს შეიცადა, მერე სასწრაფოდ სარდაფის კიბისკენ გავარდა. ჰარი, რასაკვირველია, ფეხდაფეხ მიჰყვა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, როცა რიდლმა რაიმე საიდუმლო გასასვლელში ან გვირაბში კი არ ჩაიყვანა, არამედ სწორედ იმ სარდაფში, სადაც სწრაფი შხამ-წამლების გაკვეთილებს უტარებდათ ხოლმე. სარდაფში ჩირაღდნები ჩაექროთ. რიდლმა კარი ღრიჭოდ დატოვა. ჰარი სიბნელეში მხოლოდ იმას ხედავდა, რომ გასუსული რიდლი ღერეფანს თვალს არ აცილებდა.

თითქმის ერთ საათს იდგნენ ასე. ქანდაკებასავით გაშეშებული რიდლი ღრიჭოდან გაპყურებდა ღერეფანს. სწორედ მაშინ, როცა ჰარი უკვე აღარათფერს ელოდა, კარს მიღმა უცნაური ხმაური გაისმა, ჰარიმ ინატრა, ნეტავ ჩემს დროში დამაბრუნაო.

ღერეფანში ვიღაც მიიპარებოდა. უცნობმა მათ სამალავს ჩაუარა, რიდლი უჩუმრად გამოძვრა სარდაფიდან და უკან ჩრდილივით აედევნა. ჰარიც ფეხის წვერებზე შემდგარი მიჰყვა, სულ დააეინცა, რომ მისი ხმა არავის ესმოდა.

დაახლოებით ხუთ წუთს მიჰყებოდნენ ხმას, ბოლოს რიდლი შედგა და ახლა უკვე სხვა მხრიდან მომავალ ხმას მიაყურადა. კარმა გაიჭრიალა და ჩურჩული გაისმა:

— ჰე, წამოდი... დროზე, წამოდი, აქედან უნდა წაგიყვანო...

ჰარის ეს ხმა ეცნო.

რიდლი სამალავიდან გამოხტა. ჰარიც მას მიჰყვა და ღია კართან, დიდი ყუთის გვერდით ჩაუცქქული ზორბა ბიჭი დაინახა.

— სალამო მშვიდობისა, რუბეუს! — დაუყვირა რიდლმა.

ბიჭმა კარი მიაჯახუნა და წამოიმართა.

— აქ რა გინდა, ტომ?

რიდლი მიუახლოვდა.

— მორჩა! სხვა გზა არა მაქვს, უნდა ჩავიშვა, რუბეუს! თუ თავდასხმები არ შეწყდება, სკოლას დახურავენ!

— რა ჯანდ...

— არა მგონია, შენ ვინმეს მოკვლა გდომებოდა, მაგრამ მონსტრების მოშინაურება შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, უბრალოდ, გასაწვრთნელად გამოუშვი და...

— მას არავინ მოუკლავს, — ზორბა ბიჭი კარს აეკრა, იქიდან უცნაური შრიალი და წკარუნი ისმოდა.

— გეყო, რუბეუს! — რიდლი კიდევ უფრო მიუახლოვდა, — მოკლეული გოგონას მშობლები ხვალ ჩამოდიან. ჰოვკორტსელები ვალდებულნი არიან, დასაჯონ ის არსება, რომელმაც მათ ქალიშვილი მოუკლა...

— მისი ბრალი არ არის! — დაიღრიალა ბიჭმა და დერეფნებში ექომ დაიგრგვინა, — ის ამას არასოდეს არ იზამდა!

— გვერდზე გადაეცი! — რიდლმა ჯოხი ამოიღო. მისმა შელოცვამ თვალისმომჭრელად გაანათა დერეფანი, კარი გახეთქა და ბიჭი კედელს მიანარცხა. ოთახიდან ისეთი საშინელი არსება გამოვიდა, რომ ჰარის გულისგამგმირავი კივილი აღმოხდა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია.

არსებას ბენვით დაფარული ვეება სხეული, რამდენიმე შავი ფეხი, უამრავი ბრიალა თვალი და სამართებელივით ბასრი ორი მარწუხი ჰქონდა. რიდლმა ჯოხი მოიმარჯვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო! არსება დაეძგერა, წააქცია და გამწარებული გავარდა დერეფანში. რიდლი ძლივს წამოდგა, ისევ შემართა ჯოხი, მაგრამ ზორბა ბიჭმა დაიღრიალა, რიდლს ეცა, ჯოხი გამოჰკლიჯა და ისევ იატაკზე დასცა.

ყველაფერი დატრიალდა, სიბნელე ჩამოწვა და ჰარიმ იგრძნო, როგორ მიფრინავდა სადღაც. ბოლოს გრიფინდორის საძინებელში, თავის ჩარდახიან საწოლზე აღმოჩნდა. რიდლის დღიური მუცელზე ედო. სულის მოთქმა ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და ოთახში რონი შემოვიდა.

— აი, სად ყოფილხარ! :

ჰარი წამოჯდა, ოფელში გახვითქული ჯერ ისევ ცახცახებდა.

— რა მოგივიდა? — შეწუხდა რონი.

— ჰაგრიდი ყოფილა, რონი! ორმოცდაათი წლის წინ ჰაგრიდს გაუღია საიდუმლო ოთახი!

თავი მეთოთხმეტე

კორნელიუს ფაჯი

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა კარგად იცოდნენ, რომ ჰაგრიდს, მისდა საუბედუროდ, ძალიან უყვარდა უზარმაზარი საშინელი არსებები. პირველ კურსზე იყვნენ, როცა ჰაგრიდმა თავის ხის ქოხში დრაკონის გამოზრდა მოინდომა; ერთი უზარმაზარი სამთავიანი ძაღლიც ჰყავდა, ამიტომ ჰარის სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ჰაგრიდმა თავის დროზე საიდუმლო ოთახის მონსტრის ნახვა მოისურვა. ალბათ, შეეცოდა ამდენ წელიწადს ოთახში გამომწყვდეული არსება და იფიქრა, ნამდვილად იმსახურებს, ცოტა გაიარ-გამოიაროს, უამრავი ფეხი გაშალოსო. ჰარიმ წარმოიდგინა,

როგორ უკეთებდა მონსტრის საყელურს ცამეტი წლის ჰაგრიდი... მაგრამ, ამავე დროს, დარწმუნებული იყო, რომ ჰაგრიდს ვინმეს მოკვლა აზრადაც არ მოსვლია.

ჰარი უკვე ნანობდა, რიღლის დღიური რომ წაიკითხა. რონმა და ჰერმიონმა იმდენჯერ სთხოვეს ნანახ-გაგონილის მოყოლა, რომ ჰარის საშინლად მობეზრდა ერთი და იმავე ამბის თხრობა და შემდეგ ერთი და იმავე კომენტარების მოსმენა.

— რიღლი ალბათ შეცდა, — ამბობდა ჰერმიონი, — ალბათ ხალხს სხვა მონსტრი ესხმოდა თავს...

— შენ რა გგონია, აქ ბევრი მონსტრი ცხოვრობს? — უხალისოდ ეკამათებოდა რონი.

— ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჰაგრიდი სკოლიდან გარიცხეს, — ამოიხრა ჰარიმ, — და, როგორც ჩანს, თავდასხმებიც მას მერე შეწყდა. სხვანაირად რიღლს ჯილდოს არ მისცემდნენ.

რონმა ახლა სხვა მხრიდან მოუარა.

— ეგ რიღლი ძალიან მაგონებს პერსის! ვინ ეკითხებოდა, ჰაგრიდის საქმეში ცხვირს რომ ჰყოფდა?

— კი მაგრამ, მონსტრმა ხომ ბავშვი მოკლა, რონი! — აღშფოთდა ჰერმიონი.

— თანაც, ჰოგვორტსი რომ დაეხურათ, რიღლს მაგლების თავშესაფარში დააბრუნებდნენ. კარგად მესმის, აქ დარჩენა რატომ უნდოდა, — აღნიშნა ჰარიმ.

რონმა ტუჩზე იკბინა, მერე ჰარის შეახსენა:

— შენ ხომ მრუმე ქუჩაზე შეხვდი ჰაგრიდს, არა?

— ჰო, ხორციჭამია ლოქორების სანამლავს ყიდულობდა, — სწრაფად მიუგო ჰარიმ.

სამივენი გაჩუმდნენ. კარგა ხნის შემდეგ ჰერმიონმა გაბედა და იკითხა:

— როგორ ფიქრობთ, ღირს, ჰაგრიდთან მივიდეთ და პირდაპირ ვკითხოთ?

— რა მაგარი სტუმრობა იქნებოდა! „გამარჯობა, ჰაგრიდ, ამ ბოლო დროს ერთი ბანჯკვლიანი და გადარეული არსება ხომ არ გამოგიშვია?“ — ცივი წყალი გადაასხა რონმა.

ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, ახალ თავდასხმამდე ჰაგრიდისთვის არაფერი ეთქვათ.

დღე დღეს მისდევდა, ჰარის ის უცნაური ხმა აღარ გაუგონია და უკვე იმედი გაუჩნდათ, რომ ჰაგრიდთან ამ საჩოთირო თემამე საუბარი აღარ მოუწევდათ. ჯასტინისა და თითქმის უთავო ნიკის გაშეშებიდან ლამის ოთხი თვე გავიდა და ყველამ

დაიჯერა, რომ უცნობი თავდამსხმელი სამუდამოდ გაქრა. პიესსაც, ბოლოს და ბოლოს, მოხებრდა თავისი გულის გამაწვრილებელი სიმღერა „ნახეთ, ბიჭი პოტერი რა საზარლად ერთობა...“

ერთხელაც, ჰერბოლოგიის გაკვეთილზე, ერთი მაკმილანმა საკმაოდ თავაზიანად სთხოვა ჰარის, ბაყაყის ქვირითი გადმომანოდეო; მარტში კი მესამე სათბურში რამდენიმე მანდრაგორამ ხმაურიანი წვეულება მოაწყო, რაც პროფესორ სპრაუტს ძალიან გაუხარდა:

— როგორც კი ერთმანეთის ქოთნებში გადასვლას შეეცდებიან, გვეცოლინება, რომ დამნიფუნენ, — უთხრა ჰარის, — ჰოდა, იმ საწყლების გამოცოცხლებასაც შევძლებთ!

* * *

სალდგომო არდადეგებზე მეორე კურსელებს ახალი სათეიქრალი გაუჩნდათ: მესამე კურსზე შესასწავლი საგნები უნდა აერჩიათ. ჰერმიონისთვის რომ გეკითხათ, ამაზე მნიშვნელოვანი ქვეყნად არაფერი იყო.

— ეს ჩვენს მომავალს შეცვლის, — უთხრა რონსა და ჰარის, როცა სიას ათვალეიერებდნენ და ახალ საგნებს ინიშნავდნენ.

— მე შხამ-წამლებზე ვიტყვი უარს, — გამოაცხადა ჰარიმ.

— მაგას ვერ იზამ, — დალონდა რონი, — ყველა ძველი საგანი სავალდებულოა, ასე რომ არ იყოს, ახლავე ამოვშლიდი ბნელი ძალებისგან თავდაცვას!

— ეგ ხომ უმნიშვნელოვანესი საგანია! — აღშოთოდა ჰერმიონი, — რასაც ლოკჰარტი გვასწავლის, ეს სულაც არ არის მნიშვნელოვანი! — ვალში არ დარჩა რონი, — მისგან არაფერი არ მისწავლია, თუმცა, ერთი რამ მაინც ვისწავლე — ფერიები გალიიდან არ უნდა გამოვუშვა!

ნევილ ლონგბოტომმა მთელი სანათესაოსგან უამრავი წერილი მიიღო, ყველა რაღაცას ურჩევდა. საწყალი ბიჭი მთლად დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა, სასონარკვეთილი იჭდა და ყველას ეკითხებოდა, არითმანტია უფრო ადვილი საგანია თუ რუნული დამწერლობაო.

დინ ტომასმა, რომელიც, ჰარისი არ იყოს, მაგლებთან გაიზარდა, ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრა: თვალები დახუჭა, ჯოხი დაატრიალა და ალალებდებე დაადო საგნების სიას. ჰერმიონს სხვისი აზრი არ აინტერესებდა, ადგა და ყველა საგანი მოითხოვა.

ჰარის მწარედ გაეცინა, როცა წარმოიდგინა, რა მოხდებოდა, ძია ვერნონისა და დეიდა პეტუნისთვის რომ ეკითხა რჩევა. თუმცა, მრჩეველის გარეშე მაინც არ დარჩენილა: პერსი უისლი სიამოვნებით უზიარებდა თავის გამოცდილებას:

— გააჩნია, რომელი სფერო გაინტერესებს, ჰარი! მომავალზე ფიქრი აქედანვე უნდა დაიწყო. მე მისნობას გირჩევ. მაგლთმცოდნეობაც არ არის ურიგო, მართალია, ბევრს ეს საგანი სასაცილოდ არ ჰყოფნის, მაგრამ, ჩემი აზრით, მაგლების ყოფა ზედმინევნით კარგად უნდა შევისწავლოთ, განსაკუთრებით, თუ მათთან მჭიდრო კავშირი გვექნება. მაგალითად, მამაჩემი სულ ამ სფეროში მოღვაწეობს. ჩემს ძმას, ჩარლის, ყოველთვის მოგზაურობები აინტერესებდა და ამიტომაც ჯაღოსნურ არსებათმცოდნეობა შეისწავლა. ასე რომ, კარგად დაფიქრდი და ისე გადაწყვიტე!

ჰარისთვის რომ გეკითხათ, ერთადერთი, რაც ეხერხებოდა, ქვიდიჩი იყო. ბოლოს კი იგივე საგნები აირჩია, რაც რონმა. იფიქრა, თუ რამე გამიჭირდა, ერთი მეგობარი მაინც შეყოლება გვერდით, ვინც დახმარებაზე უარს არ მეტყვისო.

ქვიდიჩის მომდევნო მატჩი გრიფინდორს ჰაფლეპაფთან უნდა გაემართა. ვუდის დაუჩინებელი მოთხოვნით, გრიფინდორელები ყოველ საღამოს ვარჯიშობდნენ. ასე რომ, ქვიდიჩისა და საშინაო დავალების გარდა, ჰარის დრო სხვა არაფრისთვის აღარ რჩებოდა. რაც მართალია, მართალია, თანდათან სულ უფრო ხალისიანად ვარჯიშობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მშრალი ამინდი ძალიან უწყობდათ ხელს.

მატჩის წინა საღამოს ჰარი ცოცხის შესანახად საძინებელში ავიდა. ვარჯიშით ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ხვდებოდა, რომ გრიფინდორს წელს თასის მოგების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა. მაგრამ კარგი განწყობა დიდხანს არ შეერჩენია. საძინებლის კართან შემოფოთებული ნევილ ლონგბოტომი დახვდა.

— ჰარი... არ ვიცი, ვინ ჩაიღინა, მაგრამ... ნახე, რა უქნიათ... დაფეთებულმა ნევილმა კარი გააღო.

ჰარის ჩემოდნიდან ყველაფერი ამოეყარათ. სანოლზე თეთრეული აეჩეჩათ და ტუმბოს უჯრაში რაც კი რამ იყო, ლეიბზე დაეხევავენიათ. დახეული მოსასხამი კი იატაკზე ეგდო.

ჰარიმ წიგნიდან ამოხეულ ფურცლებს გადააბიჯა და ნევილის დახმარებით ლოგინი გაასწორა. ამ დროს ოთახში რონი, დინი და სიმუსი შემოვიდნენ. დინმა ერთი გულიანად შეიკურთხა და ჰკითხა:

— რა მოხდა?

— აზრზე არა ვარ, — მიუგო ჰარიმ. რონმა ჰარის მანტიები შეამოწმა, ყველა ჯიბე გადმობრუნებული იყო.

— ვიღაცა რაღაცას ეძებდა, — დაასკვნა რონმა, — რაიმე ხომ არ დაგეკარგა?

ჰარი ნივთების ალაგებას შეუდგა. ყველაზე ბოლოს ლოკჰარტის ერთ-ერთი წიგნი ჩადო ჩემოდანში და მიხვდა, რაც, დაჰკარგვოდა.

— რიღლის დღიური გაქრა, — გადაუჩურჩულა რონს.

— რაა?!

ჰარიმ თავით გასასვლელისკენ ანიშნა და რონი დერეფანში გაიყვანა. სასწრაფოდ ჩავიდნენ ნახევრად დაცარიელებულ საერთო ოთახში, სადაც ჰერმიონი გატაცებით კითხულობდა წიგნს: „რუნული დამწერლობა დამწყებთათვის“.

— იცი რა, დღიური გრიფინდორელის მოპარულია... სხვებმა ხომ ჩვენი პაროლი არ იციან! — შეშფოთდა ჰერმიონი.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ჰარი.

* * *

მშენიერი დილა გათენდა. მზე თვალისმომჭრელად ანათებდა და გრილი სიო ქროდა.

— ქვიდიჩისთვის გადასარევი ამინდია! — გამოაცხადა ვედმა საუზმობისას და თანაგუნდელებს ერბოკვევრცხი დაუმატა, — აბა, შენ იცი, ჰარი, კარგად დანაყრდი!

ჰარი ყურადღებით ათვალთვრებდა გრიფინდორის მაგიდასთან მსხდომებს და ფიქრობდა, ნეტავ დღიური რომელმა მოიპარაო. ჰერმიონი უჩიჩინებდა, იჩივლე, რომ გაგქურდესო, მაგრამ ჰარის ეს აზრი ჭკუაში არ დაუჯდა. ქურდობა რომ გაემხილა, დღიურის თაობაზე რომელიმე მასწავლებლისთვის ყველაფერი უნდა მოეყოლა. არადა, ჰოგვორტსში ბევრმა არ იცოდა, რისთვის გარიცხეს ჰაგრიდი ორმოცდაათი წლის წინ. ამიტომ ამ ამბის გახმაურება არ უნდოდა.

როცა რონთან და ჰერმიონთან ერთად ქვიდიჩის მატჩისთვის მოსამზადებლად დიდი დარბაზიდან გავიდა, კიდევ ერთი სადარდებელი დაემატა. ის იყო, მარმარილოს კიბეზე ფეხი შედგა, რომ ისევ ის უცნაური ხმა შემოესმა:

„ახლა კი მოგკლავ... გაგვატრავ... დაგკლუე...“

ჰარიმ უცებ ისე შეჰყვირა, რონი და ჰერმიონი გვერდზე გახტნენ.

— ხმა! ისევ ის ხმაა! არ გესმით?

რონმა თავი გააქნია. ჰერმიონმა შუბლზე იტკიცა ხელი.

— ჰარი, მე მგონი, რაღაცას მივხვდი! ბიბლიოთეკაში უნდა წავიდე! — ჰერმიონი კისრისტეხით ავარდა კიბეზე.

— ნეტავ რას მიხვდა! — ჰარი თვალეებს აქეთ-იქით აცეცებდა, ცდილობდა, დაედგინა, ხმა საიდან მოდიოდა.

— ჰერმიონისა არ ვიცი და, მე ვერაფერს ვხვდები, — მხრები აიჩიჩა რონმა.

— კი მაგრამ, ბიბლიოთეკაში რა უნდა?

— რა გიკვირს? ეგ ხომ წარამარა ბიბლიოთეკაში დარბის!

ჰარი კარგა ხანს იდგა და ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. მხას გაფაციცებით აყურადებდა, მაგრამ ქვიდიჩის მატჩზე დასასწრებად მიმავალი ბავშვები ისეთი ღრიანცელით გამოცვივდნენ დიდი დარბაზიდან, აღარათფერი ესმოდა.

— მიდი, გაინძერი, — გამოათხიზლა რონმა, — თერთმეტი ხდება, მატჩი ხომ არ დაგავიწყდა?

ჰარი გრიფინდორის კოშკში ავარდა, „ნიმბუს-2000-ს“ ხელი დასტაცა და დანარჩენებთან ერთად მოედნისკენ გაიქცა, თუმცა, გონებით ისევ ციხე-კოშკში იყო და ის უცნაური ხმა თავიდან არ ამოსდიოდა. ერთადერთი, რაც ამშვიდებდა, ის იყო, რომ ყველანი ქვიდიჩის საყურებლად გამოსულიყვნენ მოედანზე.

მაყურებლებმა გუნდების გამოსვლისთანავე ტაში დასცხეს. ოლივერ ვუდმა გასახურებლად სვეტებს შემოუფრინა. მადამ ჰუნმა ბურთები აუშვა. ელვარე ყვითელ ფორმებში გამოწყობილი ჰათლეპათელები ბოლო ნუთამდე შეჯგუფებულები იდგნენ და ტაქტიკას არჩევდნენ.

ჰარი უკვე ცოცხზე ჯდებოდა, როცა პროფესორი მაკგონაგელი ალისფერი რუპორით ხელში მოედანზე გამოვარდა.

ჰარის გული შეუქანდა.

— მატჩი გადადებულია! — გადაჭედილი ტრიბუნების გასაგონად გამოაცხადა პროფესორმა. უკმაყოფილო მაყურებლებმა სტვენა და ღმუილი ატეხეს. დაბნეული ოლივერ ვუდი ძირს დაეშვა და ცოცხიდან ჩამოუსვლეულად მიიჭრა პროფესორთან.

— პროფესორო! აუცილებლად უნდა ვითამაშოთ... თასი... გრიფინდორი!

მაკგონაგელს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისევ რუპორში ჩაჰყვია:

— ახლავე ყველანი თქვენ-თქვენს ოთახებში დაბრუნდით. კლუბის მეთაურები ყველაფერს აგისნინან. უმორჩილესად გთხოვთ, ახლავე შესრულოთ ბრძანება! — პროფესორმა რუპორი დაუშვა და ჰარის მიუბრუნდა: — პოტერ, გამომყევით!

ჰარის გაუკვირდა, ნეტავ ამჯერად მაინც როგორ მიიტანეს ჩემზე ეჭვიო. ამასობაში რონი უკმაყოფილო ბრბოს გამოეყო და სირბილით დაედევნა ციხე-კოშკისკენ მიმავალ ჰარის. ბიჭების გასაკვირად, პროფესორმა მაკგონაგელმა რონს უთხრა:

— ჰო, ალბათ, შენც საჭირო იქნები, უისლი!

სტუდენტები მატჩის გადადების გამო ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ჰარი და რონი სკოლაში შევიდნენ და პროფესორ მაკგონაგელს მარმარილოს კიბეზე აჰყვნენ. ამჯერად ისინი არც ერთი მასწავლებლის კაბინეტში არ შეუყვანიათ.

— ვიცი, შოკში ჩაცვივდებით, — მაკგონაგელს უჩვეულოდ მოუღება ხმა, როცა საავადმყოფო ფლიგელს მიუახლოვდნენ, — კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა! ისევ ორს დაესხნენ თავს...

ჰარის მუცელი საშინლად ასტკივდა. პროფესორმა კარი გააღო და ყველანი ფლიგელში შევიდნენ.

მადამ პომფრი ერთ ხუჭუჭთმიან მესხეთეკურსელ გოგოს დასტრიალებდა თავს. ჰარიმ იცნო: ეს სწორედ ის რეივენქლოელი სტუდენტი იყო, სლიზგერინის საერთო ოთახის გზა რომ ჰკითხეს. მეორე სანოლზე კი... — ჰერმიონ! — ამოიგმინა რონმა.

ჰერმიონი გაუნძრევლად იწვა, თვალები დაჭყეტილი დარჩენოდა. — ბიბლიოთეკასთან ვიპოვეთ, — უთხრა პროფესორმა მაკგონაგელმა, — არა მგონია, იცოდეთ, ეს რისთვის უნდოდა. იქვე ეგდო, იატაკზე...

ქალმა ბიჭებს პატარა მრგვალი სარკე დაანახა.

ჰარიმ და რონმა თავი გააქნიეს და გაშტერებულები მიაჩერდნენ ჰერმიონს.

— გრიფინდორის კოშკამდე მე გაგაცილებთ! მაინც სტუდენტებს უნდა დაველაპარაკო!

* * *

— ყველა სტუდენტი ვალდებულია, საღამოს ექვსი საათისთვის კლუბის საერთო ოთახში დაბრუნდეს. ყველას გეკრძალებათ საძინებლებიდან გამოსვლა. მასწავლებლის გარეშე ტუალეტშიც არ გახვიდეთ. ქვიდიჩის ვარჯიშები და მატჩები გადაიდო. საღამოობით არც ერთი გაკვეთილი აღარ ჩატარდება! — გასუსული გრიფინდორელები ყურადღებით უსმენდნენ პროფესორ მაკგონაგელს. პროფესორმა შერგამენტი დაკეცა და შეწუხებულმა დასძინა: — ალბათ თქვენთვის გასაკვებია, რომ ძალიან შეშფოთებული ვარ. თუ დამნაშავეს ვერ ვიპოვით, სკოლას დახურავენ. უმორჩილესად გთხოვთ, თუკი რაიმე იცით, შეგვატყობინეთ.

პროფესორი პორტრეტის ხერხელში გაძვრა თუ არა, გრიფინდორელებმა მსჯელობა გააჩაღეს.

— ორ გრიფინდორელს დაესხნენ თავს, ჩვენი მოჩვენება რომ არ ჩავთვალოთ, კიდევ ერთ რეივენქლოელს და ერთ ჰაფლუპაფელს, ტყუპი უისლების მეგობარმა, ლი ჯორდანმა, თითებზე დაიწყო დათვლა, — ნუთუ მასწავლებლები ვერ ამჩნევენ, რომ სლიზგერინელებს თითს არავენ აკარებს? როგორ ვერ ხვდებიან, რომ ამ საქმის უკან სლიზგერინელები დგანან? სლიზგერინის მემკვიდრეო, სლიზგერინის მონსტრიო... უნდა ადგნენ და ყველა სლიზგერინელი გაყარონ სკოლიდან! — ამ სიტყვებზე აქა-იქ ტაშიც კი დასცხეს.

პერსი უისლი ისეთი გამომეტყველებით იჯდა ლი ჯორდანის უკან, რომ ეს აზრი ალბათ დიდად არ მოსწონდა.

— პერსი შოკშია, — გადაულაპარაკა ჯორჯმა ჰარის, — ის რეივენქლოელი გოგო, პენელოპე ქლიარუოტერი, პრეფექტია. პერსის ალბათ ეგონა, რომ მონსტრი პრეფექტზე თავდასხმას ვერ გაბედავდა.

ჯორჯის სიტყვები ჰარის თითქმის არ ესმოდა, თვალწინ სულ გაქვავებული პერმიონი ედგა. თანაც, დამნაშავეს თუ არ დაიჭერდნენ, ისევ დერსლებთან მოუნევედა ცხოვრება. ტომ რიდლმაც ხომ იმიტომ დააბეზდა ჰაგრიდი, რომ სკოლის დახურვის შემთხვევაში მაგლების უდედმამო ბავშვების თავშესაფარში მოუნევედა ცხოვრება. ჰარიმ კარგად იცოდა, რას განიცდიდა მამინ სანყალი ტომი.

— რა ვქნათ? — ნაუჩურჩულა რონმა ჰარის, — ვინმემ ჰაგრიდზე ხომ არ აიღო ეჭვი?

— ავდგეთ და დაველაპარაკოთ, — გადაწყვიტა ჰარიმ, — არ მჯერა, რომ ამჯერადაც ჰაგრიდმა მოაწყო ეს საქმე, მაგრამ ორმოცდაათი წლის წინ მონსტრი მართლა მაგან თუ გამოუშვა, ისიც ეცოდინება, საიღუმლო ოთახში როგორ შვეიდეთ, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს!

— კი მაგრამ, მაკვონაგელმა ხომ გვიბრძანა, კომკიდან არ გახვიდეთო...

— მე მგონი, დროა, ისევ მამაჩემის ძველი მოსასხამი გამოვიყენოთ, — გადაწყვიტა ჰარიმ.

* * *

ჰარის მამისგან მემკვიდრეობით მხოლოდ ერთი გრძელი, ვერცხლისფერი უჩინმაჩინის მოსასხამი ერგო. მისი წყალობით, ჰაგრიდის სანახავად ისე გაიპარებოდნენ სკოლიდან, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა. იმ საღამოს რონი და ჰარი ჩვეულებრივ დროს დანუნენ, კარგა ხანს ელოდნენ, სანამ ნევილს, დინსა და სიმუსს საიღუმლო ოთახზე ლაპარაკი არ მობეზრდათ და არ ჩაეძინათ; მერე ჩუმად ადგნენ, ტანთ ჩაიცვეს და უჩინმაჩინის მოსასხამი მოიხურეს.

ჩაბნელებულ და უკაცრიელ დერეფნებში სიარული სულაც არ იყო სასიამოვნო. ჰარის ადრეც ბევრჯერ უვლია ამ დერეფნებში ლამდამობით, მაგრამ ამჯერად უცნაური რაღაც ხდებოდა: მასწავლებლები, პრეფექტები და მოჩვენებები წყვილ-წყვილად დადიოდნენ და ყველა კუთხე-კუნჭულს აკვირდებოდნენ. უჩინმაჩინის მოსასხამის წყალობით, ბიჭები არ ჩანდნენ, მაგრამ ჩქამს მანაც გამოსცემდნენ. რონმა წაიბორძიკა და კინაღამ სადარაჯოდ მდგარ სნეიპს დაეჯახა. საბედნიეროდ, სწორედ იმ დროს, როცა რონმა ხმამაღლა შეიგინა, სნეიპმა დააცემინა და ბიჭები ბუნებზე გადარჩნენ.

როგორც იქნა, მთავარი შემოსასვლელის მუხის კარს მიადგნენ და შვებით ამოისუნთქეს.

ნათელი, ვარსკვლავიანი ღამე იდგა. ჰავრიდის განათებული ფანჯრებისკენ გაიქცნენ და მოსასხამი მაშინღა მოიხსნეს, როცა კარს მიუახლოვდნენ.

ნესიერად დაკაკუნებაც კი ვერ მოასწრეს, რომ ჰავრიდი ზღურბლზე გაჩნდა. დაბნეულს ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა. მის ზურგს უკან ფენგი ხმამაღლა ყეფდა.

— ოჰ, თქვენა ხართ? — იარალი დაუშვა ჰავრიდმა, — აქ რამ მოგიყვანათ?

— ეგ რად გინდა? — ჰარიმ იარალზე ანიშნა, როცა ოთახში შევიდნენ.

— ესაა? ეს ისე... — ჩაილულულა ჰავრიდმა, — სხვას ველოდი... კარგით, რა მნიშვნელობა აქვს... დასხედით, ჩაის მოგიტანთ...

აღღვებულ ჰავრიდს ჩაიდან ნყალი გადმოეღვარა და კინალამ ცეცხლი ჩაუქრა. გაბრაზებულმა ჩაიდანს მუშტი ჩასცხო.

— კარგადა ხარ, ჰავრიდ? — ჰკითხა ჰარიმ, — ჰერმიონის ამბავი გაიგე?

— გავიგე, როგორ არა, — მიუგო შეცბუნებულმა ჰავრიდმა, თან ფანჯარას თვალს არ აცილებდა. ბიჭებს აღუღებული ნყალი უზარმაზარ ფინჯნებში ჩაუსხა, მაგრამ შიგ ჩაის ჩაყრა დაავიწყდა. ის იყო, ხილის ნამცხვარი უნდა მიეწოდებინა, რომ კარზე ვილაყამ დააბრაახუნა.

ჰავრიდს ნამცხვარი ხელიდან გაუვარდა. ჰარიმ და რონმა ერთმანეთს გადახედეს, მერე სასწრაფოდ უჩინაჩინის მოსასხამი მოიხურეს და კუთხეში მიიყუყუნენ. ჰავრიდმა შეამონმა, კარგად იყვნენ თუ არა დამალულები, მშვილდს ხელი დაავლო და კარი გააღო.

— საღამო მშვიდობისა, ჰავრიდ! — ოთახში შეწუხებული დამბლდორი შემოვიდა და თან ერთი უცნაური შესახედაობის კაცი შემოიყვანა.

უცნობი ტანდაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო, აჩეჩილი ჭადარა თმა და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. თანაც, ძალიან უცნაურად ეცვა: ქინძისთავებით შეკრული ჰიჯაკი, ალისფერი ჰალსტუხი, გრძელი შავი მანტია და ნანვეტებული ლილისფერი ფეხსაცმელი. ილიაში ლიმონისფერი ქვაბურა ქედი ამოეჩარა.

— ეს მამაჩემის უფროსია! — ნაიჭურჩულა რონმა, — კორნელიუს ფაჯი, მაგიის მინისტრი!

ჰარიმ იდაყვი გაჰკრა, ხმა ჩაინყვიტეო.

ჰავრიდი გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და სტუმრებს მიაჩერდა.

— ცუდი ამბები ხდება, ჰაგრიდ! — წამოიწყო მინისტრმა, — ძალიან ცუდი! იძულებული გაგხდი, აქ მოვსულიყავი. ოთხი თავდასხმა მაგლური წარმოშობის სტუდენტებზე! ძალიან შორს შეტოპე, სამინისტრომ რაიმე უნდა იღონოს!

— თქვენ ხომ იცით, რომ მე არასოდეს... — ჰაგრიდმა საბრალობლად გადახედა დამბლდორს, — პროფესორო დამბლდორ, სერ, თქვენ ხომ იცით...

— მინდა, იცოდეთ, კორნელიუს, რომ ჰაგრიდს ყველაფერში ვენდობი, — შუბლი შეჭმუნა დამბლდორმა.

— მომსმინეთ, ალბუს, — შეცბუნდა ფაჯი, — ჰაგრიდის პირადი საქმე დაგავიწყდათ? სამინისტრომ რაღაც ზომები ხომ უნდა მიიღოს?! სკოლის მეურვეებმა შემაწუხეს!

— და მაინც, კორნელიუს, ჰაგრიდის წაყვანა არაფერს შეცვლის, დამბლდორს ცისფერი თვალები საოცრად უელავდა. ჰარის მისთვის ასეთი რამ ადრე არასოდეს შეუძნეოდა.

— აბა, ერთი წამით თქვენი თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინეთ, — ფაჯმა ქუდი აიქნია, — ხვდებით, რა ზეწოლას ვუძლებ?! მეც ხომ უნდა გავაკეთო რაღაც?! თუ ჰაგრიდი უდანაშაულო იქნება, უკანვე დაგიბრუნებთ! მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა წავიყვანო, იძულებული ვარ! ჩემი მოვალეობაა...

— წამიყვანოთ? — ხმა აუთრთოლდა ჰაგრიდს, — სად უნდა წამიყვანოთ?

— ცოტა ხნით დაგაკავებენ, — ფაჯმა ჰაგრიდს თვალი მოარიდა, — ეს სასჯელი არ არის, უბრალოდ, თავს ვიზღვევთ. თუ ვინმე სხვას დაიჭერენ, შენ აუცილებლად გამოგიშვებენ და, როგორც წესი და რიგია, ბოდიშს მოგიხდინან...

— აზკაბანში ხომ არ მიგყავართ? — ამოიგმინა ჰაგრიდმა.

სანამ ფაჯი რაიმეს უპასუხებდა, კარზე ისევ დააბრახუნეს.

დამბლდორმა ახალმოსული ოთახში შემოიპატიუა. ამჯერად რონმა გაჰკრა იდაყვი მეგობარს, რადგან ჰარიმ ხმამაღლა შეჰყვირა.

ჰაგრიდის ქოხში ბატონი ლუციუს მალფოი შემოვიდა. ტანთ გრძელი, შავი სამგზავრო მანტია ეცვა და სახეზე ცივი, კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. ფენგმა სტუმარს შეუღრინა.

— უკვე აქა ხართ, ფაჯ?! მომწონს, მომწონს, — შეაქო მალფოიმ.

— შენ აქ რა ჯანდაბა გინდა? — გაცოფდა ჰაგრიდი, — გაეთრიე ჩემი სახლიდან!

— ჩემო ძვირფასო, დამერწმუნე, სულაც არ მსიამოვნებს ამ შენს... „სახლში“ ყოფნა, თუ ამასაც სახლი ჰქვია, — მალფოიმ იქაურობა მოათვალიერა და ბოროტად

ჩაიცინა, — მე უბრალოდ სკოლაში მოვედი და მითხრეს, რომ დირექტორი აქ უნდა ყოფილიყო.

— რა საქმე გქონდათ ჩემთან, ლუციუს? — თავაზიანად ჰკითხა დამბლდორმა, თუმცა, ცისფერ თვალებში ისევ ის უცნაური ცეცხლი უგიზგიზებდა.

— ცუდი ამბავი მოგიტანეთ, დამბლდორ, — მალფოიმ აუღელვებლად გაშალა პერგამენტი, — მეურვეების აზრით, დროა, განზე გადგეთ! ეს თქვენი გადაყენების ბრძანებაა, თორმეტივე მეურვემ მოაწერა ხელი. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩვენი აზრით, სიტუაციას ვეღარ აკონტროლებთ. უკვე რამდენი თავდასხმა მოხდა? თუ არ ვცდები, ამ დღით — კიდევ ორი, არა? ასე თუ გაგრძელდა, მალე სკოლაში მაგლური წარმოშობის სტუდენტები აღარ დარჩებიან და ყველამ ვიცით, რომ ჰოგვორტსისთვის ეს დიდი დანაკლისი იქნება, — იცით რა, ლუციუს, — წამოენთო ფაჯი, — დამბლდორის გადაყენება... არა, არა! ახლა ეს არანაირად არ გვაძლევს ხელს...

— დირექტორის დანიშვნა და გადაყენება მეურვეების საქმეა, ფაჯ! — შეაწყვეტინა ბატონმა მალფოიმ, — და რადგანაც დამბლდორმა თავდასხმების შეჩერება ვერ მოახერხა...

— მომისმინეთ, ლუციუს! დამბლდორს არც შეეძლო მათი შეჩერება! — ფაჯს აღელვებისგან სახე დაეცვარა, — და საერთოდ, შეუძლია კი ვინმეს?

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია, — საძაგლად გაიღიმა მალფოიმ, მაგრამ ჩვენ, თორმეტივე მეურვემ, კენჭი ვუყარეთ...

ჰავრიდი გაცოფებული წამოხტა, თავი კინაღამ ჯერს აარტყა და მალფოის დაუღრიალა:

— ერთი მითხარი, როგორ დააშინე და მოისყიდე მეურვეები, ჰა?! —

— ერთი ამას უყურეთ! ჩემო ძვირფასო ჰავრიდ, თქვენი ფიცხი ხასიათი კარგს არაფერს მოგიტანთ! მე გირჩევთ, აზკაბანის მცველებს ასე არ უყვიროთ. დამიჯერეთ, არ მოეწონებათ!

— შეგიძლიათ, დამბლდორი გააძევეთ! — მთლად გამძვინვარდა ჰავრიდი, შეშინებული ფენგი საცოდავად აწკმუტუნდა, — კი ბატონო, წაიყვანეთ! მაგრამ მაშინ მაგლების შვილებს საშინელ დღეში ჩაყრით! ნახავთ, რამდენი მკვლელობა მოხდება!

— დანყნარდი, ჰავრიდ, — მკაცრად შეაწყვეტინა დამბლდორმა და მალფოის მიუბრუნდა: — თუ მეურვეებს ჩემი გადაყენება სურთ, ლუციუს, რასაკვირველია, დავემორჩილები.

— კი მაგრამ... — ენა დაება ფაჯს.

— არა! — დაიგრგვინა ჰავრიდმა.

დამბლდორი მალფოის ცივ, ნაცრისფერ თვალეებში მიაჩერდა და აუღელვებლად განაგრძო:

— ერთი სიტყვით, რადგან ჩემი მომხრე არავინ ყოფილა, სკოლიდან წავალ. მაგრამ იცოდეთ, ჰოგვორტსში ყველას დაეხმარებიან ვინც შველას ითხოვს.

ერთი წამით ჰარის მოეჩვენა, რომ დამბლდორმა მას და რონს გადმოხედა.

— ო, რა გულისხმიერი ბრძანდებით, — თავი დაუკრა მალფომი, — ყველას მოგვენატრება თქვენი... უაღრესად განსაკუთრებული მმართველობა, ალბუს! იმედი მაქვს, თქვენი მემკვიდრე მოახერხებს მკვლელელობების თავიდან აცილებას! — მალფოი მანჭვა-გრეხით გაუძღვა წინ დამბლდორს.

ფაჯმა ქუდი დაიხურა და ჰაგრიდის გასვლას დაელოდა, მაგრამ ჰაგრიდი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ღრმად ამოიოხრა და ჩუმად, მაგრამ გარკვევით ჩაილაპარაკა:

— თუ ვინმეს რაიმეს გარკვევა უნდა, უბრალოდ, ობობებს უნდა გაჰყვეს! ამით ყველაფერს გაარკვევს! მორჩა, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი!

ფაჯმა გაოცებით შეხედა.

— მოვდივარ, მოვდივარ, — ჰაგრიდმა სელაპის ტყავის ქურთუკი ჩაიცვა, მაგრამ, სანამ კარში გავიდოდა, კიდევ ერთხელ შეჩერდა და ხმამაღლა დაიძახა: — სანამ მე აქ არ ვიქნები, ფენგს ვინმემ საჭმელი უნდა აჭამოს!

კარი გაიხურეს თუ არა, რონმა უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო.

— ცუდადაა ჩვენი საქმე! დამბლდორი აღარა გეყავს! სკოლას ალბათ ახლავე დახურავენ! თანაც, უდამბლდოროდ რას გავხდებით? დღეში ალბათ თითო თავდასხმა მაინც მოხდება!

ფენგი საცოდავად აყმუვლდა და დაკეტილ კარს დაუნყოფხა.

თავი მეთხუთმეტე

არაგოგი

ჰოგვორტსში ზაფხული ნელ-ნელა მოიპარებოდა. ბეცამ და ტბამ ფირუზისფერი გადაიკრა, სათბურებში უზარმაზარი ყვავილები გაიფურჩქნა. მაგრამ, ჰარისთვის რომ გვეითხათ, ამ მშვენიერებას რაღაც აკლდა... რაღაც კი არა, ვიღაც: ბალში მოსიერიანე ჰაგრიდი თავის ერთგულ ფენგთან ერთად. ციხე-კომპის მშვენიერი შემოგარენი ჰარის სულაც არ ახალისებდა.

ჰარისა და რონს ძალიან უნდოდათ ჰერმიონის ნახვა, მაგრამ საავადმყოფო ფლიგელში შესვლა აკრძალული იყო.

— ვერაფრით ვერ შეგიშვებთ, — მკაცრად გამოსძახა კარის ღრიჭოდან მადამ პომფრემ ბიჭებს, — ძალიან ვწუხვარ! ყველაფერია მოსალოდნელი, ვინ იცის, თავდამსხმელი როლის დაბრუნდება და თავის საქმეს როლის მოათავებს...

დამბლდორის წასვლის შემდეგ ციხე-კოშკში შიშმა დაისადგურა. მგეც თითქოს მხოლოდ გარედან ათბობდა კედლებს და შიგნით ვეღარ აღწევდა. იშვიათად თუ ნახავდით სკოლაში ვინმეს, ვისაც სახეზე წუხილი და დაძაბულობა არ ეხატა; სიცილითაც იშვიათად თუ გაიციინებდა ვინმე.

ჰარის სულ დამბლდორის ბოლოსიტყვები უტრიალებდა თავში: „რადგან ჩემი მომხრე არავინ ყოფილა, სკოლიდან წავალ. მაგრამ იცოდეთ, ჰოგვორტსში ყველას დაეხმარებიან, ვინც შევლას ითხოვს“. რას ნიშნავდა ეს სიტყვები? ვისთვის უნდა ეთხოვათ ბავშვებს დახმარება, როცა ყველანი ერთნაირად დაბნეულები იყვნენ?

ჰაგრიდის მინიშნებას ჰარი უფრო ადვილად ჩასწვდა, მაგრამ დიდი ძების მიუხედავად სკოლაში ვერც ერთი თბობა ვეღარ იპოვა. რონი უხალისოდ, მაგრამ მაინც ეხმარებოდა. ბიჭები იმის გამოც წუხდნენ, რომ სკოლაში თავიანთ ნებაზე ხეტილის უფლება არ ჰქონდათ და იძულებულები იყვნენ, სხვა გრიფინდორელებთან ერთად ევლოთ. მათი კურსელების უმრავლესობას ძალიანაც მოსწონდა, რომ კლასიდან კლასში სტუდენტები მასწავლებლებს გადაჰყავდათ, მაგრამ ჰარის ეს უკვე ყელში ამოუვიდა.

თუმცა, სკოლაში იყო ერთი ადამიანი, რომელსაც ეს არეულობა ძალიან ახარებდა: დრაკო მალფოი ისე ამყადა დაიარებოდა, თითქოს ეს-ესაა, ჰედბოიდ დანიშნესო. ჰარი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, ასე რა ახარებდა. ერთხელაც, ჰაგრიდისა და დამბლდორის წასვლიდან ორი კვირის შემდეგ, შხამ-წამლების გაკვეთილზე, დრაკომ კრახსა და გოილს უთხრა:

— ყოველთვის მჯეროდა, რომ მამაჩემი დამბლდორს თავიდან მოიშორებდა, — სულ არ ადარდებდა, რომ ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა, — მისი აზრით, დამბლდორი ჰოგვორტსის ყველაზე ცუდი დირექტორია. იმედია, ახლა წესიერ დირექტორს დაგვინიშნავენ, ვინც საიდუმლო ოთახის დაკეტვას აღარ მოისურვებს! მაკონაგელს დიდხანს არ დატოვებენ ამ თანამდებობაზე...

სწევმა ჰარის გვერდით ისე ჩაუარა, რომ ჰერმიონის ცარიელი სკამისა და ქვაბისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— სერ, — დაუძახა მალფოიმ, — სერ, დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებას რატომ არ წერთ?

— აბა, გეყოს, მალფოი, — გაუჭაგრდა სწევი, თუმცა ღიმილი მაინც ვერ დაფარა, — პროფესორი დამბლდორი დროებით გადააყენეს. მგონი, ძალიან მალე დაგვიბრუნდება.

— მართალი ბრძანდებით, — ჩაიქირქილა მალფოიმი, — თუმცა, განცხადება რომ შეგეტანათ, მამაჩემი თქვენ დაგიჭერდათ მხარს. მე აუცილებლად ვეცევი, რომ თქვენ საუკეთესო მასწავლებელი ხართ!

უსაზღვროდ კმაყოფილმა სნეიპმა ისე ჩაუარა გვერდით სიმუს ფინიგანს, რომ ვერაფერი შეამჩნია. არადა, ფინიგანი ისე დაიჭყანა, ლამის გული აერია.

— ძალიან მიკვირს, მუქსისხლიანებმა აქამდე რატომ არ ჩაალაგეს ბარგი, — განაგრძო მალფოიმი, — ხუთ გალენონზე დაგენაძღვევებით, შემდეგს აუცილებლად მოკლავენ. სამწუხაროა, რომ ეს გრეინჯერი ვერ იქნება...

სწორედ იმწუთას ზარი დაირეკა, ყველანი წამოიშალნენ და არავის შეუმჩნევია, როგორ გაიწია რონმა მალფოის საცემად.

— გამიშვით! — ღრიალებდა რონი და ჰარისა და დინს ხელიდან უსხლტებოდა, — ფეხებზე მკიდია! ჯოხი არ მჭირდება, საკუთარი ხელით დავახრჩობ...

— აბა, სწრაფად! ჰერბოლოგიის გაკვეთილზე უნდა წავიყვანოთ, — გამოაცხადა სნეიპმა და ყველანი ჩამწკრივებულები გავიდნენ დერეფანში. რონი, ჰარი და დინი სულ ბოლოს მიდიოდნენ, რონი ისევ თავის დაძვრენას ცდილობდა. თუმცა, მეგობრებმა მხოლოდ მაშინ გაუშვეს ხელი, როცა სნეიპმა სტუდენტები ციხე-კოშკიდან გამოიყვანა. ყველანი ბოსტნის გავლით სათბურებისკენ გაემართნენ.

ჰერბოლოგიის გაკვეთილი უხალისოდ დაიწყო. ახლა უკვე ორი მოსწავლე აკლდათ: ჯასტინი და ჰერმიონი.

პროფესორმა სპრაუტმა სტუდენტებს აბისინიური ლელვის გასხვლა დაავალა. ჰარიმ გამხმარი ტოტები ნაგავსაყრელთან მიიტანა. ამ დროს ერნი მაკმილანი წაადგა თავზე.

— მინდოდა, შენთვის მეთქვა, ჰარი, რომ ბოდიშს გიხდი ჩემი ეჭვებისთვის. ვიცი, ჰერმიონ გრეინჯერს არაფერს დაუშავებდი. რაც გითხარი, ყველაფერისთვის ბოდიშს გიხდი. ახლა ყველანი ერთ ბედქვეშა ვართ... მოკლედ...

ჰარიმ ერნის გამონვდილი ხელი ჩამოართვა.

ერნი და მისი მეგობარი ანა იმავე ლელვის ხესთან მივიდნენ, რომელსაც ჰარი და რონი სხლავდნენ.

— დიდი საძაგელი ვინმეა ეგ დრაკო მალფოი, — ერნიმ ერთი გამხმარი ტოტი მოტეხა, — როგორც ჩანს, ეს არეულობა ძალიან მოსწონს! მე მგონი, ეგ უნდა იყოს სლიზერინის მემკვიდრე!

— რა ჯკვიანი ხარ, როგორ მიხვდი! — მოუჭრა რონმა, ხმაზე ეტყობოდა, ერნისთვის დანაშაული ვერ ეპატიებინა.

— ჰარი, შენ როგორ ფიქრობ, მალფოია? — ჰკითხა ერნიმ.

— არა! — ისე დაბეჭითებით უპასუხა ჰარიმ, რომ ერთი და ანა გაკვირვებულები მიაჩერდნენ.

ცოტა ხანში ჰარიმ ისეთი რალაც შეამჩნია, რომ რონს სასხლავი მაკრატელი მიართყა ხელზე.

— უჰ! რას შერები!

ჰარიმ იქვე ახლოს მოფუთფუთე ობობებზე ანიშნა.

— აჰ, ესენი?! — ვითომ გაუხარდა რონს, — კი მაგრამ, ახლა ხომ ვერ გავეყვებით! ერთიმ და ანამ ყურები დაცქვიტეს.

ჰარიმ გაქცეულ ობობებს გააყოლა თვალი.

— მე მგონი, აკრძალული ტყისკენ გარბიან...

რონს მთლად წაუხდა გუნება.

ჰერბოლოგია დამთავრდა და პროფესორმა სნეიპმა მოსწავლეები ბნელი ძაღვებისგან თავდაცვის გაკვეთილზე წაიყვანა. ჰარი და რონი ცოტათი ჩამორჩნენ დანარჩენებს, რომ მათი საუბარი არავის მოესმინა.

— ისევ უჩინმაჩინის მოსასხამი უნდა გამოვიყენოთ, — უთხრა ჰარიმ რონს, — ფენგიც თან წავიყვანოთ, ჰაგრიდთან ერთად ტყეში ხეტიალს მიჩვეულია, ვინ იცის, რაში გამოგვადგება!

რონმა თავისი ჯოხი აათამაშა.

— მართალი ხარ... მაგრამ ტყეში ხომ მაქციები ცხოვრობენ!

— კეთილი არსებებიც ცხოვრობენ, მაგალითად კენტავრები და ცალრქიანი ცხენები, — შეასხენა ჰარიმ.

რონი ადრე არასოდეს ყოფილა აკრძალულ ტყეში. ჰარი მხოლოდ ერთხელ იყო და მეორედ იქ შესვლა აღარ უნდოდა.

საკლასო ოთახში ლოკჰარტი შემოვიდა, ბავშვები გაოცებულები მიაშტერდნენ. ყველა მასწავლებელი მოღუშული დადიოდა, ის კი ძველებურად მხიარული იყო.

— კარგით, რა! რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით! — გაუღიმა ბავშვებს, მაგრამ მათ უხალისოდ გადახედეს ერთმანეთს.

— ვერ ხვდებით, რომ საფრთხე აღარ გემუქრებათ? — ლოკჰარტი ისე მარცვლავდა სიტყვებს, თითქოს მოსწავლეები გონებაჩლუნგები იყვნენ, — დამნაშავე დაჭერილია!

— ეგ ვინ მოგახსენათ? — დაინტერესდა დინ ტომასი.

— ჩემო ძვირფასო, მინისტრი ჰაგრიდს არ წაიყვანდა, ასი პროცენტით რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული, — ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს უხსნიდა, ორჯერ ორი ოთხი.

— ძალიანაც კარგად წაიყვანდა, — დინს ახლა რონი წაეშველა.

— მინდა გითხრა, მისტერ უისლი, რომ ჰაგრიდის დაპატიმრების დეტალები თქვენზე ცოტა უკეთ მომეხსენება, — კმაყოფილებით აღნიშნა ლოკჰარტმა.

რონმა დააპირა, ეთქვა, არაფერიც არ იცით ჩემზე უკეთესად, მაგრამ ჰარიმ ფეხი გაჰკრა და წასჩურჩულა:

— არ დაგავინცდეს, ჩვენ იქ არ ვყოფილვართ!

რონი კი გააფრთხილა, არ აჰყვეო, მაგრამ თვითონაც უდიდესი სურვილი ჰქონდა, ლოკჰარტისთვის სულელურ სახეში ეთხლიმა წიგნი, რადგან მისი მხიარული განწყობა და გაუთავებლად იმაზე მინიშნება, რომ ჰაგრიდის პატიოსნებაში ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა, ნერვებს უშლიდა. ამის სანაცვლოდ ესლა მოახერხა — რონს ფურცელზე დაუწერა: „ამაღამ მივდივართ!“.

რონმა ბარათი წაიკითხა, ნერწყვი გადაყლაპა, ჰერმიონის დაცარიელებულ სკამს გადახედა და ბოლოს, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

* * *

იმ დღეებში გრიფინდორის საერთო ოთახი სულ გადაჭედილი იყო, რადგან ექვსი საათის შემდეგ გრიფინდორელები ვერსად ვერ მიდიოდნენ. სალაპარაკოც ბევრი ჰქონდათ, ამიტომ საერთო ოთახი ნაშუალამევსლა ცარიელდებოდა. სადილის შემდეგ ჰარიმ უჩინაჩინის მოსასხამი ჩემოდნიდან ამოიღო და მთელი საღამო ელოდა, როდის დაცარიელდებოდა ოთახი. ფრედმა და ჯორჯმა ჰარისა და რონთან აფეთქებანას თამაში წამოიწყეს. ჰერმიონის სავარძელში მოწყენილი ჯინი იჯდა და თამაშს თვალს ადევნებდა. ჰარი და რონი განზრახ აგებდნენ, რომ თამაში ადრე დამთავრებულიყო, მაგრამ როცა ჯორჯი, ფრედი და ჯინი დასაძინებლად წავიდნენ, თორმეტ საათს კარგა ხნის გადაცილებული იყო. ჰარი და რონი დაელოდნენ, სანამ საძინებლებში ხმაური მიწყდებოდა, მერე უჩინაჩინის მოსასხამი მოიხურეს და სასწრაფოდ გადაძვრნენ პორტრეტის ხერხელში. მასწავლებლებისგან უჩუმრად ციხე-კოშკში გავლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მთავარ შესასვლელამდე მიაღწიეს, მუხის კარზე საკეტი გადასწიეს, ფრთხილად გააღეს, რომ არ ეჭრიალა და, როგორც იქნა, მთვარით განათებულ ეზოში გავიდნენ. — დარწმუნებული ვარ, ტყეში ვერაფერსაც ვერ ვიპოვით, — დაბეჭითებით თქვა რონმა, — ვინ იცის, იქნებ, ობობები ტყისკენ სულაც არ მიდიოდნენ! კი, მართალია, დაახლოებით ტყისკენ კი გაცოცდნენ, მაგრამ... — რონს ხმა ჩაუწყდა. ჰაგრიდის

ჩაბნელებულფანჯრებიანი სახლი გულისმომკვლელი სანახავი იყო... ჰარიმ კარი შეაღო თუ არა, ფენგი სიხარულით მიელაქეცა სტუმრებს და აყეფდა. ბიჭებს შეეშინდათ, ხმამალაი ყეფით ხალხი არ გაეღვიძებინა, ნუგა კანფეტი აჭამეს და ძალღს კბილები ერთმანეთზე მიეწება. ჰარიმ უჩინმაჩინის მოსასხამი ჰავრიდის მაგიდაზე დატოვა, დარწმუნებული იყო, ჩაბნელებულ ტყეში მანც არ დასჭირდებოდა. — წამო, ფენგ, გავისიერნოთ, — მოეფერა ძალღს. ფენგი სიხარულით გავარდა სახლიდან და პირველსავე ნეკერჩხალთან ფეხი ასწია. ჰარიმ ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და დაიჩურჩულა: — ლუმოს! ჯოხის წვერი ოდნავ განათდა. სუსტი სინათლე მხოლოდ იმისთვის ჰყოფნიდათ, რომ ბილიკზე ობობის ნაკვალევი გაერჩიათ.

— ყოჩაღ, კარგი რამე მოიფიქრე! — შეაქო რონმა, — მეც სიამოვნებით ავანთებდი ჩემს ჯოხს, მაგრამ, ხომ იცი, შეიძლება, ამიფეთქდეს ან... ჰარიმ რონს ბალახზე ანიშნა: ორი ობობა სინათლეს გაურბოდა და ხეების ჩრდილში მიმაღვას ცდილობდა.

რონმა ამოიოხრა და, თითქოს ყველაზე საშინელ დასასრულს ელოდებოდა, ისე ჩაილაპარაკა:

— მე მზად ვარ! წავიდეთ!

ტყეში შევიდნენ. ფენგი უკან მიჰყვებოდათ, თან ხის ძირებს ყნოსავდა. ჯადოსნური შუქით განათებულ ბილიკზე ობობებს კვალში მიჰყვებოდნენ. კარგა ხანს მიდიოდნენ ფოთლების შარიშურითა და ტოტების ტკაცუნით. მალე უღრან ტყეში შევიდნენ, უკვე ვარსკვლავებსაც ვეღარ ხედავდნენ, სრულ წყვდიაღში მხოლოდ ჰარის ჯადოსნური ჯოხი ციმციმებდა. უცებ ობობებმა ბილიკიდან გადაუხვიეს.

ჰარი შეჩერდა, რომ უკეთ დაენახა, საით წავიდნენ, მაგრამ წყვდიაღში ვერაფერს არჩედა. აკრძალულ ტყეში ასე ღრმად არასოდეს შესულა. კარგად ახსოვდა, როგორ გაათრთხილა ჰავრიდმა, აკრძალულ ტყეში ბილიკს არ გადაუხვიოო. მაგრამ ახლა ჰავრიდი ძალიან შორს იყო, ალბათ, აზკაბანის ერთ-ერთ საკანში იჭდა და თანაც, ხომ დაუბარა ბიჭებს, ობობებს გაჰყვითო.

უცებ ჰარის ხელზე რაღაც სველი შეეხო, დამფრთხალი ბიჭი უკან გახტა და რონს დაეჯახა... იმავე წამს მიხვდა, რომ ეს სველი რაღაცა ფენგის ცხვირი იყო.

— რას ფიქრობ? — სინათლისგან აციმციმებულ თვალეებში ჩახედა ჰარიმ რონს.

— რადგან აქამდე შემოვედით... — აღარ დაასრულა რონმა.

ასე რომ, ობობებს გაჰყვნენ, თუმცა ჩქარა სიარული სულ უფრო უჭირდათ, იქაურობა ხის ფესვებითა და მორებით იყო ჩახერგილი. ჰარი გრძნობდა ფენგის ცხელ სუნთქვას. ერთი-ორჯერ შეჩერდნენ კიდევ, ჰარი დაიხარა და თვალთახედვიდან გამქრალი ობობები მოძებნა.

თითქმის ნახევარ საათს შეუსვენებლივ იარეს, მანტიები ეკლებზე სულ დაეფხრინათ. ცოტა ხანში შეამჩნიეს, რომ დაღმართზე ჩადიოდნენ, თუმცა ხეების ტვერი არ შეთხელებულა.

უცებ ფენგმა ხმამაღლა დაიყვია. ბიჭებს გული გადაუქნდათ.

— რა ხდება? — რონი ჰარის მიეკრა.

— იქ რაღაც მოძრაობს! არ გესმის? რაღაც დიდი უნდა იყოს...

გაფაცვიცებით მიაყურადეს. მარჯვნიდან ის „რაღაც დიდი“ ტოტების მტვრევით მოიკვლევდა მათკენ გზას.

— ვაიმე, დედაა! — აბლაღვლა რონი.

— მოკეტე! ჩვენი ხმა არ გაიგოს! — გააჩუმა ჰარიმ.

— ჩვენი ხმაო! — უფრო ხმამაღლა აბლაღვლა რონი, — ფენგის ყეფა ხომ უკვე გაიგო!

თავზარდაცემულები იდგნენ და ელოდნენ. უცნაური ხმები შეწყდა.

— ნეტავ, რას აკეთებს? — ჩაიჩურჩულა ჰარიმ.

— ალბათ, თავდასხმისთვის ემზადება, — დაასკვნა რონმა.

ორივენი აკანკალებულები იდგნენ და ადგილიდან ვერ იძვროდნენ.

— ნეტავ, წავიდა? — იკითხა ჰარიმ.

— რა ვიცი...

უცებ, მარჯვნივ თვალისმომჭრელი სინათლე აელვარდა. ბიჭებმა თვალებზე ხელები აიფარეს. ფენგმა ერთი დაიყმუვლა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ეკლიან ბუჩქში გაიხლართა და უფრო სანწყლად აყმუვლდა.

— ჰარი! ჰარი! ჩვენი მანქანა ყოფილა! — გაიხარა რონმა.

— რაო?

— წავედით, დროზე!

ჰარი და რონი თავ-პირის მტვრევით გაცვივდნენ სინათლისკენ და ცოტა ხანში ტაფობზე გავიდნენ.

ბატონ უისლის მანქანა ხეებით გარშემორტყმულ და ხშირი ფოთლებით დაბურულ წრეში ცარიელი და ფარებანთებული იდგა. რონი წინ წავიდა, მანქანაც, თითქოს თავის პატრონს ვერ ცნობსო, ქშენით წამოვიდა მისკენ.

— მთელი ამდენი ხანი სულ ტყეში ყოფილა! — რონმა მანქანას შემოუარა, — ერთი შეხედე, როგორ გაველურებულა!

მანქანა ერთიანად დაკანრული და ტალახში ამოსვრილი იყო. ფენგს ეს უცნაური რაღაც სულაც არ მოსწონდა, ჰარის გვერდიდან არ შორდებოდა და ცახცახებდა. ჰარი ცოტა გამოერკვა და ჯოხი მანტიის ქვეშ ჩამალა.

— ჩვენ კიდევ გვეგონა, ვილაცა თავს გვესმოდა, — რონი მანქანას მოეფერა, — სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ, სად გაქრა-მეთქი!

ჰარიმ გაჩახახახებულ არემარეს გადახედა, იქნება ობობას ნაკვალევი ვიპოვო, მაგრამ დაშინებული ობობები უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყვნენ.

— კვალი დავკარგეთ! — შენუხდა ჰარი, — ნავიღეთ, მოვძებნოთ!

რონს არაფერი უთქვამს, არც კი განძრეულა. ჰარის ზურგს უკან რაღაცას დაფეთებული მისჩერებოდა.

ჰარიმ მიბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ რაღაცამ გაიტკაცუნა. უცებ წელზე რაღაც გრძელი და ბალნიანი მოეხვია, ჰაერში აიტაცა და თავდაყირა დაჰკიდა. თავზარდაცემული ჰარი გამეტებით იბრძოდა, ამასობაში რონიც ჰაერში აღმოჩნდა. აყმუვლებული ფენგი კი საღდაც ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

თავდაყირა დაკიდებულმა ჰარიმ დაინახა, რომ მისი დამატყვევებელი არსება ექვს წარმოუდგენლად გრძელ და ბალნიან ფეხზე იდგა, წინა ორი ფეხით კი მას იჭერდა. ჰარი გრძნობდა, რომ უკან კიდევ ერთი ისეთივე არსება მოსდევდათ, რომელსაც უეჭველად რონი ჩაეგდო ხელთ. უღრანი ტყის შუაგულისკენ მიიწვედნენ. ჰარის ესმოდა, როგორ გამწარებით წმუტუნებდა და ყმუოდა ფენგი... თვითონ ხმას ვერ იღებდა, შიშისაგან მთლად დამუნჯებულიყო.

საზარელმა არსებამ დიდხანს ატარა. ბოლოს ფოთლებით დაფარულ, მოფუთფუთე ობობებით სავსე ტაფობთან გაიყვანა. ვარსკვლავების შუქზე ჰარიმ ისეთი საშინელი რამ დაინახა, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდა.

პატარა ობობებს ვინ ჩივის, იქაურობა ცხენისოდენა, რვათვალა, რვაფეხა, შავი, უშველებელი ბალნიანი ობობებით იყო სავსე. ჰარის ობობა დაღმართს ჩაუყვია და ტაფობის შუაგულში, ნისლით დაფარული უზარმაზარი ქსელისკენ წავიდა. ბიჭის დანახვამე გახარებულმა ობობებმა მარწუხების ტკაცუნით შეკრეს წრე.

ობობამ საცეცები მოუშვა და ჰარი მიწას დაენარცხა, რონი და ფენგიც იქვე ჩამოყარეს. აკანკალებული ფენგი შიშით ყმუილსაც ვერ ბედავდა. რონი და ჰარი ერთ დღეში იყვნენ — ჰირი დაეღოთ, თითქოს, უხმოდ ყვიროდნენ და თვალეები გადმოცვენაზე ჰქონდათ.

ჰარი უცებ მიხვდა, „მისი“ ობობა რაღაცას ამბობდა, მაგრამ მარწუხებს ისე ატკაცუნებდა, რომ სიტყვები კარგად არ ისმოდა. ბოლოს ობობამ დაიყვირა:

— არავოგ! არავოგ!

ნისლით დაფარული ქსელიდან ნელა გამოვიდა პატარა სპილოსოდენა ობობა. შავ სხეულზე აქა-იქ ჭადარა გამოჩნდა და ჯავშნით დაფარულ თავზე თოვლივით თეთრი ბრმა თვალები უელავდა.

— რა ხდება? — ბრმა ობობამ ავის მომასწავებლად გაატკაცუნა მარწუხები.

— ადამიანები, — მიუგო ჰარის ობობამ.

— ჰაერილი ხომ არ არის? — არაგოვი ბიჭებს მიუხლოვდა და რვავე თვალი დააცუცა:

— უცხოები არიან, — მიუგო რონის ობობამ.

— დახოცეთ! — ბრძანა არაგოვმა, — რა გემრიელად მეძინა.

— ჩვენ ჰაერილის მეგობრები ვართ! — დაიყვინძა ჰარიმ, გული თითქოს მკერდიდან ამოუხტა და ყელში ბურთივით გაეჩხინა.

წრედ შეკრულმა ობობებმა მარწუხების ტკაცუნა ატეხეს.

არაგოვი შეეცოყმანდა.

— ჰაერილს ჩვენს ხეობაში ადამიანები არასოდეს გამოუგზავნია!

— ჰაერილი საფრთხეშია, — სწრაფად აუხსნა ჰარიმ, — ამიტომაც მოვედით აქ. :

— საფრთხეში? — შეწუხდა მოხუცი ობობა, — თქვენ რატომ გამოგზავნათ?

ჰარის თეხზე წამოდგომა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ, წავიქცეო. ასე რომ, მინაზე იჯდა და, რაც შეეძლო მშვიდად ლაპარაკობდა:

— სკოლაში ყველას ჰგონია, რომ ჰაერილმა რაღაც მიუქსია მოსწავლეებს, ამიტომ აზკაბანში წაიყვანეს.

არაგოვმა მრისხანედ გააჭრიალა მარწუხები, მთელი ხეობის ობობებიც ახმაურდნენ. ეს ხმა ტაშს უფრო ჰგავდა, მაგრამ ჩვეულებრივი ტაში ჰარის ასე არ ამინებდა.

— ეს ხომ დიდი ხნის წინ მოხდა! — წამოენთო არაგოვი, — ძალიან დიდი ხნის წინ! ძალიან კარგად მახსოვს. ამიტომაც გარიცხეს სკოლიდან. მათი აზრით, მე ვიყავი ის მონსტრა, რომელიც საიღუმლო ოთახში ცხოვრობს. ეგონათ, ჰაერილმა ოთახი გააღო და იქიდან გამომიშვა.

— თქვენ არ გამოსულხართ საიღუმლო ოთახიდან? — ჰკითხა ჰარიმ და იგრძნო, რომ ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე?! — გაბრაზდა არაგოვი, — მე ციხე-კოშკში არ დავბადებულვარ, ძალიან შორეული ქვეყნიდან ვარ. ერთმა მოგზაურმა ჩემი თავი ჰაერილს გადასცა, მაშინ ჯერ

კიდევ კვერცხში ვიყავი. ჰაერიდი პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ერთგულად მივლიდა, ჭურჭლის კარადაში მმაღავდა და სადილის ნარჩენებით მკვებავდა. ჰაერიდი ჩემი საუკეთესო მეგობარია, კარგი კაცია! როცა მიპოვეს და იმ გოგონას მკვლელობა დამაბრალებს, ჰაერიდმა დამიცვა. მას შემდეგ ამ ტყეში ვცხოვრობ და ჰაერიდიც ხშირად მესტუმრება ხოლმე. ჩემი ცოლი, მორგანიც ჰაერიდმა გამაცნო და ხომ ხედავთ, ახლა რამხელა ოჯახი მყავს...

ჰარიმ გამბედაობა მოიკრიბა.

— ესე იგი, თქვენ მართლა არასოდეს დასხმინართ თავს ადამი ანებს? — არასოდეს, — დაიხრიალა ბებერმა ობობამ, — სისხლში კი მაქვს, მაგრამ ჰაერიდის პატივისცემით ადამიანებს არაფერს ვერჩი. იმ მოკლეული გოგონას სხეული ტუალეტში იპოვეს, მე კი ციხე-კოშკში ჭურჭლის კარადაში ვიჯექი და იქიდან არასოდეს გამოვსულვარ. ჩვენ, ობობებს, სიბნელე და სიჩუმე გვიყვარს...

— ხომ არ იცით, ვინ მოკლა ის გოგონა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ის არსება დაბრუნდა და ხალხს თავს ესხმის...

ჰარის სიტყვა გაუნცდა, ობობები განრისხებულნი აშრიალდნენ და მარწხუხები აატკაცუნეს. უზარმაზარი შავი ფიგურები ბიჭს მიუახლოვდნენ.

— არსება, რომელიც ციხე-კოშკში ცხოვრობს, უსოვარ დროს დაიბადა და ობობებს მისი სახელის სხენებისაც კი ეშინიათ. კარგად მახსოვს, როგორ ვთხოვდი ჰაერიდს, კოშკიდან გავეფი, როცა სკოლაში მოხეტიალე მხეცის სუნი ვიგრძენი.

— როგორი მხეცია? — ჩაეძია ჰარი.

განრისხებული ობობები ახლა უფრო ხმამაღლა აშრიალდნენ, ატკაცუნდნენ და ბიჭს უფრო ახლოს მოუხობდნენ.

— ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ! — მოკლედ მოუჭრა არაგოგმა, მის სახელს არ ვახსენებთ. ჰაერიდიც მთხოვდა, მაგრამ არც მისთვის მითქვამს იმ საშინელი არსების სახელი!

ჰარი აღარ ჩაეძია, რადგან ობობები სულ უფრო ახლოს მოიწევდნენ. აღარც არაგოგს სურდა ლაპარაკი, ნელ-ნელა თავისი ქსელისკენ გაბობლდა, დანარჩენები კი ბიჭებს მოუახლოვდნენ.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ჩვენ წავალთ, — უიმედოდ მიაძახა ჰარიმ არაგოგს.

— წახვალთ?! არსადაც არ წახვალთ...

— კი მაგრამ...

— ჩემი შვილები, ჩემი ბრძანებისამებრ, ჰაერიდს არ ვერჩიან, მაგრამ ახლა, როცა ცოცხალი მსხვერპლი თავისი ნებით ჩაუვარდათ ხელში, უარს ნამდვილად ვერ ვეტყვი. მშვიდობით, ჰაერიდის მეგობარო!

ობობები ბიჭებს მარწუხების ჭრიალითა და თვალების ბრიალით მაღალ ზღუდესავით შემოერთყნენ გარს.

ჰარიმ ხელით ჯოხი მოსინჯა. იცოდა, რომ ერთი ჯადოსნური ჯოხით ამდენ ობობასთან ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ მაინც წამოდგა და საბრძოლველად მოემზადა... უცებ საყვირის ხმა გაისმა და ხეობა თვალისმომჭრელმა შექმა გაანათა.

ბატონ უისლის მანქანა ანთებული ფარებითა და აჭყვივლებული საყვირით გამეტებით მოქროდა და გზადაგზა უმონყალოდ ეჯახებოდა ობობებს. ობობები ზურგზე ცვიოდნენ და ფეხებს ასავსავებდნენ. მანქანამ ზუსტად ჰარისა და რონის გვერდით დაამუხრუჭა და კარებიც გაუღო.

— ფენგი არ დაგრჩეს! — შესძახა ჰარიმ და წინა სავარძელზე შეხტა. რონმა ანკმუტუნებულ ძაღლს ხელი დაავლო და მანქანაში შეავლო. რონი აქსელერატორს არც კი მიჰკარებია, მანქანა უმისოდაც მშვენივრად დაიქოქა და ადვილს მოსწყდა. გზადაგზა დამფრთხალ ობობებს თელავდა. აღმართი ელვის სისწრაფით აიარა, ხეობიდან გამოაღწია და უღრან ტყეში შევარდა. იქ უკვე კარგად ნაცნობ ბილიკს მიიკვლევდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ხეებს შორის ძალიან მოხერხებულად დაძვრებოდა.

ჰარიმ ცერად გახედა მეგობარს.

— როგორა ხარ?

რონი ხმას ვერ იღებდა.

ხეები თანდათან დადაბლდა, ფენგი გაბმულად ყმოდა. ერთ უზარმაზარ მუხას ბენგზე ასცდნენ და ტოტმა მხოლოდ ფანჯარა ჩაღწია. დაახლოებით ათწუთიანი ჯაყჯაყის შემდეგ ტყე შეთხელდა და ჰარიმ ცის ნაგლეჯები გაარჩია.

მანქანამ ისე მოულოდნელად დაამუხრუჭა, ბიჭები კინაღამ საქარე მინას შეასკდნენ. უკვე ტყის განაპირას გამოსულიყვნენ. ფენგი ანკმუტუნდა, გამწარებული მიასკდა ფანჯარას და როცა ჰარიმ კარი გაუღო, კუდამოძებულმა მოკურცხლა ჰაგრიდის ქობისკენ. ჰარი მანქანიდან გადმოვიდა. რამდენიმე წუთში რონმაც როგორღაც მოიკრიბა ძალა და ჯერ ისევ კისერგაშემებული და გაშტერებული გაჰყვა მეგობარს. სანამ მანქანა უკან დაიხევდა და ისევ ტყეში გაუჩინარდებოდა, ჰარიმ მაღლობის ნიშნად ხელი მოუთათუნა.

ჰარი უჩინმაჩინის მოსასხამის ასაღებად ჰაგრიდის ქობში შევიდა. ფენგი თავის საბანქვეშ შემძვრალიყო და კანკალებდა. ჰარი ისევ გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ რონს გული არეოდა და გოგრის ნარგავები გვარიანად მოერწყა.

— ობობებს გაჰყვივითო! — ძლივს ამოილულლულა რონმა და სახელოთი პირი მოინმინდა, — ჰაგრიდს ამას არ შევარჩენ! ბენგზე გადავრჩით!

— ალბათ, არ ეგონა, რომ არაგოვი მის მეგობრებს რაიმეს დაუშავებდა, — გამოეცხობა ჰავრიდს ჰარი.

— აი, სწორედ ეგაა მისი უბედურება! — რონმა ქობის კედელს მუშტი დასცხო, — ყოველთვის ჰგონია, რომ მონსტრები უწყინარი არსებები არიან! ჰოდა, იჯდეს ახლა აზკაბანში! რატომ გავგაზავენა არაგოვთან? იქნებ მითხრა, რა გავარკვეით? — რონი ერთიანად კანკალედა — ის, რომ ჰავრიდს საიღუმლო ოთახი არ გაუღია, ჰავრიდი უდანაშაულოა! — ჰარიმ რონს უჩინმაჩინის მოსასხამი გადააფარა და ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო.

ციხე-კომპს რომ მიუახლოვდნენ, ჰარიმ შეამონმა, ფეხები ხომ არ გვიჩანსო, მოსასხამი გაისწორა და ჭრიალა კარი შეაღო. უჩუმრად გაიარეს მთავარი შესასვლელი და მარმარილოს კიბეს აუყვნენ. იქ, სადაც დაარაჯებს ხვდებოდნენ, სუნთქვასაც კი იკავებდნენ. როგორც იქნა, თავი სამშვიდობოს დაიგულებს, გრიფინდორის საერთო ოთახში შევიდნენ, მოსასხამი მოიხსნეს და ხვეულ კიბეს საძინებლისკენ აუყვნენ.

რონს თავიც არ შეუწუხებია, რომ ტანსაცმელი გაეხადა, ისე გაიშლართა ლოგინზე. ჰარის სულაც არ ეძინებოდა, სანოლის კიდემე იჯდა და არაგოვის ნაამბობზე ფიქრობდა.

გამოირკვა, რომ ციხე-კომპში ისეთი საშინელი მონსტრი დაძრწოდა, მისი სახელის ხსენებას, ვოლდემორისა არ იყო, სხვა მონსტრებიც კი ერიდებოდნენ. ჰარიმ და რონმა ისიც კი ვერ გაიგეს, როგორ ახერხებდა მონსტრი მსხვერპლის გაქვავებას. უფრო მეტიც, თავად ჰავრიდმაც არ იცოდა, რა იმალებოდა საიღუმლო ოთახში. ჰარიმ ფეხი მოირთხა, ბალიშს მიეყრდნო და მთვარის შუქით განათებულ ფანჯარას მიაჩერდა. აღარ იცოდა, რა ექნა, გამოსავალს ვერ ხედავდა. რიდლი შეცდა, სლიზერინის მემკვიდრემ თავი ადვილად დაიძვრინა და არც არავინ იცოდა, სინამდვილეში ვინ გააღო საიღუმლო ოთახი. უბედურება ის იყო, რომ ვერც ვერავის ჰკითხავდნენ.

ჰარი წამონვა, თავში ისევ არაგოვის სიტყვები უტრიალებდა. ის იყო, ჩასთვლიმა კიდევ, რომ იმედის უკანასკნელმა ნაპერწკალმა გაუელვა თავში, მაშინვე გამოფხიზლდა, წამოხტა და რონს ჩუმად დაუძახა.

რონი ფენგივით აყმუვლდა, სიბნელეში თვალები დააცეცა და სანოლზე წამომჯდარი ჰარი დაინახა.

— რონ, მოკლული გოგო! არაგოგმა ხომ გვითხრა, საპირფარეშოში იპოვესო! — ჰარი ნევილის ხმამაღალ ხვრინვას ყურადღებას არ აქცევდა, — იქნებ არც არასოდეს გამოსულა საპირფარეშოდან და ისევ იქაა?

რონმა თვალები მოიფშვინა და დაიჯღანა, მერე უცებ მიხვდა:

— რაო? მტირალა მირტლი? ოღონდ ეგ არა!

თავი მეთექვსმეტე

საიდუმლო ოთახი

მეორე დილით, საუზმობისას, რონმა ჰარის გადაულაპარაკა:

— რამდენჯერ ვიყავით იმ საპირფარეშოში, მირტლიც ყოველთვის იქ იყო... გვეკითხა მაინც...

ობობების პოვნა ხომ ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ მასწავლებლებისგან მალულად გოგოების ტუალეტში შეპარვა კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა. ეს ტუალეტი ხომ პირველი თავდასხმის ადგილიდან ორ ნაბიჯზე იყო.

ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე ისეთი რაღაც მოხდა, რომ საიდუმლო ოთახი ყველას გადაავიწყდა. გაკვეთილი ათი წუთის დანწყებული იყო, როცა პროფესორმა მაკგონაგელმა გამოაცხადა: ერთ კვირაში, 1 ივნისს, გამოცდები დაგეწყებათო.

— გამოცდებიო?! — ამოვიმინა სიმუს ფინიგანმა, — გამოცდები მაინც გვექნება?

ჰარიმ ზურგს უკან ბრაგუნი გაიგონა, ნევილ ლონგბოტომს ჯოხი დავარდნოდა და შემთხვევით მერხისთვის ერთი ფეხი გაექრო. პროფესორმა მაკგონაგელმა თავისი ჯოხის მსუბუქი აქნევით გამოასწორა ნევილის მარცხი და მოღუშული მიუბრუნდა სიმუსს:

— სკოლას მხოლოდ იმიტომ აღარ ხურავენ, რომ თქვენ განათლება მიიღოთ. გამოცდები ჩვეულებრივად ჩავიტარდებათ. იმედია, ყველანი კარგად ემზადებით.

— კარგად ემზადებითო! — ჰარი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ასეთ არეულობაში გამოცდები მაინც ჩაუტარდებოდათ. კლასი უკმაყოფილოდ აზუზუნდა, რის გამოც პროფესორმა მაკგონაგელმა კიდევ უფრო მკაცრად გამოაცხადა:

— პროფესორმა დამბლდორმა დამიბარა, სკოლა ჩვეულებრივად მემართა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დიდი სურვილი მაქვს, გავარკვიო, წელს რა ისწავლეთ!

ჰარიმ მერხზე დასკუპებულ თეთრ ბაჭიებს დახედა. ეს ბაჭიები ჩუსტებად უნდა გადაეცქია. უყურებდა და ფიქრობდა, ნეტავ წელს რა ვისწავლეო? დიდხანს იხსენებდა, მაგრამ ისეთი ვერაფერი გაიხსენა, რაც გამოცდებზე დაეხმარებოდა.

რონს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს აკრძალულ ტყემი ცხოვრება მიუსაჯესო.

— ერთი მითხარი, ამით გამოცდები როგორ უნდა ჩავაბარო? ჰკითხა რონს და თავისი ჯადოსნური ჯოხი დაანახა, რომელიც ახლა რატომღაც ხმამაღლა უსტვენდა.

* * *

პირველ გამოცდამდე სამი დღით ადრე პროფესორმა მაკკონაგელმა საუზმობისას კიდევ ერთი განცხადება გააკეთა:

— კარგი ამბავი მაქვს!

იმის ნაცვლად, რომ გაჩუმებულიყვნენ, ყველანი ახმაურდნენ.

— დამბლდორი ბრუნდება! — სიხარულით შეჰყვირა რამდენიმე ბავშვმა.

— სლიზერინის მემკვიდრე დაუჭვრიათ! — დაიძახა რეივენქლოელმა გოგონამ.

— ქვიდიჩის მატჩები განახლდება! — დაიღრიალა გახარებულმა ვედმა.

როცა აურზაური მიწყდა, პროფესორმა მაკკონაგელმა განავრძო:

— პროფესორმა სპრაუტმა მაცნობა, რომ მანდრაგორები როგორც იქნა, დამნიფდა. ამ საღამოს გაქვავებულ ხალხს გამოვაცოცხლებთ, და იმედი მაქვს, ერთ-ერთი მათგანი მაინც გვეტყვის, ვინ ან რა დაესხა თავს. ვიმედოვნებ, ამ საშინელი წლის ბოლოს დამნაშავეს დავიჭვრთ.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ჰარიმ სლიზერინის მაგიდას გადახედა და სულაც არ გაჰკვირვებია, რომ დრაკო მალფოი საერთო აღფრთოვანებას არ იზიარებდა. სამაგიეროდ, რონი ახლა გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს:

— უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, მირტლს რაიმეს ვკითხავთ, თუ არა. ჰერმიონი ალბათ ყველაფერს გვეტყვის, როცა გაიღვიძებს. აი, ნახავ, გაგიჟდება, როცა გაიგებს, რომ სამ დღეში გამოცდა გვაქვს, გადამეორებას ხომ ვერ მოასწრებს! მე თუ მკითხავ, კარგი იქნება, გამოცდების დამთავრებამდე გაშეშებული დავტოვოთ.

ამ დროს ჯინი უისლი რონის გვერდით ჩამოჯდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ გოგონა ნერვიულობისგან თითებს იმტვრევდა.

— რა გჭირს? — ჰკითხა რონმა და ფაფა დაიმატა.

ჯინის არათფერი უთქვამს, დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ჰარის ეს გამომეტყველება ვიდასას აგონებდა, თუმცა ვერ ხვდებოდა — ვის.

— ჰე, ამოღერდე! — შეუღრინა რონმა.

ჰარის უცებ გაახსენდა, ვის აგონებდა ჯინი: გოგონა წინ და უკან სწორედ ისე ირწეოდა, როგორც დობი, როცა საიღუმლოს გამხელას აპირებდა.

— რაღაც უნდა გითხრათ, — ჩაიბუტბუტა ჯინიმ და ჰარის თვალი აარიდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ჰარიმ.

ჯინი საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა.

— იტყვი თუ არა, ბოლოს და ბოლოს! — გაბრაზდა რონი.

ჯინიმ პირი გააღო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ჰარი წინ გადაიხარა და ჩუმად ჰკითხა:

— საიდუმლო ოთახზე ხომ არ იცი რამე? რამე ხომ არ გინახავს? იქნებ ვინმე უცნაურად იქცეოდა?

ჯინიმ ღრმად შეისუნთქა და სწორედ ამ დროს მათთან პერსი უისლი მივიდა.

— ჯინი, ჭამას თუ მორჩი, შენს ადგილას დამსვი! ვკვდები, ისე მშია, ახლადა გავთავისუფლდი მორიგეობიდან.

ჯინი ისე წამოხტა, თითქოს სკამში დენი ჩაურთესო, პერსის შემინებულმა შეხედა და უკანმოუხედავად მოკურცხლა. პერსი დაჯდა და ფინჯანი გადმოიდგა.

— პერსი! რატომ გააქციე? ჩვენთვის მნიშვნელოვანი რაღაც უნდა ეთქვა! — გაუბრაზდა რონი.

პერსის ჩაი გადასცდა და ხველა აუტყდა.

— რა უნდა ეთქვა?

— უბრალოდ, ვკითხე, რაიმე უცნაური ხომ არ გინახავს-მეთქი და მოყოლა დაინწყო...

— ოჰ, ამას... ამას... საიდუმლო ოთახთან საერთო არაფერი აქვს, — შეაწყვეტინა პერსიმ.

— შენ საიდან იცი! — წარბები აზიდა რონმა.

— იცით, ისა... ჯინი... შემთხვევით შემეჩეხა იმ დღეს, როცა მე... თუმცა, არაფერი... საქმე ისაა, რომ დამინახა, როცა რაღაცას ვაკეთებდი და მე... ისა... მოკლედ, ვთხოვე, არავის არ უთხრა-მეთქი. იმედია, პირობას შეასრულებს. თუმცა, დიდი არაფერია, მე, უბრალოდ...

ჰარის არასოდეს ენახა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი პერსი.

— რაო, რას აკეთებდი, პერსი? — გაიღიმა რონმა, — მიდი, მიდი, გვითხარი! არ დაგცინებთ!

მაგრამ პერსის სულაც არ ეხალისებოდა ამაზე ლაპარაკი.

— ერთი ეგ ფუნთუშები მომანოდე, ჰარი, შიმშილით ვკვდები.

* * *

ჰარიმ იცოდა, რომ მალე საიდუმლოს ფარდა მათი დახმარების გარეშე აეხდებოდა, მაგრამ მტირალა მირტლთან დალაპარაკებაზე მინც არ იტყოდა უარს. ჰოდა, შუადღისას, როცა ვილდერი ლოკჰარტს მოსწავლეები მაგიის ისტორიის გაკვეთილზე მიჰყავდა, ამის შესაძლებლობა მიეცა კიდევ.

ლოკჰარტი ყოველთვის დაბეჭითით ამტკიცებდა, არანაირი საფრთხე არ გვემუქრებაო, -და ღრმად იყო დარწმუნებული, თავს სულ ტყუილად ვინუხებთ, მოსწავლეებს დერეფნებში რომ დავყვებითო. ლოკჰარტი ჩვეულებისამებრ ვეღარ ბრწყინავდა, მთელ ღამეს მეოთხე სართულზე მორიგეობდა და თმის მოწესრიგებას კი ვერ მოესწრო.

— დამახსოვრეთ ჩემი სიტყვები, — დერეფანში მიუძლოდა ლოკჰარტი ბავშვებს, — როცა ის სანყალი გაქვავებული ხალხი გონს მოვა, იმწამსვე გვეტყვიან, რომ დამნაშავე ჰაგრიდია. სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ, პროფესორი მაკგონაგელი რატომ ითხოვს უსაფრთხოების ზომების დაცვას.

— გეთანხმებით, სერ, — მხარი აუბა ჰარიმ. რონს გაოცებისგან წიგნები ხელიდან გაუცვივდა.

— გმადლობ, ჰარი, — გაიბადრა ლოკჰარტი.

გრიფინდორელები ჰაფლეპაფელების უკან იდგნენ და დერეფანში გასასვლელად თავიანთ რიგს ელოდნენ.

— ჩვენ, მასწავლებლებს, ისედაც ბევრი საქმე გვაქვს, — განაგრძო ლოკჰარტმა, — რა საჭიროა სტუდენტების გაცილება და მთელი ღამე დარაჯად დგომა?

— მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა გონსმოსულმა რონმა, — სერ, იქნებ დავტოვოთ, ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი დერეფანი დავგრჩა გასასვლელი.

— მართალი ხარ, უისლი! დავტოვებთ, წავალ, შემდეგი გაკვეთილისთვის მოვემზადები, — თქვა და მაშინვე გაუჩინარდა.

— „გაკვეთილისთვის მოვემზადები“, — გამოაჯავრა რონმა, ალბათ, თმის დასახვევად წაბრძანდა!

ჰარი და რონი კლასელებს ჩამორჩნენ, სხვა დერეფანში გადაუხვიეს და მტირალა მირტლის საპირფარეშოსკენ გაიქცნენ. ის იყო, გახარებულებმა ერთმანეთს მიულოცეს, რა ჭკვიანურად მოვიქცითო, რომ...

— პოტერ! უისლი! აქ რას აკეთებთ? — თავს ტუჩებმოკუმული პროფესორი მაკგონაგელი დაადგათ.

— ჩვენ... ჩვენ... — ენა დაება რონს, — ჩვენ...

— ჰერმიონთან მივდიოდით, — მიეშველა ჰარი. პროფესორი და რონი გაოცებულები მიაჩერდნენ.

— რამდენი ხანია, არ გვინახავს, პროფესორო, — სწრაფად განაგრძო ჰარიმ და რონს ფეხი დააბიჯა, — ვითქვით, საავადმყოფო ფლიგელში შევიპარებით დაისა... ჰერმიონს ვეტყვით, მანდრაგორები უკვე თითქმის დამნიფდა და ნუ ინერვიულებო...

პროფესორი მაკგონაგელი ბიჭებს თვალს არ აშორებდა, ჰარიმ გაითქრა, სადაცაა, აფეთქდებაო, მაგრამ მისდა გასაკვირად, პროფესორს გული აუჩუყდა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— ძალიან კარგად მესმის... მეგობრებისთვის, ალბათ, აუტანელი იყო მთელი ეს დრო... მესმის, მესმის! პოტერ, შეგიძლიათ, ინახულოთ მის გრეინჯერი. პროფესორ ბინსს მე ვეტყვი, სადაც ხართ. მაღამ პომფრის გადაეცით, რომ ჩემგან ნებართვა მიიღეთ.

ჰარი და რონი ღერეფანს გაუყვნენ, არც კი სჯეროდათ, რომ ასე ადვილად დაიძვრინეს თავი. ის კი არა, ცხადად გაიგონეს, როგორ იხოცავდა აქვითინებული პროფესორი ცხვირს.

— ყოჩაღ! მაგარი რამე მოიფიქრე! — შეაქო რონმა.

სხვა გზა არ ჰქონდათ, საავადმყოფო ფლიგელში ავიდნენ და მაღამ პომფრის უთხრეს, პროფესორმა მაკგონაგელმა ჰერმიონის ნახვის უფლება მოგვცაო.

მაღამ პომფრის ეს ღიღად არ გახარებია, მაგრამ ბიჭები მაინც შეუშვა და თან გაათრთხილა:

— რომ იცოდეთ, გაქვავებულ ადამიანთან საუბარს აზრი არა აქვს!

ჰერმიონის სანოლთან ჩამომსხდარი ბიჭები მიხვდნენ, რომ მაღამ პომფრი მართალი იყო. ჰერმიონმა ისევე ვერ გაიგო სტუმრების მისვლა, როგორც, მაგალითად, იქვე მდგარმა კარადამ.

— ნეტავ, თავდამსხმელი თუ დაინახა? — რონმა ნაღვლიანად შეხედა ჰერმიონის გაქვავებულ სახეს, — თუ ის ვიღაცა ყველას უკნიდან მიეპარა, მაშინ სიმართლეს ვერასოდეს გავიგებთ.

ჰარი ჰერმიონის სახეს კი არა, მარჯვენა ხელს მისჩერებოდა. მერე უფრო ახლოს მიუჩოჩდა და დაინახა, რომ ჰერმიონს მუჭში ქალაღლის ნაგლეჯი ჩაებლუჯა. ჰარიმ იცოდა, მაღამ პომფრის ვერაფერს გამოაპარებდა, ამიტომ რონს უსიტყვოდ ანიშნა, მომეფარეო.

— შეეცადე, ამოაცალო, — უჩურჩულა რონმა და სკამი ისე დაიდგა, რომ მაღამ პომფრის ჰარი ვერ დაენახა.

ჰერმიონს ისე მაგრად ჩაებლუჯა ქალადლი, ჰარიმ იფიქრა, ძალით თუ გამოვგლეჯ, უთუოდ, დავხევეო. ბოლოს დიდი ტანჯვა-წვალებით მაინც მოახერხა ქალადლის ნაგლეჯის ხელში ჩაგდება.

ეს იყო ბიბლიოთეკის ძალიან ძველი წიგნის ერთი გვერდი. ჰარიმ დაჭმუჭნილი ქალადლი გაასწორა და სწრაფად ჩაიკითხა:

„ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულ საზარელ მხეცთა და მონსტრთა შორის უსაშინლესია ბასილისკო, რომელსაც სხვაგვარად „გველთა მეუფესაც“ უწოდებენ. უზარმაზარი გველის ეს სახეობა მრავალ ასეულ წელს ცოცხლობს და ჩვეულებრივი ქათმის კვერცხიდან იჩეკება გომბემოს დახმარებით. მას შხამიანი ეშვების გარდა, აქვს მომპკვდინებელი მზერა. ნებისმიერი ცოცხალი არსება, რომელსაც ბასილისკო თვალებში ჩახედავს, იმწამსვე საშინელი რადგან მონსტრი მათი მოსისხლე მტერია. თავად ბასილისკოს კი სიკვდილივით ეშინია მამლის ყვილისა“.

ფურცელზე ნაჩქარევად მიეჯღაბნათ ერთადერთი სიტყვა: „მიღები“. ჰარიმ ჰერმიონის ხელწერა იცნო და უცებ გონება გაუნათდა.

— რონ! ყველაფერს მივხვდი! საიდუმლო ოთახის მონსტრი ბასილისკოა — უზარმაზარი გველი! ამიტომაც მხოლოდ მე მესმოდა მისი ხმა და სხვას არავის. მე ხომ პარსული მესმის... ბასილისკო ადამიანებს შეხედვით კლაავს, მაგრამ ამჯერად არავინ მომპკვდარა, რადგან მისთვის თვალებში პირდაპირ არავის შეუხედავს: კოლინმა ფოტოაპარატიდან დაინახა, ასე რომ, ფირი დაინვა, მაგრამ კოლინი არ მომპკვდარა... ჯასტინი... ჯასტინს, ეტყობა თითქმის უთავო ნიკი ეფარებოდა! მაგრამ თავად ნიკი ხომ ისედაც მკვდარია და ხელახლა როგორ მოკვდებოდა?! ჰერმიონსა და რეივენქლოელ პრეფექტს კი სარკე უპოვეს... როგორც ჩანს, ჰერმიონი მიხვდა, რომ მონსტრი ბასილისკო იყო. დარწმუნებული ვარ, პირველივე შემხვედრი გაათრთხილა, კუთხეებში სარკით გაეხედათ! ალბათ, იმ გოგომ სარკე გამოართვა და...

რონი განცვიფრებული მიაჩერდა:

— კი მაგრამ, მისის ნორისი?

ჰარი ჩაფიქრდა. შეეცადა, ჰელოუინის ღამე გაეხსენებინა.

— წყალი! მტირალა მირტლმა ხომ იმ საღამოს მთელი ღერეფანი დატბორა. დარწმუნებული ვარ, მისის ნორისმა მხოლოდ ანარეკლი დაინახა... — ჰარიმ კიდევ ერთხელ გადაიკითხა ფურცელი, ახლა უკეთ ესმოდა ყველაფერი, — „თავად ბასილისკოს კი სიკვდილივით ეშინია მამლის ყვილისა“.

— ხომ გახსოვს, ჰავრიდის მამლებს რომ ვიდაც ხოცავდა! სლიზგერინის მემკვიდრემ საიდუმლო ოთახი გააღო და მამლებს თავიდან იშორებდა. თანაც, ნახე, რა წერია: „გველს ყველაზე მეტად ობობები უფრთხიან!“, ყველაფერი ემთხვევა!

— კი მაგრამ, ამხელა გველი შეუმჩნევლად როგორ დასრიალებს? — დაეჭვდა რონი.

ჰარიმ ფურცლის ბოლოში ჰერმიონის მიერ მინერილ სიტყვაზე ანიშნა, — მილები! რონ, მილები! საკანალიზაციო მილებში დაძვრება, ამიტომ მესმოდა ხმა კედლებიდან...

რონი უცებ რაღაცას მიხვდა და ჰარის ხელი ჩაავლო.

— საიდუმლო ოთახის შესასვლელი საპირფარეშოში იქნება.

— მტირალა მირტლის საპირფარეშოში! — მიუხვდა ჰარი, — ესე იგი, მე ერთადერთი პარსელი არა ვარ ამ სკოლაში, არის კიდევ ვიღაც, ვისაც გველი ემორჩილება.

— რა ვქნათ? — თვალეები აუელვარდა რონს, — მაკონაგელთან წავიდეთ?

— სამასწავლებლოში გავიქცეთ, — წამოხტა ჰარი, — ათ წუთში ზარი დაირეკება და იქ მოვა.

კიბე სწრაფად ჩაირბინეს და დერეფანში ვინმეს რომ არ შეფეთებოდნენ, პირდაპირ დაცარიელებულ სამასწავლებლოში შეცვივდნენ. ეს იყო ხით მოპირკეთებული დიდი ოთახი, რომელშიც უამრავი შავი სკამი იდგა. ჰარი და რონი მოუსვენრად დადიოდნენ აქეთ-იქით.

დასვენების ზარი არ დარეკილა. სამაგიეროდ, დერეფანში პროფესორ მაკონაგელის ხმა გაისმა:

— ყველა სტუდენტი დაუყოვნებლივ დაბრუნდეს საძინებელ ოთახებში! მასწავლებლებს ვთხოვთ, სამასწავლებლოში გამოცხადდნენ!

— ვაიმე, ნუთუ კიდევ მოხდა თავდასხმა? — შეწუხდა ჰარი.

— რა ვქნათ? საძინებელში ავიდეთ? — დაიბნა რონი.

— არა! — გადაჭრით იუარა ჰარიმ და მასწავლებლების მანტიებით სავეს კარადაზე ანიშნა, — დავიმალეთ და მოვუსმინოთ. მერე გამოვიდეთ და მასწავლებლებს ყველაფერი ვუთხრათ.

სასწრაფოდ კარადაში შეძვრნენ. ზემოთა სართულიდან ფეხის ხმა ისმოდა. სამასწავლებლოს კარი გაიღო. ბიჭები უყურებდნენ, როგორ გაივსო ოთახი მასწავლებლებით. ზოგი შეწუხებული იყო, ზოგი კი შეშინებული. ყველაზე ბოლოს პროფესორი მაკონაგელი შემოვიდა.

— საშინელება მოხდა! — აუნყა პროფესორმა გასუსულ კოლეგებს, — მონსტრამ სტუდენტი გაიტაცა!

პროფესორმა ფლიტვიკმა შეჰკვივლა. სწიპი სკამის საზურგეს ჩაეჭიდა და ჰკითხა:

— დარწმუნებული ხართ?

— სლიზერინის მემკვიდრემ კედელზე ახალი წარწერა დაგვიტოვა:

„მისი ჩონჩხი სამუდამოდ დარჩება საიდუმლო ოთახში“.

პროფესორ ფლიტვიკს ცრემლები წასკდა.

— ვინ არის? ვინ გაიტაცა? — მაღამ ჰუჩი მოწყვეტით დაჯდა სკამზე.

— ჯინი უისლი, — მიუგო ერთიანად გაფითრებულმა მაკკონაგელმა.

ჰარიმ დაინახა, როგორ ჩაიკეცა რონი.

— ხვალვე ყველა სტუდენტი სახლებში უნდა დავაბრუნოთ, — გამოაცხადა პროფესორმა მაკკონაგელმა, — ჰოგვორტსის საქმე წასულია. დამბლდორი ყოველთვის ამბობდა...

სამასწავლებლოს კარი ხმაურით გაიღო. ჰარიმ ინატრა, ნეტავ, დამბლდორი იქნებოდესო, მაგრამ ოთახში სახეგაბადრული ლოკჰარტი შემობრძანდა.

— მაპატიეთ... ჩამეძინა... რა ხდება, რა გამოვტოვე? — ლოკჰარტი ვერ ამჩნევდა, რომ მასწავლებლები მას სიძულვილით უცქეროდნენ. სნეიპი წამოდგა.

— სწორედ თქვენ გვჭირდებით, ლოკჰარტი! მონსტრმა გოგონა მოიტაცა, საიდუმლო ოთახში ჰყავს. ახლა თქვენი დროა.

ლოკჰარტი გაფითრდა.

— მართალია! — ჩაურთო პროფესორმა სპრაუტმა, — თქვენ არ ბრძანებ წუხელ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იცოდით, სად არის საიდუმლო ოთახის შესასვლელი?

— მე... მე... — ენა დაება ლოკჰარტს.

— დიახ, სწორედ თქვენ მეუბნებოდით, რომ იცით, რა იმალება საიდუმლო ოთახში, — ხმა აიმაღლა პროფესორმა ფლიტვიკმა.

— მა-მართლა? რაღაც არ მაგონდება...

— მე კი კარგად მახსოვს, როგორ თქვით, ვწუხვარ, ჰაგრიდის დაპატიმრებამდე მონსტრის დამარცხება რომ ვერ შევძელიო. თქვენ არ იყავით, რომ ამტკიცებდით, თავიდანვე ჩემთვის უნდა დაგენებებინათ ეს საქმე და ახლა ასეთ დღეში არ ჩავცვივდებოდიო?! — შეასხენა სნეიპმა.

ლოკჰარტმა სახეაქვავებულ კოლეგებს გადახედა.

— მე... მე არასოდეს არ... თქვენ, ალბათ, ვერ გამიგეთ...

— გილდეროი, ამ საქმეს თქვენ განდობთ, — გადაწყვიტა პროფესორმა მაკკონაგელმა, — ეს საღამო სწორედ რომ ზედგამოჭრილია. მე ვიზრუნებ, რომ ხელი

არავინ შეგიშალოთ, მონსტრს მარტოდმარტო უნდა გაუმკლავდეთ. როგორც იქნა, თქვენს ნებაზე მოქმედების უფლება მოგეცათ.

ლოკჰარტი ამაოდ ელოდა შველას. ახლა რომ მისთვის შეგეხედათ, ნამდვილად ვერ იტყოდით, სიმშათიური მამაკაციაო: სახე დანაოჭებოდა და ტუჩები უკანკალებდა, აღარც სულელურად იღიმებოდა.

— ძალიან კააარგი! წავალ... წავალ ჩემს კაბინეტში და... და მოვემზადები, — ძლივს ამოღერდა და ოთახიდან გავარდა...

— ძალიანაც კარგი! ასე მოუხდება! — პროფესორ მაკკონაგელს სიბრაზისგან ნესტოები დაებერა, — კლუბების პრეფექტებმა ახლავე ყველას შეატყობინონ, რაც მოხდა. ბავშვები გაათრთხილეთ, რომ ხვალ დილით ჰოგვორტისს ექსპრესით შინ გაემგზავრებიან. მასწავლებლებო, გთხოვთ, შეამოწმოთ, სტუდენტები ღერეფნებში არ დარჩნენ, ყველანი თავიანთ ოთახებში უნდა იყვნენ.

მასწავლებლები სათითაოდ გაიკრიფნენ ოთახიდან.

* * *

ჰარის ცხოვრებაში ეს ალბათ ყველაზე საშინელი დღე იყო. რონი, ფრედი, ჯორჯი და ჰარი გრიფინდორის საერთო ოთახის კუთხეში ჩუმად ისხდნენ. პერსი იქ არ იყო, ჯერ ბატონ და ქალბატონ უისლებს ბუ გაუგზავნა, მერე კი თავის საძინებელში ჩაიკეტა.

ის საღამო უსაშველოდ გაიწელა. გრიფინდორის კოშკი ასეთი სავსე და ამავე დროს ასეთი წყნარი არასოდეს ყოფილა. ფრედი და ჯორჯი ადრიაანად წავიდნენ დასაძინებლად, საერთო ოთახში ჯდომა უკვე აღარ შეეძლოთ.

— ჯინიმ რაღაც იცოდა, ჰარი, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო დამუნჯებულმა რონმა, — ამიტომაც მოიტაცეს, პერსის სულელური ოინები არაფერ შუაშია. ეტყობა, საიდუმლო ოთახზე გაიგო რაღაცა. ამიტომაც... — რონმა თვალები მოისრისა, — წმინდასისხლიანია, სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო!

ჰარი თანჯრიდან ხედავდა, სადღაც შორს, ჰორიზონტს მიღმა როგორ ჩადიოდა სისხლივით წითელი მზე. თავს საშინლად გრძნობდა, რადგან არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

— ჰარი, როგორ ფიქრობ, იქნებ ჯინი ჯერ კიდევ არ... — ამოიკვნესა რონმა.

ჰარიმ არ იცოდა, რა ეთქვა, რადგან თავადაც არ სჯეროდა, რომ ჯინი ცოცხალი იყო.

— მოდი, ლოკჰარტთან მივიდეთ! ყველაფერი ვუამბოთ, რაც ვიცით. ამ ღამით ხომ საიდუმლო ოთახში უნდა ჩავიდეს. ჰოდა, ვუთხრათ, ჩვენი აზრით, სად არის შესასვლელი. ვუთხრათ, რომ იქ ბასილისკოა! — შესთავაზა რონმა.

ჰარიმ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, არადა, ძალიან უნდოდა, რაიმე გაეკეთებინა, ამიტომაც დაეთანხმა რონს. გრიფინდორელებს ისე ეცოდებოდათ უისლების ოჯახი, ხმა არავის ამოუღია, როცა ჰარი და რონი ადგნენ, ოთახი გაიარეს და პორტრეტის ხერეღში გაძვრნენ.

უკვე ბნელდებოდა, როცა ლოკჰარტის კაბინეტს მიუახლოვდნენ. შიგნიდან დიდი ალიაქოთი ისმოდა.

ჰარიმ კარზე დააკაკუნა. ხმაური მიწყდა, კარი სულ ოდნავ გაიღო და ღრიჭოში ლოკჰარტის ცალი თვალი გამოჩნდა.

— ო, მისტერ პოტერ... მისტერ უისლი! იცით, ახლა დაკავებული ვარ, თუ შეიძლება, ცოტა სწრაფად მითხარით, რა...

— პროფესორო, თქვენთვის მნიშვნელოვანი რაღაც გვაქვს სათქმელი, ძალიან გამოგადგებათ... — წამოიწყა ჰარიმ.

— იცით, რა... ჰმ! სულაც არ არის ასე აუცილებელი, — უცნაურად შეიშმუშნა ლოკჰარტი, — მოკლედ... კეთილი, მოგისმინთ! ლოკჰარტმა კარი ფართოდ გააღო.

კაბინეტი თითქმის მთლიანად დაცარიელებული იყო. იატაკზე ორი დიდი ჩემოდანი იდო. ლოკჰარტს ერთში ზურმუხტისფერი, იისფერი და შუალამისფერი მანტიები ჩაეკეცა, მეორეში კი წიგნები ჩაეყარა. სურათები, ადრე კედლებზე რომ იყო გაკრული, ახლა მაგიდაზე დანყობილ ყუთებში ჩაეჩურთა. .

— მიემგზავრებით? — გაუკვირდა ჰარის.

— ჰო... ისა.. მიემგზავრები, — ლოკჰარტმა კარიდან თავისი პლაკატი ჩამოგლიჯა და დაახვია, — სასწრაფოდ გამომიძახეს... სხვა გზა არა მაქვს... უნდა წავიდე...

— ჩემს დას რა ეშველება?! — აღმოხდა რონს.

— ჰო, ძალიან ვწუხვარ... საუბედუროდ... — ლოკჰარტმა უჭრა გამოალო და შიგ რაც კი რამ ეწყო, ჩანთაში ჩაყარა, — დამერწმუნეთ, ძალიან მეცოდება, მაგრამ...

— თქვენ ხომ ბნელი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებელი ხართ! სად მიდიხართ?! სკოლაში ბნელი ძალები თარეშობენ!

— სიმართლე გითხრათ... როცა ამ სამსახურში მიმიღეს... — აბუტბუტდა ლოკჰარტი და ჩემოდანში წინდები ჩაყარა, — ასეთ რამეს არ ველოდი... არავის გავუფრთხილებივარ...

— უნდა გაიპაროთ?! — აღშფოთდა ჰარი, — წიგნებში ხომ იმდენი საოცარი თავგადასავალი გაქვთ აღწერილი!

— წიგნებს მაინცდამაინც ნუ ენდობით, — შეაპარა ლოკჰარტმა.

— ეს ხომ თქვენი წიგნებია!

— ჩემო ძვირფასო ბიჭუნა, — მოიღუმა ლოკჰარტი, — აბა, დაფიქრდი: ჩემს წიგნებს არავინ არ იყიდდა, დარწმუნებულები რომ არ იყვნენ მათ სიმართლეში. ვის რაში აინტერესებს, ვიღაც ბებერმა სომეხმა ჯადოქარმა როგორ იხსნა სოფელი მაქციებისგან?! წარმოვიდგენიათ, რა საშინელება იქნებოდა, წიგნის ყდაზე იმ მიხრწნილი ბებრის სურათი რომ ყოფილიყო?! იმ კუდიანს კი, ჭინკა რომ დაამარცხა, ნიკაპზე კაცივით წვერი ამოსვლოდა! ხომ მიმიხვდით...

— ესე იგი, თქვენ სხვების დამსახურება მიითვისეთ? — გაოგნდა ჰარი.

— ეჰ, ჰარი, ჰარი! — თავი გააქნია ლოკჰარტმა, — მთლად ასე მარტივად არაა საქმე! კარგა დიდი ჯაფა დამადგა, სად არ ვეძებე ეს ხალხი, მერე დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი. მერე დავიწყების შელოცვები გავუკეთე, რომ არაფერი არ გახსენებოდათ. დამავიწყებელი შელოცვები მართლაც კარგად მეხერხება. ასე რომ, ჰარი, როგორც ხედავ, ბევრი ვინვალე. აბა, რა გეგონა, მარტო ავტოგრაფების გაცემა და სურათების გადაღებაა საკმარისი? თუ პოპულარობა გინდა, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, — ლოკჰარტმა ჩემოდნები ჩაკეტა, — რაიმე ხომ არ მრჩება? ყველაფერი ჩავალაგე... ჰო, ერთი რაღაც დამავიწყდა, — პროფესორმა ჯოხი ამოიღო და ბიჭებს მიუშვრა, — ძალიან ვნუხვარ, ბავშვებო, მაგრამ ახლა თქვენც დამავიწყებელ შელოცვას გაგიკეთებთ... ვერ დავუშვებ, რომ ჩემი საიდუმლო ქვეყანას მოსდოთ. მაშინ ვინღა იყიდის ჩემს წიგნებს?!

ჰარიმ თავისი ჯოხის ამოღება მოასწრო და, სანამ ლოკჰარტი რაიმეს იტყოდა, მთელი ხმით იღრიალა: „ექსპელიარმუს!“.

ლოკჰარტი ჩემოდნებს გადააფრინდა და ჯოხი ხელიდან გაუვარდა. რონმა მასწავლებლის ჯოხს ხელი სტაცა და ფანჯრიდან გადაუძახა.

— ცუდია, რომ პროფესორ სნეიპს ჩვენთვის ეს შელოცვა ასწავლებინეთ, — მიუსამძიმრა ჰარიმ და ჩემოდანს ფეხი გაჰკრა. ლოკჰარტი საცოდავად გამზლართულიყო იატაკზე და მისკენ მომართულ ჰარის ჯოხს შეშინებული უყურებდა.

— რა გინდათ ჩემგან? არ ვიცი, სად არის საიდუმლო ოთახი. მე არაფრის გაკეთება არ შემძლია!

— ბედმა გაგიღიმათ! — ჰარიმ ძალით წამოაყენა ლოკჰარტი, — ჩვენ ვიცით, სადაც არის ის ოთახი და შიგნით რაც იმალება. ნავიდეთ!

ლოკჰარტი კაბინეტიდან ძალით გაიყვანეს, კიბეზე ჩაირბინეს, ჩაბნელებული დერეფანი გაიარეს, სლიზერინის მემკვიდრის გაკეთებულ წარწერებს გასცდნენ და მტირალა მირტლის საპირფარეშოსთან მივიდნენ.

პირველი ლოკჰარტი შეუშვეს. ჰარის კინლამ გაეცინა, როცა დაინახა, რომ მასწავლებელი შიშისგან კანკალებდა.

მტირალა მირტლი ბოლო კაბინაში იჯდა.

— შენა ხარ? — მიესალმა ჰარის, — ახლა რაღა გინდა?

— მაინტერესებს, როგორ მოკვდი, — უპასუხა ჰარიმ.

მირტლს სახე შეეცვალა, როგორც ჩანს, ეს კითხვა მისთვის არასოდეს დაუსვამთ.

— ოოო, რა საშინელება იყო! — ამოიგმინა მირტლმა, — აი, სწორედ აქ მოხდა, ამ კაბინაში მოკვდი, კარგად მახსოვს. ოლივია ჰორნბი დამცინოდა, სათვალე რომ მეკეთა, და აქ დავიშალე. კარი ჩავკეტე და ჩემთვის ვტროდი. უცებ საპირფარეშოში ვიდაც შემოვიდა. უცნაურ ენაზე ლაპარაკობდა, მგონი, უცხო ენა იყო. ძალიან გავბრაზდი, იმიტომ რომ აშკარად ბიჭის ხმა იყო. კარი გავაღე, მინდოდა, იმ უზრდელისთვის მეთქვა, ბიჭების ტუალეტში მიბრძანდი-მეთქი... — მირტლი შეჩერდა, — და მერე... მოკვდი.

— როგორ? — ჩაეძია ჰარი.

— არ ვიცი, — ხმას დაუნია მირტლმა, — მახსოვს, როგორ დავინახე უზარმაზარი ყვითელი თვალეები და ყველაფერი გამიშემდა, ცოტა ხანში კი უკვე სადღაც მივფარუტებდი... მერე დავბრუნდი და აქ დარჩენა გადავწყვიტე, ოლივია ჰორნბი უნდა გამეწვავლებინა. ო, რომ იცოდეთ, როგორ მწარედ ვანანე ჩემი დაცინვა!

— თვალეები სად დანახე? — ისევ ჰკითხა ჰარიმ.

— დაახლოებით მანდ, — ნიჟარაზე ანიშნა მირტლმა.

ჰარი და რონი ნიჟარასთან მიცვივდნენ. შეძრწუნებული ლოკჰარტი მომორებით იდგა.

ხელსაბანი ნიჟარა, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი იყო. ბიჭებმა ყველაფერი საგულდაგულოდ დაათვალიერეს. უცებ ჰარიმ შეამჩნია, რომ სპილენძის ონკანზე პატარა გველი იყო ამოტვიფრული.

— ეგ ონკანი ყოველთვის გაფუჭებულია, — უთხრა მირტლმა, როცა ჰარიმ ონკანი გადაატრიალა.

— ჰარი! მიდი, პარსულად თქვი რამე!

ჰარი დაფიქრდა. პარსულად ლაპარაკი მხოლოდ ნამდვილი გველის წინაშე შეეძლო. დაუინებოთ მიაჩერდა ონკანზე ამოტვიფრულ გველს, წარმოიდგინა, ვითომ ნამდვილი იყო და შესძახა:

— გაიღე!

რონმა თავი გააქნია.

— არა, ეგ ინგლისურია!

ჰარი ისევ მიაშტერდა გველს. უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს გველი ნამდვილი იყო. თავი მოაბრუნა და სანთლის შუქზე მოეჩვენა, თითქოს, გველი ამოძრავდა.

— გაიღე! — შესძახა ჰარიმ... ახლა უკვე ინგლისური კი არა, უცნაური სისინი გაისმა, იქაურობა თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა, ონკანი დატრიალდა, ნიჟარა შეირყა და უზარმაზარ მიღში ჩაინთქა. რონმა შეჰყვირა. ჰარი უცებ მოეგო გონს და გადაჭრით თქვა:

— ქვემოთ ჩავძვრები!

ახლა, როცა შესასვლელი იპოვეს, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, იქნებ ჯერ კიდევ არ იყო გვიან, ჯერ კიდევ ჰქონდა სულ ერთი ციცქნა იმედი, რომ ჯინის ცოცხალს მიუსწრებდა.

— მეც მოვდივარ! — შესძახა რონმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორც ვხედავ, მე არაფერში გჭირდებით, — გაღიმება სცადა ლოკჰარტმა და ის იყო, კარის სახელურსაც მისწვდა, რომ ბიჭებმა ჯოხები მიუშვირეს.

— პირველი შენ ნახვალ! — შეუღრინა რონმა.

უჯობოდ დარჩენილი, ერთიანად გაფითრებული ლოკჰარტი მილს მიუახლოვდა.

— ბიჭებო, მე რაში გამოგადგებით? ბიჭებო...

ჰარიმ ზურგში ჯოხი უჩხვლიტა. ლოკჰარტმა ფეხები მიღში გადაყო.

— მართლა არა მგონია... — ისევ ამოიკნავლა აკანკალებულმა, მაგრამ რონმა უბიძგა და ლოკჰარტი მიღში ჩასრიალდა. პროფესორს ჰარი მიჰყვა უან.

ერგენებოდა, თითქოს უსასრულო, ტალახიან ჯურღმულში მისრიალებდნენ. გზადაგზა უამრავ განტოტვილ მილს ჩაუქროლეს, მაგრამ მთავარი მილი ყველაზე ფართო იყო და სპირალისებურად თავექვე მიემართებოდა. ჰარიმ გაიფიქრა, სკოლის სარდაფებს, ალბათ, უკვე კარგა ხანია, ჩავცდიოთ. უკან რონი მოსრიალებდა, მიღებს გუგუნი გაჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს, როცა უკვე შემფოთდნენ, ნეტავ, ეს მილი სადამდე მიგვიყვანსო, ერთ მომცრო ქვის გვირაბში, დატბორილ იატაკზე მოადინეს ტყაპანი. მოჩვენებასავით გათეთრებული, ტალ ახში ამოთხვრილი ლოკჰარტი წამოდგომას ცდილობდა. ჰარი გვერდზე გახტა და მილიდან რონიც ჩამოსრიალდა.

— სკოლის ქვეშ რამდენიმე მილის სიღრმეზე მაინც ვიქნებით, დაასკვნა ჰარიმ. ჩაბნელებულ გვირაბში ექომ დაიგრგვინა.

— ალბათ, ტბის ქვეშა ვართ, — ივარაუდა რონმა და ნესტიან-ტალახიან კედლებს მიაშტერდა.

სამივე თვალეხს აცეცებდა, რომ უკუნეთ სიბნელებაში რაიმე დაენახათ.

— ლუმოს! — ჩაიბუტბუტა ჰარიმ და ჯოხის წვერი ისევ აინთო, აბა, წავიდეთ!

ჭყაპაჭყუპით გაუყვინნ დატბორილ გვირაბს. ირგვლივ ისეთი სიბნელე იყო, მხოლოდ თავიანთ ცხვირწინ თუ ხედავდნენ, რა ხდებოდა. ჯოხის სუსტი სინათლე კედლებზე შემზარავ ჩრდილებს აჩენდა.

— არ დაგავიწყდეთ, როგორც კი რაიმე მოძრავს შეამჩნევთ, მაშინვე თვალეხი დახუჭეთ... — შეახსენა ჰარიმ.

გვირაბში სამარისებური სიჩუმე იდგა. უცებ რონმა რაღაცას დააბიჯა ფეხი და ტკაცანი გაისმა. ეს ვირთხის ჩონჩხი იყო. ჰარიმ ჯოხი ძირს დაანათა: იატაკი პატარა ცხოველების ძვლებით იყო მოფენილი. ჰარის არ უნდოდა, ეფიქრა, რომ ჯინისაც ასეთ დღეში იპოვიდნენ და რონსა და ლოკჰარტს სასწრაფოდ გაუძღვა ჩაბნელებული მოსახვევისკენ.

— ჰარი, იქ რაღაცაა... — ხმა აუთრთოლდა რონს და ჰარის მკლავში ჩაეჭიდა.

სამივენი გაშემდნენ. მათ წინ უძრავად იდო უზარმაზარი, დახვეული რაღაცა.

— იქნებ სძინავს? — ჩაიჩურჩულა ჰარიმ.

ლოკჰარტს ხელები თვალეხზე აეფარებინა. ჰარი უძრავ არსებას მიუბრუნდა, გული ისე უცემდა, რომ ლამის მკერდიდან ამოვარდნოდა. მერე ჯოხი მალლა ასწია, თვალეხი მოჭუტა და უფრო ახლოს მივიდა.

შემზარავი არსება სინამდვილეში უზარმაზარი, შხამიანი მწვანე ფერის გველის პერანგი აღმოჩნდა. ამხელა პერანგის პატრონი გველი, სულ ცოტა, ექვსი მეტრის სიგრძისა მაინც იქნებოდა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა რონს.

უცებ უკნიდან ხმაური შემოესმათ. მუხლებწართმეული ლოკჰარტი იატაკზე ჩაიკვცა.

— ადექი! — დაუყვირა რონმა და ჯოხი მიუშვირა.

ლოკჰარტი ნელა წამოდგა და უცებ რონს ეცა.

ჰარი წინ გახტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. აქოშინებულ ლოკჰარტს რონის ჯოხი ჩაებლუჯა და სახეზე ჩვეული ღიმილი დასთამაშებდა.

— მორჩა თქვენი თავგადასავალი, ყმანვილებო! გველის პერანგის ნაჭერს სკოლაში ნავიდებ და ყველას მოვუყვები, რომ სანყალ გოგონას ვედარ მივუსწარი, თქვენ კი მისი დასახიჩრებელი სხეულის დანახვისას ჭკუიდან შეიშალებო. დაემშვიდობეთ თქვენს მესხიერებას! — ლოკჰარტმა რონის დანებებული ჯოხი მაღლა შემართა და დაიყვირა: — ობლივიატე!

ჯოხმა ჭურვივით იფეთქა. ჰარიმ თავზე ხელები დაიფარა და წინ გავარდა. გვირაბის ჭერიდან უზარმაზარი ლოდები წვიმასავით წამოვიდა. წამიკ და ხმაური შეწყდა, ჰარი უკვე ჩახერგილი გვირაბის მეორე მხარეს იდგა.

— რონ! როგორა ხარ, რონ?

— აქა ვარ! — კედლის მიღმა გაისმა რონის მოგუდული ხმა, — კარგად ვარ! ამ სულელს კი ცუდადა აქვს საქმე! შელოცვა თვითონვე დაუბრუნდა.

უცებ დარტყმის ხმა და საცოდავი კრუსუნი გაისმა. როგორც ჩანს, რონმა ერთი ლაზათიანი ნიხლი უთავაზა ლოკჰარტს.

— რა ვქნათ? ამ კედელში გამოსვლას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, — განწირული ხმით გამოსძახა რონმა.

ჰარიმ მაღლა აიხედა. გვირაბის ჭერში უზარმაზარი ნაპრალები გაჩენილიყო. ჯადოქრობით ამხელა ლოდების გაქრობა ადრე არასოდეს უცდია, ახლა კი შელოცვებში ვარჯიშის დრო ნამდვილად არ იყო, ვაითუ, ჭერი მთლიანად ჩამონგრეულიყო.

კედლის მიღმა კიდევ ერთი დარტყმის ხმა და კრუსუნი გაისმა. დრო სწრაფად გადიოდა. უკვე რამდენი ხანია, ჯინი საიდუმლო. ოთახში იყო. ჰარი მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა.

— აქ დამელოდე! — გასძახა რონს, — მე გზას გავაგრძელებ, თუ ერთ საათში არ დავბრუნდი...

სამინელი სიჩუმე ჩამოწვა.

— მე ქვებს გადავაგორებ, — რონი ცდილობდა, არ აღელვებულიყო, — რომ დაბრუნდები, თავისუფლად გამოხვალ და კიდევ, ჰარი...

— მალე შევხვდებით, — აკანკალებული ხმით გაამხნევა ჰარიმ და გველის პერანგს ჩაუარა.

მალე რონის ხმა საერთოდ აღარ ისმოდა. გვირაბი მიხვეულ-მოხვეული აღმოჩნდა. ჰარი შიშისგან კანკალებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა გვირაბის ბოლოს. როგორც იქნა, ერთ უზარმაზარ კედელს მიაღგა, ზედ ორი ერთმანეთს ჩახვეული ზურმუხტისთვალეებიანი გველი იყო გამოსახული.

ჰარის პირი გაუშრა. წარმოსახვის მოშველიება აღარ სჭირდებოდა, ამ გველებს ცოცხლებივით უბრწყინავდათ თვალები.

ჰარიმ ჩაახველა. გველებმა თითქოს თვალები დაახამხამეს.

— გაიღე! — ჩუმაღ დაისისინა ჰარიმ.

გველები ერთმანეთს დაშორდნენ, კედელი ორად გაიყო. ორივე ნაწილი სიბნელებში ჩაინთქა. აკანკალებულმა ჰარიმ საიღუმლო ოთახში შეაბიჯა.

თავი მეჩვიდმეტე

სლიზერინის მემკვიდრე

ჰარი სუსტად განათებულ გრძელ დარბაზში იდგა. საღდაც სიბნელებში დანთქმული ჭერი გველებით მოჩუქურთმებულ ქვის მაღალ სვეტებს ეყრდნობოდა. მომწვანო შუქი იატაკზე წაგრძელებულ ჩრდილებს აფენდა.

ჰარის გული გამალებით უცემდა და ავად ჩამონოლილ სიჩუმეს აყურადებდა. იქნებ სვეტს ამოფარებული ბასილისკო იქ, იმ ბნელ კუთხეში იმალება? ნეტავ, ჯინი სადაა?

ჰარიმ ჯოხი ამოიღო და გველებიან სვეტებს შორის გაიარა. ყოველი ნაბიჯი საზარელ ექოს გამოსცემდა. ჰარი თვალებმოჭუტული მიდიოდა, რათა უმცირეს გაფაჩუნებაზეც კი სასწრაფოდ დაეხუჭა. ეჩვენებოდა, რომ ქვის გველები მზერით აცილებდნენ. პატარა ჩქამზეც კი შიშისგან გული უსკდებოდა.

როცა სვეტებიანი დარბაზის მეორე ბოლოში გავიდა, უზარმაზარი, ჭერამდე აზიდული ქანდაკება დაინახა. უძველეს ქანდაკებას მაიმუნის მსგავსი სახე ჰქონდა, წვერი თითქმის მანტიის ბოლომდე სცემდა, მანტიიდან კი ორი უზარმაზარი ქვის ტერფი მოუჩანდა. მის ფერხითთ პირქვე იწვა უღალთმიანი გოგონა.

— ჯინი! — ჰარი ქანდაკებასთან მივარდა და მუხლებზე დაეცა, ოღონდ ცოცხალი იყო! — ჯოხი გვერდზე გადადო, გოგონას მხრებში სწვდა და გადმოატრიალა. ჯინის სახე მარმარილოსავით გასთეთრებოდა და გასცივებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გაქვავებული არ იყო. ნუთუ...

— ჯინი, გთხოვ, გაიღვიძე! — ჰარი ამაოდ ანჯღრევდა, გოგონას უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა თავი.

— არ გაიღვიძებს! — გაისმა ვილაცის შემპარავი ხმა.

ჰარი წამოხტა და მოტრიალდა.

ერთ-ერთ სვეტს მალალი, შავთმიანი ბიჭი მიჰყრდნობოდა და აკვირდებოდა, მაგრამ ისე ბუნდოვნად ჩანდა, თითქოს დაორთქლილი ფანჯრის მიღმა იდგა. ჰარიმ მაშინვე იცნო.

— ტომ? შენ ტომ რილლი არა ხარ?

რილმა თვალმოუშორებლად დაუქნია თავი.

— რას ნიშნავს „არ გაიღვიძებს“? ნუთუ... ხომ არ მომ... — ჰარის აღელვებისგან ხმა ჩაუწყდა.

— ჯერ კიდევ ცოცხალია, — მიუგო რილმა, — მაგრამ ცოტა ხანში აღარ იქნება.

ჰარი გაოცებული მიაჩერდა. ტომ რილლი ჰოგვორტსში ორმოცდაათი წლის წინ სწავლობდა, ახლა კი მის წინაშე უცნაური შუქით განათებული იდგა და ვერაფრით ვერ იტყოდით, თექვსმეტი წლისაზე მეტი ხნის არისო.

— მოჩვენება ხარ? — დაეჭვდა ჰარი.

— მოგონება ვარ, ორმოცდაათი წლის მანძილზე დღიურში შენახული მოგონება, — ტომმა ქანდაკების ძირას, იატაკზე ანიშნა. იქ სწორედ ის შავი დღიური ეგდო, რომელიც ჰარიმ მტირალა მირტლის საპირფარეოში იპოვა. ჰარის გაუკვირდა, ნეტავ, აქ საიდან გაჩნდაო, მაგრამ ახლა დღიურისთვის არ ეცალა.

— მომეხმარე, ტომ! — თავი წამოუწია გოგონას, — ჯინი აქედან უნდა გავიყვანოთ. ოთახში ბასილისკო იმალება... ზუსტად არ ვიცი, სად არის, მაგრამ ნებისმიერ წუთს შეიძლება, თავს დაგვესხას. გთხოვ, მომეხმარე...

რილლი არ განძრეულა. ოფელში გახვითქულმა ჰარიმ ჯინი ძლივს ასწია და ჯოხის ასაღებად დაიხარა, მაგრამ ჯოხი იქ აღარ დახვდა.

— ჩემი ჯოხი რა იქნა?

ჰარის ჯოხს რილლი ათამაშებდა.

— გმადლობ! — ჰარიმ ჯოხის გამოსართმევად ხელი გაუწოდა.

რილლი უცნაურად იღიმებოდა და ჯოხს ხელს არ უშვებდა.

— იცი რა, — მოთმინება დაელია ჰარის, ჯინის სიმძიმისგან მუხლები ეკეცებოდა, — აქედან უნდა გავიქცეთ! ბასილისკო თუ გამოჩნდა...

— თუ არ დაუძახებ, არ გამოჩნდება.

ჰარიმ ჯინი ისევ იატაკზე დაანვინა.

— რაო, რა თქვი? მისმინე, ახლავე დამიბრუნე ჩემი ჯიბი!

— აღარ დაგჭირდება! — რიდლს სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— რას გულისხმობ? რატომ არ დამჭირდება?

— დიდი ხანია, ამ დღეს ველოდი, ჰარი პოტერ! შენთან შეხვედრა მინდოდა!

— იცი რა? მგონი, კარგად ვერ გამოიგე! რა დროს ლაპარაკია, საიღუმლო ოთახში ვართ!

— სწორედ ახლა უნდა ვილაპარაკოთ! — ჩაიქირქილა რიდლმა და ჯიბი ჯიბეში ჩაიღო.

ჰარი ვერაფერს მიხვდა.

— ჯინის რა დაემართა?

— საინტერესო კითხვაა, — ესიამოვნა რიდლს, — ბევრი რამის თქმა მომიწევს. ჯინი უისლი ასეთ დღეში იმიტომ ჩავარდა, რომ უჩინარ უცნობს გული გადაუშალა და თავისი საიღუმლოებები გაუშხილა.

— რომელ უცნობს? — დაიბნა ჰარი.

— დღიურს! ჩემს დღიურს! პატარა ჯინი ჩემს დღიურში წერდა, თვეების მანძილზე თავის ნუხილს მიზიარებდა: როგორ აწვალეებდნენ ძმები, როგორ მოვიდა სკოლაში სხვისი გამონაცვალის მანტიებითა და წიგნებით... როგორ ეშინოდა, — თვალეები გაუბრწყინდა რიდლს, — სახელგანთქმული ჰარი პოტერი ყურადღებას არ მომაქცევსო...

სანამ ლაპარაკობდა, რიდლს ჰარისთვის მზერა არ მოუცილებია, პირდაპირ თვალეებით ჭამდა:

— დიდი მოსაწყენი რამეა თერთმეტი წლის გოგოს სულელური პრობლემების მოსმენა, მაგრამ ვითმენდი. ძალიან კეთილი ვიყავი და თანაგრძნობით ვპასუხობდი. ჯინის შევეყვარდი. „შენ ყველაზე კარგად გესმის ჩემი, ტომ... ბედნიერი ვარ, რომ შენი დღიური ჩემი მესაიდუმლე გახდა... შენ ნამდვილი მეგობარი ხარ, რომელიც მუდამ თან დამაქვს...“

რიდლმა საზარლად გადაიხარხარა. ჰარის ტანში გასცრა.

— რაც მართალია, მართალია, ჰარი, საჭირო ხალხის მოხიბვლა ნამდვილად მეხერხება. ჯინიმ საკუთარ სულში ჩამახედა და მეც სწორედ ეს მჭირდებოდა. მე მისი შიშითა და საიღუმლოებებით ვიკვებებოდი და თანდათან ვძლიერდებოდი. სულ მალე პატარა მის უისლიზე გაცილებით ძლიერი გავხდი. ნელ-ნელა ჩემი საიღუმლოებებიც გავანდე და მისი სული თითქმის სრულიად დავიმორჩილე.

— რას გულისხმობ? — პირი გაუშრა ჰარის.

— ჯერაც ვერ მიხვდი? საიდუმლო ოთახი ჯინი უისლიმ გააღო. მამლებსაც ის ახრჩობდა და კედლებზე წარწერებსაც ის ტოვებდა. იმ მუქსისხლიანებს და სქვების კატასაც ჯინიმ მიუქსია გველი.

— არ მჯერა, — ჩაიჩურჩულა ჰარიმ.

— უნდა დაიჯერო. თავიდან, რა თქმა უნდა, არც იცოდა, რას აკეთებდა. ძალიან სასაცილო იყო! ნეტავ, დღიურში მისი ახალი ჩანაწერები გენახა... სულ უფრო საინტერესო რაღაცეებს წერდა... „ძვირფასო ტომ, მგონი, მესხიერებას ვკარგავ. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მთელ მანტიამზე მამლის ბუმბულები მაქვს მიკრული... ძვირფასო ტომ, არ მახსოვს, ჰელოუინის ღამეს რას ვაკეთებდი, მაგრამ იმ საღამოს ვილაყა კატას დაესხა თავს, მე კი მანტია საღებავით მქონდა მოსვრილი... ძვირფასო ტომ, პერსი შემიჩნდა, ფერმკრთალი ხარ და უცნაურად იქცევით. მგონი, ჩემზე აქვს ეჭვი... დღეს კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა, არ მახსოვს, იმ დროს სად ვიყავი... ტომ, როგორ მოვიქცე? მგონი, გვიყუდები... ტომ, მგონი, თავდასხმებს მე ვაწყობ...“

ჰარიმ სიმწრისგან ისე მომუშტა ხელები, ფრჩხილები ხელისგულებში შეესო.

— პატარა სულელი ჯინი გვიან მიხვდა, რომ დღიურის ნდობა არ შეიძლებოდა. ბოლოს დაეჭვდა და დღიურის გადაგდება გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს გამოჩნდი შენ, ჰარი! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი, ჩემი დღიური შენ ჩავივარდა ხელში!

— ჩემთან შეხვედრა რისთვის გინდოდა? — ხმა ჩაუნყდა სიბრაზისგან აცახცახებულ ჰარის.

— ჯინიმ შენზე ყველაფერი მიაშობ! მიაშობ შენი გასაოცარი თავგადასავალი! — ტომმა ხარბი მზერა ჰარის შუბლზე ელვასავით გაკლაკნილ ნაიარევს მიაპყრო, — გადავწყვიტე, უფრო მეტი რამ შემეტყო შენზე, დაგლაპარაკებოდი, შეგხვედროდი. ნდობის მოსაპოვებლად იმ ბრიყვი ჰაგრიდის დაჭერაც გაჩვენე.

— ჰაგრიდი ჩემი მეგობარია, — ხმა აუკანკალდა ჰარის, — შენ მოუწყვე ეს ყველაფერი, არა? მე კიდევ მეგონა, რომ შეცდი.

— როგორ გგონია, ვის უფრო დაუჯერებდა ბებერი არმანდო დიპეტი, მე თუ ჰაგრიდს? — გადაიხარხარა რიდლმა. მე ვიყავი ღარიბი, მაგრამ — ნიჭიერი, უდემამო, მაგრამ — მამაცო, სკოლის პრეფექტი და სანიშნულო სტუდენტი. ის ბრიყვი ჰაგრიდი კი წამდაუნუმ შარში ეხვეოდა, ხან მაქციების გამოზრდას ცდილობდა ლოგინქვეშ, ხან აკრძალულ ტყეში მიიპარებოდა ტროლებთან საჭიდაოდ. ისე, ცოტა არ იყოს, მე თვითონაც გამოვიკირდა, ყველაფერი ასე ადვილად რომ გამომივიდა. მეგონა, ვილაყა მაინც მიხვდებოდა, რომ ჰაგრიდი ვერაფრით ვერ იქნებოდა სლიზგერინის მემკვიდრე. მე ხომ მთელი ხუთი წელი მოვანდომე საიდუმლო ოთახის შესახებ ყველაფრის გარკვევას და შესასვლელის პოვნას... ჰაგრიდს ამდენი ტვინი ვინ მისცა! მხოლოდ ტრანსფიგურაციის მასწავლებელს, დამბლდორს სჯეროდა, რომ ჰაგრიდი უდანაშაულო იყო. მაგან დაიყოლია დიპეტი, ჰაგრიდი სკოლაში

დაეტოვებინა და მეტყვევდ აეყვანა. როგორც ჩანს, დამბლდორი ყველაფერს მიხვდა. ის ერთადერთი მასწავლებელი იყო, რომელსაც დიდად არ ვეხატებოდი გულზე...

— დარწმუნებული ვარ, დამბლდორი მაშინვე მიხვდა, რა ნაძირალაც ბრძანდებოდი, — კბილებში გამოსცრა ჰარიმ.

— ჰაგრიდის გარიცხვის შემდეგ სულ კუდში დამდევა, თვალს არ მაცილებდა. ამიტომ, სანამ სკოლაში ვსწავლობდი, საიდუმლო ოთახის მეორედ გაღებას ვეღარ შევძლებდი. მაგრამ მე სულაც არ ვაპირებდი იმ წლების უქმად დაკარგვას, მის ძებნას რომ შევალე. ასე რომ, თექვსმეტი წლისამ საკუთარი თავი დღიურში შევინახე, იმ იმედით, რომ ოდესმე, თუ ბედი გამიღიმებდა, ჩემს განზრახვას სხვა ადამიანის დახმარებით მოვიყვანდი სისრულეში და სალაზარ სლიზგერინის დიად წამოწყებას ბრწყინვალედ დავავიროვებდი!

— ვერაფერიც ვერ დაავიროვინე! ამჯერად ვერავინ ვერ მოკალი, კატაც კი გადავირჩა. მალე მანდრაგორას სასმელს მოამზადებენ და ყველა გაქვავებული გამოსოცხლდება.

— შენთვის ჯერ არ მითქვამს, რომ მექსისხლიანების დახოცვა უკვე აღარ მაინტერესებს? — აუღელვებლად განაგრძო რილმა, უკვე კარგა ხანია, ჩემი ერთადერთი სამიზნე შენა ხარ! მხოლოდ შენ!

ჰარიმ გაოცებით შეხედა.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ გავცოფდი, როცა ჩემი დღიური ისევ ჯინის ჩაუვარდა ხელში. დაგინახა, როგორ გეჭირა დღიური და თავზარი დაეცა, ვაითუ, მიმხვდარიყავი, როგორ უნდა გამოგეყენებინა და მისი საიდუმლოებები გაგეგო. უფრო იმისი შეეშინდა, რომ გეტყოდი, ვინ ახრჩობდა მამლებს. ჰოდა, ეს პატარა სულელი ბატი შენს საძინებელში შემოვიდა და დღიური მოიპარა. მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა. მივხვდი, რომ სლიზგერინის მემკვიდრის კვალს მიაგენი. ჯინის ნაამბობიდან ვიცოდი, რომ თავს არ დაზოგავდი ამ საიდუმლოს ამოსახსნელად — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰერმიონს დაესხნენ თავს. ჯინი ისიც მითხრა, რომ მთელ სკოლას შენზე ჰქონდა ეჭვი, იმიტომ რომ პარსულად ლაპარაკობ... ჰოდა, ამ სულელს თავისი ხელით დავანერინე გამოსამშვიდობებელი სიტყვები კედელზე და აქ დაველოდე. გამიძალიანდა, ტიროდა, ერთი სიტყვით, თავი მომაბეზრა. თუმცა, ახლა უკვე დიდი ენერგია აღარ დარჩა, მეტისმეტად ბევრი ჩადო დღიურში და მე გადმომიცა. ისე მოვძლიერდი, რომ ბოლოს და ბოლოს დღიურის ფურცლებიდან გადმოსვლა შევძელი. ვიცოდი, რომ აქ მოხვიდოდი და მოუთმენლად გელოდი. ბევრი კითხვა მაქვს შენთან, ჰარი პოტერ!

— მაინც რა გაინტერესებს? — გულგრილად ჰკითხა ჰარიმ.

— როგორ მოხდა, რომ არც ისე ნიჭიერმა ბავშვმა ყველა დროის უდიდესი ჯადოქარი დაამარცხე? როგორ მოახერხე, მხოლოდ ნაიარევით დაგველნია თავი, მაშინ როცა ლორდმა ვოლდემორმა ძალა დაკარგა? — რილლის თვალებში

ბოროტმა ნაპერწკალმა გაუეღვა. — რა შენი საქმეა?! ვოლდემორი ხომ შენ მერე იყო. — ვოლდემორი ჩემი წარსული, ანმყო და მომავალია, ჰარი პოტერ... — რიღლმა ჰარის ჯოხი ჯიბიდან ამოიღო და ჰაერში აღმოდებული ასობით გამოიყვანა:

ტომ მერვოლო რიღლი მერე ჯოხი მსუბუქად აიქნია, ასო „ტ“ „ე“-დ გადაიქცა, დანარჩენი ასოები კი ამოძრავდნენ და ასე დალაგდნენ:

მე — ლორდი ვოლდემორი — ხედავ? ეს სახელი ჰოგვორტსში ყოფნისას მოვიფიქრე, მაგრამ ჩემი უახლოესი მეგობრების გარდა, არავისთვის გამიხსელია. როგორ გგონია, მამაჩემის სამარცხვინო მაგლურ გვარს დავიტოვებდი? მე“ ხომ დედის მხრიდან სალაზარ სლიფერინის პირდაპირი შთამომავალი ვარ! მე ვატარებდი ნაძირალა მაგლის გვარს, რომელმაც მაშინვე მიატოვა დედაჩემი, როგორც კი გაიგო, რომ ჯადოქარი იყო. მაშინ მე ჯერ დაბადებულაც არ ვიყავი. ჰოდა, ჩემთვის ახალი სახელი გამოვიგონე! ისეთი სახელი, რომლის წარმოთქმასაც კი ვერ გაბედავდნენ, როცა მე ყველა დროის უდიდესი ჯადოქარი გავხდებოდი!

ჰარი დაბნეული უყურებდა რიღლს, თავშესაფარში გაზრდილ ობოლ ბიჭს, რომელმაც შემდეგ მშობლები დაუხოცა და კიდევ უამრავი ჯადოქარი გამოასალმა სიცოცხლეს... მერე ზიზღით უთხრა:

— არაფერიც არა ხარ!

— რა არა ვარ? — შეუღრინა რიღლმა.

— მსოფლიოში საუკეთესო ჯადოქარი! იმედი უნდა გაგიცრუო: ყველა დროის უდიდესი ჯადოქარი ალბუს დამბლდორია. ყველა ასე ამბობს. მაშინაც კი, როცა ძლიერი იყავი, ჰოგვორტსს ვერაფერი დააკელი. დამბლდორი მაშინვე მიხვდა, რა ნაძირალაც ბრძანდებოდი. ახლაც კი, სადაც არ უნდა იმალებოდე, მაინც მისი შიშით ცახცახებ!

— დამბლდორი მხოლოდ ჩემმა მოგონებამ გააძევა ციხე-კოშკიდან! — სახეზე ღიმილი შეაცვივდა რიღლს.

— არსადაც არ გაუძევებიათ! — შეჰყვირა ჰარიმ. თავისი ნათქვამისა თვითონაც არ სჯეროდა, მაგრამ რიღლის დაშინება უნდოდა.

რიღლი გამრა.

უცებ საიდანღაც მუსიკის ხმა გაისმა. რიღლი მიტრიალდა. მუსიკა სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა. ეს იყო ზებუნებრივი, ჟრუანტელის მომგვრელი ხმა. ჰარის თმა ყალყზე დაუდგა და გული გამალებით აუძგერდა. ხმა თანდათან გაძლიერდა და ერთ-ერთი სვეტის თავზე ცეცხლის ენები აბრიალდა.

ოთახში გედისოდენა მენამული ფრინველი გაჩნდა, რომელიც უცხო ხმით გალობდა. ფარშევანგივით გრძელი, ლაპლაპა ოქროსფერი ბოლო, გრძელი

ოქროსფერი ნისკარტი და მძივივით წვრილი, შავი თვალები ჰქონდა, ოქროსფერ კლანჭებში კი მოზრდილი ფუთა ეჭირა.

ფრინველი გაჩუმდა, ჰარისთან მიფრინდა, ფუთა ფეხებთან დაუგდო და მხარზე დააჯდა. ჰარიმ ახედა. ფრინველი ბიჭს მხარზე გაუნძრევლად ეჯდა და რიდლს მისჩერებოდა.

— ეს ფენიქსია?! — შესძახა რიდლმა.

— ფოუკსი! — შვებით ამოისუნთქა ჰარიმ, ფრინველმა ოქროს კლანჭები მსუბუქად მოუჭირა. — ეს... ეს ხომ სკოლის გამანაწილებელი ქედია! — რიდლმა ჰარის ფეხებთან დაგდებულ ფუთას შეხედა.

მართლაც, ჰარის ფერხითი ალაგ-ალაგ დაკემსილი, ძველი, მტვრიანი ქედი ეგდო.

რიდლი ახარხარდა. ექომ იქაურობა გააყრუა, თითქოს, ერთი კი არა, ათი რიდლი ერთად იცინოდა.

— აი, თურმე, რას უგზავნის დამბლდორი თავის დამცველს! მგალობელ ფრინველსა და ძველ ქედს! რაო, ჰოტერ, გამხნევი? როგორ გგონია, ეს გიშველის?

ჰარის არაფერი უპასუხია. მართალია, ვერ ხვდებოდა, ფოუკსი და გამანაწილებელი ქედი რაში დაეხმარებოდა, მაგრამ თავს მარტოდ უკვე აღარ გრძნობდა. იღვა და ელოდა, როდის შეწყვეტდა რიდლი ხარხარს.

— საქმეს მივხედოთ, ჰარი! ერთმანეთს ორჯერ შევხვდით შენს წარსულსა და ჩემს მომავალში! და ორივეჯერ გადაშირჩი. როგორ ახერხებ ამას? მითხარი, მომიყევი! რაც უფრო მეტს ილაპარაკებ, მით უფრო დიდხანს იცოცხლებ!

ჰარი გამალებით ფიქრობდა. რიდლს ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა, მას კი — ფოუკსი და გამანაწილებელი ქედი, რაც ორთაბრძოლაში დიდად ვერ გამოადგებოდა. ცუდად იყო მისი საქმე. თანაც, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ჯინი მით უფრო სუსტდებოდა... ჰარიმ ისიც შეამჩნია, რომ რიდლს უკვე ცხადად ხედავდა და გაიფიქრა: „თუ მაინც უნდა შევებრძოლო, ჯობია, ახლავე დავიწყო“, — არავინ არ იცის, რატომ გამოგეცალა ძალა! მეც არ ვიცი.

მაგრამ სამაგიეროდ, ვიცი, რატომ ვერ მომკალი — ჩემს გადასარჩენად დედაჩემმა, მაგლების ოჯახში დაბადებულმა ქალმა, განირა თავი! — ჰარის უკვე ბრაზი ახრჩობდა, — შარმან კი შენი ნამდვილი სახე დავინახე! სულ დაუძლურდი, სული იმისთვისდა გიდგას, რომ სადღაც შეათფარო თავი! შიშით ცახცახებ! მახინჯი და ბინძური ხარ! რიდლს სახე დაედრიცა და ნაძალადევადა გაიღიმა.

— აჰა! აი, თურმე რა ყოფილა! დედაშენმა შენს გადასარჩენად თავგანწირვის შელოცვა გამოიყენა! ეს საკმაოდ ძლიერი შელოცვაა და მაგან გიშველა, თორემ შენ თვითონ არაფრით არა ხარ გამორჩეული! მე კი ვფიქრობდი, რომ ჩვენ უცნაურად

ვგავართ ერთმანეთს, ჰარი პოტერ! ამას, ალბათ, შენც შეამჩნევდი: ორივეს შერეული სისხლი გვაქვს, ობლები ვართ და მაგლებთან გავიზარდეთ. გარდა ამისა, ჰოგვორტსში დიდი სლიზერინის შემდეგ მხოლოდ ჩვენ ორს შეგვიძლია პარსულად ლაპარაკი. გარეგნობითაც კი ვგავართ ერთმანეთს... მაგრამ თურმე, ჩემგან მხოლოდ ილბაღმა გიხსნა. ახლა ყველაფერი გასაგებია.

ჰარი დაძაბული ელოდა, როდის აღმართავდა რიდლი ჯადოსნურ „ჯოხს, თუმცა, მოლიმარი რიდლი არ ჩქარობდა.

— მოდი, სლიზერინის მემკვიდრე ლორდ ვოლდემორისა და ჰარი პოტერის ძალა გამოვცადოთ, შენ ხომ დამბლდორმა თავისი საუკეთესო იარაღი გამოგიგზავნა! — რიდლმა დამცინავად გადახედა ფოუქსსა და გამანაწილებელ ქუდს, უკან დაიხია, მაღალ სვეტებთან მივიდა, სლიზერინის ქანდაკებას ახედა და გველივით ასისინდა:

— ო, დიღო სლიზერინ, ჰოგვორტსის ოთხეულში უდიადესო, ხმა გამეცი!

ჰარი მხარზე შემომჯდარ ფასკუნჯთან ერთად მიტრიალდა, რომ ქანდაკებისთვის შეეხედა. შეძრწუნებულმა დაინახა, რომ სლიზერინის უზარმაზარი თავი შეირხა, პირი ფართოდ გააღო და უშველებელი შავი ხვრელი გამოაჩინა. იქ, სიღრმეში რაღაც ამოძრავდა, წყვილიდან რაღაც მოსრიალებდა.

ჰარი კედელს აეკრა და თვალები დახუჭა. ამ დროს ფოუქსი ჰაერში აიჭრა. ჰარის უნდოდა, დაეყვირა, არ დამტოვო, მაგრამ გველთა მეუფესთან ფენიქსი მაინც რას გახდებოდა?

უეცრად იატაკს უშველებელი რაღაცა დაენარცხა და იქაურობა შეაზანზარა. ჰარი თვალდახუჭულიც კი ხვდებოდა, რომ სლიზერინის პირიდან გიგანტური გველი მოსრიალებდა. მერე რიდლის სისინი მოესმა:

— მოკალი!

მტერიან იატაკზე ზანტად მიიკლაკნებოდა ბასილისკო. ჰარი თვალდახუჭული გაიქცა, ხელების ცეცებით იკვლევდა გზას. რიდლი ახარხარდა.

ჰარი რაღაცას წამოედო, იატაკზე გაიშლართა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. გველი მიუახლოვდა, ჰარის უკვე მისი სუნთქვა ესმოდა.

უეცრად შიშინის ხმა გაისმა. ჰარის რაღაცა დაეტაკა და კედელს მიანარცხა. ბიჭი ელოდა, გველი სადაცაა თავის ეშვებს ჩამასობს და ბოლოს მომიღებსო, მაგრამ ამის ნაცვლად გაათფრეული სისინი და სვეტების მსხვრევის ხმა მოესმა.

ჰარიმ თავი ველარ შეიკავა და თვალები ოდნავ გაახილა. უზარმაზარი მწვანე გველი ჰაერში ანონილიყო და უშველებელ თავს გამწარებით იქნევდა. ბასილისკოს თავს ფოუქსი დასტრიალებდა, ის კი ხანჯალივით წვრილი და ბასრი ეშვებით უტევდა ფრინველს.

ფოუკსი მოხერხებულად დაუსხლტა, მერე წამით მისი გრძელი ოქროს ნისკარტი გაუჩინარდა და იატაკზე წვიმასავით გადმოინთხა შავი სისხლი. გველმა კული მოიქნია, ჰარის ბენჯე ასცდა და უცებ, სანამ ბიჭი თვალეების დახუჭვას მოასწრებდა, ბასილისკო მოტრიალდა. ჰარიმ პირდაპირ სახეში შეხედა: ფენიქსს ბასილისკოსთვის ორივე უზარმაზარი ყვითელი თვალი გამოეთხარა. დათხრილი თვალებიდან სისხლი ღვარად მოჩქეფდა. გაცოფებული გველი სიბრაზისგან შხამს აფრქვევდა.

— არა! — დაიღრიალა რიდლმა, — ფრინველს თავი დაანებე! ფრინველს თავი დაანებე! ბიჭს მიხედე, შენ უკანაა! ბიჭი მოკალი!

დაბრმავებული გველი ერთხანს შედგა. ფოუკსი ისევ თავს დასტრიალებდა, არამინიერი ხმით დასჩხაოდა და ფრთებს ქერცლით დაფარულ თავთან უფრიალებდა. გველის დათხრილი თვალებიდან ახლა უფრო მეტმა სისხლმა იფეთქა.

— მიშველეთ! მიშველეთ! — აყვირდა დაფეთებული ჰარი, — მიშველეთ ვინმემ!

გველმა კიდევ ერთხელ მოიქნია კული. ჰარი ჩაცუცქდა, სახეში რალაც რბილი მოხვდა.

ბასილისკომ, თავისდა უნებურად, გამანაწილებელი ქუდი მიუგდო. ჰარიმ ხელი სტაცა, სასწრაფოდ თავზე ჩამოიცივა და ისევ იატაკზე გაიშლართა, რომ გველის კული არ მოხვედროდა.

— მიშველეთ! მიშველეთ! — ჰარის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, გთხოვ, მიშველეთ!

ქუდს არაფერი უთქვამს... სამაგიეროდ, ძალიან დავიწროვდა, თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი მთელი ძალით წურავდა. უცებ ჰარის რალაც ძალიან მძიმე და მაგარი მოხვდა თავში. დარეტიანებულმა ქუდი მოიხადა და ხელთ რალაც ძალიან გრძელი და მაგარი შერჩა.

ქუდში ვერცხლის პრიალა ხმალი იდო, ვადა ლალის თვლებით ჰქონდა მოჭედილი.

— ფრინველს თავი დაანებე! ბიჭი მოკალი! მიტრიალდი, ყნოსვით მიაგნებ! — ყვიროდა ტომი.

ჰარი წამოდგა და ხმალი მოიმარჯვა.

ბასილისკო დაბლა დაეშვა, შემოტრიალებებისას სვეტები კუდით მილენ-მოლენა და ბოლოს ჰარის პირისპირ შეჩერდა. ჰარიმ ვეებერთელა სისხლიანი თვალის ბუდეები დაინახა. უზარმაზარი პირდაღებული გველი მისკენ ბრმად წამოვიდა. ჰარი გვერდზე გაუხტა, ბასილისკო კედელს შეენარცხა და ჰარის ორკაპა ენის წვერი გაუსვა. ბიჭმა ორივე ხელით შემართა ხმალი და როცა გველი მისკენ მეორედ გამოქანდა, პირდაპირ ხახაში აძგვრა. ბასილისკო შეტორტმანდა და ზურგზე დაეცა.

სისხლში ამოთხვრილმა ჰარიმ უცბად იგრძნო, რომ მკლავი საშინლად ტეხდა, რადგან ღრმად ჩასობოდა გველის გრძელი, შხამიანი ეშვი. ჰარის მუხლები მოეკვეთა, შხამიანი ეშვი მკლავიდან ამოიძრო, თუმცა, იცოდა, რომ უკვე გვიანი იყო. ჭრილობა საშინლად სტკიოდა. ეშვი ხელიდან გაუვარდა, მანტია სისხლით მოესვარა, მგერა დაებინდა და ფერები ერთმანეთში აერია.

უცებ გვერდით რაღაც ალისფერმა ჩაუქროლა და გაიგონა, როგორ დაეშვა ფოუკსი იატაკზე.

— ყოჩაღ, ფოუკს! ყოჩაღ... — ჰარის ხმა ჩაუნყდა, იგრძნო, როგორ დაადო ფენიქსმა თავი ჭრილობაზე.

უცებ ნაბიჯების ხმა გაისმა და შავი ჩრდილი გამოჩნდა.

— კვდები, ჰარი პოტერ! — ჩაიქირქილა რიდლმა, — კვდები და ამას ფენიქსიც მიხვდა! ნახე, რას შვრება! ტირის!

ჰარის თვალები მიელუღა. ფრინველს უკვე ბუნდოვნად ხედავდა. ფოუკსს მსხვილი, მარგალიტივით ცრემლები გადმოსცვივდა და პრიალა ბუმბულზე ჩამოუვარდა.

— მე აქ ჩამოვკვდები და გიყურებ, როგორ ამოგხდება სული, ჰარი პოტერ! არ იჩქარო, დრო თავსაყრელად მაქვს.

ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, ჰარის ძილი მოერია.

— სად იღუპება სახელგანთქმული ჰარი პოტერი?! — უკვე შორიდან ესმოდა რიდლის ხმა, — საიდუმლო ოთახში მარტოდმარტოა, მეგობრებისგან მითოვებული, ბნელეთის ბატონის მიერ დამარცხებული... სულ მალე შეხვდები შენს ძვირფას მუქსისხლიან დედიკოს, მადლობელი იყავი, თორმეტი წლის სიცოცხლე რომ გაჩუქა... თუმცა, საბოლოოდ მაინც ლორდ ვოლდემორის მსხვერპლი გახდი.

ჰარის ტკივილი გაუყურდა და გაიფიქრა, სიკვდილი თუ ასეთია, ცუდი სულაც არ ყოფილაო. მაგრამ ჰარი არ კვდებოდა. საიდუმლო ოთახში უკვე ყველაფერს გარკვევით ხედავდა. ფოუკსი მის მკლავს არ შორდებოდა. მარგალიტივით ცრემლებს ჭრილობა თითქმის გაეწრო. — მოშორდი! — დაიყვირა რიდლმა, — მოშორდი, ფოუკს! მოშორდიმეთქი! ჰარიმ თავი ასწია, რიდლმა ფოუკსს ჯოხი მიუშვირა. გასროლის მსგავსი ხმა გაისმა და ფოუკსი მოოქროსფრო-ალისფერ ნაკადად აიჭრა ჰაერში. — ფენიქსის ცრემლები... — რიდლი ჰარის მკლავს დააქცევდა, — როგორ დამავიწყდა... სამკურნალო თვისება აქვს, ჭრილობებს ახორციებს... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს! ასე აჯობებს! მარტო მე და შენ დავრჩით, ჰარი პოტერ... მე და შენ — პირისპირ! — რიდლმა იოხი ასწია. უცებ ფოუკსმა ფრთების ფართხუნით გადაუფრინა ჰარის და კალთაში დღიური ჩაუვლო.

ერთი წამით ჰარიც და ჯოხმემართული რიდლიც დღიურს მიაპტერდნენ. მერე სრულიად დაუფიქრებლად, თითქოს აქამდეც ამას აპირებდაო, ჰარიმ ბასილისკოს ეშვს ხელი დაავლო და დღიურს ზუსტად შუაში ჩაასო.

საზარელი, ყურისწამლები ყვირილი გაისმა. დღიურიდან შადრევანივით ამოხეთქა მელანმა, ჰარის ხელები შეუღება და იატაკზე დაგუბდა. რიდლი დაიღრისა, დაიგრიხა, ერთხელაც დაიყვირა და გაქრა!

ჰარის ჯოხი იატაკზე დავარდა და სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, რომელსაც მხოლოდ მელნის წვეთების ხმა არღვევდა. ბასილისკოს ეშვს დღიური ბოლომდე გაეხვრიტა და ამოუნვა.

აცხცხახებული ჰარი გაჭირვებით წამოდგა. თავბრუ ისე ესმოდა, თითქოს ახლახან ფლუ ფხვნილით ემგზავროს. ნელა აიღო ჯოხი და გამანანილებელი ქუდი, გველს ხახიდან ძლივს ამოაძრო ხმალი.

უცებ კენესა მოესმა. ჯინი ნელ-ნელა ამოძრავდა და ფრთხილად წამოჭდა. გაკვირვებულმა შეხედა ჯერ უზარმაზარ მკვდარ ბასილისკოს, მერე — სისხლში ამოთხვრილ ჰარის და რიდლის დღიურს, სახე მოეღრისა და მწარედ ატირდა.

— ჰარი... საუზმობისას შენთვის ყველაფერი უნდა მეთქვა, მაგრამ არ მინდოდა, პერსის გაეგო. ყველაფერი ჩემი ბრალია, ჰარი... მაგრამ მე... მე... დედას გეფიცები, არ მინდოდა... რიდლმა მაიძულა... ძალა დამატანა... ეს... ეს როგორ მოკალი? რიდლი სადაა? მახსოვს, დღიურიდან გადმოვიღა...

— რიდლი მოკვდა, — ჰარიმ გახვრეტილი დღიური დაანახვა, ბასილისკოც მოკვდა! წამო, ჯინი, გავიდეთ აქედან!

— გამრიცხავენ! — აქვითინდა ჯინი, როცა ჰარიმ ფეხზე წამოაყენა, — მე კიდევ მას შემდეგ, რაც ბილი სკოლაში წავიდა, სულ ჰოგვორტსზე ვოცნებობდი. ახლა კი, გამრიცხავენ... მერე დედა და მამა რას იტყვიან?!

ფოუკსი ოთახის შესასვლელთან ფარფატებდა. ჰარიმ ჯინი წინ გაუშვა. მკვდარ ბასილისკოს ფრთხილად გადააბიჯეს და ჩაბნელებულ გვირაბში შევიდნენ. ჰარიმ გაიგონა, როგორ დაიხურა კარი მათ ზურგს უკან.

კარგა ხანს მიდიოდნენ ბნელ გვირაბში, ბოლოს გრუხუნი მოესმათ.

— რონ! — დაიძახა ჰარიმ, — ჯინი კარგადაა! მომყავს!

გახარებული რონის შეძახილები უკვე ახლოდან გაიგონეს და მალე დაინახეს კიდევ. რონს ჩახერგილი ლოდების გადაგორება მოეხერხებინა, ასე რომ, კედელში თავისუფლად გაძვრებოდნენ.

— ჯინი! — რონმა ჯინი ხვრელში გააძვრინა, — ცოცხალი ხარ? არ მჯერა! მომიყვი, რა მოხდა!

რონმა სცადა, აქვითინებულ დას მოხვეოდა, მაგრამ ჯინიმ თავი აარიდა.

— ყველაფერი დამთავრდა, ჯინი! — ამშვიდებდა რონი, — ნუ გეშინია! ეს ფრინველი აქ საიდან გაჩნდა? — ჯინის შემდეგ ხვრელში ფოუკსი გამოძვრალიყო.

— დამბლდორისაა, — გადმოვიდა ჰარიც.

— ეს ხმალი საიდანა გაქვს?

— აქედან რომ გავალთ, ყველაფერს მოგიყვები, — ჰარიმ მალულად გადახედა ჯინის.

— კი მაგრამ...

— მერე აგისხნი, ახლა ამის დრო არ არის-მეთქი! — შეაწყვეტინა ჰარიმ, — ლოკჰარტი სადღაა?

— სადღაც იქ, — ჩაიქირჩილა რონმა და მილისკენ ანიშნა, — ცუდ დღეშია! წამო, ვნახოთ!

წინ ფოუკსი გაუძღვათ. მისი ფრთები ოქროსფერ სინათლეს ასხივებდა. ლოკჰარტი მილთან იჭდა და თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა.

— მესხიერება დაკარგა, — აუხსნა რონმა, — ჩვენთვის გამიზნული შელოცვა თვითონვე დაუბრუნდა. აზრზე არაა, ვინ არის, ან ჩვენ ვინა ვართ. აქ დამელოდე-მეთქი, ვუთხარი.

— გამარჯობა! — გაუღიმა მოსულეებს ლოკჰარტმა, — უცნაური ადგილია! თქვენ რა, აქ ცხოვრობთ?

— არა, — მიუგო რონმა და ჰარის ანიშნა, ხომ გეუბნებოდიო.

ჰარიმ უსაშველოდ გრძელ მილში შეიხედა.

— ზემოთ როგორ ავალთ?

რონმა მხრები აიჩიჩა. ფოუკსმა ჰარის ჩაუქროლა და მძივივით წვრილი თვალეები ააეღვარა. ოქროს ბოლოს გამეტებით იქნევდა. ჰარიმ დაეჭვებით შეხედა.

— მე მგონი, უნდა, რომ კუდში ჩაეჭიღო, — გაოცდა რონი, — მაგრამ ამ სიმძიმეს ფრინველი როგორ გაუძლებს?

— ფოუკსი ჩვეულებრივი ფრინველი არ არის! — აუხსნა ჰარიმ და დანარჩენებს მიუბრუნდა: — ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ, ჯინი, შენ რონს მოეჭიდე, პროფესორო ლოკჰარტ...

— შენ მოგმართავენ, — შეუღრინა რონმა პროფესორს.

— თქვენ ჯინის ჩაეჭიდეთ!

ჰარიმ ხმალი და გამანაწილებელი ქედი ქამარში გაიჩჭო, რონი ჰარის მანტიას სწვდა, ჰარიმ კი ფოუკსის უჩვეულოდ გახურებულ ბოლოს ჩაავლო ხელი. უცებ სხეული აუმჩატდა, წამიც და, ყველანი უშველებელ მილში შეფრინდნენ.

— რა კარგია! რა საოცარია! ნამდვილი ჯადოქრობაა! — გაუთავებლად იმეორებდა ლოკჰარტი.

ჰარის ცივი ქარი თმას უფრიალებდა. მალე ოთხივენი მტირალა მირტლის საპირფარეოს სველ იატაკზე აღმოჩნდნენ. სანამ ლოკჰარტი ქედს ისწორებდა, ხელსაბანი ნიჟარა, რომელიც მილს ფარავდა, თავის ადგილას დაბრუნდა.

— უი, ცოცხლები ხართ?! — ეწყინა მირტლს.

— სულ ტყუილად წუნუნებ, — გაბრაზებულმა ჰარიმ სათვალეს სისხლი და ტალახი მოამორა.

— იცი, რა... მე ვფიქრობდი... თუ მოკვდებოდი, ჩემს ტუალეტში სიამოვნებით მიგიღებდი, — მირტლს სახეზე ვერცხლისფერმა გადაჰკრა.

— ჰარი! მგონი, მირტლს შეუყვარდი! — ჩახველა რონმა, როცა საპირფარეოდან ცარიელ ჩაბნელებულ დერეფანში გამოვიდნენ, ჯინი, მეტოქე გამოგიჩნდა.

მაგრამ ჯინის სულაც არ ეცინებოდა, ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— ახლა რაღა მოგივიდა?! — გაბრაზდა რონი.

ჰარიმ მეგობარს რაღაც ანიშნა.

ფოუკსი ოქროსფერ სინათლეს აფრქვევდა და ბავშვებს დერეფანში მიუძღვოდა. სულ მალე პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტთან მივიდნენ.

ჰარიმ დააკაკუნა და კარი შეაღო.

თავი მეთვრამეტე

ღობის ჯილდო

ერთხანს ჩუმად იდგნენ ტალახში ამოსვრილები. უცებ ვიღაცამ შეჰკვივლა:

— ჯინი!

ეს ქალბატონი უისლი იყო, ბუხრის წინ მჯდარს ტირილით თვალეები დასწითლებოდა. ის და ბატონი უისლი ერთდროულად წამოხტნენ და გოგონას მისცვივდნენ.

ბუხართან სახეგაბრწყინებელი პროფესორი დამბლდორი იდგა და აღელვებულ პროფესორ მაკკონაგელს აწყნარებდა. ფოუკსმა ჰარის ჩაუქროლა და დამბლდორს მხარზე დააჭდა. ქალბატონმა უისლიმ ახლა ჰარი და რონი ჩაიკრა გულში.

— თქვენ გადაარჩინეთ ჩემი გოგო! როგორ მოახერხეთ?!

— ეს ჩვენც გვინტერესებს, — ჩაილაპარაკა პროფესორმა მაკკონაგელმა.

ქალბატონმა უისლიმ ჰარის ხელი გაუშვა. ბიჭი ერთხანს შეეცოყმანდა, მერე მაგიდასთან მივიდა და ზედ გამანაწილებელი ქედი, ლალის თვლებით მოოჭვილი ხმალი და რიდლის დღიურის ნარჩენები დაანყო.

შემდეგ თითქმის თხუთმეტ წუთს ყვებოდა, როგორ გაიგონა რამდენჯერმე უცნაური ხმა და ბოლოს როგორ მიხვდა ჰერმიონი, რომ ჰარის მიღებიდან ბასილისკოს ხმა ესმოდა; როგორ გაჰყვა რონთან ერთად ობობებს აკრძალულ ტყეში, როგორ უამბო არაგოგმა, სად დაიღუპა მონსტრის მსხვერპლი, როგორ გამოიცნო, რომ ეს მსხვერპლი სწორედ მტირალა მირტლი იყო და რომ საიდუმლო ოთახის შესასვლელი მის ტუალეტში უნდა ყოფილიყო.

— გასაგებია, — ჩაერთო პროფესორი მაკკონაგელი, როგორც კი ჰარი ოდნავ შეყოვნდა, — ესე იგი, საიდუმლო ოთახის საპოვნელადუამრავი წესი დაგირღვევიათ... თუმცა, ახლა ის უფრო მაინტერესებს, ცოცხლები როგორ გადარჩიეთ!

ამდენი ლაპარაკისგან ხმაჩახლეჩილმა ჰარიმ ისიც უამბო, როგორ ბენჯზე მოუხსნო ფოუკსმა და როგორ ამოიღო ხმალი გამანაწილებელი ქედიდან... უცებ შეჩერდა. აქამდე რიდლის დღიური და ჯინი არ უხსენებია. ჯინი დედას ეხუტებოდა და დაპალუპით სდიოდა ცრემლები. „ვამე, ჯინი რომ გარიცხონ? — დაფეთდა ჰარი, — დღიური აღარ ვარგა... როგორ დავამტკიცებთ, რომ ყველაფრის გაკეთება რიდლმა აიძულა?“.

დაბნეულმა ჰარიმ რატომღაც დამბლდორს შეხედა. პროფესორმა ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და იკითხა:

— ძალიან მაინტერესებს, როგორ მოახერხა ვოლდემორმა ჯინის მოჭადოება. ჩემი წყაროებიდან ვიცი, რომ ამჟამად ალბანეთში იმალება.

ჰარიმ შევებით ამოისუნთქა, თითქოს გულიდან უზარმაზარი ლოდი მოშორდა.

— რ-რაო? — გაოცებისგან პირი დაალო ბატონმა უისლიმ, — ჩვენ-რომ-ვიცით, იმან ჯინი მოაჭადოვა? კი მაგრამ, ჯინი ხომ არ... ჯინი არაფერ შუაშია... თუ...?

— ყველაფერი ამ დღიურის ბრაღია, — ჰარიმ დღიურს დასტაცა ხელი და დამბლდორს გაუწოდა, — რიდლი თექვსმეტი წლის იყო, როცა მისი წერა დაიწყო.

დამბლდორმა დღიური გამოართვა და გრძელი, კეხიანი ცხვირი დამწვარ-დაფლეთილ ფურცლებში ჩარგო.

— გადასარეგია! რაც მართალია, მართალია, ჰოგვორტისის მოსწავლეებში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ბავშვი იყო! — დამბლდორი გამბტერებულ უისლებს მიუბრუნდა: — ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ლორდ ვოლდემორს ერთ ღროს ტომ რიღლი ერქვა. ორმოცდაათი წლის წინ მას მე თვითონ ვასწავლიდი ჰოგვორტსში. სკოლა რომ დაამთავრა, უგბო-უკვლოდ დაიკარგა, საღდაც შორს გაემგზავრა. კარგად შეისწავლა შავი მაგია და ყველაზე საშიშ ბნელ ძალებს დაუახლოვდა. იმდენი სახიფათო რამ გამოიარა, რომ როცა ლორდ ვოლდემორად იქცა, მას უკვე ვედარავინ სცნობდა. ლორდ ვოლდემორს ვედარავინ უკავშირებდა იმ ჭკვიან, საყვარელ ბიჭს, რომელიც ერთ ღროს ჰოგვორტისის ჰედბოი იყო.

— კი მაგრამ, ჩვენს ჯინის რა საერთო აქვს რიღლთან? — ვერაფერს მიხვდა ქალბატონი უისლი.

— დ-დ-ღღიური, — აქვითინდა ჯინი, — მე-მე მის ღღიურში ვწერდი.. ის... ის კი მჰასუხობდა... მთელი წელიწადი.

— ჯინი! — გაცეცხლდა ბატონი უისლი, — ნუთუ შენთვის არაფერი მისწავლებია?! ნუთუ თავის ღღეში არ მითქვამს, რომ არასოდეს არ უნდა ენღო ისეთ საგნებს, რომელთაც ფიქრი შეუძლიათ, მაგრამ როგორ და რით, ვერ გაიგებ. ღღიური ჩემთვის ან ღედაშენისთვის უნდა გეჩვენებინა! ასეთი საეჭვო ნივთის დამალვა როგორ შეიძლებოდა?! ეს ხომ შავი მაგია!

— მე... მე... მე არ ვიცოდი... — მოთქვამდა ჯინი, — ღეღიკოს ნაყიდ წიგნში ვიპოვე. მეგონა, ვიღაცას დარჩა-მეთქი...

— მის უისლი, ახლავე საავადმყოფო ფლიგელში აბრძანდით, შეანყვეტინა დამბლდორმა, — თქვენთვის ეს მეტისმეტად მძიმე დარტყმა იყო, ამიტომაც არ დაისჯებით. პატარა გოგონა კი არა, ბევრი ასაკოვანი და გამოცდილი ჯადოქარი გაუყურებია ლორდ ვოლდემორს, — დამბლდორმა კარი გაუღო, — ახლა უნდა დაისვენოთ, ერთი ჭიქა ცხელი შოკოლადიც არ განყენდით! მე ამ სიამოვნებაზე უარს არასოდეს ვამბობ, — და ჯინის თვალი ჩაუკრა, — მგონი, მადამ პომფრის ჯერ არ დაუძინია, მანდრაგორას წვენს უნდა ასმევდეს პაციენტებს, ასე რომ, გაშეშებული სულ მალე გაიღვიძებენ!

— ესე იგი, ჰერმიონი კარგადაა? — გაუხარდა რონს.

— სერიოზულად არავინ დამავებულა, — მიუგო დამბლდორმა.

ქალბატონმა უისლიმ ჯინი ოთახიდან გაიყვანა, ჯერ ისევ შეცბუნებული ბატონი უისლიც უკან გაჰყვათ.

— ძვირფასო მინერვა, — დამბლდორი ახლა პროფესორ მაკკონაგელს მიუბრუნდა, — მე მგონი, ეს ამბავი ღიღი ქვითით უნდა აღენიშნოთ! სამზარეულოში ხომ არ ჩახვიღოღით?

— რა თქმა უნდა! — მაკგონაგელი კარისკენ გაემართა, — პოტერსა და უისლის თქვენ მიხედავთ, არა?

— რასაკვირველია!

მაკგონაგელი ოთახიდან გავიდა. ჰარი და რონი შეცხუნებულები მიაჩერდნენ დამბლდორს: „ნეტავ პროფესორი მაკგონაგელი რას გულისხმობდა „მიხედვაში“?! ღმერთო, ნუთუ დასჯას გვიპირებენ?“ — გაიფიქრეს ბიჭებმა ერთდროულად.

— მასხოვს, როგორ გაგაფრთხილეთ, თუ კიდევ ერთ წესს მაინც დაარღვევთ, იძულებული ვიქნები, სკოლიდან გაგრიცხოთ-მეთქი.

რონს სახე მოეღრცა.

— თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ მეც კი უარს ვამბობ ჩემს სიტყვებზე, — გაელიმა დამბლდორს, — თქვენ ორივენი სპეციალურ ჯილდოს მიიღებთ სკოლისთვის განუელი განსაკუთრებული დამსახურებისათვის და კიდევ — ორას-ორას ქულას გრიფინდორის სასარგებლოდ.

რონს სახე ლოკჰარტის სათითხმეტებერვლო ყვავილებივით გაუვარდისფრდა.

— როგორც ვხედავ, ერთ-ერთი თქვენგანი ძალიან ჩუმადაა და თავის დამსახურებაზე არაფერს ამბობს. გილდეროი, ასეთი თავმდაბალი როლის აქვთ გახდით?

ჰარი შეხტა. გილდეროი ლოკჰარტი საერთოდ აღარ გახსენებია. პროფესორი ბნელ კუთხეში ჩუმად იდგა და სახეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა. დამბლდორმა მას რომ მიმართა, ლოკჰარტმა უკან მიიხედა, ნეტავ ვის ელაპარაკებო.

— პროფესორო დამბლდორ, — სწრაფად მიმართა რონმა, — საიდუმლო ოთახში გაუგებრობა მოხდა: პროფესორი ლოკჰარტი...

— მე პროფესორი ვარ? — ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ლოკჰარტს, — ღმერთო დიდებულო! მე კიდევ მეგონა, სრული არარაობა ვიყავი!

— დასავიწყებელ შელოცვას გვიკეთებდა, მაგრამ ჯობია უკან დაუბრუნა, — აუხსნა რონმა დამბლდორს.

— ეს რა მესმის! საკუთარ ხმაზე ნამოეგე, გილდეროი?

— ხმალი? რა ხმალი, რის ხმალი? სადა მაქვს ხმალი? აი, იმ ბიჭსა აქვს ხმალი, — ლოკჰარტმა ჰარიზე ანიშნა, — თუ გნებავთ, ის გათხოვებთ ხმალს!

— რონ, პროფესორი ლოკჰარტი საავადმყოფო ფლიგელში აიყვანე, ჰარის ცალკე უნდა დაველაპარაკო...

ლოკჰარტი ოთახიდან გალასლასდა. რონმა ინტერესით შეხედა ჰარისა და დამბლდორს და კარი გაიხურა.

დამბლდორმა ჰარის ბუხართან მდგარ სკამზე მიუთითა.

— ჩამოჯექი, ჰარი!

ჰარი დაჯდა, მაგრამ თავს ისე უხერხულად გრძნობდა, აღარ იცოდა, რა ექნა.

— პირველ ყოვლისა, მინდა, მადლობა გადაგიხადო, ჰარი, თვალები აუციმციმდა დამბლდორს, — შენ ჩემდამი დიდი ერთგულება გამოიჩინე, ფოუკსიც ამიტომ დაგეხმარა, — დამბლდორი მუხლებზე დასკუპებულ ფენიქსს მიეფერა, — როგორც ვხვდები, ტომ რიდლს შენთან შეხვედრა უნდოდა.

ჰარიმ თავი ველარ შეიკავა და პირდაპირ თქვა ის, რაც ყველაზე მეტად აწვალებდა:

— პროფესორო დამბლდორ... რიდლმა მითხრა, რომ ჩვენ უცნაურად ვგავართ ერთმანეთს...

— ასე გითხრა? — დამბლდორი დაკვირვებით მიაჩერდა ჰარის, შენ თვითონ როგორ გვინია?

— მე არ ვეთანხმები! მე... მე ხომ გრიფინდორელი ვარ, მე...

ჰარიმ სათქმელი ვერ დაასრულა, უცებ თავში საშინელმა ეჭვმა გაუელვა, — პროფესორო, გამანაწილებელმა ქედმა მითხრა, სლიზგერინი შენთვის ზედგამოჭრილი იქნებოდაო... ყველანი ფიქრობდნენ, რომ მე სლიზგერინის მემკვიდრე ვიყავი... მე ხომ პარსულად ვლაპარაკობ...

— ეს ძალიან ადვილი ასახსნელია, — დაამზვიდა დამბლდორმა, — შენ პარსულად იმითმ ლაპარაკობ, რომ სალაზარ სლიზგერინის ერთადერთი მემკვიდრე ლორდი ვოლდემორი, პარსულად ლაპარაკობს. თუ არ ვცდები, იმ ღამეს, როცა თავს დაგესხა, თავისი უნარი გადმოგცა. დარწმუნებული ვარ, ამას სულაც არ აპირებდა, მაგრამ...

— ვოლდემორმა თავისი ნიჭის ნაწილი მე გადმომცა? — გაშტერდა ჰარი.

— როგორც ჩანს, ასეა!

— ესე იგი, სლიზგერინში უნდა ვიყო? გამანაწილებელმა ქედმა ჩემში სლიზგერინის ძალა დაინახა და...

— გრიფინდორში გაგანაწილა! კარგად მომისმინე, ჰარი! შენ ბევრი ისეთი თვისება გაქვს, რაც სალაზარ სლიზგერინის ერთგულ მოსწავლეებს ჰქონდათ. მაგალითად პარსელობა, რაც ძალიან იშვიათია... უსაზღვრო ნიჭიერება... ნებისყოფა... წესების უკულებეღყოფა... თუმცა, ამისდა მიუხედავად, ქედმა მაინც გრიფინდორში გაგანაწილა და თუ დაფიქრდები, მიხვდები — რატომაც!

— გრიფინდორში იმიტომ გამიშვა, რომ მე ვუთხარი, სლიზერინში არ მინდა-მეთქი!
— ხმა ჩაუნყდა ჰარის.

— მართალი ხარ! — სახე გაუბრწყინდა დამბლდორს, — ამით შენ ძალიან განსხვავდები ტომ რიდლისგან! საერთოდ, ჩვენს პიროვნებას ჩვენი არჩევანი განსაზღვრავს და არა შესაძლებლობები. ჰარი, თუ კიდევ არ გჯერა, რომ ნამდვილი გრიფინდორელი ხარ, აბა, ამას დააკვირდი!

დამბლდორმა პროფესორ მაკგონაგელის მაგიდიდან სისხლიანი ხმალი აიღო და ჰარის მიანოდა. ლალის თვლები ცეცხლის შუქზე თვალისმომჭრელად აელვარდა. ვადაზე ვერცხლის ასობით იყო ამოტვიფრული:

„გოდრიკ გრიფინდორი“

— მხოლოდ ნამდვილ გრიფინდორელს შეეძლო ქუდიდან ამ ხმლის ამოღება, — აუხსნა დამბლდორმა.

კარგა ხანს ორივენი ჩუმად ისხდნენ. მერე დამბლდორმა პროფესორ მაკგონაგელის მაგიდის უკრა გამოაღო და ბატის ფრთა და სამელნე ამოიღო.

— შენ ახლა კარგი კვება და ძილი გჭირდება, ჰარი! დიდ დარბაზში წადი წვეულებაზე. მე კი აზკაბანში წერილს გავგზავნი, ჩვენი მეტყვევე უნდა დავიბრუნოთ. თანაც, „დილის მისნისთვის“ განცხადება უნდა დაეწერო, ბნელი ძალებისგან თავდაცვის ახალი მასწავლებელი გვჭირდება. ეს რა თავსატეხი გამიჩნდა!

ჰარი წამოდგა, რომ გარეთ გასულიყო, მაგრამ ამ დროს კარი მთელი ძალით შეასკდა კედელს.

ზღურბლზე გაცოფებული ლუციუს მალფოი იდგა, ზურგს უკან კი მთლად შეხვეულ-დაბინტული დობი ამოჰფარებოდა.

— სალამო მშვიდობისა, ლუციუს, — მიესალმა დამბლდორი.

ბატონმა მალფოიმ ჰარის ისე ჩაუქროლა, ზედაც არ შეუხედავს. მის მანტიას ამოფარებული დობი შეძრწუნებული სახით მისდევდა პატრონს.

— ესე იგი, დაბრუნდიო! — მალფოიმ ცივი მზერა მიაპყრო დამბლდორს, — მეურვეებმა გადაგაყენეს, მაგრამ მანც მოახერხეთ დაბრუნება!

დამბლდორმა გაუღიმა:

— სხვათა შორის, ლუციუს, დღეს ყველა მეურვე დამიკავშირდა, ბუს ბუზე მიგზავნიდნენ. შეიტყვეს, რომ არტურ უისლის შვილი მოუკლავთ და სასწრაფოდ სკოლაში დაბრუნება მთხოვეს. მათი აზრით, ამ საქმეს ჩემზე უკეთ ვერავინ გაართმევს თავს. ძალიან უცნაური ხმებიც მომივიდა: რამდენიმე მათგანმა მიაბო, როგორ ემუქრებოდით, თუ დამბლდორის გადაყენებას მხარს არ დაუჭერთ, ოჯახებს დაგინწყვლითო.

ბატონი მალფოი კიდევ უფრო გაფითრდა, თუმცა თვალები ისევ მძვინვარედ უელავდა.

— ესე იგი, თავდასხმები უკვე შეწყდა? დამნაშავეც ხომ არ დაგიჭერიათ?

— დავიჭირეთ, — წყნარად მიუგო დამბლდორმა.

— ვინ არის? — დაეჭვდა მალფოი.

— ისევ ის, ვინც ორმოცდაათი წლის წინ! მაგრამ ამჯერად, ლორდი ვოლდემორი სხვისი ხელით მოქმედებდა და აი, ამ დღიურს იყენებდა, — დამბლდორმა გახვრეტილი დღიური დაანახვა და მალფოის მკაცრად დააკვირდა.

ჰარი კი დობის მიაჩერდა. ელფი ძალიან უცნაურად იქცეოდა, ჰარის თვალებით რაღაცას ანიშნებდა, თან დღიურზე და ბატონ მალფოიზე უთითებდა და მუშტს თავში ირტყამდა.

— გასაგებია... — ჩაილაპარაკა მალფოიმ.

— ჭკვიანური გეგმაა, — დამბლდორი პირდაპირ თვალებში უყურებდა, — ჰარის და მის მეგობარ რონს ეს დღიური რომ არ აღმოეჩინათ, ყველაფერი ჯინი უისლის დაბრალდებოდა. ვერავინ დაამტკიცებდა, რომ თავისი ნებით არ მოქმედებდა...

ბატონ მალფოის არათფერი უთქვამს, სახე ნიღაბივით გაუქვავდა.

— წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? — განაგრძობდა დამბლდორი, — უისლები ხომ ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ხალხია. ვინ დაუჭერდა მხარს არტურ უისლის „კანონს მაგლთა დაცვის შესახებ“, თუ მის ქალიშვილს მაგლებზე თავდასხმას დააბრალებდნენ?! საბედნიეროდ, რიდლის დღიური იპოვეს და გაანადგურეს. ვინ იცის, რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა ამ ამბავს, რომ არა...

ბატონმა მალფოიმ ნაძალადევად გაიღიმა და ძლივს ამოღერდა:

— ბედმა გაგვიღიმა!

დობი არ ცხრებოდა, ჰარის ჯერ დღიურზე ანიშნებდა, მერე ლუციუს მალფოიზე და თავში მუშტებს იშენდა.

უცებ ჰარი ყველაფერს მიხვდა და დობის თავი დაუქნია. ელფი კუთხეში მიიმალა და თავისი თავის დასასჯელად ყურები დაიგრიხა.

— ბატონო მალფოი, არ გაინტერესებთ, სად იპოვა ჯინიმ დღიური? — ჰკითხა ჰარიმ.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, სად იპოვა დღიური პატარა სულელმა გოგომ?

— დღიური მას თქვენ მიეცით! „ფლორიმ ენდ ბლოტსში“. მისი ტრანსფიგურაციის სახელმძღვანელო ჩემად მოიპარეთ და შიგ დღიური ჩაუდეთ!

ბატონმა მალფოიმ მუშტები შეკრა და შეუღრინა:

— ვერ დამიმტკიცებ!

— ახლა ამის დამტკიცება შეუძლებელია, — დამბლდორმა ჰარის გაუღიმა, — რიღლი დღიურიდან გაქრა. ისე, ლუციუს, მე გირჩევთ, ამიერიდან ლორდ ვოლდემორის სასკოლო ნივთების დარიგებისგან თავი შეიკავოთ. კიდევ ერთი ნივთი მაინც თუ მოხვდება უდანაშაულო ადამიანის ხელში, დარწმუნებული ვარ, არტურ უისლი თქვენზე აიღებს ეჭვს...

ლუციუს მალფოი გახევებული იდგა. ჰარიმ შეამჩნია, როგორ აუთამაშდა ხელი, თითქოს, ჯადოსნური ჯოხის ამოღება უნდოდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ შინაურ ელფს მიუბრუნდა.

— წავიდეთ, დობი! — და კარს ხელი ჰკრა.

დობი მღურბლთან უხალისოდ მილასლასდა. მალფოიმ პანლური ამოჰკრა და ოთახიდან გაისროლა. დერეფანში ელფის წამუტუნი გაისმა.

უცებ ჰარის ბრწყინვალე აზრი მოუვიდა თავში:

— პროფესორო დამბლდორ, შეიძლება, ბატონ მალფოის თავისი დღიური დავუბრუნო?

— რასაკვირველია! ოლონდ, წვეულებაზე მოსვლა არ დაგავწყდეს!

ჰარიმ დღიურს ხელი დაავლო და კაბინეტიდან გავარდა. დობის საწყალობელი კრუსუნი სადღაც შორიდან ესმოდა. ჰარიმ სასწრაფოდ გაიხადა წინდა, შიგ დღიური ჩატენა და თავ-პირის მტვრევით გაიქცა ჩაბნელებულ დერეფანში. მალფოისა და დობის კიბესთან წამოეწნა.

— ბატონო მალფოი! — დაუძახა აქოშინებულმა, — თქვენთვის რაღაც მაქვს! — და სუნიანი წინდა მალფოის მიაჩეჩა.

— რა ჯანდაბაა? — მალფოიმ დღიური ამოიღო, წინდა დობისკენ მოისროლა და ჰარის აღშფოთებულმა უთხრა:

— ჰარი პოტერ, ადრე თუ გვიან, შენც შენი მშობლებივით ჩაძაღლდები! ისინიც შენნაირი სულელები იყვნენ! წავედით, დობი!

დობის ფეხი არ მოუცვლია, ჰარის წინდა ისე მოწინებით ეჭირა ხელში, თითქოს უძვირფასესი განძი ყოფილიყოს.

— ბატონმა დობის წინდა აჩუქა! — წამოიძახა აღტაცებულმა.

— რაო, რა თქვი? — შეუღრინა ბატონმა მალფოიმ.

— დობის ახლა წინდა აქვს! — თვალებს არ უჯერებდა ელფი, ბატონმა წინდა გადააგდო და დობიმ დაიჭირა! დობი თავისუფალია! ლუციუს მალფოი გაოცებული მიაჩერდა ელფს, მერე ჰარიზე გაინა:

— შენ მე მსახური დამაკარგვინე!

მაგრამ ამ დროს დობიმ შეჰყვირა:

— ჰარი პოტერს თითს ვერ დააკარებ!

გაისმა აფეთქების ხმა, ბატონი მალფოი უკან გადავარდა და კიბეზე დაგორდა. მერე როგორც იქნა, წელი აითრია და გაცეცხლებულმა ჯოხი ამოიღო, მაგრამ დობიმ მკაცრად გააფრთხილა:

— ახლავე წაბრძანდით აქედან! ჰარი პოტერს თითსაც ვერ დააკარებთ!

ლუციუს მალფოის სხვა გზა არ ჰქონდა. ორივეს სიძულვილით შეხედა, მანტია მოიხურა და წავიდა.

— ჰარი პოტერმა დობი გაათავისუფლა! — დაიწყებდა ელფმა და ბურთისოდენა თვალელებში მთვარის შუქი აუთამამდა, — ჰარი პოტერმა დობის თავისუფლება აჩუქა!

— ეგ არაფერია! რა სალაპარაკოა, დობი! — შესვინა ჰარიმ, ოღონდ, უნდა დამპირდე, რომ ამიერიდან ჩემს გადარჩენას აღარ ეცდები!

ელფს მახინჯი, მოყავისფრო სახე გაეზადრა და მორცხვად გაიღიმა, მერე მონივნებით ჩაიკვა ჰარის წინდა.

— რაღაც უნდა გკითხო, დობი! ხომ გახსოვს, რომ მითხარი, ამ საქმეში ვისი-სახელიც-არ-ითქმის, ის გარეული არ არისო! კი მაგრამ...

— ეს გამოცანა იყო, სერ! — დობიმ გაკვირვებული სახე მიიღო, აქაოდა, ამას როგორ ვერ მიხვდიო, — დობიმ მიგანიშნათ, სერ! სანამ ბნელეთის ბატონი სახელს შეიცვლიდა, მისი სახელის წარმოთქმა შეიძლებოდა.

— მართალი ხარ! — დაეთანხმა ჰარი, — კარგი, ახლა უნდა წავიდე, წვეულება უკვე დაიწყო. თან, ჩემი მეგობარი ჰერმიონიც გაიღვიძებდა...

დობი ჰარის მუხლებზე მოეხვია.

— ჰარი პოტერი უფრო დიადი ყოფილა, ვიდრე დობის ეგონა! მშვიდობით, ჰარი პოტერ! — და დობი ხმამაღალი ტკაცუნით გაუჩინარდა.

* * *

ჰოგვორტსში ბევრი წვეულება გამართულა, მაგრამ იმდღევანდელი წვეულება მაინც განსაკუთრებული იყო. თავიანთი საძინებლებიდან პიუჟამებით გამოცვნილი სტუდენტები მთელ ღამეს მხიარულობდნენ.

ჰარი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა. ჯერ დარბაზში გაცოცხლებული ჰერმიონი შემოვარდა და ჰარის მიულოცა, მერე ჰაფლეპაფის მაგიდიდან ჯასტინმა მოირბინა და უთვალავი ბოლოში მოუხადა, მაპატიე, შენში ეჭვი რომ მეპარებოდაო; ოთხის ნახევარზე კი ჰაგრიდის გამოჩნდა და გახარებულმა რონსა და ჰარის ისე ძლიერად დაჰკრა ბეჭებზე ხელი, რომ ბიჭები ტორტში ჩაჰირქვევდნენ; თანაც ჰარიმ და რონმა ოთხასი ქულა მიიღეს, რაც გრიფინდორს ზედიზედ მეორე გამარჯვებას მოუტანდა! შემდეგ პროფესორმა მაკგონაგელმა გამოაცხადა, გამოცდები აღარ ჩაგითარდებათო (ჰერმიონს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არ გახარებია), ბოლოს კი პროფესორმა დამბლდორმა ყველას ამცნო, სამწუხაროდ გილდეროი ლოკჰარტი მომავალ წელს თქვენი მასწავლებელი აღარ იქნება, რადგან მესხიერება დაკარგა და მკურნალობა სჭირდებოდაო. ამ სიახლეს მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც აღტაცებული ყიჟინით შეხვდნენ.

— სამწუხაროა! — ჩაილაპარაკა რონმა და ჯემიანი ნამცხვარი გადმოიღო, — უკვე თითქმის შევეჩვიე!

ზაფხულის მზე თვალისმომჭრელად ანათებდა. ჰოგვორტსი ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა, თუმცა, ცოტა რამ მაინც შეიცვალა: ბნელი ძალებისაგან თავდაცვის გაკვეთილები აღარ უტარდებოდათ („ამ საქმეში კარგა დიდი გამოცდილება მივიღეთ“, — ამშვიდებდა რონი უკმაყოფილო ჰერმიონს), ლუციუს მალფოი კი სკოლის მეურვის თანამდებობიდან გადააყენეს. ასე რომ, დრაკო სკოლის ბატონ-პატრონივით ამაყად გაჭვითული ველარ დააბიჯებდა დერეფნებში. ჯინი უისლის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

ძალიან მალე დადგა ჰოგვორტსის ექსპრესით შინ გამგზავრების დრო. ჰარი, რონი, ჰერმიონი, ფრედი, ჯორჯი და ჯინი ერთ კუპეში ჩასხეს. ბოლო რამდენიმე საათი, სანამ ჯადოქრობის უფლება ჰქონდათ, გულიანად მოილხინეს: აფეთქობანა ითამაშეს, ფრედისა და ჯორჯის უკანასკნელი ფლიბუსტიერის შუშხუნაც ააფეთქეს და ერთმანეთს განიარაღებაში გაეჭიბნენ. კინგს ქროსის სადგურს რომ მიუახლოვდნენ, ჰარის რალაცა გაახსენდა.

— ჯინი, გახსოვს, პერსიზე რალაც რომ უნდა გეთქვა? გვითხარი, გთხოვ!

— პერსის შეყვარებული ჰყავს, — ახითხითდა ჯინი.

ფრედს წიგნები ხელიდან გაუცვივდა.

— რაოო?

— რეივენქლოს პრეფექტი, პენელოპე ქლიარუოტერი! მთელი ზაფხული წერილებს უგზავნიდა. სკოლაში ჩუმ-ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ დავინახე, ცარიელ ოთახში ერთმანეთს კოცნიდნენ. წარმოგიდგენიათ, რა დღეში

ჩავარდა, როცა პენელოპეს დაესხნენ თავს?! ოღონდ, გეხვეწებით, პერსის არ დასცინოთ! სთხოვა ჯინიმ.

— ამას ვერ წარმოვიდგენდი! — ფრედს ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, თითქოს, დაბადების დღე აქვსო.

— აბა, აბა! — ჩაიქირქილა ჯორჯმა.

ჰოვგორტის ექსპრესმა სიჩქარეს ნელ-ნელა უკლო და გაჩერდა.

ჰარიმ ბატის ფრთა და პერგამენტი ამოიღო, დერსლების ტელეფონის ნომერი დაწერა, ფურცელი ორად გახია და რონსა და ჰერმიონს გაუნოდა.

— ეს ტელეფონის ნომერია, — უთხრა რონს, — ამ ზაფხულს მამაშენს აუუხსენი, როგორ მუშაობს ტელეფონი. დერსლებთან დამირეკეთ! ორ თვეს მართო დადლისთან ლაპარაკი არ შემოძლია...

— შენი დეიდა და ბიძია ალბათ იამაყებენ, შენი გმირობის ამბავს რომ გაიგებენ! — უთხრა ჰერმიონმა, როცა მატარებლიდან ჩამოვიდნენ და სხვებთან ერთად მოჭადლოებული კედლისკენ გაემართნენ.

— იამაყებენო? რას ამბობ? თუ გაიგეს, რამდენჯერ გადავურჩი სიკვდილს, ნამდვილად გაგიუდებიათ!: და ყველანი მაგლური სამყაროს შესასვლელისკენ გაეშურნენ.